



„ნაკადული“
თბილისი
1971

అంశమునా

అంతా అంతా అంతా

ირლანდიის ისტორიის უძველესი ხანა დაკავშირებულია ეკროის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში მცხოვრები ხალხის, კელტების ექსპანსიასთან. ბერძნები Keltoi-ს უწოდებდნენ ალპების ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს და სთელიდნენ პათ საერთო წარმოშობის ხალხებად. როგორც ბრიტანული ენციკლოპედია გვეუბნება, ტერმინების „კელტის“ და „კელტურის“ არასწორია სმარებამ გამოიწვია მრავალი გაუკებრობა. ჩვეულები-სამებრ, კელტებს უწოდებდნენ კელტურად მოლაპარაკე ხალხებს ადრინდელ საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში და ირლანდიაში, რომელნიც შეგვრემაწები იყვნენ და ტანმოჩინი, ხოლო ძველი დროის მწერლები კელტებს უწოდებდნენ ვოლიათური აღნაგობის ქერა და ცისფერთვალე ხალხს, რომელიც მკვიდრობდა ევროპაში.

ამრიგად, კელტები ფიზიკური გარეგნობის მიხედვით განიყოფიან ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფი მკვიდრობდა ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში, ძირითადად სკანდინავიაში. მათ მკონდათ გრძელი თავები, ვიწრო, არწი-ვისებური ცხვირი, ცისფერი თვლები, ღია ფერის თმა. ისინი ტანმალლო-შით გამოირჩეოდნენ. ეს გასლავთ წინაპრები, საერთოდ, ჩრდილოეთის ხალხებისა. მეორე ჯგუფი გამოირჩევა უფრო მრგვალი თავით, ფართო სახით, მასიური ცხვირით, მორუნო თვლებით, ღია წაბლისფერი თმით. ამ ჯგუფის წარმომადგენელი ბრგენი არიან და საშუალო ტანისანი. ამ მოდგმას ხშირად უწოდებენ კელტურს ანუ ალპინურს (alpine), ვინაიდან ისინი გვხვდებიან ალპების ვაკეობებით სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, საეოში, შვეიცარიაში, პოს დაბლობზე, ტიროლში, აგრეთვე ნორმანდიაში, ბრეტანში, ბურგუნდიაში, ეოგენებში და სხვ. ასე რომ, არის განსხვავება როგორც ანთროპოლოგიური, ასევე გეოგრაფიული სკანდინავურსა და ე. წ. ხმელთაშუა ზღვის კელტებს შორის.

ე. წ. ლა ტენის (La Tène) კელტურის განვითარების პერიოდში კელტები უადრესად გაძლიერდნენ (500 წ. ქრისტემდე და I ს. ქრისტეს შემდეგ). ამას მოჰყვა ამ ხალხების დიდი ექსპანსია მთელს ევროპაში და მცირე აზიაში. მეცნიერები მათ ძლიერებას მიაწერენ მეტალურგიის მაღალ გან-

ვითარებას, კერძოდ, რკინის წარმოებას. ქრისტემდე მესამე საუკუნე იყო დასაწყისი მძლავრი კელტური ექსპანსიისა, რომელიც კიდევ უფრო ადრეც მიმდინარეობდა. ამ დროისათვის კელტებმა დაიკავეს საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო და ესპანეთი გაღმამდე (gadmiz). აქ ისინი შეერივნენ ადგილობრივ იბერიელებს, აქედან წარმოსდგა სახელწოდება „კელტ-იბერები“. შემდეგ კელტები გადავიდნენ იტალიაში, შვეიცარიაში, დაამარცხეს ეტრუსკები და აიღეს რომი (390 წ. ქრისტემდე), აქ მათ მიიღეს ოქროს ხარკი, შემდეგ გადავიდნენ ბალკანებზე, გადალახეს პელეს-ჰონტი და დაიპყრეს თრაკია, მარშით გაიარეს მცირე აზია და შეჩერდნენ იქ, სადაც არის ისტორიული ვალატია, რომელიც მოხსენიებულია „ახალ აღთქმაში“ (იხ. ვალატელთა მიმართ ეპისტოლე წმ. პავლე მოციქულისა). შემდეგ მათ ეზა განაგრძეს აღმოსავლეთისაკენ, აუზიევის ჩრდილოეთით, გაიარეს კოლხეთი, შავი ზღვის მთელი სანაპირო და გადავიდნენ სკვითეთში, აზოვის ზღვამდე, და აქ შეერივნენ სკვითებს. რა თქმა უნდა, კელტების მსგელობა არ იყო ერთწამიერი, იმჟამინდელი ტექნიკისა და გადაადგილების საშუალებათა არასრულყოფილებას ზედ ერთეოდა მათი ინტერესი ადგილობრივ ხალხებთან ვაჭრობისა და სხვადასხვაგვარი აღებ-მიცემობისა. ამიტომ მათი ნაწილი ყოველთვის ყოვნიდებოდა ამა თუ იმ დაპყრობილადგილზე. პიპოთეტიურად შესაძლოა დაეუშვათ; რომ იგივე მოხდა იმჟამინდელ საქართველოშიც: როგორც ჩანს, კელტური მოსახლეობის ნაწილი შეერია იმჟამინდელი საქართველოს მრსახლეობას, ისევე როგორც ეს სკვითეთში მოხდა. შესაძლოა, ეს იყოს მიზეზი იმ მაღალი მეტალურგიული კულტურისა, კერძოდ რკინის წარმოების ხელოვნებისა, რომელიც გვხვდება ქართველთა წინაპარ ტომებში.

დასავლეთისაკენ კელტებმა ილაშქრეს ბრიტანეთის კუნძულებამდე. ესენი იყვნენ ბრიტონები და გოიდელები. ბრიტონები დაეფუძვნენ ინგლისში და უელსში, ხოლო გოიდელები დაასლოებით მე-4-ე საუკუნეში ქრისტემდე; დაეფუძვნენ ირლანდიაში, სადაც მალე დაიკავეს მმართველი კასტის პოზიცია. ირლანდიის უადრეს მკვიდრებს კი „პიქტებს“ უწოდებდნენ. აი, ამ ორი ეთნიური ერთეულისაგან წარმოსდგა შემდგომი ირლანდიური მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ ეს პიქტებიც ძველი იბერების მონათესავე ხალხი იყო.

კელტური ენა, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ირლანდიაში, უხსოვარი დროიდან იწოდებოდა „გაელიკურად“ (gaelic), ან „გოიდელიკურად“. Goidel ნიშნავდა „ირლანდიელს“. ბრიტონული ენები წარმოადგენენ ამენის მონათესავე ენებს (აღჯაბეტის უძველესი ნიმუშებია IV-V საუკუნის საფლავთა წარწერები.).

V საუკუნეში კი აქ ერცელდება ლათინური აღფაბეტი, რომის მისიო-

1 იხ. Emil Bock — Paulus. Stuttgart, 1956.

წერების მიერ შემოტანილი. VIII-IX საუკუნეებიდან უკვე შემორჩენილია მანუსკრიპტები, რომელთა ენა მიღებულია ძველ ირლანდიურ ენად.

მიასლოებითა დაღვენილია 4 პერიოდი ირლანდიური ლიტერატურის განვითარებისა:

1) ადრინდელი პერიოდი, როდესაც ლიტერატურას პქმნიდა „ფილიდების“ (ნათელმზილეელების) ფენა, ხოლო მოგვიანებით სამღვდლოება, და როდესაც ლიტერატურული ნაწარმოებები ინახებოდნენ მონასტრებში.

2) შუა პერიოდი, როდესაც მოქმედებდა უფრო ბ ა რ დ ე ბ ი ს ტ რ ა დ ი ც ი ა, მეგვიდრობის წესით გადმოცემული.

3) გვიანი პერიოდი (XII—XVII საუკ.), როდესაც ლიტერატურის შემქმნელნიც და პატრონებიც ვაუჩინარდნენ და იგი გადაიქცა ხალხურ სიტყვიერებად; ეს ვრძელდებოდა XVII საუკუნიდან XIX საუკ. დასასრულამდე.

4) ახალი პერიოდი, XIX საუკუნიდან დღემდე.

ირლანდიური ლიტერატურა ოდისაგანვე არისტოკრატიული იყო; „ფილიდების“ პროფესიონალური კლასი პქმნიდა და ინახავდა მას. ამ პრივილეგიებულ კასტას. ეკუთვნოდნენ აგრეთვე brithem—ები (მსაჯულნი), Senchaid—ები (მემატიანენი) და drui—დრუიდები. შემდგომში დრუიდები შესცვალა ქრისტიანულმა სამღვდლოებამ, თუმც დრუიდები მაინც ფიგურირებენ გვიანდელ საგებშიც.

ადრინდელი ირლანდიური ეპოსი პროზაულია, თუმც ალაჟ-ალაჟ იგი შეიცავს უღრესად ამაღლებული სტილით დაწერილ ლექსებს ან რიტორულ პასაჟებს. ასეთ პასაჟებს ხშირად აქვთ დიალოგის ფორმა. სპეციალისტების აზრით, არის მსგავსება ამ ფორმასა და ადრინდელ სანსკრიტულ წყაროებს შორის, ასე რომ, ეს, საერთოდ, ინდო-ევროპული ტრადიციია, სახელდობრ. კელტური. ამგვარი დამთხვევებისა და ზოგიერთი ლინგვისტური მონაცემების ბაზისზე აგებულია თეორია, რომ ადრინდელი ზებირსიტყვაობის ტრადიციები საერთო იყო ამ ორ ხალხს შორის და რომ ეს ყოველივე შემორჩა ადრინდელ ირლანდიურ ეპოსში. რომელიც თავის მისრიკ გამოძახილია უძველესი კელტური თქმულებებისა და მითებისა.

ამავე საფუძველზე აღნიშნავენ ფრანგი მეცნიერები რამიდული ციკლის ნაციების კელტურ წარმოშობას, ეინაიდან კელტები, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოადგენდნენ ძლიერ გავრცელებულ ეროვნებას ადრეულ, წინაისტორიულ ხანაში.¹

რაც შეეხება წერილობით დოკუმენტებს, ისინი მხოლოდ შუაირლანდიური პერიოდით თარიღდებიან. ამგვარად, ჩვენამდე მოღწეულ საგებს ახახიათებთ რიტმული პროზა და უაღრესად ზეაწეული თხრობის ინტონაცია. დიდმნიშვნელოვანია მათ შორის უღალთა ანუ უღაიდთა ციკლი (Ulaid). უღაიდები ერქვა ტომს, რომელიც მკვიდრობდა თანამედროვე ულსტერის

¹ იხ. Сент Ив Д' Альвейдр—Миссия индии в Европе, Москва. 1916.

პროვინციის ადვილას. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში, როდესაც საგები ჩამოყალიბდნენ, უღალდებს დაკარგული ჰქონდათ ძველი მნიშვნელობა, მაგრამ ფილიდები მაინც ნერგავდნენ ისეთი გმირების კულტს, როგორც იყო კუხულაინდი ანუ კუხულაინი (Cu chulain), კონხობარი და სხვ

სპეციალისტებს შორის სადაოდ ქცეულა ის ამბავი, წარმოადგენენ თუ არა საგებში მოხსენიებული პერსონაჟები ისტორიულ პირებს. ირლანდიური საგების რუსულად მთარგმნელისა და კომენტატორის ა. ა. სმირნოვის აზრით, კუხულაინდის შესახებ მოთხრობილ ამბებს ისტორიული საფუძველი აქვთ, კერძოდ, ჩვენი ერის დასაწყისში მომხდარი ამბები. ამას ყოველივეს ამოწმებს, აგრეთვე, XIX საუკუნეში წარმოებული არქეოლოგიური გათხრები. ასე რომ, კუხულაინდის შესახებ თქმულებები უძველეს ირლანდიურ თქმულებებს უნდა მივაკუთვნოთ. უფრო გვიანდელია ფინის ანუ მაკფერსონისეული ფინგალის შესახებ არსებული საგმირო ციკლი, რომელიც დაახლოებით IX საუკუნეში ჩამოყალიბდა.

ძველი კელტური თქმულებების როლი უადრესად დიდია შუასაუკუნეთა ევროპული ლიტერატურის განვითარებაში. თითქმის ყველა ძირითადი პერსონაჟი და მოტივი, რომელნიც ფიგურირებენ რაინდულ რომანებში, კელტური თქმულებებიდან მოდის. მეფე არტური თავისი თორმეტი რაინდიოვრთ, მერლინი, ტრისტან და იზოლდე კელტური წარმოშობის გმირებია. რაც შეეხება გერმანულ ჩრდილოურ მითოლოგიას და საგებს, აქაც კელტური ძირებია საძებნელი, ვინაიდან სკანდინავიელი ხალხებიც ძველთაგანვე ენათესაებოდნენ კელტებს. ამიტომ გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას: ადრეული და შუასაუკუნეობრივი ევროპული სიტყვიერების ბირველწყარო ძველი კელტური სიტყვიერებაა, ქრისტიანული და ბერძნულ-ლათინური ელემენტის შერწყმამ ძველ კელტურ ელემენტთან მოგვცა შუასაუკუნეობრივი ევროპული ლიტერატურა. კელტოლოგიის ძირითადი ამოცანაა, არა მარტო იმ ლინგვისტურ-ისტორიული ფონის ცხადყოფა, რომელიც მოსჩანს ევროპელი ხალხების კულტურულ განვითარებაში, არამედ განსაზღვრა იმ სულიერ-კულტურული ფაქტორებისა, რომელნიც ანათესაებენ კელტურ კულტურას შუასაუკუნეობრივი და ახალი ევროპის კულტურასთან.

მითოლოგიისა და რელიგიის საკითხების შესწავლა ძირითადი ფაქტორია ძველი ხალხების კულტურის პრობლემების გაშუქებისას. რამდენადაც ამა თუ იმ ხალხის კულტურის დონე რელიგიური შეგნების დონით განისაზღვრება, უადრესად მნიშვნელოვანია შესწავლა რელიგიის იმ ფორმებისა, რომელნიც ჰქონდათ ადრინდელ ხალხებს. რამდენადაც რელიგია და

მითოსი განუყოფელი იყო ანტიურ ხანაში, სწორედ ეს მომენტი უნდა იქცეს ამოსავალ წერტილად ძველი ლიტერატურების შესწავლის დროსაც. ძველ ირლანდიურ ლიტერატურაში, ისევე როგორც ძველ ბერძნულში, ძველ ინდურში და სხვა ლიტერატურაში, გვხვდება ურთიერთშერწყმა ისტორიული და მითოლოგიური ელემენტებისა. სშირად ძნელია გარჩევა, სად ეხება საკმე გრძობად-ფიზიკურ სამყაროს და სად ზეგრძობად-სულიერს. გმირები თითქოს ორივე სამყაროს სრულუფლებიანი მოქალაქენი არიან, მათი მოქმედება ორივე სამყაროს ფაქტებთან და არსებებთანაა შეთანხმებული და ტრაგიკული კონფლიქტიც იქ აღმოცენდება, სადაც ირღვევა ნებისთ თუ უნებლეთ ეს პარმონია. რამდენადაც საგები იქმნებოდა „ფილიდების“ ანუ ნათელმხილველების მიერ, რომელთაც უადრესად მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რელიგიურ პრაქტიკასთან, ისინი წარმოადგენენ არა მარტო ჩვენი გაგების „ლიტერატურულ“, არამედ რელიგიური თვალსაზრისით შექმნილ თხზულებებს. მეცნიერთა აზრით პრე-ეკლტურ მოსახლეობაში იყო ნათელმხილველთა და მოგეთა კლასი, რომლისაგანაც გამოვიდა დრუიდთა კლასი ეკლტური რეჟიმის დროს¹. დრუიდებს გააჩნდათ ცოდნა ღმერთების შესახებ, მინდა სამყაროს შესახებ, მიწისა და ციური სხეულების შესახებ, კაცობრიობის ისტორიის შესახებ. რელიგია და კანონმდებლობა მათ ხელში იყო, მათ ჰქონდათ აგრეთვე ოკულტური და წინასწარმეტყველური უნარები. ქრისტიანულ ირლანდიაში დრუიდები განაგრძობდნენ არსებობას, მაგრამ მათ უკვე „ფილიდები“ ერქვათ, რაც ამ დროისათვის უფრო „პოეტის“ მნიშვნელობას იძენს, მაშინ, როდესაც ადრე ეს სიტყვა უფრო „მხილველს“ ნიშნავდა; ამ დროისათვის ისინი უკვე აღარ წარმოადგენდნენ ავტორიტეტს რელიგიის სფეროში, მაგრამ ოკულტური და მაგიური პრაქტიკა ჯერაც მათ ხელში იყო. ისინი ასრულებდნენ წინასწარმეტყველების, ენოლტაციის რიტუალებს და სხვა. ამავე დროს, ისინი იყვნენ საგებისა და სიმღერების შემთხვევნი, რასაც ჰქონდა დიდი სახალხო მნიშვნელობა. სიმღერას ჰქონდა მაგიური ძალა, რითაც მას შეეძლო ზეგავლენის მოხდენა ამა თუ იმ პიროვნების ქცევაზე, ჯანმრთელობაზე და თვით ბედზეც. გავისხენოთ „კუხულაინდის სიკედლიდან“ ბოროტი ჯადეგი, რომელიც ემუქრება კუხულაინდს ბოროტი სიმღერის შეთხზვით. ან ის მომენტი, როდესაც მიჯნურობისაგან შმაგქმნილ კუხულაინდს დრუიდები უმღერიან და არჩენენ სიმშაგისაგან. ასე რომ, პოეზია ძველ ირლანდიაში სიმბრძნის ერთი დარგი იყო, ისევე როგორც, ძველ საქართველოში (გავისხენოთ რუსთაველისეული განსაზღვრა: „შაირობა პირველადვე სიმბრძნისაა ერთი დარგი“). თან, ამავე დროს, „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი“, ე. ი. რელიგიური პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი.

¹ ამ საკითხზე იხ. Gerard Murphy — Saga and Myth in ancient—Grelund. Dublin, 1955.

თუმც ირლანდიაში, ამავე დროს, არსებობდნენ „ბოროტი სიმღერების“ შემთხვევლინიც, როგორც შემოთ აღინიშნა.

როგორც ძველი ხალხების კულტურების და რელიგიური კონცეპციების შესწავლა ცხადყოფს, ოდითგანვე არსებობდა რელიგიის შინაგანი (ეზოტერული) და გარეგანი (ეგზოტერული) მხარე. აქედან გამომდინარე, რელიგიას აქვს შინაგანი და გარეგანი ისტორია. ჩვენს ეპოქაში გაღრმავდა რელიგიისა და შემეცნების ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა, რამაც ცხადყო, რომ რელიგიის ადრინდელი ფორმები წარმოადგენდნენ ხალხის მასებისათვის გამარტივებულ, ხატოვანად, იგაეურად მოცემულ ღრმააზროვან ქვეშარტიკებებს ადამიანისა და სამყაროს ევოლუციის შესახებ. რელიგიები ეძლეოდა კაცობრიობას შემეცნების მაღალ საფეხურზე მდგარი ადამიანების მიერ, რომელთაც გააჩნდათ უაღრესად ღრმა ცოდნა სამყაროს და ადამიანის შესახებ. ამგვარ ცოდნას ნაზიარები ადამიანები ერთიანდებოდნენ ე. წ. მისტერიებში, რომელთა პრაქტიკაც უცნობი იყო ხალხისათვის და შეუვალი. იდუმალი მეცნიერების ანუ ოკულტიზმის (Occultus — დაფარული) ამგვარი კერები არსებობდნენ ძველი მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ქვეყნებში, მათს შორის საქართველოშიც (კოლხური მისტერიები). კოლხეთიდან ოქროს საწმისის წაღება ბერძნების მიერ სიმბოლიურად უნდა გავიგოთ, როგორც მისტერიალური ცოდნის წაღება, რომელიც ადრე დაქარგეს ბერძნებმა და იმ დროისათვის მხოლოდ კოლხეთში იყო შემორჩენილი. „ფარული რელიგია არსებობდა სახალხო რელიგიის გვერდით. მისი დასაწყისი ეკარგება ჩვენს ისტორიულ მხერას ხალხთა წარმოშობის წიაღში. ჩვენ ვბოულობთ ამგვარ ფარულ რელიგიას ყველა სველხალხებთან, სადაც კი მისწვდება ჩვენი ცნობიერება. ჩვენ ვხედავთ, იუბრა მოწიწებით გვესაუბრებიან ამ ხალხთა ბრძენკაცნი მისტერიების შესახებ“¹.

მისტერიებში ოდითგანვე გადმოცემული ცოდნის ათვისების გარდა ხდებოდა ახალი ცოდნის მიღებაც. აქ ეძლეოდა მოწაფეს ინიციაციის, სულიის უზენაესი ნათელდების გზა, რომელიც სხვადასხვაგვარი იყო სხვადასხვა მისტერიულ სკოლებში. მაგრამ ერთი რამ მაინც საერთო იყო ყველა მათგანში: ეს იყო ხანგრძლივი მორალურ-ეთიური შემზადება და წინასწარი გაცემოდების გავლა, რომელნიც მით უფრო შემზარაენი იყენენ, ცნობიერების რაც უფრო მაღალი საფეხური უნდა გახსნოდა მოწაფეს. ამ ფათერაკებს სხვადასხვაგვარი სიმბოლიური სახეებით გვიხატავენ მისტერიებიდან გამოსული მითები. მაგ: ჰერაკლეს ბრძოლა ჰიდრასთან, ცერბერთან, კენტავრებთან, სხვადასხვაგვარ ურჩხულებთან ბრძოლა ინიციაციის მძიებ-

¹ იხ. R. Steiner—Christentum als mystische tatsache. იგივე წიგნი რუსულად: Р. Штейнер—мистерии древности и христианство. Москва, 1911.

ლი გმირებისა, ზემოხსენებულ დაბრკოლებათა დაძლევის ანარეკლია. „ყოფიერების საილუმოებათა შემეცნების გზა ვაიკლის საშინელებათა სა-
შყაროს“, — როგორც გვეუბნება რუდოლფ შტაინერი.

უმალესი ჭეშმარიტების შემეცნება დაკავშირებულია მაღალი ეთიური იდეალის გამარჯვებასთან. ამიტომ ამგვარი გმირები მუდამ ხალხისათვის საყვარელი ადამიანებია, რომელნიც ხშირად მსხვერპლად ეწირებიან ხალხის კეთილდღეობას (მითიოლოგიური გმირების ერთგვარი გამოძახი-
ლია ხალხური ზღაპრების გმირები, რომელნიც დაახლოებით იგივე თეი-
სებებს ატარებენ). ასეთი გმირებია ირლანდიურ საგებში: კუხულანდი, მილდინი, ღირამაღი ო'დუიენის ძე, კორმაკი და სხვანი.

გმირებისათვის ინიციაციის იდეალი განუყოფელია მიყვასთა სამსახუ-
რის მაღალ ეთიურ იდეალთან. კუხულანდი ეუბნება ემერს: „მე განვიცი-
საე ყოველთა უპოვართა და ყოველი ძლიერი მებრძოლის საბრძოლო ბლი-
სკინი ვარ მე. მე ვიცავ შეურაცხყოფილთ და სასჯელს ვადებ ბრალისათ-
ვის ძლიერთა ამა ქვეყნისათა... კატბად პირმშენიერმა გამწერთა მე იმ-
გვარად, რომ მე დაესელოვნი დრუიდულ საქმეებში და განვისწავლე შა-
ლალ სიბრძნეში“. აქაც გვიასვენება დიდი რუსთაველის ნათქვამი: „არა
ვიქმთ, ცოდნა რას ვვარგებს, ფილოსოფოსთა ბრძანებისა, მით ვისწავლე-
ბით, მოვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა“.

ინიციაციის იდეალის განხორციელება ყველაზე მკაფიოდ მოხანს ისეთ
ადგილებში, სადაც გმირები ს ი ც ო კ ს ლ ე შ ი ე ე აღწევენ სულეთს „მა-
რად ცოცხალთა საუფლოს“, „ნეტართა საუფლოს“, რომელიც შორეულ ჯა-
დისნურ კუნძულზე მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ეს მოტივი გამუდმებით
ფიგურირებს ანტიურ მწერლობაში. საკმარისია ვაისისენით ოდისევის და
ენეასის ჩასვლა მკედართა საუფლოში, პადესში, გილგამეშის ვალასელა სა-
ლეითში, და სხვა. თუმც კელტური საგების ზემოხსენებული სულეთი ბერ-
ძნების „ელისეს მინდვრებს“ და „ქესპერიდების ბაღნარს“ უფრო უახლოე-
დება (რომელსაც აღწევს ჰერაკლე), ვიდრე პადესს, რომელიც უფრო
ქტონურ, ქვესკნულურ ძალთა საუფლოა. ყველაზე მკაფიოდ ეს მოტივი
იკვეთება მაილ დუინის, ამ ირლანდიელი ოდისევის მოგზაურობაში. აქვე
დავსძენთ, რომ ინიციაციის სიმბოლური ქვეტექსტი უნდა ვიგულისხმოთ
რუსთაველთან ქაჯეთის აღებაშიც, სადაც ნეტან დარეჯანის სახით სიმ-
ბოლიზებულია საზეო სიბრძნე, ქალწული სიფთა, რომლის გამოხსნაც ხდე-
ბა შავეთის ძალთა ტყვეობიდან. რაც შეეხება პადესს, მისი პარალელია
ირლანდიურ საგებში სკატანის საუფლო, სადაც კუხულანდი საფრთხეთა
დაძლევის გზით სწავლობს საბრძოლო ხელოვნებას. შესაძლოა ითქვას,
რომ არც ერთი ხალხის მისტერიებში არ ასრულებდა საბრძოლო ხელოვნე-
ბა და სიმამაცე ისეთ დიდ როლს, როგორც კელტებთან. იგივე შეიძლება
ითქვას კოლხურ მისტერიებზე, სადაც იაზონს ამდენი ფათურაკის დაძლევა
მოუხდა. „კეფხისტყაოსანიც“ უთუოდ აღრინდელი კოლხური და იბერიუ-
ლი მისტერიების გამოძახილია, სადაც ვაჟკაცობა თამაშობდა ძირითად

როლს ინიციაციის ვზაზე. ტარიელი ეფესის (ქვენა ბუნების) დამარცხებული ვმირია, რომელიც თავისი შეუბოვრობით აშარცხებს დევებსა და ქაჯებს და ახორციელებს ინიციაციის უზენაეს იდეალს.



ირლანდიური საგების მომხიბვლელ სამყაროში ქართული მკითხველი შეჰყავს შოთა ჩანტლაძის მაღალი პროფესიონალიზმითა და მხატვრული ოსტატობით შესრულებულ თარგმანს. ის სტილისმიერი კამერტონი, რომელიც შეაჩრია მთარგმნელმა, ხელს უწყობს ამ უჩვეულო ნაწარმოებთა გაცოცხლებას ქართულ ენაში. რთული ფერწერული და ბგერწერითი ოსტატობა, რომელიც გამოავლინა მთარგმნელმა, ინტონაციათა ეს ნაირგვარობა, ქართული ენის ულევ შესაძლებლობათა დიად აღლუმად წარმოსდგება ჩვენს წინაშე. შოთა ჩანტლაძე თავისუფალი, იმპროვიზაციული მანერით კ ქ მ ნ ი ს ხ ე ლ ა ხ ლ ა ირლანდიურ საგებს, იგი ცხოვრობს ვმირთა ცხოვრებით, მისი უშუალო გაცნდიდან იშვის ირლანდიის პანორამები, ფერწერულ-ჟანრული სურათები, ბატალური სცენები, მისტიური ზმანებები. მას, როგორც ჭეშმარიტად პოეტს, სიტყვის პლასტიური და მუსიკალური მხარე უფრო აინტერესებს, ვიდრე სემანტიური მნიშვნელობა, ამიტომ ალაგ-ალაგ სცვლის კიდევაც ამ მნიშვნელობის ნაჟუანსებს. შოთა ჩანტლაძე არნახული სიცხოვლით გრძნობს რიტმს პროზისას, და ამავე დროს იგი წარმოსდგება ჩვენს წინაშე როგორც ქართული ლექსის ბრწყინვალე ოსტატი. ლექსის ვოკალურობასთან, ალიტერირებული კადანსების კეთილზმოვანებასთან შერწყმულია განგებისი, ბგერწერითი თანზოვნებისმიერი მჭახე აკორდების შემოჭრა, განსაკუთრებით საბრძოლო სცენებში და კატასტროფულ პასაჟებში. ამავე დროს, გვხიბლავს მკაცრი ლაბიდარობა ენისა, რითაც აღდგენილია დედნის ძირითადი განწყობილება. და ბოლოს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ირლანდიელი მთქმელი-ოქროპირი გაცოცხლებულაო ქართულ ნიადაგზე, თითქოს კელტი სალხის გენია თავისი მონათესავე ქართული გენიის ბირით გვაუწყებდსო გარდასულ დროთა ამბებს, რათა აღავზნოს ჩვენს სულში ღრმად მიძინებული წყურვილი ვმირობისა.

ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა





უსნეხის ქეთა განქვევება

ვით განაქვევს უსნეხის ქენი?

ძნელი არ არის თქმა.

ერთხელ ულადებმა თავი მოიყარეს ნადიმზე, ფედელმიდის, დალის ძის, მეფე კონხოზარის მთხრობელის სახლში. სტუმრებს უმასპინძლდებოდა თავად ფედელმიდის ცოლი, რომელიც იმჟამად დღედღეზე ელოდა მშობიარობას. ხელიდან ხელში გადადიოდა ლუდით სავსე ჭინვები და ზორცის ნაფლეთები, და სულ მალე მთვრალი ღრიანცელი ადგა ირგვლივ.

ბოლოს ღრეულებმა ძილი ინებეს. დიასახლისმაც მიაშურა თავის სარეცელს. მაგრამ, ოდეს იგი პალატში შედიოდა, უეცრად გვამში ბავშვმა დაიკივლა, და ეგზომ მძლავრი იყო კივილი იგი, რომ სრულიად შემოგარენს განეფინა. მამაკაცები დაზაფრულნი წამოიჭრნენ ადგილებიდან და გაიჭრნენ კივილისაკენ. მაგრამ სენხამ, აილილის ძემ, შეაჩერა ისინი.

— ფეხი არ მოიცვალათ ადგილიდან, — წარსთქვა მან. — დაე, მოგვეგვარონ ფედელმიდის ცოლი და თავად გვითარგმნოს, თუ რას ნიშნავს კივილი იგი, გვამით გაღწეული.

— მეუღლევ ჩემო, რა ამაზრზენი კივილი იშვა, გასივებული და ამგვრინავე შენი სხეულიდან? მონადიმეთა ყურთასმენა დაზაფრა კივილმა, როს გამოიჭრა გარუმბული გვამიდან გარეთ. ზარით შეზარა გული ფედელმიდის და იღუმალი შიშით დალახვრა.

მუცელქმნული მიეახლა კატბადს!, ბრძენთა უბრძენს, და კრძალვით იზრახა:

— ამ შეკითხვაზე გიპასუხებთ მხოლოდ კატბადი, მეფის ვაზირი, შემკობილი მეფურ ღირსებით, ამადლებული დრუიდული განსწავლულობით. თავად არ ძალმიძს თარგმანი იმის, თუ რას ნიშნავდა კივილი იგი, გვამით გაღწეული. განა დიაცმან უწყის თავად, რა დააქვს მუცლით?

მაშინ ისიბრძნა კატბად:

— ასულო, შენს გვამში იკივლა ასულმა, დალალებიანმა და სახემზიანმა, მტრედისფერია თვალები ასულის და მეწამულია ლაწვები მისი.

კბილები მისი თოვლივით თეთრია და ტარსიკონივით ღვივიან ბაგენი. თვალად დამშვენდება, ტანად დასრულდება, როს უსუარობას გარდავალს ასული.

მისთვის გახელდება მრავალი ხელმწიფე, შურით აღივსება ურასტი დედოფალი,

დაემხოზიან მხედართა სახელები,
ურვა საზარელი მოიცავს ულადს.

უბედურ თანმხლებთან დასტოვებს იგი
მშობლიურ ულადის მწუხარე საზღვრებს.

ამის შემდეგ ბრძენმა კატბადმა დიაცს მუცელზე დაადო ხელი და
ჟრჟოლის მაგვარი რამ შეიგრძნო ხელმა.

— რა თქმა უნდა, — წარსთქვა მან. — საშოში ასულია. დაე,
იყოს სახელი მისი ჟრჟოლის მაგვარი და მომგვრელი ჟრჟოლის: დე-
ირდრე. მრავალი სიავე მოხდება მის გამო.

მალე ასულიც იშვა და ასე ამღერდა კატბადი მაშინ:

— ჰოი, დეირდრეც, ფედელმიდის სათნო ასულო,
შენ დაიწუნებ უზენაეს მეუფეს ქვეყნის,
მრავალ განსაცდელს, მრავალ ურვას მოუვლენ ულადს,
გასაოცარი და უზადო მშვენების გამო.

აქ შენს შემდგომაც იტრიალებს საზარი ცოდვა,
ჰოი, დიაცო, დასადარო მგზნებარე ცეცხლის!
შენს სიცოცხლეშივე განდევნიან სამშობლოს გარეთ
იმ კეთილშობილთ უსნეხის ძეთა.

შენს სიცოცხლეშივე ემანში² მოხდება საქმე,
დამიწდებიან მოშულარი ხელმწიფის ძენი.
შენი მშვენების გახსენება იქნება მანამ,
ულადის მკვიდრნი ამა ქვეყნად ჰგიებენ ვიდრე.

ჰოი, ასულო სასურველო, სწორედ შენს გამო,
განიდევნება ულადიდან ფერაგუსი³ მძლავრი.
მოხდება ბრძოლა: დაეცემა ფიახნა ველად,
ის კონხოზარის შვილიშვილი უნეტარესი.

დიდი ულადის სახელოვან ხელმწიფის მიმართ,
მრისხანების ჟამს შენ ჩაიღენ ამაზრზენ საქმე⁴.

დეირდრევე, მცირე თუმც იქნება სამარე შენი,
ხსენება შენი იქნება დიდხანს.

— სიკვდილი ამ გოგოს! — იღრიალეს ულაღებმა.

— არა! — გასცრა კონხობარმა. — ბავშვი მოიყვანეთ ჩემთან. იგი აღიზრდება, როგორც მე ვბრძანებ, და ოდეს მოიწიფება, გაბდება ცოლი ხელმწიფისა, მეუღლე ჩემი.

ულაღები წინ ველარ აღუდგნენ ხელმწიფის ჯერჩინებას. როგორც მან ბრძანა, ისე აღსრულდა.

ბავშვი იზრდებოდა კონხობარის თვალმდეგობის ქვეშ და ოდეს გაიზარდა, ულაშაზესი ქალი დადგა მთელს ირლანდიაში. ამ დროის განმავლობაში იგი ცხოვრობდა განცალკევებით, სხვა სახლში, რათა არაეის ეხილა მანამდე, ვიდრე კონხობარის სარეცელს არ გაიზიარებდა. მასთან უშვებდნენ მხოლოდ მამობილსა და დედობილს, აგრეთვე ლებორხამს; ამ დიაცს არაფერი ეკრძალებოდა, რამეთუ იგი უგრძნეულესი ჯადეგი გახლდათ მთელს ირლანდიაში.

ერთხელ, ზამთარში, დეირდრეს მამობილი თოვლიან ეზოში უშობელს ატყავებდა, სამხარს ამზადებდა თავისი აღზრდილისათვის. ანაზღად საიდანღაც ყორანი მოფრინდა და დაღვრილი სისხლის ხვრეპას შეუღდა. რა იხილა დეირდრემ ეს, ეზრახა ლებორხამს:

— მამრი, რომელსაც მე შევიყვარებ, იქნება სამფერი: თმა ექნება ყორნისფერი, ლაწვები—სისხლისფერი, ხოლო ტანი თოვლისფერი იქნება მისი.

— ღმერთმა ასე ავიზინოს ყოველიფერი! — წამოიძახა ლებორხამმა. — შორს არაა ასეთი მამრი: ამავე ეზოშია იგი, — იგია ნანისი, ძე უსნეხისა.

— სენი არ გამეყრება მე, სანამ არ ვიხილავ მას, — იზრახა დეირდრემ.

გამოხდა ხანი და მოხდა ასეთი ამბავი: ერთხელ ნანისი მარტოდ-მარტო მიმოდოდა მეფის ციხე-სიმაგრის ემანის ხანდაკზე და მღეროდა საამო სიმღერებს. ტკბილი იყო ხმები უსნეხის ძეთა. ყოველიძროხა, თუნდა სხვა შინაური ხეასტაგო, მათი მოსმენის შემდეგ. ორი მესამედით მეტს იწველიდა, ვიდრე ჩვეულებრივ; ყოველი ადამიანი ნეტარებით ივსებოდა და ძილად განეწყობოდა, როგორც ჯადოსნუ-

რი ჰანგების მოსმენის ჟამს. დიდი იყო მათი საბრძოლო ხელოვნება: ირლანდიის ხუთი სამეფოდან ერთ-ერთი სამეფოს მთელი ხალხიც რომ ამხედრებულყო მათ წინააღმდეგ, საკმარისი იყო, ისინი შეჯგუფულიყვნენ და ერთმანეთს ზურგებით მიბჯენოდნენ — მათი დაძლევა შეუძლებელი გახდებოდა. ასეთი იყო სამი ძმის ხელოვნება მომხდურის დახვედრაში და ურთიერთ გატანაში ბრძოლის ჟამს. ნადირობის დროს კი ისინი მიუწევარნი იყვნენ, ვითარცა მწვევარნი, და ნადირს მიწეულნი სრავდნენ ნადირს.

ჰოდა, სანამ ნაისი მარტოდმარტო მიმოდოდა და მღეროდა, დეირდრე ანაზღეულად გამოსხლტა თავისი სენაკიდან, ეზოში განავარდა და თამამად ჩაუარა გვერდით ნაისის. ნაისიმ თავდაპირველად ვერ იცნო იგი.

— ლამაზი დიაკეული მიმოდის ჩვენს ახლორე, — იზრახა ნაისიმ.

— დიაკეულნი შთებიან დიაკეულებად. ვიდრე მოზვერნი შორით ზვერავენ მათ, — ეზრახა დეირდრე.

მაშინ კი მიხვდა ნაისი, თუ ვინ იყო ასული იგი.

— შენს გვერდით ხომ დგას სახელოვანი ხარი, მთელი სამეფოს მბრძანებელი, — იზრახა ნაისიმ.

— მე თავად მნებავს მოვახდინო არჩევანი ორთა შორის, — უპასუხა დეირდრემ, — და უფრორე მესათნოები შენ, აზავერო.

— ეს არ მოხდება! — წამოიძახა ნაისიმ, გაახსენდა რა კატბადის წინასწარმეტყველება.

— მაშასადამე, შენ უარმყოფ მე? — ჰკითხა ასულმა.

— ოღონდაც! — მიუგო ნაისიმ.

მაშინ დეირდრე მიეპრა მას და ყურებში ჩაავლო ხელები, თან ეუბნებოდა:

— სირცხვილი შენ, თან თუ არ წამიყვან.

— ჰოი, დიაცო, განმეშორე! — წამოიძახა ნაისიმ.

— აღსრულდება სურვილი ჩემი, — უპასუხა ასულმა.

მაშინ იძახა ნაისიმ თავისი წკრიალა ხმით და რა ესმათ ულადო ძახილი მისი, ყველანი ფეხზე წამოიჭრნენ და მზად იყვნენ, ურთიერთს დარეოდნენ. ნაისის ძახილზე მისი ორი ძმაც მოვარდა.

— სთქვი, რა შეგემთხვა? — ჰკითხეს ძმებმა. — ულაღებმა ლამის ერთმანეთი ამოჟლიტონ შენი გულისთვის.

ნაისიმ უამბო მათ, რაც შეემთხვა.

— დიდი უბედურება შეიძლება მოჰყვეს ამას, — თქვეს ძმებმა, — მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, სირცხვილი და წყენა არ შეგემთხვევა შენ, ვიდრე ჩვენ ვცოცხლობთ. უმჯობესია წავიდეთ სხვათემში ასულთან ერთად. ირლანდიაში არ მოიძვეება ისეთი მთავარი, რომელიც სიხარულით არ შეგვიჩინებს.

მათ გამორჩევით ითათბირეს და დაადგინეს, იმავე ღამეს დადგომოდნენ გზას. ასერგასი მხედარი ახლდა მათ, ასერგასი შიმუნვარი, ასერგასი ძაღლი და ასერგასი მსახური. დეირდრეც მათ გაჰყვა.

დიდხანს იხეტიალეს ლტოლვილებმა ირლანდიის მხარეში. ერთი მთავრის ბადრაგს ცვლიდა მეორე მთავრის ბადრაგი, რამეთუ კონხობარი ნიადაგ ცდილობდა მათ დალუპვას ცბიერებითა და მუხანათობით. მთელს ირლანდიას შემოუარეს მათ, ესრუადიდან მოკიდებული, თემან და აღმოსავლეთ თემთა გავლით, ვიდრე ბენდ-ენგარამდე, რომელიც ბორრაის აღმოსავლით მდებარებს.

ბოლოს ულაღებმა აიძულეს ლტოლვილნი, შოტლანდიაში გადასულიყვნენ და უკაცრიელ ადგილას დასახლებულიყვნენ. როცა ლტოლვილებმა მთებში ნადირი სრულიად გამოლიეს, იძულებული შეიქნენ, მოერბიათ თავად შოტლანდიელები და გამოერეკათ მათი ხვასტაგი. ერთხელ შოტლანდიელები შეგროვდნენ, ითათბირეს და გადაწყვიტეს ლტოლვილთა გაწყვეტა. მაშინ ლტოლვილები ეახლნენ შოტლანდიის მეფეს და სამსახური შესთავაზეს. მეფემ შეიწყნარა ისინი და თავის სპად განაწესა. საუფლისწულო მამულში მათ აიშენეს სახლები შოტლანდიელთაგან მოშორებით, რათა დეირდრე არავის ეხილა და არ დალუპულიყვნენ მისი მიზეზით.

ერთხელ, გამთენიისას, სახლთუხუცესმა ნაისის სახლის წინ ჩაიარა და იხილა სიყვარულით გადაჭდობილი მძინარე ქალ-ვაჟი. იგი მაშინვე გაეშურა მეფესთან და გააღვიძა იგი.

— დიდებულო მეფეო, — ჰკადრა მან მეფეს, — დღემდე ჩვენ ვერ შეგიჩინეთ ღირსეული თანამეცხედრე. მაგრამ ნაისისთან, უსნების ძესთან, თურმე ცხოვრობს ასული ერთი, რომელიც ეკადრე-

ბა დასავლეთ მსოფლიოს განმგებელს. ბრძანეთ, ახლავე მოკლან ნაი—
სი და მისმა ცოლმა თქვენი სარეცელი გაიზიაროს.

— არა, — ბრძანა მეფემ, — აგრე არ ივარგებს. უმჯობესია, შენ
საიდუმლოდ იარო მასთან და დაიყოლიო იგი ჩემს სიყვარულზე.

სახლთუხუცესი ასეც მოიქცა. მაგრამ ყველაფერს, რასაც იგო
დღეირდრეს დღისით ეუბნებოდა, დღეირდრე ღამით უყვებოდა ქმარს,
და ვინაიდან დღეირდრე მეფის სურვილს არ დამორჩილდა, განრისხე—
ბული მეფე უსნეხის ძეთ ძნელ საქმეებზე და მძიმე ბრძოლებში აგ—
ზავნიდა. მაგრამ ძმები ყველგან გამარჯვებულნი გამოდიოდნენ და
შინ მშვიდობით ბრუნდებოდნენ. ამრიგად, მეფემ ამ გზითაც ვერა—
ფერი გააწყო.

მაშინ მოუწოდა მან შოტლანდიელთ და უბრძანა, თავს დასხმო—
დნენ უსნეხის ძეთ და მოესრათ ისინი. მეფემ ეს განიზრახა მას შემ—
დეგ, რაც დღეირდრე თვალთმაქცურად დასთანხმდა ამაზე. დღეირდრემ
კი მაშინვე გააფრთხილა ნაისი:

— ჩქარა გაუდევით გზას. თუ ამ ღამითვე არ დააგდებთ სამეფოს.
საზღვრებს, ხვალ უკვე ცოცხლები აღარ იქნებით.

ლტოლვილებმა იმავე ღამეს დააგდეს სამეფოს საზღვრები და
ზღვაში ამოზიდულ ერთ კუნძულს შეაფარეს თავთ. ამ ამბავმა ულა—
დამდე მიაღწია.

— ო, კონხობარ, — ჰკადრეს ულადებმა, — სამწუხარო იქნება,
თუ უსნეხის ძენი ერთი რეგვენი დიაცის მიზეზით მტრის ქვეყანაში
დაიღუპებიან. მოიღე მოწყალეობა მათზე: უმჯობესია შემოიქცნენ
ისინი თავიანთ მიწაზე, ვიდრე მოისრან მტრის ხელით.

— შეწყნარება მიბრძანებია! დაე, შემოიქცნენ!—წარსთქვა კონ—
ხობარმა. — წარგზავნეთ მძევალნი მათ შესახვედრად.

მეფის ჭერჩინება ამცნეს უსნეხის ძეთ.

— ღილად გვიხარის, — სთქვეს მათ, — უკუ შემოვიქცევით სია—
მოვნებით, მხოლოდ მძევლებად გვიბოძონ ფურგუსი, ღუბტახი და
კორმაკი—ძე კონხობარისა.

მძევლები გაემართნენ უსნეხის ძეთა შესახვედრად და ოდეს ნა—
პირზე გადავიდნენ, ხელი ჩაჰკიდეს უსნეხის ძეთ.

ამ თემის მკვიდრთ კონხობარის შეგულნიანებით ფერგუსი ნადიმზე,
მიიწვიეს. ფერგუსი ეწვია მათ ღუბტახისა და კორმაკის თანხლებით.

ზოლო უსნეხის ძეთ უარი თქვეს მიპატოებაზე. ირლანდიაში არ მივიღებთო არავითარ ჭამადს, ვიდრე კონხობარის სუფრაზე არ გავტეხთო პურს. სწორედ ამიტომ მათ თავიანთი მძევლები ნადიმზე დატოვეს და თავად კი ემან-მახასაკენ გაეშურნენ. ციხე-სიმაგრის მდებლობამდე მათ მიაცილებდა ფიახა, ფერგუსის ძე.

როგორც სწორედ იმუამად ემან-მახაში მოვიდა ეოჯანი, ძე დურტახტისა, მეფე ფერმანაგისა; ზავის ჩამოგდება ეწადა კონხობართან, რომელსაც დიდი ხანია ებრძოდა. სწორედ მას დააველა კონხობარმა, წაეყვანა რამდენიმე თავისი მხედარი და მოესრა უსნეხის ძენი, ვიდრე ისინი კონხობარამდე მოაღწევდნენ.

უსნეხის ძენი მდებლობზე იღგნენ, ხოლო მახლობლად დიაცნი ისჯდნენ ხანდაკზე, რომელიც გარს შემორტყმოდა ციხე-სიმაგრის ეზოს. ეოჯანი მხედრებითურთ გამოვიდა მდებლობზე და სალამივით სტყორცნა შუბი ნაისის. ნაისის გვერდით მდგარმა ფერგუსის ძემ მოასწრო და ხელები შემოხვია ნაისის და შემოეჭრო მას. ამრიგად, ნაისი შუბმა განგმირა ფერგუსის ძის სხეულში გავლით. შემდეგ განგმირეს ყველა ლტოლვილი, მაგრამ თვითოეული დასცა ან ჰოროლმა, ან პირმა მახვილისამ. დეირდრე კი ხელებშეკრული მიჰკვარეს კონხობარს.

მოკლულთა თავლებებმა—ფერგუსმა, დურტახმა და კორმაკმა,— შეიტყვეს თუ არა მომხდარი ამბავი, სასწრაფოდ დაუტყვეს ნადიმი და ემანისაკენ ისწრაფეს. მათ იქ ჩაიდინეს სახელოვანი საქმეები. დურტახმა შუბით განგმირა მანე, ძე კონხობარისა და ფიახა-კონხობარის ასულის—ფედელმის ძე. ხოლო ფერგუსმა განგმირა ტრაიგტრენი, ძე ტრაიგლეტანისა, და ძმაც მისი. უსაზღვრო რისხვამ მოიცივა კონხობარი და იმავე დღეს მოხდა ბრძოლა, რომელშიც დაეცა სამასი ულადი მოსისხართა ხელით. შემდეგ დურტახმა მოსრა ულადის ასულნი, ხოლო ფერგუსმა ემან-მახა გადაწვა იალონზე.

ამის შემდეგ ფერგუსმა და დურტახმა კონახტში მიაშურეს აილილსა და მედბს⁴, რამეთუ უწყოდნენ, რომ ისინი მათ სიხარულით შეიწყნარებდნენ. სამი ათასი მხედარი გაიყოლეს თან თავლებებმა. მათ გულში ჩაიდეს დიდი მტრობა ულადთა მიმართ და თექვსმეტი წლის მანძილზე ვერ განერა ულადი მიწყვი ვაისა და ვიშისაგან. მოსისხარნი მარად-ღამე აღავსებდნენ ულადს ვაითა და ვიშით.

დეირდრემ მთელი წელიწადი იცხოვრა კონხოხართან და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შეუხრხევია ღიმილს ბაგენი მისნი. ერთხელაც არ უჭამია და უძინია მაძღრისად, ერთხელაც არ აუღია თავი მუხლთაგან. როდესაც მასთან მძნობელნი მოჰყავდათ, იგი ამბობდა:

— თქვენ დიდებულად გეჩვენებათ სამეფო სპანი, ემაინში რომ შემოიქცნენ ძნელ ლაშქრობიდან, მაგრამ უფრორე ამაყი და მტკიცე ნაბიჯით საკუთარ სახლში ბრუნდებოდნენ უსნეხის ძენი. ▶

ჩემთვის ნაისის თან მოჰქონდა ველური თაფლი, მე ცეცხლისპირას თავად ებანდი დიდებულ ვაჟკაცს, არდანს მოჰქონდა ჩვენთვის ტახი ანდა ირემი, ამაყი ზურგით მოიღებდა ქარქვეტებს ანდლე.

ზეცის მანანად გეჩვენებათ თქვენ თაფლი იგი, ნესის ძის⁵ სახლში შეექცევით რომელსაც ახლა, მაგრამ, ო, ხშირად — ჟამი იგი წარვიდა, განქრა! — უფრო გემრიელს მივირთმევედი თაფლუქს და ხორაგს..

ოდეს ნაისი ცეცხლს ანთებდა უსიერ ტყეში, მე ვწვავდი ნადირს, ვამზადებდი გემრიელ სადილს, თაფლზე უტკბესი იყო ჩემთვის ჰამადი იგი, ნადირობით რომ მოიპოვა უსნეხის ძემან.

თქვენ უტკბილესად გეჩვენებათ ჰანგები იგი, აქ ყვიროსტივირნი და ტაბლაკნი რომ გამოსცემენ).
i მაგრამ უფრორე ტკბილი იყო ის სიმღერები, მოცალეების ჟამს რომ მღეროდნენ უსნეხის ძენი..

ნაინის ხმაში გაისმოდა ტალღების ტლაში, და ამ სიმღერის ყურისგდება გეწადა მიწყივ, ამო რამ იყო, ხმა არდანის — უტკბესი ზილი, ხმას აყოლებდა მას ავაჯით ძვირფასი ანდლე.

ახლა სამარემ ჩაიხუტა ნაისი ჩემი.
ჟილბლო ჰპოვა ცხოვრებაში მან თავმდებები!
ვაი მე! ნუთუ თავად ვიყავ სამსალა იგი,
ჩემი ნაისი სიცოცხლეს რომ გამოასალმა?

ერთობ მიყვარდა მე ბერტანი, კლდოვანი მხარე,
მიყვარდა ძლიერ მისი ერი, თუმც ამბოჯარი.
ვაი მე, ვაი! ვერასოდეს წამოვდგე აწი,
რათა კარებთან შევეგებო უსნეხის ძესა.

მიყვარდა მისი სული მტკიცე და პირდაპირი,
ვეტროდი ჰაბუკს, სიმდაბლით და მშვენებით შემკულს.
უსიერ ტყეში ხეტიალის და ტანჯვის შემდეგ
გამთენიისას ტკბილი იყო ყოფნა მის გვერდით.

მიყვარდა ძლიერ მტრედისფერი თვალები მისი,
ასულებისტვის სასურველი, მტრებისთვის მკაცრი.
ოდეს სიმღერით ბრუნდებოდა ნაისი ტყიდან,
სიმღერა ტევრებს გაღწეული მავსებდა ლხენით.

შემდეგ კი თეთრად გავათენე მრავალი ღამე,
აღარც ფრჩხილები შემიღებავს მეწამულ ფერით,
სიხარული და ნეტარება წამერთვა სრულად,
რამეთუ ახლოს ველარა ვჭვრეტ უსნეხის ძეთა.

აწ აღარ იწვევს არავითარ სიხარულს ჩემში
დიდ ემაინში გამართული ლხინი და მღერა,
აღარც ავეჯი აღარ მხიბლავს მშვენიერ სახლის,
უღრტვინველობამ, განსვენებამ დამტოვა უკვე.

ხოლო ოდეს კონხოზარი დეირდრეს დამშვიდებას ცდილობდა,
დეირდრე ასე მიუგებდა მას:

— ჰოი, კონხოზარ, მიბასუხე, რას ითხოვ ჩემგან?
რატომ აღმავსე უბედური დარდით და სევდით?

კარგად უწყოდე, ვიდრე სული მიდგია ბედშავს,
მე სიყვარული არ მექნება აროდეს შენი.

ყველაზე მეტად სანუკვარი რაც იყო ჩემთვის,
რაც ამა ქვეყნად განუზომელ სიხარულს მგვრიდა,
შენ წარიტაცე, — საზარელი საქმეა სწორედ!
ველარასოდეს ვერ ვიხილო მშვენება მისი.

აეაჰმე, აჰა, სილამაზემ დალია სული,
რომელსაც სახე ასხივებდა უსნეხის ძისა!
გმირის თეთრ ცხედარს დასწოლია შავლეგა ლოდი,
და ლოდი იგი ადგილიდან ვერავენ დასძრას!

წითელნი იყვნენ ბაგენი და მეწამულ—ლაწენი,
ხოჭობივით შავნი იყვნენ წარბები მისი,
მარგალიტივით აშუქებდნენ კბილები მწყობრი,
ქათქათა თოვლის ფერი იყო კბილები მისი.

მე კარგად მახსოვს საოცარი სამოსი მისი,
შოტლანდიის სხვა მებრძოლთაგან რომ განარჩევდა!
მახსოვს, კურტაკზე, ძოწეულში ამოვლებულზე,
შემოვლებული ოქრომკედით ნაქსოვი ქობა.

ტანზე ემოსა ხატაური ძვირფასი კვართი,
კვართზე კი ესხა ასი თვალი პატიოსანი,
ძვირფასი კვართი თურმე ერგას უნციად დაჟდა,
და ერგასივე ნახურვები იყო ბრინჯაო.

მე მახსოვს ხმალი, ოქროს ვადით დამშვენებული,
მახსოვს მე ორი მრისხანე და მგმირავი შუბი,
ფარის ქიმები—ანთებული ყვითელი ოქრო,
ხოლო ფარზე კი—ჯმუხი კოპი, ერთიან ვერცხლის.

ფერგუს ლამაზმა გვილალატა, გაგვყიდა ურცხვად,
როს დაგვითანხმა სამშობლოში დაბრუნებაზე.

ერთ ჰიქა ლუღზე გადაცვალა სინდისი თვისი,
სირცხვილი დიდი გარღეფარა მის დიდთა საქმეთ.

იმ მოშულარი კონხობარის მრისხანე მებრძოლთ
რომ მოუყარო თავი ერთად უკაცურ ველად,
მე მათ გავცვლიდი ერთიანად, გამოუკლებლივ,
მწყაზარ სახეზე სახელოვან უსნეხის ძისა.

ანუ განმიახლე ჰრილობები მოკლული გულის,
სასომიხილი მარტო ვდგავარ სამარის კართან.
ზღვათა ტალღებზე უმძლავრეა დარდები ჩემი,
ჰოი, კონხობარ, უწყოდე ესე!

— ვინ გეზიზღება ყველაზე მეტად, ვისაც აქ ხედავ? — ჰკითხა
მას კონხობარმა.

— ჯერ შენ და შემდეგ ეოგანი, ძე ღურტახტისა.


— თუ ასეა, მაშინ ერთ წელიწადს დაჰყოფ ეოგანის სახლში, —
გასცრა კონხობარმა.

და მან დეირდრე ერთი წლით ათხიავა ეოგანს.

მეორე დღეს ეოგანი დღესასწაულზე მოვიდა ემან-მანაში. ეტ-
ლში ეოგანის უკან დეირდრეც იჯდა, მაგრამ მან აღთქმა დასდო, რომ
არასოდეს ეყოლებოდა ორი ქმარი ერთდროულად.

— ყოჩაღ, დეირდრეც! — გასძახა კონხობარმა, ოდეს შენიშნა
იგი, — შენ თვალებს აცეცებ ჩემსა და ეოგანს შორის, როგორც ში-
შაგი ორ ვერძს შორისა.

სწორედ ამ დროს ეტლი მოდიოდა დიდი კლდის გასწვრივ და
დეირდრე გადაეშვა ეტლიდან, კლდეს თავით შეასკდა და იქვე განუ-
ტევა სული.



ულადთა სანი

მთებში, უკაცრიელ ადგილას, ცხოვრობდა ერთი მდიდარი ულადი. კრუნხუს, აგნომანის ძეს უხმობდნენ ამ ულადს და ძე მრავალი ესვა მას. რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა სიმდიდრე მისი, მაგრამ ცოლი, მისი შვილების დედა, გარდაიცვალა და იგი დიდხანს ცხოვრობდა უცოლოდ.

ერთხელ, როდესაც კრუნხუ თავის სარეცელზე იწვა, მან შენიშნა, რომ სახლში შემოვიდა ულამაზესი ქალწული. საოცრად მომხიბლავი იყო მისი სახე, სამოსელი და მიხრა-მოხრა. მახა! გახლდათ სახელი ქალწულის, როგორც იუწყება მცოდნე ხალხი. ქალწული კერიას მიუჯდა და ცეცხლი გააჩაღა. მიმწუხრის მოწევენამდე დარჩა სახლში მახა და ერთი სიტყვითაც კი არავეს ეზრახა. მან აიღო ვარცლი და ცხრილი და ოჯახის საქმეებს შეუდგა. ოდეს მიმწუხრმა მოაწია, მახამ დაუკითხავად აიღო ღურაკი და ძროხები გამოწველა. შემდეგ შემობრუნდა სახლში, შეტრიალდა მარჯვნივ და შევიდა სამზარეულოში. სამზარეულოში საქმეები მოაგვარა და ჩამოჯდა სკამზე; კრუნხუს ახლოს.

როდესაც ოჯახში ყველამ დაიძინა, მახამ მიაძინა ცეცხლი, შემოტრიალდა მარჯვნივ, მივიდა კრუნხუსთან, შეძვრა მისი ტოლომის ქვეშ და მოეხვია კრუნხუს. მაშინ მიუდგა მას კრუნხუ და მახამ მუცლად ილო კრუნხუსგან. ახლა ერთიორად გაიზარდა კრუნხუს სიმდიდრე, ხოლო მახას ახარებდა, რომ მისი ქმარი ჯანმრთელი იყო და კეთილად მოსილი.

იმხანად ულადებს წესად ჰქონდათ მხედრობის ხშირი დაჯარება და დღესასწაულები. ერთხელ ასეთ დღესასწაულზე შეიყარნენ მთელი ულადები, მამრნი თუ მდედრნი, ვისაც კი ძალეღვა.

— მეც წავალ დღესასწაულზე, — ეზრახა კრუნხუ მახას.

— ნუ წახვალ, — უპასუხა მახამ, — მეშინის, ცთუნებას არ აჰყვე და ჩვენი ამბავი არ მოუთხრო ვისმეს. უწყოდე, ჩვენს ერთად ყოფნას ბოლო მოვლება, თუ ვინმემ შეიტყო ჩვენი ამბავი.

— კრინტსაც არ დავძრავ, — აღუთქვა კრუნხუმ.

მთელმა ულადმა მოიყარა თავი დღესასწაულზე. კრუნხუც მოვიდა სხვებთან ერთად. დღესასწაული ბრწყინავდა ხალხით, ცხენებითა და სამოსელით. იყო ასპარეზობა ეტლების სრბოლაში, ჰოროლთა ტყორცნაში და სიმძიმეების აზიდვაში. დღესასწაულის დასასრულ თავად მეფის ეტლი ჩაება ასპარეზობაში და მეფის ცხენებმა აჯობეს ყველა ცხენს. მაშინ შეიყარნენ მძნობელნი ულადისა, რათა ხოტბა შეესხათ მეფე-დედოფლისათვის, მისი ფილიდებისა და დრუიდების, მსახურებისა და მხედრებისათვის, აგრეთვე მთელი თავყრილობისათვის.

— არაოდეს გვინახავს, მეფის თეთრონების დასადარი თეთრონები, — ამბობდნენ ისინი, — ჭეშმარიტად, მთელს ირლანდიაში არ მოიძებნება უფრო მუხლადი ბედაურები.

— ჩემი ცოლი უფრო მუხლადია, ვიდრე მეფის თეთრონები, — იზრახა კრუნხუმ.

— შეიპყართ ეს კაცი, — იჰქვა მეფემ, — და არ განუტევოთ, ვიდრე მისი ცოლი ასპარეზობაზე არ გამოცხადდება!

კრუნხუ მყისვე შეიპყრეს, მის ცოლთან კი წარგზავნეს მოციქულები. მახა მიესალმა მოსულებს და გამოჰკითხა მიზეზი მოსვლის.

— ჩვენ წარმოგვგზავნეს შენს წასაყვანად, — უპასუხეს მათ, — რაითამცა შენ დაიხსნა პატრონი შენი, რომლის შეპყრობაც მეფემ

ზრძანა. რამეთუ მან იზრახა, რომ შენ უფრო მუხლადი ხარ, ვიდრე შეფის თეთრონები.

— ავი საქმეა! — იზრახა მახამ. — მას არ უნდა გაემხილა ეს. მაგრამ მე მაქვს სამართლიანი მიზეზი: ფეხმძიმედ ვარ და ახლოა ჟამი მშობიარობისა.

— არავითარი მიზეზი! — წამოიძახეს მოციქულებმა. — იგი უნდა მოკედეს, თუ შენ არ მოხვალ.

— რა გაეწყობა, უნდა დაგთანხმდეთ, — თქვა მახამ.

და მახა მოციქულებთან ერთად წავიდა დღესასწაულზე. ყველამ შოიყარა თავი მახას სანახავად.

— ლირწობაა, აგრე რომ მიქვრეტენ, — იზრახა მახამ, — რაისთვის მომიყვანეთ აქ?

— მეფის თეთრონებს რომ გაეჯიბრო, — იყო პასუხი.

— მე მაქვს უარის საბაბი, — იზრახა მახამ, — ახლოვდება ტკივილები მშობიარობის.

— აღმართეთ ხმალი! — იქეჩა მეფემ.

— მშობიარობამდე მაინც მადროვეთ, — თქვა მახამ.

— არავითარი დრო, — წარსთქვა მეფემ.

— სირცხვილი თქვენ, ჭეშმარიტად სირცხვილი თქვენ, ეგ საქმე მოგაყივნებთ დიდი მოყივნებით! მიუშვით ცხენები, — იზრახა მახამ.

და მიუშვეს მეფის თეთრონები და მახა თეთრონებზე უწინ მიიჭრა ჰელოსთან. ამ დროს მახას აღმოხდა კივილი და შუა უტევეანზე შვა ტყუბი: ასული ფიალ და ძე ფიარ.

ოდეს თავმოყრილთა მამრთა გაიგონეს კივილი დედაკაცისა, მყის იგრძნეს, რომ მათში არ ჰკიეს მეტი ძალი, ვიდრე მშობიარე დიაცში.

— ეს სამარცხვინო დალი სამარადეამოდ დაგრჩებათ თქვენ, — იზრახა მახამ, — ვინაითგან დაამდაბლეთ პატივი ჩემი. ამიერიდან უწყოდეთ ყველამ: ყოველთვის, ოდეს თქვენს ხალხს ეწვევა გასაჭირი, მშობიარობის ტკივილის მაგვარი სენი შეიპყრობს ყოველ თქვენგანს და რამდენ ხანსაც დიაცი იტანჯება მშობიარობით, იმდენ ხანს

გასტანს ტანჯვა თქვენი: ხუთი დღე და ოთხი ღამე გასტანს ტანჯვა თქვენი, ანდა ხუთი ღამე და ოთხი დღე. და ასე იქნება ცხრა თაობის განმავლობაში.

და ეს გამართლდა. ამგვარი უბედურება გრძელდებოდა ულადთა შორის კრუნხუს დროიდან, ვიდრე ფერგუს დომნალის ძის მეფობამდე.



აქა აშგავი მაკ-დატოს ტახისა

ლაგენებს ჰყავდათ დიდი და სახელოვანი მეფე, სახელად მესრო-
იდა, მაკ-დატოდ სახელდებული. მას ჰყავდა ძალი, რომელსაც
უხმობდნენ აილბეს და რომელიც იცავდა ლაგენს. მთელს ირლანდი-
აში ისმოდა ქება მისი.

ერთხელ მაკ-დატოს ეახლნენ აილილისა და მედბის მოციქულე-
ბი, რათა გამოეთხოვათ მისთვის ეს ძალი. და სწორედ იმავე დღეს
და ზუსტად იმავე ჟამს, მოვიდნენ კონხობარის მოციქულნი იგივე
თხოვნით. კარისკაცები მიესალმნენ ორივე მეფის მოციქულებს და
შეუძღვნენ მაკ-დატოს ციხე-დარბაზში.

იმჟამად მხოლოდ ექვსი ციხე-დარბაზი იყო მთელს ირლანდი-
აში. შვიდი ალაყათის კარი ჰქონდა მაკ-დატოს ციხე-დარბაზს. შვიდი
გზა მიემართებოდა შვიდივე კარისაკენ. შვიდი კერია იყო გაჩაღე-
ბული ციხე-დარბაზის ეზოში. შვიდი ქვაბი იდგა შვიდ კერიაზე.
ქვაბებში იხარშებოდა ხარი და ღორის შაშხი. ყოველი, ვინაც კი
ერთ-ერთი გზით შევიდოდა ციხე-დარბაზის ეზოში, ქვაბში ჩაჰყოფ-
და ორკაპს. თუ იგი ორკაპს ერთი დარტყმით ახვედრებდა ხორცის

ნაჭერს, მიირთმევდა კიდევ მას; ხოლო თუ ვერ ახვედრებდა, მშრალზე რჩებოდა.

ამრიგად, მოციქულები მიიყვანეს მაკ-დატოს სარეცელთან, რათა მათ ნადიმის დაწყებამდე მოეხსენებინათ მეფისათვის, თუ რად მოვიდნენ. მათ ჰკადრეს მეფეს თავიანთი სათქმელი.

— ჩვენ გეახელით, რათა გამოგთხოვოთ ძალლი აილილისა და მედბისათვის, — თქვენს კონახტიდან მოსულთ. — სამაგიეროდ შენ დაუყოვნებლივ მიიღებ სამოც მეწველ ძროხას და ორცხენიან ეტლს, ორივე ცხენი კონახტის საუკეთესო ბედაურები იქნებიან. ერთი წლის შემდეგ კი კვლავ მიიღებ ზუსტად ამდენივეს.

— და ჩვენც გეახელით, — თქვეს ულადიდან მოსულმა მოციქულებმა, — რათა იგივე გამოვითხოვოთ კონხობარისათვის. მისი მეგობრობა ნაკლებს როდი ნიშნავს შენთვის, და იგიც მზად არის მოგცეს იმდენივე ხვასტაგი ამჟამად და ერთი წლის შემდეგ კვლავ იმდენივე, თანაც ზედ დაუმატოს თავისი კეთილი მეგობრობა შენდამი.

დიდი მღუმარება დაეუფლა მაკ-დატოს და ასე მღუმარედ დაჰყო მან მთელი დღე. არ მიიკარა არც ჰამადი და არც სასმელი. მოუსვენრად წრიალებდა სარეცელზე. ბოლოს ეზრახა ცოლი მაკ-დატოს:

— რაა არს ესოდენი ხანიერი მარხვა? ჰამდა წინ გიძევს და არ კი ჰამ. რა შეგემთხვა?

მაკ-დატო ღუმდა. მაშინ კვლავ იზრახა ცოლმა:

— დიდებულ მაკ-დატოს საკუთარ სარეცელზე დაუფლებია ბოროტი უძილობა.

ჩანს, რჩევა სჭირდება საყვარელ მეუღლეს, მაგრამ უმძრახია იგი.

ზურგი შემაქცია და კედლისკენ მიიქცა, სწორუპოვარი და უბადლო მორკინალი.

ფიქრი დაეუფლა გონიერ მეუღლეს: რად დაეუფლაო მეუღლეს უძილობა.

მ ა კ - დ ა ტ ო

ისიბრძნა ბრძენმა კრიმტან ნია-ნაირმა:
აროდეს გაანდოო საიდუმლო დიაცს.

ცუდად ინახავსო დიაცი საიდუმლოს.
არ ენდობისო მონას თვალი პატიოსანი.

ცოლო

თუ ცოლს გაუმხილე საქმე შენეული,
ავი რა მოხდება ნეტავი ამით?
თავად თუ ვერ ძალგამს კეთილი განსჯა,
იქნება ცოლმა გირჩიოს რაიმე.

მაკ-დატო

დღეს მესროიდა მაკ-დატოსთან მოვიდნენ ელჩნი,
ძალდი რჩეული მოითხოვეს რჩეულთა ელჩთა.
ვუწყვი: მის გამო დაემხობა ურასტი მამრი,
შუღლის მიზეზი რომ იყო მიწყვი.

თუ მე კონხობარს არ ვუძღვენი წყეული ძალდი,
მძლე კონხობარი დაგვატყდება უცილოდ თავზე;
არც ჩემს უთვალავ საქონელს და სამეფოს ჩემსას
ალარ დაინდობს დიდებული მხედრობა მისი.

და თუ აილილს გავუბედე უარი, მაშინ
თავს დაატყდება ჩემს სამეფოს ლომი აილილ.
ყველას მოგვწვდება მძლავრი კეტი, ძე მატახისა,
და ჩვენს სამყოფელს გარდააქცევს ფერფლად და ნაცრად.

ცოლო

მე შენ გონივრულს მოგაწვდი რჩევას,
გამოგადგება უთუოდ იგი.
ძალდი დაუთმე ორივე მხარეს,
დაე, მათ ბრძოლით გადაწყვიტონ ერთურთში დავა.

კეთილი რჩევა მივიღე შენგან,
 მან დამხსნა ზრუნვას.
 თავად არ ვუწყვი, ვინ მიბოძა წყეული ძალლი,
 არა მსურს ვუწყოდე, მას ვინ წაიყვანს.

მაკ-დატო სარეცელიდან წამოდგა და გამხნვედა.

— ახლა კი მოვილხინოთ სტუმრებთან ერთად, — იზრახა მან.

სამი დღე და სამი ღამე მოილხენდნენ ელჩნი მის სახლში.

ბოლოს მაკ-დატომ იხმო კონახტიდან მოსული ელჩნი.

— დიდ საგონებელში ვიყავ ჩავარდნილი, — სთქვა მან. — მაგრამ შე უკვე გადავწყვიტე. ძალღს ვაძლევ აილილსა და მეღბს. დაე, თავად მოვიდნენ ისინი მის წასაყვანად. მათ გავუმასპინძლდები რჩეული კერძებითა და უწყავი სასმელით, და ისინი მიიღებენ ძალღს. კეთილი იყოს მათი მობრძანება!

კმაყოფილი დარჩნენ კონახტელი ელჩები. მაშინ მაკ-დატო წავიდა ულადიდან მოსულ მოციქულებთან და ეზრახა მათ:

— დიდი ხნის მერყეობის შემდეგ გადავწყვიტე, ძალღი მივცე კონხობარს. დაე, იამაყოს მან ამით! დაე, გამოჩინებულნი ულადის დიდებულთა შორის მოვიდნენ ძალღის წასაყვანად. ძღვენი და კეთილი მასპინძლობა არ მოაკლდებათ მათ.

კმაყოფილი დარჩნენ ულადელი ელჩებიც.

ერთი და იგივე დღე დაუნიშნა მაკ-დატომ ულადებსაც და კონახტებსაც. ერთსა და იმავე დროს გამოცხადდნენ ირლანდიის ორი სამეფოს მხედარნი მაკ-დატოს ციხე-დარბაზის ალაყაფის კარებთან. იგ თავად გამოეგება და მიესალმა მათ.

— მართალია, მე ჭეროვნად ვერ მოვემზადე თქვენს დასახვედრად, — სთქვა მან, — მაგრამ მაინც კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! შემობრძანდით ციხე-დარბაზის ეზოში.

ყველანი შევიდნენ ციხე-დარბაზში: მის ერთ ნახევარში განლაგდნენ კონახტები, მეორეში ულადნი. ჰეშმარიტად მცირე არ იყო ეს ციხე-დარბაზი. შვიდი ალაყაფის კარი ჰქონდა მას და ყოველ ორ კარს შუა ერგას-ერგასი ფიცარნავი იღვა. მაგრამ ალერსიანი როდი

იყო ლხინზე შეყრილთა სახეები: ბევრი მათგანი ადრე შეხვედროდა ერთმანეთს ბრძოლებში. ქრისტეს შობამდე სამასი წლით ადრე იშვა ეს უფლი უღადებსა და კონახტებს შორის და მძვინვარებდა იგი მოაქეამამდე.

სტუმართათვის დაკლეს მაკ-დატოს ტახი, რომელსაც შვიდი წელი ასუქებდნენ სამოცი ძროხის რძით. ჩანს, შხამით ასუქეს იგი, რამეთუ სწორედ მის გამო მოხდა დიდი სისხლისღვრა ირლანდიის ვაჟ-კაცთა შორის.

ამრიგად, სტუმრებს მოართვეს ტახი, რომელსაც ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა ორმოცი ხარი, და კიდევ მრავალი ხორავი. თავად მაკ-დატო განაგებდა ლხინს.

— ვფიცავ, — წარსთქვა მან, — მთელი ლაგუნიც რომ შემოიაროთ, ველარსად იშოვოთ ამგვარი ტახი და ხარები. თუ ეს ხორავი კმასაყოფელი არ აღმოჩნდება, ხვალვე დავკლავთ ახალს.

— დიდებული ღორია, — წარსთქვა კონხობარმა.

— ჭეშმარიტად, დიდებულია, — სთქვა აილილმა. — მაგრამ ვინ გაანაწილებს მას, ო, კონხობარ?

— ძალზე იოლი საქმეა! — წამოიძახა ზედა ფიცარნავიდან ბრიკრენმა,¹ კარბადის ძემ. — ვინაიდან აქ შეკრებილან ირლანდიის სახელოვანი ვაჟკაცები, მაშინ, რა თქმა უნდა, მათ წილი უნდა ხვდეთ გამარჯვებათა მიხედვით. მათ ხომ მრავალგზის მოუგრიხეს კისერი მორკინალთ.

— დე, იყოს აგრე! — წარსთქვა აილილმა.

— ჩინებულია! — წარსთქვა კონხობარმა. — ჩვენ ცოტანი როდი გვახლავან ისეთი ვაჟკაცები, რომელთაც უთარეშნიათ მეზობელ საზღვრებზე.

— ფრიად დაჭკირდებათ ისინი ამ საღამოს, ო, კონხობარ! — წამოიძახა სენლაის არადმა კონოლადის ლერწმინიდან, რომელიც კონახტში იზრდება. — მრავალგზის დაუტოვებიათ მათ ჩემს ხელში მსუქანი ძროხები, ოდეს მათ ხვასტაგს დედახის ლერწმინაში მივერკეებოდი.

— შენ უფრო მსუქანი ხარი დატოვე ჩვენთან, — უპასუხეს მას უღადებმა, — ძმა შენი კრუახნენი, ძე რუადლომისა, კონოლადის ქედებიდან.

— უმჯობესიც მაგონდება, — წარსტქვა ლუგაიძმა, კუროის ძემ, — ოდეს ლერწმოვან ტემრაში, ეხბელს დედადის ძეს ხელში შეატოვით თქვენი ლოტ დიდი, ძე ფერგუსისა, ძე ლეტისი.

— როგორ გუნებაზე დადგებით, რომ შეგახსენოთ, თუ როგორ მოვკალი კონგანკნესი, დედადის ძე და მოკვეთეთ თავი?

ასე ასწორებდნენ ისინი ერთმანეთს მიწასთან, ვიდრე ირლანდიის ვაჟკაცებს არ გამოეყო ერთი სახელოვანი კონახტელი ვაჟკაცი, ზახელად კეტი, ძე მატახისა. მან თავისი იარაღი სხვებზე მაღლა აღშარათა, დანა მოიმარჯვა და ტახს მიუჭდა.

— დაე, — დაიღრიალა კეტმა, — ირლანდიის ვაჟკაცთა შორის ვამოჩნდეს ისეთი ვაჟკაცი, რომელიც ტახის განაწილებაში შემეღავება!

დუმილი ჩამოწვა ულადთა შორის.

— ჰეი, ლოიგაირე! — წარსტქვა კონხოზარმა.

ლოიგაირე წამოიმართა და იკეჭა:

— არა! ეს არ მოხდება! კეტმა ვერ გაანაწილოს ტახი ჩვენი თანდასწრებით!

— ჯერ შეიცადე, ლოიგაირე, — ეზრახა კეტი. — ორიოდ სიტყვას მოგახსენებ. თქვენ, ულადებს, ოდითგანვე წესად გაქვთ: ყოველი ჭაბუკი, რომელსაც პირველად ანდობთ იარაღს, ვალდებულია გამოსცადოს იგი პირველად ჩვენს საზღვარზე. ერთხელ შენც მოაშურე ჩვენს საზღვარს და ჩვენ იქ შევხვდით ერთმანეთს. შენ მაშინ ეტლი და ცხენები დატოვე საზღვარზე, ხოლო თავად კი, შუბით დაკოდილმა, გაქცევით უშველე თავს. შენ ვერ გაანაწილო ტახი!

და ლოიგაირე დაჯდა თავის ადგილას.

ამ დრტმ ფიცარანაგიდან წამოიმართა თვალად და ტანად უზადო ერთი ულადელი მხედარი.

— არა! — იკეჭა მან. — ეს არ მოხდება! კეტმა ვერ გაანაწილოს ტახი ჩვენი თანდასწრებით.

— ეს მებრძოლი ვინდაა? — იკითხა კეტმა.

— შენს უალრესი, — იყო პასუხად. — იგია ოინგუსი, ულადელი. ხელი-ხიფათში ერქვა მამამისს.

— რატომ შეარქვეს მამაშენს ხელი-ხიფათში? — იკითხა კეტმა.

— ვითომ რადაო?

— გეტყვი რატომაც, — წარსტქვა კეტმა. — ერთხელ ულადს მივაშურე საალაფოდ. მიგრძნეს ულადთა და ზარდაცემულებმა სიზბილით უშველეს თავს. მათ შორის იყო მამაშენიც. მან მტყორცნა ვეებერთელა ლიბანდაკი, მე ვიპყარ იგი და უკანვე შევესტყორცნე. ისარივით გააღწია შუბმა მის მკლავში და დედამიწაზე დაენარცხა მკლავითურთ. ცალხელას ძე ვით შემედაოს მე!

და ოინგუსი დაჯდა თავის ადგილას.

— გამოდით სხვებიც! — იქეჟა კეტმა. — თუ არადა შეეუდგები ტახის განაწილებას.

— არა! ეს არ მოხდება! კეტმა ვერ გაანაწილოს ტახი ჩვენი თანდასწრებით! — წამოიძახა ერთმა სახიერმა და ტანადმა მხედარმა, ულადთაგანმა.

-- ეს ვინდა არის? — იკითხა კეტმა.

— ეოგანი, ძე დურტახტისა, მეფე ფერმანაგისა, — მიუგეს მას.

— ჩვენ ერთხელ უკვე შევხვდით ერთმანეთს, — იზრახა კეტმა.

— სად მოხდა ეს? — იკითხა ეოგანმა.

— ეს მოხდა სწორედ შენი სახლის წინ. შენს ხვასტაგს მივერეკებოდი კონახტში. ყოყინა დასცეს შენმა მდევერებმა და შენც მოვარდი დაფეთებული. შენ მსტყორცნე შუბი, მე ფარი ვიფარე. ხელთ ვიპყარ შუბი შენი და შენვე დაგიბრუნე: იგი გეტაკა თავში და თვალი ამოგიგდო. ყოველი ირლანდიელი ხედავს, რომ შენ ცალთვალა ხარ. ეს მე ამოგიგდე შენ მეორე თვალი.

და ეოგანი დაჯდა თავის ადგილას.

— ჰეი, ულადებო, — იქეჟა კეტმა, — გამოდით კიდევ!

— შენ ვერ გაანაწილო ტახი! — განაცხადა მუნრემურმა, ძემ ჯერგენისამ.

— მუნრემური ზომ არ არის იგი? — იკითხა კეტმა. — მაშინ უწყოდე, მუნრემურ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ბარიბარში ვართ. ნახევარი დღეც კი არ გასულა იმ ქამიდან, რაც თავები დავბალთე სამ ულადს და ერთ-ერთი მათში სიყრმისშვილი იყო შენი.

და მუნრემური დაჯდა თავის ადგილას.

— გამოდით კიდევ! — დაილრიალა კეტმა.

— გამოვდივართ! — თქვა მენდმა, სალხოლკანის ძემ.

— ეს ვინდა არის? — იკითხა კეტმა.

— მენდი, — უპასუხეს მას.

— ეჰე, — წამოიძახა კეტმა, — საქვეყნოდ ცნობილი სახელები გამოდიან ჩემს წინააღმდეგ. მენდი, გარნა ჩემით არ დაერქვა მამაშენს თავისი უკანსაყვიარი სახელი. მე მას ხმლით წარვეკეთე ტერფი და მან თავს უშველა ასკინკილით. ცალფეხას ძე ვით შემედაოს მე?

და მენდიც დაჯდა თავის ადგილას.

— გამოდით კიდევ! — იქუხა კეტმა.

— გამოვდივართ! — იღრიალა უზარმაზარმა, ხილვად საზარელმა, ჭლაროსანმა ულაღელმა მხედარმა.

— ეგ ვინღაა? — იკითხა კეტმა.

— კელტხაირი, ძე უტეხაირასი. — იყო პასუხად.

— ვიღრე დამამხობდე, ოღნავ შეიცადე, კელტხაირ, — წარსთქვა კეტმა. — ერთხელ ასეთი ამბავიც მოხდა: შენ სახლს მივეპარე უგრძნეულოდ, მიგრძნეს და იძახეს. ძახილზე შენც მოიჭერი. შენ მტყორცნე შუბი. მეც გტყორცნე შუბი. შუბმა დაგიფლითა აშავერი და დაგაზიანა ოღნავ ზევეითაც. მას შემდეგ არის, არ გყოლია ძე და ასული. ნუთუ შენ გნებავს შეჯიბრი ჩემთან?

და კელტხაირი დაჯდა თავის ადგილას.

— გამოდით კიდევ! — დაიღრიალა კეტმა.

— ნება მიბოძეთ! — წარსთქვა კუსკრაიდმა, მახელმა ენაბრგვნილმა, ძემ კონხობარისამ.

— ეს ვინღა არის? — იკითხა კეტმა.

— კუსკრაიდი, — იყო პასუხად. — ჰეშმარიტად მეფური შარავანდელი ჰფენია მის სახეს.

— ხეპრე ყოფილხარ, თუ ვერ შემეცან, — თქვა კუსკრაიდმა.

— კეთილი, — წარსთქვა კეტმა. — ყმაწვილო, კარგად მახსოვს, ჩვენს საზღვარზე მიიღე შენ საბრძოლო ნათლობა. იქ შევხვდით ჩვენ ერთმანეთს. სასტიკ ბრძოლაში შენ დატოვე ხალხის ნასამალი, თავად კი მოჰკურცხლე ყელში სათხედგანაწონებმა. ამიტომ არ ძალგამს შენ სიტყვის წართქმა როგორც წესია, ბასრმა სათხედმა დაგიფლითა ხმის იოგები. მას შემდეგ არის, კუსკრაიდ ენაბრგვნილს გიხმობენ შენ.

ასე გაასწორა კეტმა ყველა ულაღელი მხედარი მიწასთან.

ოდეს იგი ტახის გასანაწილებლად განემზადა, ამ დროს ანდეზო-

ზას ანაზად წარმოუდგა კონალ ძლევაშოსილი. იგი ამაყად შემოვიდა დარბაზში და ერთის ნახტომით აღმოჩნდა შეკრებილთა შორის. დიდის თავაზით მიესალმნენ კონალ ძლევაშოსილს ულადნი. თავად კონხობარმა კი გვირგვინი მოიხადა და მალლა აიქნია.

— მწადს მივიღო არჩივი ჩემი! — იზრახა კონალმა. — ვინ ანაწილებს ტახს?

— თავზევით ძალი არ იყო, იმას დავუთმეთ, ვინც ანაწილებს, კეტს, მატახის ძეს, — იზრახა კონხობარმა.

— ნუთუ მართლა! — წამოიძახა კონალმა. — რაო, კეტ, შენ ანაწილებ ტახს?

ამღერდა კეტი:

— სალამი შენდა, გულკლდეო კონალ!
ველურო ალო! კრისტალის კრიალო!
ძლევაშოსილის დასერილ მკერდში
სისხლი ბობოქარი მრისხანებს მარად.
ჩემთან შეკრინება შენ ძალგაძს მხოლოდ,
ძეო ფინდხოიმის.²

პასუხად ასე ამღერდა კონალი:

— სალამი, კეტო, პირმშოვ მატახისაე!
სახეო გმირისაე, გულო აღმასო!
გედების გერმაე! ომში მეომარო!
გავეშებულო ხარო მშვენიერო!
ყოველი იხილავს, როგორ შევიყრებით,
როგორ გავიყრებით, იხილავს ყოველი.
ამ ბრძოლის ამბავს მოჰყვება მეჯოგე,
ხშირად მოიგონებს უბრალო გლეხკაცი.
რკენას აპირებენ მძვინვარე ლომები.
ამჟერად ამ სახლში ვინ დასცემს ვის?

— ეი, მოეცალე ტახს! — იჰეკა კონალმა.

— შენ რა უფლება გაქვს ტახზე? — იკითხა კეტმა.

— შენ გაქვს უფლება, ხმაღში გამომიხმო, — იზრახა კონალმა.

— მე მზადა ვარ, კეტ! ჩემი ხალხის საფიცარს ვფიცავ მას შემდეგ, რაც კი ხელთ ვიპყარ შუბი, ერთი დღეც კი არ მახსოვს ისეთი, რომ არ დამემხო თუნდაც ერთი კონახტი. ერთი დამეც კი არ მახსოვს ისეთი, რომ არ მებულრავა მათ საბულრაოზე, და ერთხელაც არ დამიძინია ისე, მუხლქვეშ კონახტის თავი არ მდებოდა.

— ჭეშმარიტად, — თქვა კეტმა. — შენ უფრო მძლავრი მხედარი ხარ, ვიდრე მე. მაგრამ ახლა ანლუანი სახლად რომ იყოს, იგი შენ ხმალში გამოგიხმობდა და დაგამხობდა. ვაი, რომ იგი აქ არ არის.

— იგი აქაა, აგერ ანლუანი! — იჭექა კონალმა, შემდეგ ზოსტერიდან ანლუანის თავი დააძრო და ისეთი ძალით სთხლიშა მკერდში კეტს, რომ კეტის მკერდიდან სისხლმა იხუვლა. კეტი უმალ მოეცალა ტახს და მის ადგილზე დაბრძანდა კონალ.

— დაე, მედაონ! — იჭექა კონალმა.

კონახტის ვერც ერთმა მხედარმა ვერ გაბედა კონალთან დავა. მაგრამ ულადებმა კონალის ირგვლივ ფარები შემორკალეს დიდი კასრის მსგავსად, რამეთუ ამ სახლში ვერაგ ადამიანებს წესად ჰქონდათ მიპარვით ზურგში დარტყმა.

კონალი ტახის განაწილებას შეუდგა, მაგრამ ვიდრე გაანაწილებდა, ჯერ თავად დააცხრა კბილებით ტახის კუდს. ცხრა კაცი თუ დაძრავდა ამ კუდს ადგილიდან, კონალმა კი ელვის უსწრაფესად შთანთქა იგი.


კონახტებს მან ტახის ორი წინა ფეხი არგუნა მხოლოდ. ეცოტავათ წილი კონახტებს, აყაყანდნენ და წამოცვივდნენ ადგილებიდან. მათ ულადებიც აჰყვენენ და ეკვეთნენ ურთიერთს. შეიქნა საზარელი ჩეხვა. გვამების გროვამ ჰერამდე აღწია. სისხლის ნიაღვარმა სახლის ზღუდეები გადალახა.

შემდეგ ეზოსკენ იხუვლა ბრბომ. ყურისწამლები ყიჟინით ეკვეთნენ მორკინალნი ურთიერთს. სისხლის ნიაღვარი წისქვილის ქვას დააბრუნებდა. ფერგუსმა ძირიანად მოსთხარა ეზოში ამოსული ვეებერთელა მუხა, მძლავრად მოიქნია და მტრები ეზოს გალავანზე გადახვეტა. ბრძოლა ალაყაფის კარების მიღმა გაჩაღდა.

მაშინ ციხე-დარბაზიდან გამობრძანდა თავად მაკ-დატო; იგი ძაღლს ხელით აკავებდა. ბოლოს მიუშვა მან მყეფარი მებრძოლებზე, რათა ეხილა, ვის მხარეს დაიჭერდა ძაღლი თავისი ძაღლური

კუთ. აილბემ ულადების მხარე დაიჭირა და კონახტებს დაერია. კონახტებმა გაქცევით უშველეს თავს.

მოგვიტხრობენ, რომ აილბეს ველებზე ძალდი კბილებით ჩააფრინდა აილილისა და მედბის ეტლის ხელნას. მაშინ ფერლოვამ, მათმა მეეტლემ, ისე მძლავრად დაკრა მახვილი კისერზე ძალს, რომ ტანი თავს მოსწყდა, თავი კი დარჩა ხელნაში კბილებჩარჭობილი. სწორედ ამიტომ, ძალდის სახელის მიხედვით დაერქვა ამ ადვიდს აილბეს ველები.



კონსულანდის დაბადება

17

ერთხელ, როდესაც კონსობარი დიდგვაროვანი მხედრების თანხლებით ემაინ-მახაში იმყოფებოდა, აი რა მოხდა ემაინ-მახაში. ქალაქის მინდვრებს უცხო ჯურის ფრინველები შემოესივნენ და ძირფესვიანად ანადგურებდნენ პურეულს, მხალეულსა და ყოველგვარ ნაყოფს. მათი თარეშის შემდეგ რჩებოდა მხოლოდ შიშველი მიწა და ტიტველი ქვები. დიდმა მწუხარებამ მოიცვა ულადნი. ისინი ხედავდნენ, თუ ვით ნადგურდებოდა მთელი მათი საზრდო. მათ გადაწყვიტეს, შეეკაზმათ ცხრა ეტლი, მუხლადი ბედაურები შეეებათ ეტლებში, ულადში უმჯობესნი, და დაძრულიყვნენ ფრინველებზე სანადიროდ. სანადირობად თავად კონსობარი გამობრძანდა. მას თან ახლდა და თავისი დეხტირე. დეხტირე იმ ხანად უკვე მოწიფული ქალი იყო და კონსობარს მეეტლედ ემსახურებოდა. სანადიროდ დაიძრნენ აგრეთვე სხვა ულადები და მეეტლეები. მათ შორის იყო ბრიკრენი, ძე კარბადისა.

მაშინ განერიდნენ ფრინველნი ულადებს და გაეშურნენ მთა ფუატისა და მურტემნეს ტაფობისაკენ და მიაშურეს ედმანსა და ბრეგის ტაფობს. მშვენიერი იყო გუნდი, ულადთაგან განჩინებული. მათ მე-

თაურით წინ მიუძღოდა უცხო ფრინველი — უდიდესი და უმშვენიერესი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა. ცხრაჯერ ოცი იყო ფრინველთა რიცხვი: ისინი დანაწილდნენ წყვილებად და ყოველი წყვილი შეერთებული იყო ნათელი ოქროს ძეწკვით. ოცი ულამაზესი ფრინველი კი ყოველ ზეკართან წინაურდებოდა და ყოველი მათი წყვილი შეერთებული იყო წითელი ოქროს ძეწკვით.

შემდეგ ფრინველები თვალს მიეფარნენ და არავინ უწყოდა, საით გაფრინდნენ ისინი, — თვინიერ სამი ფრინველისა, რომელთაც თემანით ისწრაფეს. ულადებმა კვალდაკვალ მისდიეს მათ, მაგრამ გზაში ღამე წამოეწიათ და ფრინველები თვალთაგან დაკარგეს.

— გამოუშვით ცხენები და ერთად დაადგინეთ ეტლნი, — ბრძანა კონხობარმა. — ვინმე თქვენთაგანი წარვიდეს ხმილვად და მოიხმლოს სახლი ან სადგომი ღამის გასათევი.

კონალ ძლევა მოსილი და ბრიკრენი წარვიდნენ ხმილვად. დიდხანს არ უვლიათ მათ. მალე დადარნეს მარტო მდგარი ერთი სახლაკი. იგი ახლად ნაშენებს ჰგავდა და ფრინველების თეორი ნაკრტენით იყო გადახურული. შიგნიდან სრულიად გაუწყობელი იყო და თანაც სრულიად უკიმირო. თვით საწოლები და ზედსაბურავებიც კი არსად ჩანდა. მხოლოდ სახლაკის უკანა კუთხე სწევდა სამზარეულოს მაგივრობას. სახლაკში არ იყო არავითარი ზარაურთები და არცთუ რაიმე ჭამადი. სახლის პატრონები, ქმარი და ცოლი, თავაზით მიესალმნენ მოსულებს.

კონალ ძლევა მოსილი და ბრიკრენი შემოიქცნენ ულადებთან და უამბეს მათ, რაც ნახეს და რაც შეიტყვეს.

— რას გვარგებს ამ სახლში შესვლა? იქ არაფერი სასიკეთო არ არის, რაიმე ჭამადიც კი არ მოიძევება მუნ. თანაც მცირეა იგი. ყველას ვერ დაგვიტევს.

ულადებმა მაინც გადაწყვიტეს, ამ სახლში გაეთიათ ღამე. ისინი შევიდნენ შიგ თავიანთი ცხენებითა და ეტლებითურთ, და აღმოჩნდა, რომ ყველაფერმა ამან ძალიან მცირე ადგილი დაიკავა სახლაკში. ამასთანავე, მათ ჰპოვეს კმასაყოფელი ჭამადი და ზედსაბურავები, ყოველგვარი ავეჯი და სიამენი. მათ არ ახსოვდათ უკეთესი ღამის-თევა.

ოდეს ულადებმა თბილად მოიკალათეს სახლაკში, კარებში გა-

მოჩნდა ჰაბუკუჩი გარეგნობის, ზედმიწევნით ტანადი და მთელს ღუნიაზე ულამაზესი მამრი. იგი ეზრახა ულაღებს:

— თუ თქვენ ჰგონებთ, რომ მოაწია ჟამმა სერობისამ, ახლავფ მოვიღებთ სერს. რამეთუ იგი, რაიც თქვენ იგემეთ, საუზმე გახლდათ ოდენ.

— სერი დიდაც დროულია, — ეზრახა ბრიკრენი.

მაშინ მოართვეს ულაღებს უზღვავი ჰამადი და თაფლუჭი, ყოველი მათგანის მადისა და პირის გემოს მიხედვით. ულაღები დანაყრდნენ, შეთვრნენ და გამხიარულდნენ.

მაშინ ეზრახა მათ მამრი:

— ჩემი დიაცი მიძღებარე პალატში წევს და მუცელღებით იტანჯება. კარგი იქნება, თუ ეს თეთრმკერდიანი ასული შევა პალატში და მოეხმარება მას.

— დაე, შევიდეს, — წარსთქვა კონსობარმა.

ღებტირე შევედა პალატში, სადაც დიაცი მუცელღებით იტანჯებოდა. მალე მშობიარემ შვა ვაჟი, ხოლო მუხლადმა ხრდალმა, სახლად რომ იყო, ზუსტად იმავე წამს შვა ორი ურა, და ჰაბუკუჩა მამრმა ახალშობილს საჩუქრად მიუძღვნა ეს კვიციები.

ოდეს ულაღებმა გამოიფხიზლეს, ვეღარსად იხილეს ვერც სახლი, ვერც მასპინძლები და ვეღარც ფრინველები. ირგვლივ შიშველი მინდორი იყო ოდენ. მაშინ ულაღებმა თან წამოიყვანეს ახალშობილი ვაჟი, ხრდალი და ორი ურა, რომელნიც კვლავ იხილეს და შემოიქცნენ ღიდებულ ემან-მახაში. ვაჟი იზრდებოდა ღებტირესთან, ჳიდრე არ წამოიზარდა და დავაჟაცდა. მაშინ სენმა შეიპყრო ჰაბუკუჩი იგი და უმალ განუტევა სული. ცხარე ცრემლებით დაიტირა იგი ემან-მახამ.

ყველაზე მეტად ღებტირე განიცდიდა თავისი შეილობილის სიკვდილს. სამი დღის განმავლობაში არაფერი უჭამია და არც უსვამს ღებტირეს. მძიმე ურვამ მძაფრი წყურვილით შეიპყრო იგი. მაშინ მოართვეს მას სასმელით სავსე ფიალა და ოდეს ღებტირემ ფიალა იგი ბაგეებთან მიიტანა, მოეჩვენა, რომ რალაც პაწაწკინტელა ცხოველი ფიალიდან მის პირში ჩახტომას ჰლამობდა. ღებტირემ ნადირს სული შეუბერა და ნადირიც წამსვე გაუჩინარდა. კვლავ მიაწოდეს ღებტირეს ფიალა და ოდეს იგი სმას შეუღდა, ანაზღად ფიალიდან.

პირში შესხლტა პაწაწკინტელა ცხოველი და მის გვამში დაივანა. წამსვე ძილქუში დაეუფლა დეხტირეს და მეორე დღემდე იძინა ასე; ძილში დეხტირეს გამოეცხადა უცხო მამრი და ამცნო, რომ ამჯერად დეხტირემ მუცლად ილო მისგან.

-- ეს მე ვიყავი, ფრინველები რომ შევქმენ, — რქვა მან დეხტირეს, — მე აღგძარით თქვენ ფრინველთა დევნად, მე შევქმენ სახლაკი, რომელსაც შეეფარეთ. მე შევქმენ დიაცი, მუცელლებით რომ იტანჯვოდა. მევე მივიღე იქ შობილი ბიჭის სახე და მე მზრდიდი შენ; ეს მე ვიყავი, ემან-მანხა რომ დამტიროდა. მაგრამ მე კვლავ მოვევლინე ამ ქვეყანას და შენს გვამში შევადწიე პაწაწკინტელა ცხოველის სახით. ასულო, მე ვარ მხარგრძელი ლუგი,* ბე ეტელენისა, და ჩემგან შენ მუცლადიღებ ძეს, რომელიც ახლა გამომწყვდეულია შენს გვამში, სეტანტა იქნება სახელი მისი.

ამის შემდეგ დეხტირეს მუცელი დაეტყო. დავა და მტრობა ჩამოვარდა ულადთა შორის, რამეთუ არავინ უწყოდა, ვისგან ილო მუცლად დეხტირემ. იმასაც კი ამბობდნენ, თავად კონსობარიაო ამის მიზეზი, ვინაითგან დეხტირეს ხშირად ეძინა მის გვერდით, რამეთუ ფრიად უყვარდა და თვისი კონსობარს.

ამის შემდეგ დეხტირე დანიშნა სუალტამმა, ძემ როიგისამ, და კონსობარმა მას ცოლად შერთო და თვისი. მაგრამ დეხტირეს სუალტამის სარეცელზე ასვლა ერცხვინებოდა, რამეთუ მუცლადღებული იყო აღრევე. იგი მივიდა ბოძთან, მიეყრდნო მხრით და მანამ ირტყა ხელები ზურგსა და თეძოებზე, ვიდრე არ მოეჩვენა. ნაყოფიდან განვთავისუფლდით, და მას წამსვე დაუბრუნდა სიქალწულე.

ამის შემდეგ დეხტირე ავიდა სუალტამის სარეცელზე და აჩუქა მას ძე. სამი წლის ბავშვისოდენა იყო ახალშობილი ტანად. მისი მამობილი გახდა კულან-კვერით ხუროი. სეტანტა დაარქვეს ბავშვს სახელად, და იგი მანამ ატარებდა ამ სახელს, ვიდრე არ განგმირა კულანის ძაღლი და ძაღლის მაგიერ არ ემსახურა კულანს: ამის შემდეგ კუხულაინდს უხმობდნენ მას.



ემერის ღანიშვანა

ოდესლაც ემაინ-მახაში ცხოვრობდა დიდი და სახელოვანი მეფე, სახელად კონხოზარი, ფახტნა ფატახის ძე.¹ მშვიდობა და კეთილი სალამი სუფევდა ულადთა შორის, ვიდრე იგი განაგებდა ქვეყანას. უხვად ისხამდნენ ნაყოფს მცენარენი, უხვი იყო მოსაეალი ზღვისა და ხმელეთის. ჩიტის რძეც არ აკლდა ულადს. იყო სიამე, სამართალი და კეთილი განმგებლობა ირლანდიის მკვიდრთა ზედა. მეფის სახლში, ემაინში, გამეფებული იყო სიმშვენიერე და სიუხვე.

აი, როგორ იყო გაწყობილი ეს სახლი, კონხოზარის წითელი ტოტი,² — სრულიად მსგავსად ტემრას³ თაფლის პალატისა. ცხრა ფიჯარნაგი იდგა ამ სახლში, კერიიდან ვიდრე კედლამდე. ოცდაათი მტკაველდ იყო ყოველი კედლის სიმაღლე. ჩუქურთმიანი წითელი ურთხელი ამკობდა კედლებს. იატაკი ხისა ეგო და სახურავი კრამიტისა ეხურა. პალატის შემოსასვლელთან კონხოზარის სარეცელი იდგა. ვერცხლის საყრდენი ღა სპილენძის სვეტები ამშვენებდა სარეცელს. სვეტების თავები მოოქროვილი იყო და ფერგამჭვირვალე ქვებით მოჭედილი. ამიტომ დღისითაც და ღამითაც ერთგვარი ნათელი იდგა მეფის სარეცელის ირგვლივ. სახურავის ნივნივიდან დაბლა

ეშვებოდა ვერცხლის დაფა. ოდეს კონსობარი სამეფო კვერთხს დაფაზე შემოპკრავდა, მკვეთრ ღუმდებოდნენ ულადნი. მეფის სარეცელის ირგვლივ თავმოყრილი იყო თორმეტი საკრებულო, ეტლთა თორმეტი მბრძანებლისათვის.

ნადიმის ჟამს მეფის სახლში თავს იყრიდა ულადის ყველა სახელოვანი ვაჟკაცი და მაინც სივიწროვე არ იგრძნობოდა სახლში. ბრწყინვალენი, ტანადნი და თვალადნი იკვნენ იქ თავმოყრილნი ულადნი. აქ იმართებოდა დიდი ანდეზობები და თვალწარმტაცი სანახაობანი. ნიადავ იყო მღერა, ძნობა და სახიობა. გმირები ავლენდნენ თავიანთ სიმარდეს და მოხერხებას, მგოსნები მღეროდნენ თავიანთ სიმღერებს, მძნობელნი და მარიკელნი ძნობდნენ თავიანთ საკრავებზე.

ერთხელ კონსობარის სახლში თავი მოიყარეს ირლანდიის ვაჟკაცებმა, რათა ეზეიმათ იარნგუალი. ასგზის ივსებოდა თასები ასეო ზეიმზე. მონადიმენი უსაზღვროდ მოილხენდნენ და ნეტარებით აღივსებოდნენ. ეტლების მბრძანებელნი თავს იწონებდნენ სიკისკასით, მუშაითობდნენ საბელებზე, რომელიც გაბმული იყო სახლის ერთი კარიდან მეორე კარამდე. ცხრაჯერ ოცი და კიდევ თხუთმეტი მტკაველი იყო თვით სახლის ზომა. სიმარდის სამ ფანდს უჩვენებდნენ ეტლების მბრძანებელნი: ფანდი შუბით, ფანდი ვაშლით და ფანდი მახვილის პირით. აი, სახელები ეტლების ბელადთა, რომელთაც შეეძლოთ ამ ფანდების ჩვენება: კონალ ძლევა მოსილი, ძე ამარგენისა; ფერგუს გულოვანი, ძე როიგისა; ლოიგაირე შემმუსკრელი, ძე კონადისა; კელტხაირი, ძე უტეხაირასი; ღუბტახი, ძე ლუგაიდისა; კუხულაინდი, ძე სულტამისა; სკელი, ძე ბარნენესი, გუშაგი ემაინმახასი.

ეტლების ბელადთა შორის სწორუპოვარი იყო კუხულაინდი. ირლანდიის ასულებს ფრიად უყვარდათ იგი: ბრძოლაში მარდი, ხტომაში მკვირცხლი, განსჯაში ბრძენი, ზრახვაში ტკბილმოქართულე და ხილვად კეთილი. შვიდი გუგა იყო მომწყვდეული მის მეფურ თვლებში. ოთხი ერთ თვალში და სამი მეორეში. შვიდი თითი ჰქონდა კუხულაინდს თვითეულ ხელზე, შვიდ-შვიდი თითი ჰქონდა ფეხებზეც. მრავალი ნიჭით იყო იგი ცხებული: უწინარეს ყოვლისა, სიბრძნის (ვიდრე ბრძოლის ცეცხლი არ შეენთებოდა), გმირობის, დაფ-

ზე მღერის, ანგარიშის, მისნობის და გამჭირიანობის ნიჭით. სამი ნაკლი ჰქონდა კუხულაინდს: იგი იყო ერთობ ახალგაზრდა, ერთობ გულადი და ერთობ მშვენიერი.

ირლანდიელმა მამაკაცებმა ბევრი იფიქრეს იმის თაობაზე, თუ რა მოეხერხებინათ კუხულაინდისათვის, რომელიც ეგზომ უყვარდათ მათ ცოლებსა და ასულებს. ბოლოს ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს მათ: გამოეძებნათ ისეთი ასული, რომლის შერთვაზედაც კუხულაინდი უარს არ იტყოდა. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ თუ კუხულაინდს ეყოლებოდა ცოლი, საალერსოდ და მომვლელად, მაშინ იგი ნაკლებად აცთუნებდა მათ ასულებსა და ცოლებს. ამას გარდა, მათ ეშინოდათ, კუხულაინდი სიჭაბუკეშივე არ მომკვდარიყო და უძეოდ არ გადაგებულიყო. რამეთუ მათ უწყობდნენ, რომ კუხულაინდს აღორძინება მხოლოდ თავისივე თავიდან შეეძლო.

ცხრა კაცი წარგზავნა კონსობარმა ირლანდიის ყოველ თემში, რათა გამოეძებნათ კუხულაინდისათვის საცოლე: იქნებ ირლანდიის რომელიმე ციხე-კოშკში ან სოფელში ეპოვათ ასული მეფის, თავადის, ანდა რომელიმე პატრონისა, რომლის შერთვაზედაც კუხულაინდი უარს არ იტყოდა. მაგრამ ზუსტად ერთი წლის შემდეგ და ზუსტად იმავე დღეს, მოციქულები მოიქცნენ უკან და განაცხადეს, რომ კუხულაინდის შესაფერისი ასული ვერსად ვპოვეთ. თავად კუხულაინდმა კი უწყოდა, რომ ლუგის წალკოტებში ცხოვრობდა ასული ერთი, ასული ფორგალ ცბიერისა და სახელი მისი იყო ემერ. კუხულაინდი ავიდა ეტლზე ლოიგთან⁴ — რიანგაბარას ძესთან ერთად და წარემართა ლუგის წალკოტებისაკენ. შეუდარებელი იყო კუხულაინდის ეტლი, ულადის ვერც ერთი ბედაური ვერ დაეწეოდა მას, იმდენად სწრაფი იყო ეტლი იგი და თავად გმირი, ამ ეტლზე აღმჯდარი.

სამღერად მდგელობზე წააწყდა კუხულაინდი ემერს. ასული გარს-შემორტყმული იყო ძუძუმტეებით, იმ მიწების მფლობელთა ასულეებით, ციხე ფორგალს გარს რომ შემორტყმოდა. ისინი ემერისაგან სწავლობდნენ კერვას და ფაქიზ ხელსაქმეს. ემერი ერთადერთი იყო ირლანდიის ასულთა შორის, რომელიც კუხულაინდს ცოლად შეეფერებოდა. რადგან მას მომადლებული ჰქონდა ექვსი ნიჭი: სახიერება, სახიობა, ენამზეობა, ხელთუფლობა, სიბრძნე და უბიწოება. კუხულაინდმა თქვა, რომ არ შეირთავდა ისეთ ასულს, რომელიც მი-

სი შესაფერისი არ იქნებოდა ასაკით, გარეგნობით, მოდგმით, გონე-
ბით, სიმკვირცხლით და ხელმარჯვეობით. ამასთანავე, თუ იგი ირ-
ლანდიაში ყველაზე დახელოვნებული ხელთუფალი არ იქნებოდა.
და ვინაიდან ირლანდიაში, თვინიერ ემერისა, ასეთი ასული არ მოი-
ძეგვებოდა, ამიტომ კუხულაინდმა სწორედ იგი აირჩია საცოლედ.

✓ კუხულაინდი საზეიმოდ შეიმოსა. ეწადა, მთელი თავისი ბრწყინ-
ვალეობით წარსდგომოდა ემერს. ემერის ძუძუმტეებს შორიდან შე-
მოესმათ ცხენების თქარათქური, ეტლის ზათქი, თასმების ტკრცია-
ლი, ბორბლების წივილი, გმირის გრგვინვა, მისი იარაღის ჩხერა.

— გახედოს ვინმემ და იხილოს, რა მოისწრაფის ჩვენკენ, — იზ-
რაახა ემერმა.

— ჭეშმარიტად, — იზრაახა ფიალმა, ფორგალის ასულმა, — მე
ვხედავ ორ ბედაურს, სწორფერს: სიდიდით, სილამაზით, გახელებით,
სიმკვირცხლით, გვერდიგვერდ მომქროლავთ. დაუოკებელი ცეცხლი
და ძალა იგრძნობა მათ სრბოლაში. ყურებდაცქვეტილი მოისწრაფი-
ან ისინი აქეთ. ხუჭუჭი ფაფარი და მოშვეებული ძუები ამშვენებთ
მათ. ხელიდან მარჯვნივ, ტრედანა ცხენია, ფართებარძაყიანი, გააფ-
თრებული, შმაგი და რემაა იგი; პატარა და სწრაფი ნახტომებით მო-
ისწრაფის იგი თავადერილი და მკერდგამობერილი. მყარი ნიადაგი
მისი ფლოქვების ქვეშ ცეცხლმოდებული გეგონებათ. ფრთამალ
ფრთოსანთა გუნდი დასდევნებია უკან მას, ჭაფსა და მეწამულ
ცეცხლს აფრქვევენ მისი ალაგმული ლამები. მეორე ბედაური კუპ-
რივით შავია; ლამაზი და ჯიშიანი თავი აქვს, წვრილი, ფართო ნალე-
ბით დაჭედილი ფეხები. ხუჭუჭი ფაფარი და გრძელი ძუა ამშვენებს
მას. ხშირი კულულები ჩამოშლილა მის ფართო შუბლზე. მკვირცხ-
ლი და ცეცხლოვანი გახელებით მოისწრაფის იგი და მძლავრად
სტორავს მიწას. მოისწრაფის იგი უმშვენნიერესი და გამმარჯვებელი
ამა ქვეყნის ბედაურებზე. იგი მოგელავს რბილ და ხმელ ბალახზე
და დაუბრკოლებელია სრბოლა მისი. მე ვხედავ ძეწნის წნელებისა-
გან დაწნულ ეტლს. იგი მოისწრაფის თეთრი სპილენძის ბორბლებ-
ზე შემდგარი. მაღალია ეტლის ქიმები, წკრილა ბრინჯაოსაგან ჩა-
მოსხმული. მკვიდრია და მაგარი მრუდე რკალი ერთიან ოქროსა. მე
ვხედავ მაგრად დაწნულ ორ ყვითელ სადავეს. ეტლის სვეტები
მკვიდრია და შვეტი, ვითარცა პირი ჩელთისა. ეტლზე აღმჯდარა ლე-

გა, ქურუხა და კანტი კაცუნა, ულამაზესი ირლანდიის მამაც-
თა შორის. ტანთ აცვია მეწამული ხუთნაკეციანი პერანგი, იგი საყე-
ლოსთან შეკრულია ოქროს საკრებელით; ვაჟკაცის მკერდი ღელავს
და ხმაურით ეხლება საკრებელს. მხრებზე მოუსხამს წითელი და მუ-
ქი ოქრომკედით მოქარგული თეთრი მოსასხამი. შვიდი დრაკონის
ქვაა მისი თვალების სიღრმეში. სმარაგდისფერია ორი მათგანი.
სისხლივით წითელია მისი ლოყები. ლოყები იბერებიან და ნაპერწკ-
ლებს აფრქვევენ, სიყვარულის სხივი ანთია ვაჟკაცის თვალებში.
თითქოს მარგალიტების ტალღაა მოქცეული მის პირში. ნახშირით
შავია მისი წარბები. ოქროსვადიანია ხრმალი მისი. ეტლის ქიმზე
სისხლივით წითელი შუბია მიმაგრებული. მრისხანე და მძაფრია შუ-
ბის დიზლიგი და ნატიფია მისი ხის ტარი. მხრებზე მოუგდია წითე-
ლი ფარი, ვერცხლის ქიმები და ცხოველების ოქროს ფიგურები ამ-
შვენებს ფარს. ორაგულის გმირულ კამარას ჰკრავს იგი ჰაერში და
მრავალ მსგავს ფანდებს აჩვენებს იგი. ასეთია ამ ეტლის ბელადი.
ბელადის წინ დამჯდარა მეეტლე. ტანადი და ჩოფურაა მეეტლე იგი.
თავზე დაჰფენია ხუჭუჭი და წითური თმა. სპილენძის ბადე აკავებს
თმას. თავს უმკობს ამობურთული ოქროს ბალთები. მის მოსასხამს
იდაყვებთან ჭრილები შეგნის. ხელთ კვერთხი უპყრია ოქროსი, ერ-
თიან წითელი. ამ კვერთხით აგეზებს იგი ბედაურებს.

მალე კუხულაინდმა მიაღწია იმ ადგილს, სადაც ასულნი ისხდნენ.
იგი მიეახლა ასულებს და მიესალმა მათ. ემერმა მალა აიღო თავი-
სი სათნო სახე და როს იცნო კუხულაინდი, ეზრახა მას:

- დაე, ფიანდაზად გაგიფინოს უფალმა გზა!
- შენ კი, ასულო, ყოველი ბოროტისაგან გიხსნას უფალმა, —
უპასუხა კუხულაინდმა.
- საიდან მოსულხარ? — ჰკითხა ასულმა.
- ინტიდე ემნადან.
- სად გაგითევია ღამე?
- იმ კაცის სახლში, ჯოგებს რომ აძოვებს ტეტრახის ველზე.
- რით გიმასპინძლებოდნენ?
- მოხარშული ეტლის ნამსხვრევებით.
- რომელი გზით მოხვდი აქ?
- ორ მთას შუა რომაა მომწყვდეული-

— რა გზით იარეთ შემდეგ?

— ძნელი არ არის თქმა, — უპასუხა კუხულაინდმა. — შემდეგ კი ვიარეთ ზღვის საბურავიდან დანანის ტომის დიდი საიდუმლოებისა და ემაინის ორი ბედაურის ქაფის კვალდაკვალ; მორიგანის წალკოტის გავლით და დიდი ტახის ქედზე გადავლით; ვისწრაფეთ დიდი ირემ-ლალის იალაღებზე, ლმერთსა და წინასწარმეტყველს შორის; ფედელმის ცოლის ზურგის ტვინზე, ტახსა და ნეზეს შორის, დეას ბედაურების ნაპირ-ნაპირ, ანადის მეფესა და მის მსახურს შორის, ვიდრე არ მივალწიეთ მონკუილეს, ქვეყნის ოთხივე კუთხეს რომ წვდება; შემდეგ კი დიდ დანაშაულზე და დიდი ღვინის ნამუსრევეებზე, დიდსა და მცირე კასრებს შორის ვიარეთ ჩვენ, ვიდრე არ მივალწიეთ ლუგის წალკოტებს. ბოლოს კი ფომორების მეფის ტეტრახის ნათესავის ასულებს ვეწვიეთ ჩვენ. ახლა კი, ასულო, თავად რას იტყვი საკუთარ თავზე?

— ჭეშმარიტად, ძნელი არ არის თქმა, — უპასუხა ასულმა. — მე ვარ ტემრა დიაცთა შორის, მე ვარ ასული უთეთრესი, სახე სიწმინდისა, მე ვარ აკრძალვა გაუტეხელი და გუშაგი უხილავი. მე ვარ ასული უწყინარი, ვითარცა ქუა და ვითარცა ლელი, რომელთან მი-ახლებას ყოველი ეკრძაღვის. მეფის ასული სტუმართმოყვარეობაა აღგზნებული და გზაა აკრძალული. არიან გმირნი ჩემს კვალზე მავალნი და მზირველნი, რაითამცა არავენ მიხილოს მათი და ფორგალის ნების გარეშე.

— ასულო, ვინ არიან ეს გმირნი, შენს კვალზე მავალნი და მზირველნი? — ჰკითხა კუხულაინდმა.

— ჭეშმარიტად ძნელი არ არის თქმა, — თქვა ასულმა. — ორნი, სახელად — ლუი; ორნი, სახელად — ლუატ და ლატ გოიბლე, ტეტრახის ძენი; ტრიატი და ტრესკატი; ბრიონი და ბოლორი; ბასი, ძე ომნახისა; კიდევ რვანი, სახელად კონდლა და კიდევ კონდი, ფორგალის ძე; ყოველ მათგანს გააჩნია ასი მებრძოლის ძალა და ცხრე გმირის სიგულოვნე. მაგრამ ძნელია გადმოსცე თავად ფორგალის ძალა. ყოველ მუშაკზე ძლიერია იგი, ყოველ დრუიდზე განსწავლული და ყოველ სახიობარზე მახვილგონიერი. ფორგალის შემართებასთან შედარებით, თქვენი მღერა ყმაწვილთა ფუნდრუკია ოდენ. ქვეყანა და-დადებს მის ძალაზე და სახელოვან საქმეებზე.

— ასულო, რად არ გეგულვი ამ გმირთა შორის? — ჰკითხა კუხულაინდმა.

— თუ შენს სახელოვან საქმეებზეც დადის ხმები, მაშინ მე საბაბი არა მაქვს, არ გიგულვებდე მათ შორის.

— ასულო, ვფიცავ, მე ჩავიდენ საქმეებს, რომელზედაც ისევე იუბნებენ, როგორც იმ გმირთა საქმეებზე, --- სთქვა კუხულაინდმა.

— როგორია ძალი შენი? — ჰკითხა ემერმა.

— ძნელი არ არის პასუხი, — მიუგო მან. — როცა ჩემი ძალა ჩვეულებრივზე უფრო მცირეა, მე ძალმიძს ვებრძოლო ოც მეტბრძოლს. ჩემი ძალის ნასამალი მეყოფოდა ოცდაათ მეტბრძოლზე. მე უყოველოს ძალმიძს ვებრძოლო ორმოცს. ჩემი შიშით ილტვიან მეტბრძოლნი ფონიდან და ბრძოლის ველიდან. ლაშქარნი, ურდონი, მეტბრძოლთა გუნდები შიშნაკრავნი ილტვიან ჩემი ხილვისას.

— ყოველივე ეგ ჩინებული ჩხუბია აზიზი ბიჭისათვის, — უპასუხა ასულმა. — მაგრამ შენ ჯერ კიდევ ვერ მიგიღწევია ეტლის მბრძანებლის ძლიერებამდე.

— კეთილშობილო ასულო, — რქვა კუხულაინდმა, — ჰეშმარიტად კეთილად მწვრთიდა მე ძვირფასი მამობილი ჩემი კონხოზარი, და არა ისე, ვითარცა წუწურაქი მწვრთნელი წვრთის, ყრმათაგან ვასხის მომლოდინე. არა ქურასა და ცხრილს შორის, არა კერისასა და კედელს შორის, ან საკუჭნაოს ზედა წირთხლთან მწვრთიდა იგი მე, არამედ ეტლთა მბრძანებელთა და მეტბრძოლთა შორის, სახიობთა და დრუიდათა შორის, მომღერალთა და მწიგნობართა შორის, ულადის მიწების მფლობელთა შორის მზრდიდა მე იგი. და მე შევეითვისე მათნი ზნენი და უნარნი.

— ვინ იყვნენ ისინი, რომელთაც შეგასწავლეს ყველა ის საქმენი, რომლითაც იქადი? — ჰკითხა ემერმა.

— ჰეშმარიტად, იოლია ამაზე პასუხი, — მიუგო კუხულაინდმა. — ენამზე სენხას წვრთის წყალობით შევიძინე: სიძლიერე, სიბრძნე, სიმარდე და სიმარჯვე. მე ვარ გონიერი, განსჯა მაქვს ფხიზელი და მეხსიერებაც ჩინებული. პირისპირ ვედავები მე ბრძენკაცთ სიბრძნეში, რამეთუ სიბრძნისმეტყველებაში ვარ განსწავლული. მე ვარ განმგებელი ულადთა გონების, მტკიცეა ყოველი განჩინება ჩემი. ბლანმ, მიწების მფლობელმა, — რამეთუ იგი მეფის მოდგმისა-

არის, — თავის სახლში წამიყვანა მე და მე ბევრი რამ შევითვისე მისი წყალობით. მე კონხობარის ერს ვაწვევ ხოლმე ხელმწიფესთან. მე მთელ შვიდეულს ვსაუბრობ მათთან, განვსაზღვრავ მათ უნარს და ჯურიგებ მათ წყალობას. მე მათ ვეხმარები ღირსების საქმეთა განსჯაში და ვაწვევ ღირსების ურვადს. ხოლო ფერგუსის წვრთის წყალობით მე აღვივსე ისეთი სიძლიერით, რომ უძლიერესთ ვამარცხებ მეზობლებს. მე ამაყი ვარ ჩემს ძლიერებაში და უყოველოს ძალმიძს დავიცვა ქვეყნის სამანები. მე უყოველო განვიკითხავ ყოველთა უპოვართა და ყოველი ძლიერი მეზობლის საბრძოლო ბლისკინი ვარ მე. მე ვიცავ შეურაცხყოფილთ და სასჯელს ვადებ ბრალისათვის ძლიერთა ამა ქვეყნისათა. ფერგუსთან წვრთის წყალობით შევიძინე ყოველივე ეს. მომღერალ ამარგენის მუხლებთან ვიჭექ ნიადაგ და იმიტომ ძალმიძს განვადიდო მეუფე ჩვენი, ხოტბა შევასხა მის დიდებულებას. იმიტომ ძალმიძს გავეჯობო სიგულოვნეში, სიბრძნეში, ლაზათიანობაში და უანგარობაში, ვისაც გნებავთ მთელ დუნიაზე. მე ქედს ვუხრი მხოლოდ კონხობარს, ბრძოლებში გამარჯვებულ ვაუკაცს. ფინდხომიმა ძუძუ მაწოვა მე და კონალ ძლევა მოსილი ძუძუ მტეა ჩემი. დედა დეხტირეს ხათრით კატბად პირმშვენიერმა გამწვრთა მე იმგვარად, რომ მე დავხელოვნდი დრუიდულ საქმეებში. და განვისწავლე მაღალ სიბრძნეში. მთელს ულადს უდევს წილი ჩემს. აღზრდაში — ვითარცა მეეტლეთ, აგრევე ეტლების მბრძანებლეთ, ვითარცა მეფეთ, აგრევე უზენაეს მომღერალთ; მე ვარ თვალისჩინი სპათა და ანდუზობათა, და მათი ღირსების დასაცავად ერთნაირად ვიბრძვი მე. სახელი და ღირსება მიბოძეს მე ლუგმა-კონდის ძემ, ეტლენის ძემ და დედა დეხტირემ ბრუგის სახლში. ახლა კი, ასულო, მიამბე, ვით იზრდებოდი შენ ლუგის წალკოტებში.

— ქეშმარიტად, ძნელი არ არის თქმა, — უპასუხა ასულმა. — მე ვიზრდებოდი უძველეს სათნოებებზე, სჯულიერ ზნეში, სიწმინდისა და მეფური ღირსების დაცვაში, ყოველგვარ ზნეკეთილობაში; მთელს ირლანდიაშია აღიარებული ჩემი მაღალი ღირსებები.

— მშვენიერია სათნოებანი ეგე, — იზრაბა კუხულაინდმა. — და ვინაითგან ასეა, რად არ უნდა შევვუღლდეთ ჩვენ? რამეთუ დღემდე ვერ ვპოვე ასული, რომელიც გვერდს დამიმშვენიებდა, ვითარცა სწორფერი.

— ერთ კითხვაზე უნდა მიპასუხო, ჭაბუკო, კიდეც, — თქვა ასულმა. — ხომ არ გყოლია მეუღლე ადრე?

— არასოდეს, — მიუგო კუხულაინდმა.

მაშინ იზრახა ასულმა:

— მე არ ძალმიძს გავთხოვდე მანამ, ვიდრე არ გათხოვდება უხუცესი დაჲ ჩემი, ფიალი, ასული ფორგალისა, იგი ჩინებულად ფლობს ხელსაქმეს.

— მე იგი როდი შევიყვარე, — ეზრახა კუხულაინდი. — თანაც, არა მსურს შევიერთო ცოლად ნაქმრევი დიაცი. მსმენია, რომ იგი ოდესღაც კაირპრე ნიაფერის მიჯნური ყოფილა.

საუბრის დროს კუხულაინდმა თვალი ჰკიდა ასულის ძუძუ-მკერდს, რომელიც პერანგის გულისპირიდან ამოიბურცა, და იზრახა კუხულაინდმა:

— მშვენიერია უტევანი ეგე, უტევანი კეთილსამღერი.

ეზრახა ასული:

— ვერავინ ხელჰყოს უტევანი იგი, ვინაც ვერ დასცეს მხედარი ასი, თანაც იმ ფონთან, რომელიც მდებარებს ოლბინეში, სკენმენის ფონსა და ბონხუაინგ არკაიტს შორის, სადაც მკვირცხლი ბრეა ფედელმის წარბს აპობს.

— მშვენიერია უტევანი ეგე, უტევანი კეთილსამღერი, — კვლავ იზრახა კუხულაინდმა.

— ვერავინ ხელჰყოს უტევანი იგი, — უპასუხა ასულმა, — ვინც ერთი ღარტყმით ვერ დაამხოს სამჯერ ცხრა მხედარი და თანაც ისე, რომ ყოველი ცხრა კაცის შუაში ცოცხალი დაუტეოს თითო კაცი.

— მშვენიერია უტევანი ეგე, უტევანი კეთილსამღერი, — კვლავ იზრახა კუხულაინდმა.

— ვერავინ ხელჰყოს უტევანი იგი, — უპასუხა ასულმა, — ვინც ვერ გაუმართოს ორთაბრძოლა ბენდ სუანს, როსკმელკის ძეს, ზაფხულის მიწურვილიდან, ვიდრე მოწვენამდე გაზაფხულისა, გაზაფხულიდან, ვიდრე მოწვენამდე ვარდობისა და ვარდობის მიწურვილიდან, ვიდრე ზამთრის მოწვენამდე.

— ისე ვიქმ, ვათარცა გთნავს, — იზრახა კუხულაინდმა.

— თუ ეს ასეა, მე მზადა ვარ მივიღო შენი წინადადება, — სთქვა

ემერმა. — მაგრამ ერთი შეკითხვა კიდევ: რომელ მოდგმას ეკუთვნო შენ?

— მე ძმისწული ვარ იმ მამრისა, ბოდოს ტევრებში რომ უჩინარდება, — უპასუხა კუხულაინდმა.

— სახელად რას გიხმობენ შენ? — ჰკითხა ასულმა.

— მე ვარ გმირი ძაღლთა მმუსრავე სენისა, — ეზრახა კუხულაინდი.

ამ მრავალსმეტყველი სიტყვების შემდეგ კუხულაინდი გაეცალა ასულს და იმ დღეს მათ მეტი აღარ უსაუბრიათ.

ოდეს კუხულაინდი ბრეგზე გავლით უკან ბრუნდებოდა, ლოიგმა, მისმა მეეტლემ, ჰკითხა მას:

— მამცნე, რას გულისხმობდი იმ სიტყვებში, ემერს რომ ეზრახე?

— განა არ უწყი, რომ მე ვირთავ ემერს? — უპასუხა კუხულაინდმა. — ჩვენ განგებ ვიზრახოდით მარაგით, რათა სხვა ასულები ვერ მიმხვდარიყვნენ ჩვენს ზრახვას და ჩემს განზრახვას. რამეთუ ფორგალმა თუ გაიგო განზრახვა ჩვენი, ჩვენ ვერ დავითანხმებთ მას.

და კუხულაინდმა გაუმეორა ლოიგს მთელი საუბარი თავიდან ვიდრე ბოლომდე. თანაც განუმარტა ყოველი სიტყვის აზრი, რათა შეემოკლებინა გზა. ასე ვლო კუხულაინდმა და მწუხრზე ემან-მანაში ჩააღწია.

ამასობაში მიწათმფლობელთა ასულებმა უამბეს თავიანთ მამებს იმ უცხო ჰაბუკზე, რომელიც მოიჭრა დიდებული ეტლით და ესაუბრა ემერს. გადასცეს საუბრის შინაარსი და თან დაურთეს, რომ ვერაფერი გაიგეს მათი საუბრიდან, და რომ ჰაბუკი საუბრის შემდეგ დაადგა ბრეგის ველს და ისწრაფა პირდაპირ ბორჩაისით. ხოლო მიწათმფლობელებმა ყოველივე ეს უამბეს ფორგალ ცბიერს.

— ჰეშმარიტად, — თქვა ფორგალ ცბიერმა, — ის დამთხვეული მოთრეულა ემან-მანადან და ასულს შეჰყვარებია იგი. მაგრამ ამან-მათი ცდა: მე წინ აღვუდგები მათ.

ამის შემდეგ ფორგალ ცბიერი გარმიანელად შეიმოსა და ემან-მანაში გაემგზავრა, თითქოს გალების მეფის ელჩი იყო კონხობართან წარგზავნილი, რათა გალური ღვინო, აღრალეების ქვები და სართი მიერთმია მისთვის. მას თან ახლდა ორი თანამგზავრი ელჩების სა-

ხით. მდიდრული შეხვედრა მოუწყვეს მათ კონსობარის სახლში. მესამე დღეს ფორგალმა თავისი ხალხი უკან გაისტუმრა და მარტო დარჩა ემაინ-მახაში. ერთ მშვენიერ დღეს ულაღებმა ხობა შეასხეს კუხულაინდს, კონალს და ეტლების სხვა მბრძანებლებს. ფორგალმა თქვა, რომ ჭეშმარიტად დიდებული მეომრები არიან ისინი და რომ მათ საოცარი საქმეები მოახდინეს მის თვალწინ, თანაც დასძინა, რომ არაფერი დაშავდებოდა, თუ კუხულაინდი წავა ალბში, დომნალ შემმართველთან, მაშინ ხომ იგი უფრო გასაოცარ საბრძოლო ხელოვნებას გამოავლენსო, ვიდრე ახლა. ხოლო თუ სკატახსაც ეახლება, მაშინ იგი სწორუპოვარი მხედარი შეიქმნებაო მთელს ევროპაში.

ფორგალმა კუხულაინდს იქ წასვლა იმიტომ ურჩია, რომ კუხულაინდი შინ ცოცხალი აღარ დაბრუნებულყო. იგი ჰგონებდა, რომ თუ კუხულაინდი მის ასულს შეირთავდა, მაშინ თავად ფორგალს დაღუპავდა მისი სიშეთე და სიშმაგე. კუხულაინდი დასთანხმდა ფორგალს და ფორგალმა აღუთქვა მას ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო მგზავრობისათვის, თუ იგი დაიძვროდა დათქმულ დროს. ამის შემდეგ ფორგალი შინ დაბრუნდა, ხოლო კუხულაინდი თანამგზავრებთან ერთად ალიონზე წამოდგა და წასასვლელად განემზადა.

გზაზე დაიძრნენ კუხულაინდი, ლიგაირე შემმუსვრელი და კონსობარი; ზოგნი ამბობენ, რომ თითქოს მათთან იყო კონალ ძლევაძისილიც. მათ, უწინარეს ყოვლისა, გადაიარეს ბრეგის ველი, რათა კუხულაინდს ერთხელ კიდევ ეხილა ემერი და ესაუბრა მასთან. ხომალდში ჩაჯდომამდე ერთხელ კიდევ ესაუბრა იგი ემერს და ასულმა მოუთხრო მას, რომ ემაინში იყო არა გარმიანელი, არამედ გარმიანელად გარდაცმული ფორგალი და სწორედ მან ურჩია კუხულაინდს სამხედრო საქმეების შესასწავლად წასვლა, რათა იგი და ემერი აღარასოდეს არ შეხვედროდნენ ურთიერთს. ასულმა გააფრთხილა კუხულაინდი, ფხიზლად იყავიო, რამეთუ ფორგალი ნიადაგ ესწრაფვისო შენს დაღუპვას. მიჯნურებმა ერთმანეთს შეჰფიცეს. რომ სიყვარულის ერთგულნი დარჩებოდნენ, თუ ერთ-ერთი არ მოკვდებოდა მანამდის. ისინი გამოეთხოვნენ ერთმანეთს და კუხულაინდი თანამგზავრებითურთ ალბისკენ დაიძრა.

ოდეს ისინი დომნალთან გამოცხადდნენ, დომნალმა მათ, უწინარეს ყოვლისა, შეასწავლა, თუ როგორ გაებერთ საბერველები

ბრტყელი და ნახვრეტიანი ლოდის ქვეშ მწოლარეთ. ისინი ამაზე იმდენს ვარჯიშობდნენ, რომ მათი ფეხის ქუსლები ბოლოს შავდებოდა ან ლურჯდებოდა. შემდეგ დომნალმა მათ ასწავლა ახალი ფანდი: მიწაში ჩარჭობილ შუბზე აძვრომა და მის დიბლიგზე ცალი ფეხით დგომა. მას სახელდებენ გმირის ლუნად შუბის დიბლიგზე, ანდა გმირის დგომად შუბის წვერზე.

მოხდა ისე, რომ დომნალის ასულს — დორნოლას — კუხულაინდი შეუყვარდა. ერთობ უსახური რამ იყო ასული დომნალისა: მუხლები ჰქონდა მსხვილი, ქუსლები — თითების ადგილას, ხოლო თითები — ქუსლების ადგილას, თვალები ჰქონდა რუხი და ამაზრზენი, სახე მურის ჯამივით შავი, შუბლი საზარლად ფართო, უხეში მწითური თმა ნაწნავებად შემოეგრავნა მახინჯ თავზე. კუხულაინდმა უარყო მისი სიყვარული და ასულმა დაიფიცა, სამაგიერო მიეზლო მისთვის.

დომნალმა კუხულაინდს უთხრა, რომ მისი ცოდნა სრული არ იქნებოდა, თუ იგი არ განისწავლებოდა სკატახთან, რომელიც ალბის აღმოსავლით მკვიდრობდა. მაშინ სამივე გმირი: კუხულაინდი, კონხობარი და ლოიგაირე შემემუსვრელი. დაადგნენ გზას. მაგრამ გზაში მათ იხილეს ემაინ-მახა; კონხობარმა და ლოიგაირემ იგრძნეს, რომ აღარ ძალედვათ გზის განგრძობა. დომნალის ასულმა დორნოლამ მოუვლინა მათ ეს მოჩვენება, რათა კუხულაინდისათვის ჩამოეშორებინა თანამგზავრები. სხვა ნაამბობის მიხედვით, იგი მოუვლინა მათ ფორგალ ცბიერმა, რათა აღეჩრა მათში უკან დაბრუნების სურვილი და ამრიგად კუხულაინდს ვერ აღესრულებინა ემაინში დადებული აღქმა. ხოლო თუ კუხულაინდი მარტოდმარტო დაიძრებოდა აღმოსავლით, რათა შეესწავლა საბრძოლო ფანდები, ცნობილი და უცნობი, — მაშინ იგი მარტოდ დარჩენილი უფრო ადვილად დაიღუპებოდა.

და აჰა, კუხულაინდი გამოეთხოვა ამხანაგებს და სრულიად მარტომ გასწია უცნობი გზით. დიდი იყო ძალა ასულისა, რომელიც მას ბოროტს უქადა და რომელმაც დააშორა იგი თანამგზავრებს.

სევდიანი და ქუში იყო კუხულაინდი. ამხანაგებს დაშორებული მარტოდმარტო ვიდოდა იგი გზაზე. ამასთანავე, მან არ უწყყოდა. რომელი გზით ევლო, რათა მიეკვლია სკატახის კვალისათვის. მაგრამ ამხანაგებთან გამოთხოვებისას მან ფიცი დასდო, რომ ცოცხალი არ

დაბრუნდებოდა ემან-მახაში, თუ საწადელს ვერ მიაღწევდა; ან იპოვიდა სკატახს, ანდა მოკვდებოდა. გზადაბნეულმა და უნუგეშომ საშინლად მოიწყინა. ასეთ ყოფაში მყოფმა უცებ იხილა უზარმაზარი და საზარელი მხეცი. იგი ლომს წააგავდა და მას უახლოვდებოდა. მხეცი გულმოდგინედ უთვალთვალებდა კუხულაინდს და არაფერს ვნებდა. შემდეგ იგი წინ გაემართა, თანაც უკან იხედებოდა, მოჰყვებოდა თუ არა კუხულაინდი. კუხულაინდი ჭერ უკან მისდევდა მხეცს, შემდეგ კი ზურგზე შემოახტა და ასე განაგრძო გზა. იგი როდი გეზავდა ნადირს, არამედ ნებაზე მიუშვა, რათა ეარა საითაც მოისურვებდა. ასე იხეტიალეს მათ ოთხ დღეს, ვიდრე არ მიაღწიეს დასახლებული ადგილების უკიდურეს სამანებს და არ მიაღდგნენ პატარა კუნძულს. კუნძულზე ცხოვრობდნენ ჭაბუკი მხედრები. იმ დროს ისინი პატარა ტბაში ბანაობდნენ და იხილეს თუ არა ასეთი უცნაური სანახაობა, რომ გარეული ნადირი ადამიანს ემსახურებოდა, თავშეუქავებელი სიცილი აუფარდათ. კუხულაინდი ჩამოხტა მხეცის ზურგიდან და გამოეთხოვა მას. მხეცი გამოთხოვების შემდეგ თვალს მიეფარა.

კუხულაინდმა განაგრძო გზა და სულ მალე დიდ სახლს მიაღწა, რომელიც ორმა ხევში იდგა. სახლში ცხოვრობდა ლამაზი ასული; იგი მიესალმა ახალმოსულს:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, კუხულაინდ!

კუხულაინდმა ჰკითხა ასულს, საიდან მიცნობო. ასულმა მიუგო, ჩვენ ორივენი ულბეკან საქსის საყვარელი შეგირდები ვიყავითო.

— ჩემი იქ ყოფნის უამს შენ გალობას სწავლობდი, — დასძინა ასულმა.

შემდეგ ასული კუხულაინდს გულუხვად გაუმასპინძლდა. კუხულაინდი კარგად დანაყრდა და გზას გაუდგა. გზაზე მას შემოხვდა ჭაბუკი მხედარი და თავაზიანად მიესალმა. კუხულაინდმა ჰკითხა მას, როგორ მივიდეთ სკატახის ციხე-დარბაზამდე. ჭაბუკმა კუხულაინდს გზა ასწავლა: მას უნდა გაევილო ფათერაკების ველი, რომლის შუამდე მღზავრის ტერფები მჭიდროდ ეკვროდა მიწას, შემდეგ კი ხარობდა მაღალი და მაგარი ბალახი. ბალახის კენწეროები არ იდრიკებოდნენ და ამრიგად იმაგრებდნენ გამგელის ტერფებს. ჭაბუკმა კუხულაინდს მისცა ბორბალი და ვაშლი: ველის შუამდე იგი უნდა მიჰყო-

ლოდა გაგორებულ ბორბალს, შემდეგ კი გაგორებულ ვაშლს. ამგვარად უნდა მიეღწია ველის ბოლომდე.

ჭაბუკმა კუხულაინდი გააფრთხილა, რომ შემდეგ იგი მოხვდებოდა ვრცელ დაბლობზე, რომელზედაც მიემართებოდა ვიწრო ბილიკი. ბილიკი საესე იქნებოდა ურჩხულებით, რომლებიც მოუვლინა. მას ფორგალ ცბიერმა, და რომ ამის შემდეგ სკატახის სახლისკენ მიმავალი გზა გადადიოდა შემამარწუნებელი სიმაღლის ქედზე. ბოლოს, უცხო ჭაბუკი, რომლის სახელი იყო ოხუ ბაირხე, დაემშვიდობა კუხულაინდს.

კუხულაინდი გზას დაადგა. გადაიარა ხიფათის ველი, აგრეთვე ფათერაკთა დაბლობი და ბოლოს მიაღწია იმ ადგილს, სადაც შეკრებილნი იყვნენ სკატახის შეგირდები. მან ჰკითხა შეგირდებს, სად იყოფებოთ თავად სკატახი.

— იმ კუნძულზეა, — უპასუხეს მათ.

— რომელი გზით შეიძლება იქ მოხვედრა? — იკითხა მან.

— ჩავარდნის ხილით, — იყო პასუხად, — რომლის გადავლაც ძალუძს მხოლოდ მას, ვისაც დიდი და გმირული საქმეები ჩაუდენია ამქვეყნად.

აი, რარიგ იყო გამართული ეს ხიდი: ხიდის ორივე ბოლო ეშვებოდა დაბლა, ხიდის წელი კი მაღლა იზნიქებოდა; როცა ვინმე ფეხს ადგამდა ხიდის ერთ ბოლოზე, მეორე ბოლო მკვეთრ იწევდა მაღლა და ხიდზე მავალი ვარდებოდა უკან. სამგზის სცადა კუხულაინდმა ხიდზე გადასვლა, მაგრამ სამგზისვე გაწბილდა. ყველამ მასხარად აიგდო გმირი. უსაზღვრო მძვინვარებამ შეიპყრო მაშინ კუხულაინდი და ანაზნად სასწაულებრივად დამახინჯდა. ჰაერში შეჰკრა ორაგულის გმირული კამარა და მეყვესეულად ხიდის შუაში აღმოჩნდა. ხიდის წინა ბოლომ ველარ მოასწრო მთლიანად აწევა, რათა კუხულაინდი გადმოეგდო უკან, და კუხულაინდი მშვიდობიანად გადავიდა კუნძულზე.

იგი მიადგა სკატახის ციხე-დარბაზს, ხელთ იპყრა ვეებერთელა ლიბანდაკი და მისი ტარი ისეთი ძალით აძგერა ალაყაფის კარებს, რომ კარები შუაზე გაგლიჯა. ეს ამბავი მყის აცნობეს სკატახს.

— ჭეშმარიტად, ეს არ არის კაცი, რომელსაც ადრეც ჩაუდენია სახელოვანი საქმეები, — სთქვა მან.

სკატახმა კუხულაინდთან წარგზავნა თავისი ასული, სახელად უატახი, რათა ენახა უატახს, თუ ვინ იყო ჭაბუკი იგი. ასული წავიდა კუხულაინდთან სასაუბროდ, მაგრამ მივიდა თუ არა, სიტყვის დაძვრაც კი ვერ მოახერხა, ისე აღაფრთოვანა იგი ჭაბუკი მეომრის სილამაზემ. მაშინ ასული დაბრუნდა დედასთან და მოჰყვა უცხო ჭაბუკის ხოტბას.

— ხომ არ შეგიყვარდა ჭაბუკი იგი? — ჰკითხა დედამ.

— დიდაც შემიყვარდა, — უპასუხა ასულმა, — ამ ღამით იგი გაიზიარებს ჩემს სარეცელს და დაიძინებს ჩემს გვერდით.

— იყავნ ნება შენი, — მიუგო დედამ.

ასულმა კუხულაინდს წყალი მოუტანა ხელის დასაბანად, ჰამადი მოართვა და, საერთოდ, ჩინებულად მოემსახურა. კუხულაინდმა ანაზღად ხელი ხელზე დაჰკრა უატახს და თითი მოსტეხა. უატახმა სიმწრისაგან შეჰკივლა. კივილზე ცინე-დარბაზში მყოფი მხედრები მოცვივდნენ. კოხორ კრუფე — სკატახის სამსახურში მყოფი ძლიერი მხედარი — შეება კუხულაინდს, და კოხორ კრუფე დაეცა კუხულაინდის ხელით. ერთობ დაამწუხრა სკატახი კოხორ კრუფეს სიკვდილმა. მაშინ კუხულაინდმა აღუთქვა სკატახს, რომ იმ მხედრის მაგიერ ემსახურებოდა ერთხანს.

სამი დღის შემდეგ უატახმა ურჩია კუხულაინდს:

— რადგან აქ საბრძოლო ხელოვნების შესასწავლად მოსულხარ, აი, რა უნდა ქნა შენ: წადი და ნახე სკატახი, რომელიც ამჟამად თავის ვაჟებს კუარსა და ეტეს წვრთის. ორაგულის გმირული კამარა შეჰკარ და ურთხელის ჭალაში გადაეშვი, სადაც სკატახი იმყოფება. უწყოდე: ახლა მას სძინავს. მიეახლე, ხმალი მკერდზე მიაბჯინე და სამი საქმის აღსრულება მოითხოვე მისგან. პირველი — დაე, მან შეგასწავლოს საბრძოლო ხელოვნება სრულად, მცირედის დაუფარავად. მეორე — დაე, მან ჩემი თავი მოგცეს ცოლად და შენ მომართმევ მე საქორწინო ძღვენს, როგორც მოითხოვს წესი. მესამე — დაე, მან გიწინასწარმეტყველოს ყველაფერი, რაც კი ცხოვრებაში შეგემთხვევა, რამეთუ მან უწყის მომავალი.

და მართლაც, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უატახმა უწინასწარმეტყველა.

იმ დროს, როცა კუხულაინდი ალბში ცხოვრობდა, როგორც უა-

ტახის ქმარი, ირლანდიაში ასეთი ამბავი მოხდა. მუმანის ერთი სახელოვანი მხედარი, გვირგვინოსანი მეფე, ლუგაიდ ნოისი, ძე ალამა-კისა, ქუძუმტე კუხულაინდისა, დასავლეთიდან ტემრას ეწვია. მას თან ახლდა ეტლების ფორმეტი მბრძანებელი, რომლებიც მაკ-როსის ტომის თორმეტ ასულზე უნდა დაექორწინებინა. მაგრამ თორმეტივე ასული უკვე სხვებისთვის ჰყოლოდათ გარიგებული. ოდეს ფორგალ ცბიერმა ეს ამბავი შეიტყო, ჩავიდა იგი ტემრაში და მოახსენა ლუგაიდს, რომ მის სახლში არის ერთი ასული, ასული მისი, რომელიც სჯობნის ირლანდიის ყველა ასულებს, როგორც სილამაზით, ისე სიწმინდით და ხელსაქმის ოსტატობით. ლუგაიდმა თქვა, რომ ასული იგი მისი შესაფერისი იქნებოდა. ფორგალმა დაუყოვნებლივ გაურიგა ასული. ლუგაიდს, ხოლო იმ თორმეტ თავადს, ლუგაიდს რომ ახლდნენ, მან გაურიგა ბრეგის მიწათმფლობელთა თორმეტი ასული.

ლუგაიდი ფორგალთან ერთად მისი ციხე-დარბაზისაკენ გაემართა, რათა იქ ქორწილი გადაეხადა. ქორწილზე ემერიც მოიყვანეს და ლუგაიდის გვერდით დასვეს. ემერმა ორივე ხელი სახეზე აიფარა, თავისი ნამუსი და სიცოცხლე დაიფიცა და განაცხადა, რომ მას უყვარს კუხულაინდი და თუ მას სხვა ვინმეს შერთავენ, ეს იქნება მისი ღირსების დამცილება. ლუგაიდმა კუხულაინდის შიშით, ემერის შერთვა ველარ გაბედა და ხელცარიელი დაბრუნდა უკან.

იმჟამად სკატახს ომი ჰქონდა მეზობელ ტომებთან, რომელთაც მბრძანებლობდა დედოფალი, სახელად აიფე-ერთხელ ორივე მხარე საომრად განეწყო. სკატახმა ძილის წამალი დააღვეინა კუხულაინდს, რათა ომში წასვლის საშუალება არ მიეცა მისთვის. მას ეშინოდა, რაიმე არ შემთხვეოდა კუხულაინდს. მაგრამ არ გასულა ერთი საათიც კი და კუხულაინდმა ძილი განიფრთხო. სასმელმა, რომელიც სხვებს რამდენიმე დღე-ღამით აძინებდა, მასზე იმოქმედა მხოლოდ ერთი საათით. კუხულაინდმა და სკატახის ორმა ძემ ბრძოლად გამოიხმეს აიფეს სამი ძე. მაგრამ მოხდა ისე, რომ კუხულაინდი მარტო შეებრძოლა მათ და სამივენი უსულოდ დაჰყარა. //

მეორე დღით ომი კვლავ განახლდა. გახელებით ეკვეთნენ ერთმანეთს მამაცი მხედრები, მიეჯარნენ ერთმანეთს და ერთ ჯარად იქცნენ. ეის ენხენის სამი ძე — კირე, ბირე და ბაილქნე — ბრძოლად გამოვიდნენ სკატახის ორი ძის წინააღმდეგ. გმირობის ბილიკით გაე-

მართნენ მორკინალნი ურთიერთ შესახვედრად. კენესა აღშოხდა სკატახს, რამეთუ არ უწყოდა, რით დასრულდებოდა ეს რკინება. მას აღარდებდა ის, რომ მის შვილებს გვერდით არ ედგათ მესამე ასაბია, რათა შერკინებოდნენ სამ მორკინალს. აგრეთვე ფრიადი შიში ებადა აიფესი, რომელიც უგულოვნესი მებრძოლი იყო მთელს დედამიწაზე. მაგრამ კუხულაინდმა მიუსწრო სკატახის ძეთ. თვითონ დადგა გმირობის ბილიკზე, მარტო შეეგება მტრებს და აიფეს სამივე ძე უსულოდ დაჰყარა.

მაშინ თავად სკატახი გამოიხმო აიფემ ბრძოლად. მაგრამ სკატახის ნაცვლად კუხულაინდი მიეგება აიფეს. ბრძოლის წინ კუხულაინდმა ჰკითხა სკატახს, ყველაზე მეტად რა უყვარდა აიფეს ამქვეყნად. სკატახმა რქვა მას:

— ყველაზე მეტად ამქვეყნად აიფეს უყვარს თავისი ორი ბედაური, ეტლი და მეეტლე.

მორკინალნი გმირობის ბილიკზე გამოვიდნენ და დაიწყო მათი ორთაბრძოლა. აიფემ ხმალი ვადაში გადაუმსხვრია კუხულაინდს. მაშინ იძახა კუხულაინდმა:

— ავაჰმე! აიფეს მეეტლე, ბედაურები და ეტლი ველზე აყირავდნენ და დაიღუპნენ!

კუხულაინდის ძახილზე მკვეთრ მიიხილა აიფემ და კუხულაინდო წამსვე დააცხრა დიაცს, ხელები ილღიებში უტაცა, ტომარასავით ზურგზე მოიგდო და თავისი ლაშქრისაკენ გააქანა. შემდეგ მიწაზე დააკვეთა და შიშველი მახვილი აღმართა მის თავზე.

— სისხლი სისხლისა წილ, ო კუხულაინდ! — შეკბლავლა აიფემ.

— აღმითქვი აღსრულება სამი მოთხოვნისა! — ეზრახა კუხულაინდი.

— მარქვი და აღგისრულებ, — უპასუხა აიფემ.

— აი, ჩემი სამი მოთხოვნა, — იზრახა კუხულაინდმა. — შენ უნდა მისცე მძევლები სკატახს და აღარასოდეს ეომო მას. შენ უნდა გახდე ჩემი ცოლი ამავე ღამეს, შენივე ციხე-დარბაზის წინ. და ბოლოს, შენ უნდა მიშვა ვაჟი.

— აღსრულდეს! — წარსთქვა აიფემ.

აღსრულდა კიდევ. აიფემ მუცლად ილო კუხულაინდისაგან და შვა ვაჟი.

— შეიდი წლის შემდეგ, ზუსტად ამავე დღეს, მე მას გამოგვზავ-
ნი ირლანდიაში, — იზრახა აიფემ. — მარქვი, რა დავარქვა მას.

კუხულაინდმა აიფეს ოქროს ბეჭედი გადასცა და უბრძანა: ვაჟი
მამის საძებრად გამოეშვა მაშინ, ოდეს ვაჟს ბეჭედი თითზე მოერგე-
ბოდა. ვაჟისათვის დაერქმია კონდლა და გადაეცა მისთვის სამი აკრ-
ძალვა: არსად გაემხილა თავისი წარმოშობა, არავისთვის დაეთმო გზა
და არავისთვის ეთქვა უარი ბრძოლაზე. ამის შემდეგ კუხულაინდი
სკატახის სახლისაკენ გაემართა.

გზაზე, რომლითაც იგი უკან ბრუნდებოდა, მას შემოხვდა მოხუ-
ცი დიაცი, მარცხენა თვალით ელაში. ევედრა დიაცი კუხულაინდს,
გვერდით მიმდგარიყო და გზა დაეთმო. კუხულაინდმა უპასუხა, ვერ-
სად ვერ დავდგამო ფეხს, თვინიერ ზღვაზე გადმოკიდებული კლდი-
სა. კუხულაინდმა მაინც დაუთმო გზა მოხუცს, თუმცა ამისათვის მას
შოუხნდა დაყრდნობოდა მუწას მხოლოდ ფეხის თითებით. როცა დი-
აცი კუხულაინდს გვერდით ჩაუარა, უეცრად ფეხი დაჰკრა მას ფე-
ხის თითებზე, რათა კლდიდან გადაეგდო. კუხულაინდმა უმაღ შე-
ნიშნა ეს, ჰაერში ორაგულის კამარა შეჰკრა და დედაბერს თავი წა-
აცალა. დიაცი იგი იყო ეის ენხენი, იმ სამი მეომრის დედა, კუხუ-
ლაინდის ხელით რომ დაეცნენ; მან განზრახ მოაწყო ეს შეხვედრა,
რათა მოეკლა კუხულაინდი.

სკატახის ლაშქარი კუხულაინდთან ერთად თავის ქვეყანაში მიიქ-
ცა. აიფემ მძევლები გაატანა სკატახს. კუხულაინდმა ერთხანს კიდევ
დაჰყო სკატახთან, ომში მიღებულ ჭრილობებს იშუშებდა. ბოლოს
მან შეისწავლა საბრძოლო ხელოვნების ყველა ფანდი: ფანდი ვაშ-
ლით, ფანდი ხმლის პირით, ფანდი შუბით, ფანდი საბელით, ფანდი
რქის შუბით, ფანდი ბორბლით, საბრძოლო გრგვინვის ფანდი, გუ-
ლაღმა მოძრაობის ფანდი, ეტლის მბრძანებლის გრიგალის ფანდი,
სისწრაფის ფანდი, ძლიერი ახიოს ფანდი. მცელავი ეტლის ფანდი,
კატის ნახტომი, ორაგულის კამარა, ლატანის ტყორცნა, გამირული
ყივილი, გამირული დარტყმა და შემხვედრი დარტყმა, შუბზე სირბი-
ლი და მის დობლივზე დგომა, გამირული ღუნის შუბის წვერზე. ამის
შემდეგ კუხულაინდს სამშობლოდან ელჩები ეწვივნენ, რათა იგი
უკუმოეხმოთ, და კუხულაინდიც დაადგა გზას.

წასვლის წინ სკატახმა უწინასწარმეტყველა კუხულაინდს ყვე-

ლაფერი, რაც კი ცხოვრებაში უნდა შემთხვევოდა. სკატახმა უმღერა-
მას სიმღერა ნათელმხილველი ბრძენი დიაცისა და ასეთი იყო სიტყ-
ვები მისი:

სალამი შენდა, ჰოი გმირო ძალგულოვანო!
თავს გარდაგხდება ბევრი ბრძოლა და ორთაბრძოლა,
ოდეს ბრეგიდან გაიტაცებ ძროხების ჯოგებს,
სახელოვანო მბრძანებელო შმაგი ეტლების!

ცხოვრების გზაზე ფათერაკი მოგელის ბევრი:
სრულიად მარტო შეებმები უთვალავ ლაშქარს
და კრუხანის ველურსა და ბოროტ მხედრობას
შენ უძლეველით დაამხობ მკლავით.

აღბელთ ყურამდე მივა შენი სახელი დიდი,
შორეულ ქვეყნებს მოედება შენი დიდება.
შენ ოცდაათ წელს მოუღლეელი იქუხებ ასე,
ბოლოს სამანი დაედება გმირობას შენსას.

ამის შემდეგ კუხულაინდი ხომალდში ჩაჯდა და ირლანდიისკენ
დაიძრა. ხომალდზე იმყოფებოდნენ აგრეთვე: ლუგაიდი, ლუანი,
ლოხის ძენი, ფერბაიტი, ლარინი, ფერდიადი და დურსტი ძე სერბი-
სა. ისინი მიადგნენ რუადს, კუნძულთა მეფეს, რომელიც იმჟამად
სამაინზე მოილხენდა. მათ იქ დახვდათ კონალ ძლევაგოსილი და ლო-
იგაირე შემმუსვრელი. ისინი ურვადის აკრეფით იყვნენ გართულნი,
რამეთუ იმხანად გამრიელთა კუნძულები ურვადს უხდიდნენ ულადს.
კუხულაინდს მეფის ციხე-დარბაზიდან ანაზღად მოთქმა შემო-
ესმა.

- ვინ მოსთქვამს? — იკითხა კუხულაინდმა.
- ულადნი რუადის ასულს ურვადად აძლევენ ფომორებს.
- სად ჰგოეს ასული იგი?
- ქვემოთ, წიაღკერძო.

კუხულაინდი მივიდა ნაპირთან და იხილა ასული იგი. მან გამოჰ-
კითხა ასულს მიზეზი ურვისა და ასულმაც წვრილად უამბო ყოვე-
ლივე.

— რომელი მხრიდან მოვლენ ფომორები შენს წასაყვანად? — ჰკითხა კუხულაინდმა.

— იმ შორეული კუნძულიდან, — მიუგო ასულმა. — აქ ნუ დარჩები, — დასძინა მან, — მეკობრენი შეგნიშნავენ.

კუხულაინდი მაინც დარჩა ასულთან. ფომორების მოსვლას დაელოდა და ცხარე ბრძოლაში მოკლა სამი ფომორი. მესამე ფომორმა იგი მაჯაში დაჰკოდა და ასულმა კუხულაინდს თავისი კაბის ნაჭრით შეუხვია ჰრილობა. შემდეგ კუხულაინდი ისე წავიდა, რომ ასული-სათვის თავისი ვინაობა არ გაუძხელია. მაშინ ასული მიიქცა ციხე-დარბაზში და მოუთხრო მამას ყოველივე, რაც შეემთხვა. მალე ციხე-დარბაზს კუხულაინდიც ეწვია, როგორც უბრალო გამვლელი სტუმარი. კონალი და ლოიგაირე მიესალმნენ კუხულაინდს. მათ ვერ იცნეს იგი. ბევრი იქ მყოფი მხედარი იჩემებდა ფომორების მოკვლას. მაგრამ ასული არ სცნობდა მათ. მაშინ ბრძანა მეფემ, გაეხურებინათ აბანო. აბანო გაახურეს და ყველამ იწყო რიგრიგობით მურკვნა. როცა ჭერი კუხულაინდზე მიდგა, ასულმა იცნო იგი და ფომორების მკვლელად აღიარა.

— ჰაბუკო, ასულს ცოლად შეგრთავ და მდიდრულ მზითვესაც გაგატან, — რქვა მეფემ.

— ეს მე არ შემფერის, — მიუგო კუხულაინდმა. — მაგრამ თუ იგი თანახმაა, მაშინ ერთი წლის შემდეგ, ზუსტად ამავე დღეს, გამოცხადდეს ასული ირლანდიაში: იგი იქ მპოვებს მე.

შემდეგ კუხულაინდი მიიქცა ემაინში და წვრილად მოუთხრო მეგობრებს მთელი თავისი თავგადასავალი. ოდეს საქმეთგან მოიცალა, კუხულაინდი ფორგალის ციხე-დარბაზისაკენ გაემართა. მთელი წელი დაჰყო მან ციხე-დარბაზის სანახებში, მაგრამ ვერასგზით ვერ შეაღწია ემერთან. ციხეს აურაცხელი გუშაგი იცავდა. წლის უკანასკნელ დღეს კუხულაინდი მივიდა თავის მეეტლესთან და ეზრახა მას:

— ლოიგ, დღესათვის პაემანი გვაქვს დანიშნული რუადის ასულთან. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, სად მოვა ასული იგი, რამეთუ არ დაგვიტყვამს შეხვედრის ადგილი. გავსწიოთ ზღვის ნაპირისკენ.

მათ გასწიეს ზღვის ნაპირისაკენ და ოდეს ლოხ კუანს მიაღწიეს, ზღვაზე გამოჩნდა ორი ფრინველი. კუხულაინდმა შურდულში ქვა

ჩასდო, დაუმიზნა ფრინველს, სტყორცნა და მოახვედრა. ფრინველები ნაპირზე დაეშვნენ და ისინიც მათკენ გაეშურნენ. ოდეს ისინი ახლოს მივიდნენ, მათ იხილეს ორი დიაცი, ულამეზესნი მთელს ღუნი-აზე. ისინი იყვნენ დერბორგილი, ასული რუადისა, და მხევალი მისი.

— ბოროტი საქმე ჰქმენ შენ, კუხულაინდ, — რქვა მეფის ასულ-ნა, — ჩვენ მოვედით შენთან, შენ კი ქვა გვესროლე.

მაშინ კუხულაინდმა ამოწოვა ასულს სხეულში ჩაჭედილი ქვა შედედებულ სისხლთან ერთად.

— მე უკვე უფლება აღარა მაქვს ცოლად შეგირთო, რამეთუ ვი-გემე სისხლი შენი, — რქვა კუხულაინდმა. — მაგრამ მე შენ შეგრ-თავ ჩემს მეგობარს, რომელიც თან მახლავს. ლუგაიდს შეგრთავ მე შენ, სისხლიანი ნახმლევების ლუგაიდს. |

ამის შემდეგ კუხულაინდმა გადაწყვიტა, თავს დასხმოდა ფორ-გალს. ამჯერად მას ცელებიანი ეტლი შეუკაზმეს. კუხულაინდი ციხე-დარბაზს მიუახლოვდა, ჰაერში ორაგულის გმირული კამარა შეჰკრა, სამ გალავანს თავს გადაეველო და ციხე-დარბაზის ეზოში აღმოჩნდა. სამი დარტყმა აგემა მან ეზოში მყოფ სამჯერ ცხრა მხედარს და ყო-ველი დარტყმით დაამხო რვა-რვა მხედარი, ხოლო ყოველი ცხრიდან თითო-თითო უვნებლად დატოვა: კერძოდ, ემერის სამი ძმა: სკიბუ-რი, იბური და კატი. ფორგალიც გადაეველო ციხე-დარბაზის ხანდაკს, მაგრამ დახტომისას ბედიტად დაეცა და სასიკვდილოდ დაშავდა. ამის შემდეგ კუხულაინდმა წამოიყვანა ემერი და მისი ძუძუმტე, თან წამოიღო ოქროსა და ვერცხლის უამრავი სამკაული.


მღევრებმა დასცეს ყიჟინა ყოველი მხრიდან. სკენმენი — და ფორგალისა, — შეებრძოლა კუხულაინდს. კუხულაინდმა დასცა იგი ფონთან, რომელსაც ამის გამო სკენმენის ფონი უწოდეს. შემდგომ ამისა, მათ მიაღწიეს გლონდატს, სადაც კუხულაინდმა მოსრა ასი მღევარი.

— დიდი გმირობა ჩაიდინე შენ, კუხულაინდ, ასი ძლიერი მებრ-ძოლი რომ დაეც, — რქვა მას ემერმა.

შემდეგ მღევრები წამოეწივნენ მათ ბოინის იმფუატის ფონთან. ემერი ეტლიდან ჩამოვიდა და კუხულაინდი დიდხანს მიერეკებოდა მღევრებს მდინარის გასწვრივ. მისი ბედაურების ფლოქვებიდან გაფრენილი მიწის გორახები ფონს გადაღმა მიფრინავდნენ ბორჩა-

ისით. შემდეგ მან მღევრები მიაბრუნა და ბორჩაისით გარეკა. ამჯერად ბედაურების ფლოქეებიდან გაფრენილი მიწის გორახები ფონს გადალმა მიფრინავდა თემანით. იმის გამო, რომ გორახები მიფრინავდნენ ორივე მხარეს, ეს ადგილი იწოდება ორმხრივი გორახების ფონად. და შემდეგ ყოველ ფონთან, ალბინესთან მყოფი სკენმენის ფონიდან მოკიდებული, ვიდრე ბრეგის ბონამდე, კუხულაინდი ამხობდა ასობით მღევარს და ამრიგად ავლენდა იმ გმირობას, ემერს რომ აღუთქვა. მთელი და უვნებელი გამოვიდა იგი ამ ბრძოლებიდან და მიმწუხრზე ემან-მახას უწია.

ოდეს ემერი წითელი ტოტის სახლში შეიყვანეს და წარუდგინეს კონხობარსა და ულადელ ვაჟაკებს, ყველანი თავაზით მიესალმნენ მას. კუხულაინდმა ემერი ცოლად შეირთო და ისინი სიკვდილამდე აღარ დაცილებულან.



საპილან

„ხარის გატაცება კუალნგედან“

საუბარი ძილის წინ

ერთხელ, როდესაც კრუახან კონახტელის ციხე-სიმაგრეში აილილისა და მედბისათვის განამზადეს ხელმწიფური სარეცელი, ძილის წინ ასეთი საუბარი წამოიწყეს მათ:

— ნინველავ, — იზრახა აილილმა, — სმენა მომაპყარ, ჭეშმარიტ სიტყვას მოგახსენებ: კარგია ცოლობა ღირსეულ მამრისა.

— ჭეშმარიტად კარგია, — მიუგო ასულმა. — მაგრამ რად უბნობ შენ აგრე?

— იმად ვუბნობ, — განაგრძო აილილმა, — რომ შენ დღეს უკეთესი ხარ, ვიდრე ქორწინების დღეს.

— მე შენამდეც კარგი ვიყავ, — ეზრახა მედბი.

— ჩვენ რაღაც არ გვსმენია შენი ღირსებები, — რქვა აილილმა, — თუ არ ჩავთვლით მითქმა-მოთქმას იმ მემკვიდრეობაზე, რომელიც შენ გელოდა, და აგრეთვე, იმ გაუთავებელ დავას შენს მტერ-მოყვარეთა შორის, და როგორ გამოეძალოთო მედბს.

— მსგავსი არაფერი ყოფილა, — წარსთქვა მედბმა. — მამაჩე-

მი, ეოხო ფედლები, ძე ფინისა, რომელსაც ჰყავდა სახელოვანი წინაპრები: ფონდომანი, ძე ფინდენისა, ფინდგუნა, ძე როგერ როაო-სა-რიგენი, ძე ბლატახტისა და ენ აგენი, ძე ანგუს ტურბენისა, იყო უზენაესი ხელმწიფე ირლანდიისა. ექვსი დიდებული ასული ესვა მას: დერბრიუ, ეტნე, ელე, კლოტრუ, მუგანი და მედბი, და მე, მედბი, უმაღლეს და უკეთილშობილეს ვიყავ მათ შორის. მე ვიყავ ყველაზე ზრდილი და გულუხვი, შეუდარებელი ვიყავ მე მხედარი. მე მემსახურებოდა ლტოლვილთა ათას ხუთასი ძე და ამდენივე ძე ადგილობრივ დიდებულთა, ვითარცა ხელმწიფის სპა. და კიდევ ათ-ათი მებრძოლი თვითეულ მებრძოლზე, და კიდევ რვა-რვა თვითეულზე. და კიდევ შვიდ-შვიდი თვითეულზე, და კიდევ ექვს-ექვსი თვითეულზე, და კიდევ ხუთ-ხუთი თვითეულზე, და კიდევ სამ-სამი და ორორი თვითეულზე, და კიდევ თითო-თითო თვითეულზე. ასეთი იყო ჩემი ჩვეულებრივი ამაღა და მის შესანახად მამაჩემმა მიბოძა მე ირლანდიის ერთ-ერთი მეხუთედი—კრუახანი,¹ და სწორედ ამისთვის შემარქვეს მე კრუახანელი მედბი. მე შუამავლებს მიგზავნიდნენ ლაგენის ხელმწიფე ფინი, ძე როს რუადისა, ტემრას ხელმწიფე კაირპრე ნიაფერი, ძე როს რუადისა, ულადის ხელმწიფე კონხობარი. ძე ფახტნა ფატახისა, და აგრეთვე, ეოხო ბეკი, მაგრამ მე არც ერთის ცოლობა არ ვისურვე. რამეთუ მოვითხოვე მე განსაკუთრებული საქორწინო სანიჰარი, როგორიც ჯერ ირლანდიის არც ერთ ასულს არ მოუთხოვია თავისი ქმრისაგან, კერძოდ — ჩემს ქმარს არ უნდა ჰქონოდა მცირედი სიძუნწე, მცირედი ეჭვი და შიშიც მცირედი. თუ ჩემი ქმარი იქნებოდა ძუნწი, მაშინ ჩვენ ერთად ცხოვრება არ გვეწერა რამეთუ აღვემატებოდი მას და ჩემი სათნობა და სიუხვე მიზეზი გახდებოდა მისი დაცინვისა. თუ ჩემი ქმარი იქნებოდა მხდალი, მაშინ აგრეთვე არ გვეწერა ჩვენ ერთად ცხოვრება, რამეთუ მე მარტო გავიდოდი საასპარეზოდ და ბრძოლად და ხალხი მასხარად აიგდებდა მას. ხოლო თუ ჩემი ქმარი იქნებოდა ეჭვიანი, მაშინ ჩვენ აგრეთვე არ გვეწერა ერთად ცხოვრება, რამეთუ აროდეს ყოფილა, ჩემს ფჯალში ერთი მამრი დაეჩრდილა მეორე მამრს. და აი მე ბოლოს და ბოლოს ვიპოვე ჩემი შესაფერისი ქმარი. ეს იყავ შენ, აილილ, როს რუად ლაგენელის ძე: შენ ძუნწი არ იყავ, არ იყავ ეჭვიანი და არცა მხდალი. მე დავდე შენთან ხელშეკრულება და მოგეც შენ საქორწინ-

ნო სანიჰარი, რომელიც ხამდა მიელო ცოლს, ვიდრე ქმარს, კერძოდ, — სრული საომარი აღჭურვილობა თორმეტი კაცისათვის, ეტლი თორმეტ მონად ღირებული და შენი მარცხენა ხელის ნების სიფართო ოფაზი ოქროს დაფა,² რათა დაგეფარა სახე შენი, თუ ვინმე მოიწადინებდა შენს შერცხვენას, მოყივნებას, ანდა გაწითლებას.

— რა უფლებით მეუბნები ამას, შენ ხომ ნაკლები ქონება, განძი და დოვლათი გიძევს, ვიდრე მე, — წარსთქვა აილილმა.

— ახლავე შევაჭერთ ყოველიფერი, — ეზრახა მედბი.

და იხმო მედბმა მსახურნი თვისნი და იწყეს მსახურთა მისი ბრძანებისამებრ მოზიდვა ყოვლისა განძისა, რათა დაედგინათ, ვის უფრო მეტი დოვლათი ებადა. მოზიდეს კათხები, კასრები, რკინის ტაშტები, სამჭედურები და მახმაროთები. მოიღეს დასტანაგები, ბეჭდები, ზარქაშები და ნაირფერი ტალავარები — მეწამული, ცისფერი, მრეში, სხურებულნი და ფეროჲ. ველებიდან, მინდვრებიდან და ხეობებიდან გამორეკეს ცხოვართა, თხათა, ძროხათა და სხვა პირუტყვთა ურასტი სამწყსო, არვე და მროწლე. ყოველივე დაითვალეს და აღმოჩნდა, რომ ოდენობით, ზომით და ღირებულებით ისინი ტოლფასნი იყვნენ: მედბის ყოველი ჯიშინი ხარის საპირისპიროდ, აილილის მროწლეში აღმოჩნდა ასეთივე ჯიშინი ხარი. ნიკორას უხმობდნენ ასეთ ხარს. შემდეგ კი იალალებიდან და მდელიებიდან მორეკეს მათი ბედაურების რემა და მოიღეს მათი აღკაზმულობა, ყოველივე დათვალეს და დაადგინეს, რომ აქაც ტოლს არ დაუგდებდნენ ერთმანეთს. მედბის რემაში აღმოჩნდა ერთი უბადლო ბედაური, ერთ ტყვედ ღირებული, მაგრამ ასეთივე ბედაური აღმოჩნდა აილილის რემაშიც. ტყეთა ტევრებიდან და უდაბური ადგილებიდან მორეკეს მათი ტახები და კერატები; დაითვალეს, დააზომეს, აწონეს, და აღმოჩნდა, რომ ეს პირუტყვიც თანაბარი ჰყოლიათ მათ. მედბის ყოველ საუკეთესო კერატს დაუპირისპირდა აილილის ასეთივე კერატი. ასევე ტოლფასი იყო მათი თვითეული ხბო, მოზვერი და ცხვარი.

მაშინ ბრძანა მედბმა, მოეხმოთ მისი მალემსრბოლი მაკ როტი და ჰკითხა მან მალემსრბოლს, სად შეიძლებოდა პოვნა ასეთივე, ანდა უფრო ჯიშინი ხარისა, ვიდრე მისი საუკეთესო ხარი იყო.

— ახლავე მოგახსენებ, — წამოიძახა მაკ როტმა, — თუ სად შეიძლება პოვნა ისეთივე, ანდა უფრო ჯიშინი ხარისა, ვიდრე მედბის

საუკეთესო ხარია: თქვენ მას იპოვით ულადის თემში, ტრიხა-კეტ-კულანგეში, დარეს, ფიახნას ძის სახლში. მას უხმობენ კულანგელ წიქარას!

— ისწრაფე, მაკ როტ! — წამოიძახა მედბმა. — წადი და ჩემი სახელით სთხოვე დარეს კულანგელი წიქარა ერთი წლით, წლის ბოლოს კი იგი მიიღებს შესაფერის საჩუქარს — ერგას ხბოს და დამატებით თავად კულანგელ წიქარას! თუ იქაური ერი ცერად დაგიწყებს მზერას, იმისათვის, რომ შენ გსურს წაჰგვარო მათ ისეთი განძი, როგორცაა კულანგელი წიქარა, მაშინ შეგიძლია სხვა წინადადებაც მისცე დარეს: დაე, თავად დარე გამოცხადდეს ჩვენთან თავისი ხარით, და იგი მაგ აის სიამეთა ველზე მიიღებს იმის ტოლ ნაკვეთს, რაც ჰქონდა მას ულადში ადრე, აგრეთვე ეტლს სამჯერ შვიდ მონად ღირებულს, და დამატებით ჩემთა აშავერთა მეგობრობას.

დაიძვრნენ კრუხანელი მალემსრბოლები, ისწრაფეს დარეს, ფიახნას ძის ციხე-დარბაზისაკენ. ცხრა იყო მალემსრბოლთა რიცხვი. დარე პატივით მიეგება მაკ როტს, რამეთუ იგი უბადლო მალემსრბოლი იყო მთელს ირლანდიაში. ჰკითხა მას დარემ, რა იყო მიზანი მისი მგზავრობისა. მალემსრბოლმა ამცნო მას თავისი მგზავრობის მიზეზი, მოუთხრო აილილსა და მედბს შორის ჩამოვარდნილ დავაზე და იმაზე, რაც მას დაავალეს. „შენ ამისათვის მიიღებ, — დასძინა მან, — ჩინებულ საჩუქარს: ერგას ხბოს და, დამატებით, თავად კულანგელ წიქარას. ხოლო თუ ისურვებ, ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი წინადადება: თავად გვეწვეე კონახტში შენის ხარითურთ და შენ აქაური მიწების ნაცვლად, მიიღებ მის ტოლ ნაკვეთს მაგ აის სიამეთა ველზე, აგრეთვე ეტლს, სამჯერ შვიდ მონად ღირებულს, გარდა ამისა მედბის აშავერთა მეგობრობას.“

დიდად ეამა ეს ამბავი დარეს. იგი სიხარულისაგან ისე მალლა შეხტა, რომ ბუმბულის ლეიბი ერთიან აცახცახდა.

— ვფიცავ ჰემმარიტი ფიცით, — წარსთქვა მან, — რაც არ უნდა სთქვან ულადთა, კულანგელი წიქარა კონახტის მიწას იხილავს. ეამა მაკ როტს დარეს სიტყვები.

პატივით აღავსეს მედბის ელჩები. ლორთქო ლერწამი დაუფინეს იატაკზე. მოართვეს საუკეთესო ხორაგი და გაუმართეს ჩინებული ნადიმი. მალემსრბოლები მალე დათვრნენ და ფეხზე ძლივს დგებოდნენ. მაშინ წამოიწყა საუბარი ორმა მალემსრბოლმა.

— ისმინე სიტყვა ჩემი, ჭაშმარიტი, — წარსტყვა ერთმა. — კარგია მასპინძელი, ახლა რომ გეპასპინძლობს.

— ჭეშმარიტად კარგია, — უპასუხა მეორემ.

— თუ გეგულება უმჯობესი ულადთა შორის? — იკითხა პირველმა.

— დიდაც მეგულების, — ეზრახა მეორე, — კონხობარი, ულადთა ხელმწიფე; მთელი ულადიც რომ შეიყაროს მის ირგვლივ, ვერავინ მოაყივნოს იგი! მისი ძალა იმდენად დიდია, რომ საქმე, რომელიც არ ხამდა ეტვირთა ირლანდიის ოთხ უზარმაზარ მეხუთედსაც კი, მან დააკისრა მხოლოდ ცხრა მალემსრბოლს.

— აი, ჭეშმარიტი მატაროცი! — იყო პასუხად.

სწორედ ამ დროს სახლში შემოვიდა დარეს, ფიახნას ძის, მნე და მას შემოჰყვენენ ხორაგითა და სასმელებით დატვირთული მსახურეები. მნემ ყური მოჰკრა მათ საუბარს და რისხვით აღივსო იგი, უხეშად მიაჩეჩა მათ მოტანილი ხორაგი და არ შესთავაზა მათი გემება. შემდეგ იგი შევიდა სახლში, სადაც იმყოფებოდა დარე, ფიახნას ძე, და ეზრახა მას:

— განა შენ აღუტყვი მალემსრბოლებს ჩვენი უბადლო განძი, კუალნგელი წიქარა?

— დიახ, მე აღუტყვი, — უპასუხა დარემ, ფიახნას ძემ.

— იქ, სადაც ეს აღუტყმა ითქვა, არ წართქმულა ჭეშმარიტად ხელმწიფური სიტყვა, — წარსტყვა მნემ, — რამეთუ გავიგონეთ, ნებით რომ არ აღგეთქვა ხარი იგი, მაშინ აქ მოვიდოდა აილილისა და მედბის ლაშქარი, რომელიც ფერგუსის, როიგის ძის შეწევნით, ძალით გაიძულებდა ამას.

— ვფიცავ ჩემს ღმერთებს, ისინი ძალით ვერ წაიღებენ იმას, რასაც თავად არ დავთმობ ნებით, — უპასუხა დარემ.

ასე გაატარეს მალემსრბოლებმა ეს ღამე. დილით კი წამოდგნენ და გასწიეს იმ სახლისაკენ, სადაც დარე იმყოფებოდა.

— ჩვენო დიდებულო მასპინძელო, — ჰკადრეს მათ, — ჩვენ გვსურს დავრწმუნდეთ, რომ მოვედით სწორედ იქ, სადაც კუალნგელი წიქარა იმყოფება.

— თუმცა ახლა ამაზე არა გვაქვს ლაპარაკი, — უპასუხა მათ დარემ, — მაგრამ ჩვეულებად რომ მქონდეს მალემსრბოლთა, მწირ-

თა და მოგზაურთა დასჯა, მაშინ ვერც ერთი თქვენგანი ცოცხალი ვერ მიიქცეოდა შინ.

— ეგ რატომ? — ჰკითხა მაკ როტმა.

— მე საამისოდ საკმაო საფუძველი მაქვს,—წარსთქვა დარემ.— თქვენ გითქვამთ, თითქოს მე ნებით რომ არ დამეთმო ხარი იგი, მაშინ მას ძალით წამგვრიდა აილილისა და მედბის ლაშქარი, ხოლო ფერგუსი, ძე როიგისა, შეეწვეოდა მათ თავისი ფრიალი სიბრძნით.

— მაგრამ რაც არ უნდა მომხდარიყო და რაც არ უნდა ელაცბათ აქ მალემსრობოლებს თქვენი ლუდისა და ხორაგის შემდეგ, ეს საქმეს როდი შეეხება და ამის გამო ვერ უსაყვედურებთ აილილსა და მედბს, — განაცხადა მაკ როტმა.

— მაგრამ ამჯერად ხარს მაინც ვერ გაგატანთ, შევეცდები იგი ჩემთან ვიყოლიო.

ელჩები გამოეთხოვნენ დარეს და მიიქცნენ კრუხან კონახტელის ცახე-სიძაგრეში. მედბმა ელჩობის ანგარიში მოითხოვა, რაზედაც მაკ როტმა უპასუხა, რომ ისინი ხელცარიელი დაბრუნდნენ.


— რა იყო ამის მიზეზი? — ჰკითხა მედბმა.

მაკ როტმა მოუთხრო მას, როგორც იყო საქმე.

— ძნელია გაუთოვება კვანძიანი ქსოვილისა, — შენიშნა მედბმა. — მაგრამ თუ მურკენით ვერა, მაშინ დაჯანდვრით აღვისრულებთ წადილს.

და მედბმა კონახტის ყოველ თემში აფრინა მაცნენი და მოუწოდა ქულზე კაცს.

•••



კუხულაინდისა და ფერდიადის ორთაბრძოლა

ირლანდიელმა მამაცებმა ბევრი იფიქრეს იმის თაობაზე, თუ ვის ძაღედვა ხვალ დილით შერკინებოდა კუხულაინდს და დაეძლია იგი. საერთო აზრით, ეს ძაღედვა მხოლოდ ფერდიადს, დამანის ძეს, დარეს ძეს, უგულოვნეს ვაჟკაცს დომნანის ჯილაგში. რამეთუ ბრძოლაში, საგრობაში და ლაშქრობაში ისინი ტოლს არ დაუგდებდნენ ურთიერთს. ერთი და იგივე მემართახე დიაცთა წვართეს იგინი და ასწავეს მათ სიკისკასისა და საბრძოლო ძალის ფანდები. სკატახის, უატახისა და აიფეს სკოლებში იწვართნენ ისინი და ვერაფრით ვერ სჯობნიდა ერთი მეორეს, თუ არ ჩავთვლით რქიანი შუბით ძგერებას, რომელსაც ფლობდა კუხულაინდი და რომლის საბადლოდაც ფერდიადს ჰქონდა რქის ბეჭთარი.

მცნევარნი და ელჩნი აფრინეს ფერდიადთან. ყური არ ათხოვა ფერდიადმა მათ თხოვნას, რამეთუ უწყოდა მიზანი ელჩობისა: იგი უნდა შერკინებოდა სიყრმის მეგობარს, ამხანაგსა და ძმადნაფიცს.

მაშინ შედბმა დრუილნი, ჯადეგნი და ბოროტად მძნობელნი მიუგზავნა ფერდიადს. მათ უნდა ემღერათ სამი გამქარჩხავი სიმღერა,

წარეთქვათ სამი ბოროტი შელოცვა და ფერდიადის სახეზე გაეჩინათ სამი სატკბურა, — სატკბურა შერცხვენისა, სატკბურა სირცხვილისა და სატკბურა მოყიფვიისა. ამ სეის უსდა წარეწყძიდა იგი, თუ წამსვე არა, ცხრა დღეში მაინც. ფერდიადი დამორჩილდა მათ, რამეთუ ერჩია მას განგმირულიყო სიძლიერის, სიგულოვნისა და სიკისკასის ფანდების შუბით, ვიღრე შუბით შერცხვენისა, სირცხვილისა და მოყიფვიისა.

ფერდიადი ხელმწიფის ციხე-დარბაზში გამოცხადდა. დიდი თავზით მიეგება მას დარბაზის ერი. მოართევს სურნელოვანი თაფლუჭი და გაუმართეს დიდებული ნადიმი. ოდეს იგი შეთვრა და გამხიარულდა, მაშინ აღუთქვეს მას დიდი ძღვენი და დოვლათი მომავალი ორთაბრძოლისათვის. აი რა აღუთქვეს ფერდიადს. ეტლი, ოთხჯერ შვიდ მხევლად ღირებული, ყოველი ფერის ტალავარი თორმეტი კაცის შესამოსელი. საკუთარი მამულის წილ, მამული მაგ აის პოხიერ ველებზე, ყოველგვარი ხარკისა და ბეგარისაგან თავისუფალი. სამუდამო განთავისუფლება სამსახურისა და მორჩილებისაგან, როგორც მას, ისე მის შვილებს და მის პირდაპირ შთამომავლობას. აგრეთვე აღუთქვეს ფინდაბაირი¹ ცოლად და მედბის მოსასხამის ოქროს აბზინდა.

იზრახა მედბმა და ეზრახა ფერდიადი.

მ ე ღ ბ ი

დიდო ფერდიად, შენ მიიღებ სანიჭარს ფრიადს:
ოქროს აბზინდას, მდიდარ ტყეებს, პოხიერ ველებს,
შენს ძვირფას მოდგმას მივანიჭებ თავისუფლებას,
თავისუფალნი იქნებით მარად.

პოი, ფერდიად, დიდებულო დამანის ძეო,
გადაამეტებს შენს სურვილებს წყალობა ჩვენი!
ნუთუ უარყოფ წმინდა გულით მორთმეულ ჯილდოს,
სიამოვნებით მიიღებდა რომელსაც ყველა?

ფ ე რ დ ი ა დ ი

უნდა მომართვათ თავდებები ჯილდოსთან ერთად,
რამეთუ მე ვარ შუბოსანი სწორუპოვარი.

დღე ხვალინდელი მე განსაცდელს მიმზადებს ფრიაღს,
უნდა დაეძაბო ყოვლი ღონე და ყოვლი ძალი!

დაუნდობელად იკბინება ჰოროლი გმირის,
კულანის ძალი რომ შეარქვა სახელად ხალხმა!
საზარელია მისი შუბის ძგერება მძიმე,
შემზარავ ტკივილს, ღრმა ჰრილობებს გაყენებს იგი!

მ ე ღ ბ ი

ოღონდ ისურვე და, თავდებებს მიიღებ ახლავ,
არ დაგჭირდება მათი ძებნა, ლოდინი მათი.
ლამაზად მორთულ ბედაურებს, დარახტულ მერნებს,
მიიღებ, როგორც საიმედო საწინდარს, გმირო.

ჰოი, ფერდიად, მორკინალო ძალგულოვანო,
სწორუპოვარო მეომარო მეომართ შორის,
ჩემი რჩეული ფალავანი გახდები მალე,
ამაღლებული ფალავანთა და გმირთა ზედა!

ფ ე რ დ ი ა დ ი

თუ არ მიბოძეს თავდებები, მძევლები ნაღდი,
მე ორთაბრძოლას არ გავმართავ საზარელ ფონთან,
ამ ორთაბრძოლის მოგონება იქნება დიდხანს,
ემახსოვრებათ სიმძაფრე და კვეთება მძლავრი!

ვინც უნდა მიხმოს მე ბრძოლაში, არ წავალ, არა,
მე ორთაბრძოლას არ გავმართავ, ვინც უნდა მთხოვოს,
თუ არ იფიცებ, დედოფალო, მალალი ფიცით,
მზეს და მთოვარეს, ზღვასა და ხმელეთს!

მ ე ღ ბ ი

რატომ აყოვნებ, სანუკვარო იმედო ჩვენო?
მოდი და მივცეთ ჩვენ ერთმანეთს პირობა მტკიცე!

გვიბოძე შენი მძლე მარჯვენა, რათა ხელმწიფეთ
და დიდებულთა ზედ დ:პკრიბონ მარჯვენა თვისი.

რაიც გებოძა, ველარავინ წაგართვას იგი,
ოღონდ ინებე, აღსრულდება ყოველი ნება.
ჩვენ კარგად ვუწყით, კუხულაინდს დაამხოზ დილით,
შენი მარჯვენა ცოფიან ძაღლს უსულოდ დასცემს.

ფ ე რ დ ი ა დ ი

მე შენს პირობებს, დედოფალო, ვირწმუნებ მაშინ,
თუ ექვს დიდებულს, ექვს სეფეწულს მიბოძებ მძევლად,
ეს უნდა მოხდეს, ბრძოლის ველად გამოვალ ვიდრე,
ეს უნდა მოხდეს ირლანდიის მხედართა თვალწინ.

თუ ადასრულებ სამართლიან მოთხოვნას ჩემსას,
მეც უყოყმანოდ აღგისრულებ სურვილებს მაშინ,
და ორთაბრძოლას გავეუპართავ უძლეველ მებრძოლს,
უთანასწორო თუმც იქნება ეს ორთაბრძოლა.

მ ე ლ ბ ი

მძევლად ინებე თუნდ დომნანი, თუნდაც კაირპრე,
თუნდ ნიამანი, ჩინებული მხედარი ჩვენი,
სიამოვნებით ჩაგზარდება ყოველი ბარდი,
ჩაიბარებდე, ფერდიადო, რომელიც გნებაეს.

მძევლად ინებე ბრძენთაბრძენი ჩვენი მორანი,²
თუ ასეთია გარდუჟვალი სურვილი შენი,
იქნებ კაირპრე მინ-მანანელს ისურვებ მძევლად,
ანდა თავდებად ჩემს ორ ვაჟკაცს ისურვებ იქნებ.

ფ ე რ დ ი ა დ ი

ო, ავენაო, ბოროტებით აღვსილო მედბო,
არ გენანება სასიკვდილოდ სასიძო შენი!

ხარ ჰეშმარიტად კრუახნელი³ მეჯოგე ვინმე,
რომელსაც ტანზე სასაფლაოს ძონძები გმოსავს!

ველური ძალით მივისწრაფი დიდების გზაზე!
რამეთუ მელის მომხიბლავი ხავერდი ჰრელი.
ჩქარა მიბოძე ჩემი წილი ოქრო და ვერცხლი,
რაიც აღმითქვი სანიჭარად, მიბოძე ჩქარა!

მ ე ლ ბ ი

გმირო, შენა ხარ საიმედო საყრდენი ჩვენი,
თუ არ შენ, აბა ვის ვუბოძებ ბეჭდიან აბზინდს?
ისე მიიღებ, მორკინალი, მსოფლიო დოვლათს,
როგორც აბზინდას მიიღებ, გმირო!

უმშვენიერეს ფინდაბაირს შეირთავ მალე,
დასაველეთისა სამეფოის დიდებულ მეფას,
იგი გახდება სანუკვარი მეუღლე შენი,
კვერით ხუროის მძლავრი ძალი დაამხე ოღონდ.

მედბი და ფერდიადი ბოლოს შეთანხმდნენ: თუ ხვალ დილით
ფერდიადი ორთაბრძოლას არ გაუმართავდა კუხულაინდს, მაშინ
იგი უნდა შერკინებოდა მედბის ექვს თავდებ მხედარს. ხოლო თუ
ხვალ დილით ფერდიადი ორთაბრძოლას გაუმართავდა კუხულაინდს
და დასცემდა მას, მაშინ ეს ექვსი მხედარი თავდები უნდა ყოფილი-
ყო იმისა, რაც მედბმა საჩუქრად აღუთქვა ფერდიადს.

მოჰგვარეს ფერგუსს მისეული ბედაურები და ეტლში შეუბეს.
იგი აღჯდა ეტლზე და ისწრაფა კუხულაინდისაკენ, რათა ემცნო მის-
თვის ყოველივე. კუხულაინდი მიესალმა ფერგუსს.

— კეთილ ქამს მობრძანდი, ფერგუს ბატონო, -- იზრახა კუხუ-
ლაინდ.

— მწამს სიწრფოება შენის სალმისა, — ეზრახა ფერგუს. --
მაგრამ უწყოდე, კუხულაინდ: მე აქ გვახელ იმად, რათა დაგისახელო
მხედარი იგი, რომელიც ხვალ დილით შენს პირისპირ დადგება.

— გისმენ, — წარსტქვა კუხულაინდმა.

მაშინ იზრაახა ფერგუსმა:

— მხედარი იგი მეგობარი, ამხანაგი და ძმადნაფიცია შენი. იგი ტოლს არ დაგივლებს შენს სიმყისეში, სიჩაუქეში და ძალგულოვნებაში: იგია ფერდიადი, ძე დამანისა, ძე დარესი, უმამაცესი მორკინალი დომნანის ჯილაგში.

— არ ვისურვებდი, ბრძოლად მოსულიყო ჩემთან მეგობარი ჩემი, — ეზრაახა კუხულაინდი.

— მეც ამაღ გეახელ, — იზრაახა ფერგუსმა, — რათა გაგაფრთხილო და ბრძოლად განემზადო, რამეთუ სხვათა მსგავსი როდი ვარ მე. მაშ უწყოდე: აწ შენი მეტოქეა ფერდიადი, ძე დამანისა, ძე დარესი.

— მე ამ ადგილზე მტკიცედ ვდგავარ, — წარსტქვა კუხულაინდმა, — მე ვიგერიებ ირლანდიის ოთხივე მეხუთედის მოძალეზას, ზამთრის პირის მთოვარისიდან, ვიდრე მოწვევამდე გაზაფხულისა, და ჯერ არ მიხილავს მხედარი ქვეყნად, რომლის წინარეც ნაბიჯი მომეცვალოს; არც მის წინაშე შოვიცვლი ნაბიჯს.

ამის შემდეგ ფერგუსი მიიქცა თავის მისაქციელში, ირლანდიელთა ბანაკში.

ფერდიადი კი შევიდა თავის კარავში, იხმო თავისი სპა და ამცნო მათ მედბისთან დადებული პირობა. მზიარულნი როდი იყვნენ იმ საღამოს ფერდიადის სპანი, არამედ შიშნეულნი, ურვილნი და გაცბუნეებულნი, რამეთუ უწყოდნენ მათ: თუ ორთაბრძოლას გამართავდა მებრძოლთა მმუსრაკი ეს ორი მხედარი, ამ ორთაბრძოლაში ერთ-ერთი უსათუოდ დაეცემოდა, თუ ორივე არა; ხოლო თუ ერთ-ერთს უთუოდ ეწერა სიკვდილი, ისინი ჰგონებდნენ, რომ უფრო მათ ბატონს ეწერა, ვიდრე კუხულაინდს, რამეთუ იოლი როდი იყო კუხულაინდთან რკენა.

ძილქუშით დაიძინა ფერდიადმა იმ ღამეს, მაგრამ ოდეს დღე ღამეს გაეყარა, ფერდიადსაც გაეყარა ძილი და სიმთვრალემაც დაუტევა იგი. მომავალ ბრძოლაზე გულისტქმამ მოიცვა გონება მისი. უბრძანა მან მეეტლეს, მოერეკა ბედაურები და შეება ეტლში. მეეტლეს ეწადა, უკუეთქვა ფერდიადს ნათქვამი.

— გერჩია დარჩენა, — წარსტქვა მან.

— იყურე, ყრმაო, — გასცრა ფერდიადმა, -- შენ ვერ განსაჯო
საქმენი ჩვენნი.

იზრახა ფერდიადმა და ეზრახა მეეტლე.

ფ ე რ დ ი ა დ ი

ორთაბრძოლისაკენ ვისწრაფით მხედრები,
უნდა შევერკინოთ უბადლო მორკინალს.
სულ მალე მივატანთ დიდებულ ფონამდე,
სადაც დაიკივლებს ბოდბი⁴ შემზარავად.

რამეთუ შევხვდები ფონთან კუხულაინდს
და სხეულს გაღეულს შუბით განვუგმირავე,
ეს მძიმე ჭრილობა მოჰკლავს უეჭველად,
ვერ გადაურჩება იგი ამ ძგერებას.

მ ე ე ტ ლ ე

ჰოი ფერდიად, შენ დარჩენა გერჩია ვანად,
რამეთუ გელის განსაცდელი მძიმე და ძნელი.
ეს ორთაბრძოლა ერთ-ერთისთვის იქნება ბოლო,
განშორებისას დაიღვრება ცრემლები უხვად.

იმ დიდგვაროვან ულადელთან ბრძოლა და ჯიბრი
შენ ჭეშმარიტად კარგს არაფერს გიქადის, გმირო.
ამ ორთაბრძოლის მოგონება დარჩება დიდხანს!
ვაი მას, ვინაც ჩაიდინა ამგვარი საქმე!

ფ ე რ დ ი ა დ ი

ფუჰად მეტყველებ და ამაოდ ირჩები,
არ მეჭაშნიკება მე შენძ ქართული.
როდი ეკადრება მორკინალს სიმზნაღე,
არ შეეფერება ეჭვი და ყოყმანი.

შენ საით განსაჯო საქმენი მხედართა!
ჟამი მოწივენილა მამაცთა ბრძოლების.

ყურმოჭრილ მონობას სიკვდილი ვარჩიეთ.
ო, ნულა ვაყოვნებთ, ვისწრაფოთ ფონისკენ!

მოჰგვარეს ფერდიადს ბედაურები და ეტლში შეაბეს. ფერდიადი აღჯდა ეტლზე და საბრძოლო ფონისაკენ გაეშურა. მზე ჭერ კიდევ მთელი ძალით არ დაჰნათოდა ფონს.

— ჰეი, ბიჭო, — გასძახა მეეტლეს ფერდიადმა, — მოილე ეტლიდან ნატები და ზედსაბურავები და აქვე გამიშალე, რამეთუ გამთენიას არ დამაძინა მე ორთაბრძოლაზე გულსთქმამ.

მეეტლემ გამოუშვა ბედაურები და გაუშალა ფერდიადს ნატები და ზედსაბურავები. ფერდიადი დაწვა და მყისვე ძილქუში დაეუფლა.

კუხულაინდმა იმ დამეს ძილქუშით დაიძინა და არ გაუღვიძია. ვიდრე მზემ იგი მთელი თავისი ნათლით არ გააბრწყინა, რათა არ ეთქვათ ირლანდიელებს: შიშმა და სიმხდალემ გააღვიძაო იგი უთენია. როდესაც მზემ გამოანათა მთელი თავისი ნათლით, კუხულაინდმა უბრძანა მეეტლეს, მოეგვარა ბედაურები და ეტლში შეება.

— დილა მშვიდობისა, ლოიგ, — იზრახა კუხულაინდმა, — მკვეთრ გამართე ეტლი, რამეთუ უთენია სჩევია ადგომა გმირს ჩვენსკენ მომავალს, ფერდიადს, დამანის ძეს, დარეს ძეს!

— ეტლი უკვე გამართულია, — ეზრახა ლოიგი. — აღჯექი ეტლზე და ისწრაფე, დაე სირცხვილი ნუ გაეკარება შენს საჭურველს!

და მაშინ, საბრძოლო ფანდების შეუდარებელი ოსტატი, ბრძოლებში ძლევა მოსილი, ალისფერხმლიანი, მჩეხავი გმირი, კუხულაინდი, ძე სუალტამისა, აბრძანდა ეტლზე. ამ დროს კუხულაინდს გარსშემოერთყენ ველთა და ჰაერთა სულები, ელქაჯის სახიანი აღქაჯები და გაფითრებული მაძახურები და იძახეს მათ ძახილით ამაზრზენით და შემზარავით, რამეთუ ქალღმერთი დანანის მოდგმა ნიადგ ტეხდა ძახილს კუხულაინდის ირგვლივ, რათა კვლავ უფრო გაემძაფრებინა შიში, ურვა და ძრწოლა, რომელსაც კუხულაინდი აღძრავდა ყოველ ბრძოლაში, ლაშქრობაში და ორთაბრძოლაში.

დიდი დრო როდი დასჭირდა ფერდიადის მეეტლეს, რათა გაეგონა შემადრწუნებელი გრიალი, ზათქი, ჯახანი, გრგვინვა, ტკრციალი და თქარათქური. ჯახანი ფართა ჯახებისა და შუბების მძლავრი
ნ. ირლანდიური საგები

ძვერებისა, ზრიალი ბეგთართა და მუზარადთა, ჩხერანი ხმალ-
თა და სხვა საჭურველთა, რომელნიც აახმაურა გმირის გააფთრე-
ბულმა საბრძოლო თამაშმა, რასაც ზედ ერთვოდა ფლოქვების თქა-
რათქური. მაგრამ ყველაზე ზარდამცემი იყო გმირის ხაფი და პირ-
მოხეული გრგვინვა, რომელიც მოგრიალეებდა ფონისაკენ და ეხეთ-
ქებოდა ფონს.

ფერდიადის მეეტლე მიეახლა თავის ბატონს, მხარზე დაადო ხე-
ლი და ჩასძახა:

— დილა მშვიდობისა, ფერდიად, განიფრთხე ძილიო უკვე მიგე-
ლიან ფონთან.

და თან დასძინა:

— შორით შემომესმა გრიალი ეტლისა,
რომელსაც ვერცხლის უხდება რკალები.
ეტლზე დაკიდულა სახე მორკინალის,
განრისხებულია გმირი სახიერი.

ბრანე გალიეს და ბრი-როსი გასწირეს,
მიეშურებიან შარით მშვენიერით,
ბაილე-ინ-ბილეს⁵ ხეების გასწვრივ.
ძღვევამოსილია სვლა მათი ზვიადი.

აქეთ მოისწრაფის გმირი სანთიანი,
გაგულისებული მოდის თემანიდან,
ცხენებს მოაგელვებს უცხო შავარდენი,
გამარჯვებული და ამაყი მხედარი.

არის სისხლისფერი გმირი მარლიანი,
ჩვენსკენ მოისწრაფის — რაა დასამალი?
ხომ დიდი ხანია, უწყიან ულადთა,
თავს რომ დაატყდებათ უებრო მხედარი.

ვაი იმ მორკინალს, ვისაც შეეყრება
ძალლი საოცარი იმ მაღალ მწვერვალთან!

წინასწარ განვჭვრიტე, წელია მას შემდეგ,
ულადს უგრძნეულოდ თავზე დაატყდება,

ძალი წამოსული ემაინ-მახადან,
ძალი ცოფიანი, მძლავრი და ფესანგი,
ძალი მოდარაჯე, ძალი ლაშქრობათა,
მე მესმის გრიალი, იგიც გრძნობს უთუოდ!

— ჰეი, ბიჭო! — წარსთქვა ფერდიადმა, — რატომ აღიღებ შენ
იმ კაცს მას აქეთ, რაც სახლიდან წამოხვედი? მეტიმეტია შენი ხოტ-
ბა, შეიძლება განმარისხო კიდევ. აილილმა და მედბმა მიწინასწარ-
მეტყველეს მე გამარჯვება, და დიდი ჯილდოსათვის მე მალე დაეამ-
ხოზ მას. აწ დადგა ჟამი, ჩემს მხარეს დადგე!

ფერდიადის მეეტლემ მალე მიაღწია ფონს და იხილა გაათრე-
ბით მსრბოლი უშშვენიერესი ეტლი. ეტლს ხელმარჯვედ გეზავდნენ.
მას ამშვენებდა ოთხი ღერძი; მწვანე მიჩიგდანი; წვრილი, სრულიად
უნოტიო და მახვილივით მტკიცე ხის ფერადი ჩონჩხი. ეტლს მიაქ-
როლებდა ორი ბედაური, ორივე მუხლადი, გაათრებული, იორღა,
გრძელყურა, ნესტოგეშიანი, ფართომკერდიანი, ფერდებძლიერი და
ფლოქვებგანიერი; წვრილი, ღონიერი, აღმოგზნებული და ფიცხელი
ფეხებით.

ბედაურთაგან ერთი იყო რუხა, ფერდებძლიერი, გრძელფაფარი-
ანი და მოკლენახტომებიანი; მეორე კი—შავრა, ხუჭუქბეწვიანი,
გრძელბიჯიანი და ზურგმოკლე. ისინი ჰგავდნენ დამშეულ შავარდ-
ნებს, მსხვერპლს რომ აცხრებიან სასტიკ ქარიშხალში; ქარიშხალს
ჰგავდნენ, მირკანის თვეში ველად მოთარეშეს; ქობრბუდა ხარ-ლალს,
ფეხმარდი მწევრების ორანის შემგრძნებს, თითქოს აღმოგზნე-
ბულ ლოდებზე მოთქარუნობდნენო ბედაურები. მიწა ძრწოდა და
ერთიან ცახცახებდა დაუცხრომელი მათი ქენებით.

კუხულაინდმა ფონს მიატანა. ფერდიადი უცდიდა მას ფონის თე-
მანით, კუხულაინდი დადგა ფონის ბორჩაისით.

ფერდიადი მიესალმა კუხულაინდს:

— კარგ ღროს მოხვედი, კუხულაინდ! — გასძახა მან.

— მართალი ბრძანებდა, — ეზრახა კუხულაინდი, — ჩვენი შეხ-

ვედრის მხოლოდ ამ წუთს თუ ვიგულისხმებთ. შემდეგ კი ვერ ვირწმუნო სიტყვები შენი. უწყოდე, ფერდიად: მე უფრო შემეფერებოდა მივსალმებოდი შენს მოსვლას, ვიდრე შენ ჩემსას, რამეთუ შენ შემოაბიჯე იმ სამეფოში, სადაც მე ვდგავარ! და შენ ნაკლები მიზეზი გქონდა, საბრძოლველად მოსულიყავი ჩემთან, ვიდრე მე, რამეთუ შენ თავად შეურაცხყოფ ჩვენს დიაცებს და მტრობ ჩვენს შვილებს, იტაცებ ბელაურებს, ნახირს და ფარას.

— კარგი, კუხულაინდ, — იზრახა ფერდიადმა. — მაგრამ ერთი რამ მაინც მიკვირს: რა უფლებით ჰბედავ შენ ჩემთან ბრძოლას? გახსოვს? სკატახთან, უატახთან და აიფესთან ყოფნის ქამს შენ მმსახურებდი მე, განმომზადებდი ჰოროლთ და მიგებდი ლოგინს.

— ჰეშმარიტი ბრძანებაა, — ეზრახა კუხულაინდი. — მაგრამ უწყოდე, ფერდიად: სიყრმისა გამო ვიქმოდი მე ამას, ახლა კი სულ სხვა საქმეა. მთელს ღუნიაზე არ მოიპოვება ჩემი ბადალი მორკინალი.

და ისინი მწარედ ჰყვედრიდნენ ერთმანეთს ძველი მეგობრობის ღალატისათვის. იზრახა ფერდიადმა და ეზრახა კუხულაინდი:

ფ ე რ დ ი ა დ ი

ო, როგორ გაბედე, ძაღლო ბრუციანო,
უძლეველ მებრძოლთან პირისპირ დადგომა?
აწ შენი სხეული სისხლით დაიცილება,
ბული ავარდებთ ოფლიან ულაყებს!

შენდა სამწუხაროდ ისწრაფე ამჯერად!
ალი აგვარდება, ვითარცა მუგუზალს,
თავს დაგეხვევიან ნაცადნი აქიმნი,
თუკი მიაღწიე წვალეებით შინამდე!

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

ჰაბუჟთა ლაშქარს სათავეში ვუდგავარ, გმირო,
წინამძღოლი და წინამბრძოლი ვარ დიდთა სპათა,

გავეშებული და მძვინვარე გახლავარ ტახი,
რათა დაგამხო და დაგმარხო მდინარის ფსკერზე,

რათა ბრძოლაში გამოვცადო ძალები შენი,
შენს ფიცხელ ფანდებს დავუხვედრო ფანდები უხვად.
ამ ორთაბრძოლას ვერ გაუძლებ, ფრთიანო ძაღლო,
აღარ შეგრჩება ფართო მხრებზე ამაყი თავი.

ფ ე რ დ ი ა დ ი

აქ არის გმირი და ლომგული მხედარი,
ვინაც დაგანარცხებს მიწაზე უსულოდ.
შენ ჩემი მარჯვენით მოგელის ამჭერად
სიკვდილი საზარი სისხლიან ბრძოლაში.

შენ დაენარცხები ულადთა წინაშე,
რომ შემოკრებილან სეირის საცქერლად,
რათა დაიხსომონ აწ სამარადისოდ,
თუ ვითარ დავამხე ულადთა იმედნი.

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

გმირო ფერდიად, ჩვენ პირისპირ დავდგებით მალე
და ორთაბრძოლას გავუმართავთ ურთიერთს ფონთან,
საბრალო კენესა აღმოხდება დაჩეხილ სხეულს,
მარჯვი, ფერდიად, რით დავიწყოთ ეს ბრძოლა დიდი?

თუნდაც პირველად გავაშიშვლოთ მახვილი აორ,
ანდა ხელთ ვიპყრათ სისხლიანი ლიბანდაკები, —
ეგ სულერთია, დაემხობი ნზედართა თვალწინ,
რამეთუ უამი აღსასრულის დაგიდგა უკვე.

ფ ე რ დ ი ა დ ი

მზის გადაწვევრამდე, ლამის მოწევენამდე,
რადგან გვიწერია ერთურთთან რკინება,

ისა სჯობს ვიბრძოლოთ მწვერვალ ბოიროხესთან.
ბევრი დაიღვრება სისხლი ამ ბრძოლაში!

შენს მწარე კივილზე მოვლენ ულაღები,
„დაამხეს! დაამხეს!“ — ერთხმად შესძახებენ.
და დაუმძიმდებათ გული ამ სურათით,
თუმც დაავიწყდებათ ნანახი აღრევე!

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

ჰოი, ფერდიად, ხარ მიმდგარი უფსკრულის პირას,
და აღსასრულის მოწვენილა სასტიკი უამი.
მე შენს სიცოცხლეს წამოვაგებ მახვილის წვერზე,
გაიოცებენ ჩემი დარტყმის უებრო ძალას.

შენს დამამხობელს წილად ხვდება სახელი დიდი,
თავად სიკვდილიც ვერ შეამღვრევს მის ნათელ ხსოვნას:
ამიერიითგან ვერ წარუძღვე ბრძოლებში სპათა,
ველარასოდეს ვერ იგემო სიამე ბრძოლის.

ფ ე რ დ ი ა დ ი

ო, განვედ, განვედ, ბოროტო მისანო,
ო, განვედ, განვედ, ყოვლედ ენოვანო!
ამაოდ მოელი ჭილდოს და სანიჭარს,
რამეთუ ბასრია მახვილი დამხვდურის.

კარგად შემიცვნიხარ, დამფრთხალო მხედარო,
გული გიფართხალებს, ვითარცა ნიბლიას,
უძლური ბალდი ხარ, ღიტიინის მოშიში,
შენთვის უცხო არის ნამდვილი გმირობა.

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

გახსოვს? სკატახი — მემათრახე ქველი და ბრძენი,
როს გვასწავლიდა სიმყისეს და საბრძოლო ფანდებს,

ჩვენ მუდამ ერთად დავდიოდით მთაში თუ ბარად,
ყოველ ბრძოლაში ჩვენ ერთმანეთს ვუღებოდა გვერდით.

მეგულებოდი ძმადნაფიცად, საკუთარ სისხლად,
მუდამ მიმაჩნდი მეგობრად და იმედად ჩემდა,
უფრო ახლობელს ქვეყანაზე არ ვიცნობ კიდევ,
უმიძიეს ტანჯვად გარდმეჭკვევა სიკვდილი შენი!

ფ ე რ დ ი ა დ ი

გეტყობა, ჩირადაც არ ავლებ ღირსებას,
თუკი დაზავებას მთავაზობ მორკინალს!
უწყოდე: ვიდრემდე იყივლებს მამალი,
შენს თავს წამოვაგებ სისხლიან ჰოროლზე.

ჰოი, კუხულაინდ, გმირო კუალნგელო,
ცოფმა და სიშმაგემ შეგიპყრო ერთთავად,
ვიცი, დაეცემი მამაცი მარჯვენით,
ხოლო დამნაშავე იქნები თავათვე.

— ჰოი, ფერდიად, — გასძახა კუხულაინდმა, — რისთვის აღძ-
რულხარ ბრძოლად, აილილისა და მედბისაგან წაქეზებული. განა არ
უწყვი, რომ ისინი ჩვენი მოშულარნი არიან? კარგად უწყოდე: არავის
მოუხვეჭია ნიჭი და პატივი ჩემთან ბრძოლაში და ვერც შენ მოიხ-
ვეჭ. უთუოდ დაემხოები ჩემი მარჯვენით.

კიდევ ასე ეზრახა იგი ფერდიადს, რომელიც ყურადიღებდა მის
სიტყვებს.

— ო, ბრძენო ფერდიად, ძეო დამანისავ,
უნდა განაცხადო უარი ბრძოლაზე!
რამეთუ გვექნება მძიმე ორთაბრძოლა
და შეიმოსება ძაძებით ულადი.

ჩემზე წამოსული შენ არღევე სამართალს
და მეც განგიზადებ ყინულის სარეცელს.

შენ ვერ გაექცევი, ვით სხვა ვერ გაექცა,
ჩემს გმირულ ფანდებს და ჰოროლთა ძგერებას.

ვუწყვი, დაგამიწებს დევგმირის სიმყისე,
ველარას გიშველის რქის გამძლე ბეგთარი,
და ასულს, ვისთვისაც იბრძვი და მოკვდები,
ძეო დამანისავ, ვეროდეს იხილავ.

ო, ფინდაბაირი, დედოფლის ასული,
ეგზომ მშვენიერი და ეგზომ ტანადი,
თუმცალა ერთიან გიპყრობს და გიმონებს,
მაინც არ ვერგება ამ ორთაბრძოლისთვის.

იმ ფინდაბაირზე, დედოფლის ასულზე,
ახლავ მოგახსენებ მე სიტყვას უტყუარს:
ბევრი მოატყუა და ბევრი აცთუნა
მისი გულისათვის დაეცა მრავალი.

ოჰოი, ფერდიად, გვედრებ, ნუ დაარღვევ
აგრე განუხსჯელად ჩვენს დიდ მეგობრობას,
ჩვენს შემაერთებელ აღთქმას ნუ დაარღვევ,
გასტეხე ფიცი სხვისთვის მიცემული!

ო, ერგას მორკინალს (აი უგნურება!)
წინათაც აღუთქვეს ძვირფასი ასული.
მე კი ერგასივეს სამარე ვარგუნე,
ჰოროლით განვსაჯე მბრძოლი ერგასივე.

მხნე იყო ფერბაიტი — სპათა წინამძღოლი.
ერთი გახელებით დავამხე ფერბაიტ.
თუმც სახელოვანი იყო სრუბდაირე,
ველარ დაიფარა ოქრომ და აბჯარმა.

ჩემთვის რომ აღეთქვათ ის ფინდაბაირი,
რომელსაც შეჰხარის სრულიად ულადი,

მერწმუნე, ფერდიად: ხელს არ აღვმართავდი,
არ გაგიმართავდი ფონთან ორთაბრძოლას.

— ფერდიად, — განაგრძო კუხულაინდმა, — ჰემშარიტად არ
გმართებდა შენ ჩემთან ბრძოლა. რამეთუ სკატახთან, უატახთან და
აიფესთან ყოფნის ეამს ჩვენ ერთად ვილოდით ყოველ ბრძოლაში
და ლაშქრობაში, ყოველ საგრობაში და ალაფობაში. ერთად დავე-
ხეტებოდით უსიერ ტევრებში და უკაცრიელ უდაბნოებში, მთებსა
და ბუნაგებში.

და მან დასძინა:

— როდესაც დახვედრას ვსწავლობდით სკატახთან,
ჩვენ ძმადნაფიცები ვიყავით ნამდვილნი,
დავეხეტებოდით უსიერ ტევრებში,
უშიშრად ვარბევდით შორეულ მხარეებს.
და შემდეგ ბრძოლით და ლაშქრობით დაქანცულთ,
ჩვენ ერთ სარეცელზე გვეძინა ნიადაგ.

ეზრახა ფერდიადი:

— ფანდებით მდიდარო, გმირო კუხულაინდ,
წინათ მეგობრები ვიყავით ნამდვილი.
დღეს ჩვენს მეგობრობას აჯობა პირობამ.

და შენზე მადლია ჰრილობა პირველი.
ო, ნულა იხსენებ ჩვენს ძმადნაფიცობას,
ძალლო ბრუციანო, ეგ ველარ დაგიხსნის.

შემდეგ კი იჰეჰა ფერდიადმა:

— დიდხანს ვაყოვნებთ! რომელი იარაღით დავიწყოთ ბრძოლა,
ო, კუხულაინდ?

— შენზეა არჩევანი, — უპასუხა მან, — რამეთუ შენ პირველმა
მოაღწიე ფონს.

— ხომ გახსოვს ჩვენი პირველი საბრძოლო ფანდები, — ჰკითხა

ფერდიალმა, — სკატახთან, უატახთან და აიფესთან რომ შევისწავლეთ?

— რა თქმა უნდა, მახსოვს.

— მაშ დავიწყოთ მათგან.

და მათ დაიწყეს პირველი საბრძოლო ფანდებით. ხელთ იპყრეს ორი ფარდი და ფართო ფარი, რვა მახვილგნდეებიანი მომცრო ფარი, რვა ხელშუბი, რვა თევზისკბილისვადიანი ხმალი და თევზის კბილით გაწყობილი რვა შუბი.

დაიწყო მათი ორთაბრძოლა. მიმოდაფრენდნენ შუბები და ხელ-შუბები წინაუქმო და უკანაწარ, ვითარცა ფუტკარნი დარიან ღღეს. მორკინალნი ლამობდნენ ერთმანეთის აჩეხვას და დამხობას, ირიდებდნენ დარტყმებს ფარის კოპებითა და გნდეებით. ასე გასტანა გარიჟრაჟიდან ვიდრე შუადღემდე. რაზომც განსაცვიფრებელი იყო მიხდომა, ეგზომ განსაცვიფრებელი იყო დახდომა და ვერც ერთმა ვერ დასცა მეორე.

— შევეშვათ ამ თამაშს, — იზრახა ფერდიალმა, — ამ გზით ვერ გადავწყვეტთ დავას.

მათ შეწყვიტეს ბრძოლა და საჭურველი მეეტლეებს გადაუგდეს.

— რომელი იარაღით ვიბრძოლებთ ახლა? — ჰკითხა კვლავ ფერდიალმა.

— შენზეა არჩევანი, — უპასუხა კუხულაინდმა, — რამეთუ შენ პირველმა მოაღწიე ფონს.

— თუ ასეა, მაშ ხელთ ვიპყრათ დაძაგრული სელის საბელებით გამართული თლილი შანდაკი და მძიმე შუბები.

— თანახმა ვარ, — ეზრახა კუხულაინდი.

მებრძოლებმა ხელთ იპყრეს ორი ფარდი და მკვიდრი ფარი, ხელთ იგდეს დაძაგრული სელის საბელებით გამართული თლილი შანდაკი და მძიმე შუბები. განახლდა ორთაბრძოლა. სასტიკი განხლებით ეკვეთნენ მორკინალნი ურთიერთს. გულით ეწადათ ერთურთის დაღწევა და დამხობა. ასე გასტანა შუადღიდან ვიდრე მიმწუხრამდე. თუმცა განსაცვიფრებელი იყო დახვდომა, მაგრამ ასევე განსაცვიფრებელი იყო მიხდომა, და ვერც ერთმა ვერ დასცა მეორე.

— შევეშვათ ამ თამაშს, კუხულაინდ, — იზრახა ფერდიალმა.

— შევეშვათ, — ეზრახა კუხულაინდი, — ჟამი მოწევნილა.

მათ შეწყვიტეს ბრძოლა და მძიმე შუბები მეეტლეებს გადაუგდეს. შემდეგ მივიდნენ ერთმანეთთან, ყელი-ყელს გარდაჰდეს და სამგზის ეამბორნენ ურთიერთს.

ეს ღამე მორკინალთა ბედაურებმა ერთ ახორში გაათიეს. მათმა მეეტლეებმაც ერთ კოცონთან მოიყარეს თავი. დაჭრილი მებრძოლებისათვის ლორთქო ლერწმებიდან მათ დაწნეს ორი საწოლი და ორი ბალიში. მოიყვანეს ექიმბაშნი და დასტაქარნი, რათა დაეცხროთ მათი ტკივილები და მოეშუშებინათ მათი წყლულები. ექიმბაშებმა და დასტაქარებმა დაუძლურებულ მებრძოლებს ჭრილობებზე, სიმსივნეებსა და წყლულებზე დაადეს სამკურნალო ბალახები და მცენარენი, უმღერეს მაწიერი შელოცვები. ჭრილობებზე, სიმსივნეებსა და წყლულებზე დადებული ყოველი სამკურნალო ბალახისა და მცენარის, აგრეთვე მათ დასაამებლად ნამღერი შელოცვების ნახევარს. კუხულაინდი აგზავნიდა ფონს გადაღმა, დასავლეთით, ფერდიადთან, რადგან თუ ფერდიადი მისი მარჯვენით დაეცემოდა, ირლანდიელებს არ ეთქვათ, რომ კუხულაინდს მეტი სამკურნალო დახმარება ჰქონდა, ვიდრე ფერდიადს. ხოლო ყოველი ჭამადის, ყოველი გემრიელი, გამამაგრებელი და მათრობელი სასმელის ნახევარს, რომელსაც ირლანდიელნი ფერდიადისათვის მოიღებდნენ, იგი აგზავნიდა ფონს გადაღმა, ბორჩაისით, კუხულაინდთან. რამეთუ მას მეტი ხალხი უზიდავდა ჭამადს, ვიდრე კუხულაინდს. ირლანდიის ყოველი მებრძოლი უზიდავდა ჭამადს ფერდიადს, რომელიც იცავდა მათ კუხულაინდისაგან.

ასე გაატარეს ფერდიადმა და კუხულაინდმა ეს ღამე. მეორედღეს კი წამოდგნენ ალიონზე და კვლავ საბრძოლო ფონთან შეიყარნენ.

— რომელი იარაღით ვიბრძოლოთ დღეს, ფერდიად? — იზრახა კუხულაინდმა.

— დღეს შენზეა არჩევანი, — ეზრახა ფერდიადი, — რამეთუ გუშინ მე ავირჩიე.

— მოდი, დღეს ვიბრძოლოთ ყველაზე მძიმე და გრძელი შუბებით, — რქვა კუხულაინდმა. — ვინძლო პირდაპირი კვეთებით უფრო ჩქარა გადავწყვიტოთ დავა, ვიდრე შორეული სრევით. ბედაურები ეტლებში შევაბათ, შევებათ ეტლებით.

— დე იყოს ასე, — მიუგო ფერდიადმა.

მებრძოლებმა ხელთ იპყრეს ყველაზე ფართო და მკვიდრი ფარე-
ბი, ყველაზე მძიმე და გრძელი შუბები. განახლდა ორთაბრძოლა.
გააფთრებით ეკვეთნენ ერთმანეთს მორკინალნი. ლამობდნენ განეგ-
მირათ, აეჩეხათ და დაემხოთ ერთმანეთი. ასე გასტანა გარიჟრაჟიდან
ვიდრე მიმწუხრაძდე. მორკინალთა ირგვლივ ყრანტალით დალასლა-
სებდნენ ლემის მოყვარული შავი ფრინველები, ლამობდნენ ჭრი-
ლობებიდან სისხლის მოსმას და ხორცის წაგლეჯას, რათა ეღრევათ
ღრუბელთა მიღმა.

ოდეს მიმწუხრამა მოაწია, გაიტანჯნენ ბედაურები მათი, ქანცი
გაუწყდათ მათ მეეტლეებს. ამოიშრიტა ძალი მორკინალთა.

— შევწყვიტოთ ბრძოლა, — იზრახა კუხულაინდმა. — რამეთუ
გაიტანჯნენ ბედაურნი ჩვენნი და დაშერნენ მეეტლენი: იგივე ხომ
არ გვჭირს ჩვენც?

— შევწყვიტოთ ბრძოლა, — იზრახა ფერდიადმა, — მოაწია
უამმა.

მათ შეწყვიტეს ბრძოლა და გრძელი შუბები მეეტლეებს გადა-
უგდეს. შემდეგ მივიდნენ ურთიერთთან, ყელი-ყელს გარდააჭდეს და
სამგზის ეამბორნენ ურთიერთს.

ეს ღამე ისევ ერთ ახორში გაათიეს მათმა ბედაურებმა. მათი მე-
ეტლენიც ერთ კოცონს მიუსხდნენ. დაჭრილი მებრძოლებისათვის
ლორთქო ლერწმებიდან ორი საწოლი დაწნეს. მოვიდნენ ექიმბაშნი
და დასტაქარნი, რათა განეხსრიკათ მათი ჭრილობები, აღმოეჩინათ
დანმარება და მათ ახლორე გაეთიათ ღამე. იმდენად საზარელი იყო
მათი ჭრილობები და წყლულები, რომ მათ ვერარა იღონეს, თვინიერ
იმისა, რომ ასვეს მათ ჯადოსნური სასმელები და უმღერეს შელოც-
ვები და გამოლოცვები, რათა დაემშვიდებინათ მათი სისხლი, შეეჩე-
რებინათ სისხლის დენა და დაეცხროთ ტკივილები. საკუთარ ჭრი-
ლობებზე და წყლულებზე განკუთვნილი ყოველი ჯადოსნური სასმე-
ლის, ყოველი შელოცვისა და ყოველი გამოლოცვის ნახევარს კუ-
ხულაინდი აგზავნიდა ფონს გაღამა, დასავლეთით, ფერდიადთან,
ხოლო ფერდიადი ყოველი ჭამადის, ყოველი გემრიელი, გამამაგრე-
ბელი და მათრობელი სასმელის ნახევარს, რომელსაც მას ირლან-
დიელი მებრძოლები უზიდავდნენ, აგზავნიდა ფონს გაღამა, ბორრა-

ისით, კუხულაინდთან, რამეთუ ფერდიადს მეტი ხალხი უზიდავდა ჭამადს. ირლანდიის ყოველი მამაცი უზიდავდა ჭამადს ფერდიადს, რომელიც იცავდა მათ კუხულაინდისაგან, ხოლო კუხულაინდს ჭამადს უზიდავდა მხოლოდ მაგ-ბრეგის ხალხი, რომელნიც ყოველ ღამე მოდიოდნენ მასთან სასაუბროდ.

ეს ღამეც ასე გაატარეს კუხულაინდმა და ფერდიადმა. მესამე დღეს კი წამოდგნენ დილით და კვლავ შეიყარნენ საბრძოლო ფონდთან. კუხულაინდმა შენიშნა, რომ ფერდიადს მწუხარე სახე ჰქონდა და ნაღვლიანად გამოიყურებოდა.

— ცუდად გამოიყურები დღეს, ფერდიად! — იზრახა კუხულაინდმა. — შენი თმა გაბაცებულა და დანისლულა თვალები შენი. იერი, სახე და მიხრა-მოხრა შენი ძველებური აღარ არის.

— ასეც რომ იყოს, შენი შიშით როდი მომსვლია ეს, — ეზრახა ფერდიადი, — რამეთუ ამჟამად მთელს ირლანდიაში არ მოიპოვება გმირი, რომელიც მე ვერ დავამხო.

ფრიად დაღონდა კუხულაინდი ფერდიადის გამო.

თი როგორი სიტყვებით ეზრახნენ ისინი ერთმანეთს:

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

ჰოი, ფერდიად! საბრალთა იერი შენი!
შენ ჰეშმარითად მისული ხარ სამარის კარად.
რისთვის აჰყევი მოშულარი დიაცის სიტყვას,
ერთვულ ძმობილთან ორთაბრძოლა გამართე რისად?

ფ ე რ დ ი ა დ ი

ო, კუხულაინდ, საამაყო შეგირდი სიბრძნის,
სიამაყევი და თვალისჩინო დიდებულ სპათა,
აღრე თუ გვიან, ყველას ბნელი სამარე ელის,
სამარადისო სარეცელი მოგველის ჩვენაც.

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

ფინდაბაირი, დიდებული ასული მედბის,
რომლის მშვენიება თვალს ხიბლავს და გონებას იპყრობს,

განა იმიტომ აღგიქვეს, რომ უყვარხართ ძალზე,
არამედ იმად, რომ განსცადონ ძალები შენი.

ფ ე რ დ ი ა დ ი

ოჰოი, ძაღლო, შემკობილო ყოველი ნიჭით!
დიდი ხანია განიცადა ძალები ჩემი,
ჩემზე მამაცი ჯერ არავინ უხილავთ ქვეყნად,
არც მე მიხილავს ჩემზე მძლავრი მხედარი სადმე.

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

ოჰოი, ძეო დამანისავ, დარესა ძეო!
ამ ძნელ საქმეში დამნაშავე იქნები თავად.
არა, არ უნდა დაპყლოდი დიაცის სიტყვას,
არა, არ უნდა აღგემართა ძმობილზე ხელი!

ფ ე რ დ ი ა დ ი

ძვირფასო ძაღლო, უომრად რომ დაეცილდეთ ახლა,
როგორც შეჭფერით ძმადნაფიცებს, მოყვარულ ძმობილო,
მოვაყიენებდი ჩემს სახელს და პირობას ჩემსას,
რომელიც უკვე აილილის და მედბის მივეც!

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

ჯერ არასოდეს არ შობილა ისეთი მეფე,
არც დედოფალი არ შობილა ისეთი ქვეყნად,
რომლის გულისთვის ავიღებდი საბრძოლო მახვილს,
და აღემართავდი საყვარელი ძმობილს თავზე.

ვ ე რ დ ი ა დ ი

ო, კუხულაინდ, მორკინალო სწორუპოვარო,
ჩვენ სასიკვდილოდ გაგვიმეტა წყეულმა მედბმა.
ვუწყი, ბედი რომ გამარჯვებას გარგუნებს ჩემზე,
ვერ გაგეკაროს შენ ბოროტი ცოდვები ჩვენი.

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

სიბრაალულისგან მილონდება კეთილი გული,
ლამის სხეული დაუტევოს საბრალო სულმა.
ჰოი, ფერდიად, რა გაუძლებს კვეთებას ჩემსას,
ეს შერკინება უსამართლო იქნება, ძმაო!

— კმარა, კუხულაინდ, თავს ნულარ დამტირი! — წარსთქვა ფერდიადმა. — რომელი იარაღით შევებათ ამჯერად?

— ამჯერად შენზეა არჩევანი, — ეზრახა კუხულაინდი, — რამე-აუ გუშინ მე ავირჩიე.

— მოდი, შევებათ, ურთიერთს — რქვა ფერდიადმა, — ჩვენი მძიმე და უმოწყალოდ მჩეხავი ხმლებით. ვინძლო მჩეხავი დარტყმებით უფრო ჩქარა გადავწყვიტოთ დავა, ვიდრე ჩხვლეტით.

— დე იყოს აგრე, — ეზრახა კუხულაინდი.

მებრძოლებმა ჩაბლუჯეს ორი გრძელი და ვეება ფარი, აგრეთვე იშიშვლეს მძიმე და უმოწყალოდ მჩეხავი ხმლები. განახლდა ორთაბრძოლა. გააფთრებით ეკვეთნენ მორკინალნი ურთიერთს. ორივეს ეწადა ურთიერთის აჩეხვა, გამოფატვრა და დამხობა. ერთი თვის ბალდის თავისოდენა იყო სხეულის ნაფლეთები, რომელსაც ისინი ერთმანეთს ფლეთდნენ მხრებიდან, ბეჭებიდან და ფერდებიდან. და ასე გასტანა განთიადიდან ვიდრე მიმწუხრამდე.

— შევწყვიტოთ ბრძოლა, კუხულაინდ, — ეზრახა ფერდიადი.

— შევწყვიტოთ, — ეზრახა კუხულაინდი, — მწუხრი მოწეენილა.

მათ შეწყვიტეს ბრძოლა და საჭურველი მეეტლეებს გადაუდღეს. თუ მათი შეყრა იყო შეყრა ორი მხიარული, ხალისიანი, გულსავე და ხალვათი მხედრის, სამაგიეროდ გაყრა მათი იყო გაყრა ორი ნალვლიანი, შეჭირვებული და ურვილი მებრძოლისა. ეს ღამე მათ ბედაურებს ერთ ახორში არ გაუთევიათ. არც მათი მეეტლენი მისხდომიან ერთ კოცონს.

ასე გაატარეს მებრძოლებმა ღამე. მეორე დღეს კი ფერდიადი წამოდგა ალიონზე და სრულიად მარტო წარემართა საბრძოლო ფონისაკენ. მან უწყადა, რომ მოაწია ჟამმა გადაწყვეტი ბრძოლისა და რომ ამ ბრძოლაში ერთ-ერთი უთუოდ დაეცემოდა, თუ ორივე არა. მან ტანთ შეიმოსა თავისი საბრძოლო და საორთაბრძოლო აბჯარი. აი როგორი იყო ეს აბჯარი.

ფერდიადმა ჩაიცვა ოქროსთმიანი ქობით დამშვენებული აბრე-
შუმის საწმერთული, ზედ გადაიცვა ტყავის მრეში შარვალი. შარ-
ვალზე მიიმაგრა დოლაბისოდენა მკვიდრი ლოდი. შემდეგ გადაიცვა
ნაწროთბი რკინის მტკიცე და სქელი წვივსაცმელი, რომელიც ფა-
რავდა დოლაბისოდენა მკვიდრ ლოდს. აგრე შეიმოსა ფერდიადი,
რამეთუ კუხულაინდის რქის შუბის რიდი ჰქონდა ფრიადი. შემდეგ
დაირქვა ბრძოლების, ლაშქრობების და ორთაბრძოლების მუზარა-
დი. მუზარადს ამშვენებდა ორძოცი გამჟვირვალე ქვით მოოჭვილი,
წითელი მინანქრითა და კრისტალებით გაწყობილი დიდებული ჭილა.
ჭილაზე ნათობდნენ აღმოსავლეთის მცენარეულობათა ხატები.

ფერდიადმა ხელთ იპყრა თავისი მგმირავი შუბი; წელზე შემოირ-
ტყა თავისი ფხიანი გორდა, გორდას ამშვენებდა ოქროს ვადა და კა-
დონი. ფართო ბეჭებზე წამოიგდო ხარის ტყავისაგან ქმნილი ვე-
ებერთელა ფარი, ფარს ამშვენებდა ორმოცდაათი კობი. ყოველ კობ-
ზე დაეტეოდა ტახის ხატი. ფარის შუაში კი ანათებდა უზარმაზარი
ოქროს კობი.

ამგვარად აღიჭურვა ფერდიადი და დაიწყო ჰაერში კისკასი ფან-
დების ჩვენება. მრავალი, მრავალსახე, თვალისმომჭრელი და თვალ-
უშალი იყვნენ ფანდები, რომელნიც ფერდიადს არავისაგან არ ეს-
წავლა, არცა დიაცისა და არცა მამაცისაგან, არც სკატახთან, არც
უატახთან და არც აიფესთან: ისინი თავად შეთხზა მან იმავე დღეს,
რათა ეჩვენებინა კუხულაინდისათვის.

კუხულაინდი მივიდა ფონთან და იხილა მრავალი, მრავალსახე,
თვალისმომჭრელი და თვალუშალი ფანდები, რომელსაც უჩვენებდა
ფერდიადი ჰაერში.

— ძმაო ლოიგ, — ეზრახა კუხულაინდი თავის მეეტლეს, — ხომ
ხედავ იმ მრავალ, მრავალსახე, თვალისმომჭრელ და თვალუშალ
ფანდებს, რომელსაც აჩვენებს ფერდიადი ჰაერში? მკვეთრ დავეუფ-
ლები მე მათ. უწყოდე, ლოიგ! დღეს მეტოქემ ბრძოლაში თუ დამ-
ჯაბნა: მაშინ შენ უნდა მქირდო და მათრიო მე, რათა აღიგზნოს
ცეცხლი და გაათორება ჩემი. ხოლო თუ მე დავჯაბნე იგი, მაშინ უნ-
და მივაზირო, ამაზავთო და ფრთები შემასხა, რათა გადაიდღეს სი-
გულოვნე ჩემი.

— ისე აღსრულდება, როგორც ბრძანე, ჩემო კუხუ, — ეზრახა ლოიგი.

მაშინ კუხულაინდმაც აისხა თავისი საბრძოლო და საორთაბრძოლო საჭურველი, დაიწყო ჰაერში ისეთივე მრავალი, მრავალსახე, თვალისმომკრელი და თვალშმადი ფანდების ჩვენება, რომლებიც მას მანამდე არავისაგან არ ესწავლა, არცა ღიაცისა და არცა მამაცი-საგან, არც სკატახთან, არც უატახთან და არც აიფესთან. ეს იხილა ფერდიად და მიხვდა, რომ ამ ფანდებს აქვე დაეუფლა კუხულაინდი.

— ფერდიად, რომელი საჭურველით შევებათ ამჯერად? — ეზრახა კუხულაინდი.

— ამჯერად შენზეა არჩევანი, — უპასუხა ფერდიადმა.

— მაშ დავიწყოთ ფონის თამაშით, — ეზრახა კუხულაინდი.

— თანახმა ვარ დავიწყოთ, — უპასუხა ფერდიადმა.

ასე კი უპასუხა ფერდიადმა, მაგრამ როდი ახარებდა მას თამაში იგი, რამეთუ უწყოდა: კუხულაინდი ჯაბნიდა ყველა მორკინალს, ვინც მას ფონს ეთამაშებოდა.

იმ დღეს დიდი საქმე უნდა მომხდარიყო ფონთან. ერთმანეთს უნდა შერკინებოდა დასავლეთის ორი გმირი, ორი სწორუპოვარი მხედარი, ორი ეტლოსანი მორკინალი, ირლანდიის საბრძოლო ხელოვნების ორი მანათობელი ლამპარი, ორი უხვი მარჯვენა, რომელნიც მოწყალეებასა და სანიჭარს ფლანგავდნენ ჩრდილო-დასავლეთ მსოფლიოში, ირლანდიის სიქველის ორი ბელადი და სამხედრო სიბრძნის ორი წყარო. ისინი შულღმა შორიდან მოიყვანა აქ, შულღმა, რომელიც ჩამოაგდეს აილიღმა და მეღბმა. და განთიადიდან ვიდრე შუადღემდე ათასნაირი ფანდებით ცდილობდნენ ისინი ერთმანეთის დამხობას.

ოდეს მოაწია შუადღის ჟამმა, კვლავ უფრო იმძლავრა მებრძოლთა გააფთრებამ და ისინი უფრო ახლოს მივიდნენ ერთმანეთთან. კუხულაინდმა ისკუპა თავისი ნაწირიდან და დახტა ფერდიადის ფარის კოპზე, რათა მოეხალთა თავი ფარის გნღეზე. მაგრამ ფერდიადმა აიქნია ფარი მარცხენა იდაყვით და კუხულაინდი ჩიტივით გადააფრინა თავის ნაპირზე.

კვლავ დახტა კუხულაინდი ფერდიადის ფარის კოპზე, რათა მოეხალთა თავი ფარის განეღზე. მაგრამ ფერდიადმა აიქნია ფარი მარ-

ცხენა მუხლით და კუხულაინდი პატარა ბავშვივით გადააფრინა თავის ნაპირზე.

ყოველივე ეს იხილა ლოიგმა.

— ვაგლახ! — წამოიძახა მან. — მეტოქემ დაგტუქსა შენ, ვითარცა სათნო დიაცი ტუქსავეს უსუსურ ბაღს! მან გაგმურკნა შენ, ვითარცა მაზმართში მურკნავენ თეფშებს! მან დაგფშვნა შენ, როგორც წისქვილი ფშვნის პურის მარცვალს! მან დაგაპო შენ, როგორც ნაჯახი აპობს მუხას! იგი შემოგეხვია შენ, ვითარცა მხვიარა ეხვევა ხეს! იგი დაგაცხრა შენ, ვითარცა ქორი დააცხრება ჩიტების გუნდებს. აწ სამარადისოდ დაუდგა აღსასრული შენს დაჩემებებს და უფლებებს საბრძოლო დიდებაზე, ოპოი, ცოფიანო ქონდრისკაცო!

მაშინ კუხულაინდი ღრუბელთა სიღრმეში დაბუდებული ურჩხულის კვეთებით გადმოეშვა თავისი ნაპირიდან და დაასკდა ფერდიადის, დამანის ძის, ფარის კოპს, რათა მისთვის მოებალთა თავი ფარის გნდებზე. მაგრამ ფერდიადმა კვლავ აიქნია თავისი ფარი და კუხულაინდი გადაისროლა ფონის შუაგულში, სადაც ნახტომამდე იდგა.

მაშინ დაემართა კუხულაინდს სასწაულებრივი გარდასახვა თვისი: იგი ერთიან აზვავდა, გაფართოვდა და გაიბერა, ვითარცა ქანთილი. იგი დაემსგავსა საზარელ, მრისხანე, ნაირფერსახოვან და განსაცვიფრებელ მშვილდს. და სიმაღლე მისი იზარდა ფრიად და დაედარა იგი ფომორებს და დასჯაბნა სიმაღლით ფერდიადი.

ისე ახლოს მივიდნენ მორკინალნი ურთიერთთან, რომ ზევით ჩანდა მხოლოდ თავები მათი, ქვევით კი ფეხები მათი, ხოლო შუაში—ფართა გნდეებისა და კოპების მიღმა, ხელები მათი. ფარები დასკდნენ და დაიბძარნენ გნდეებიდან ვიდრე შუამდე. დაიკბილნენ და გაიდრიკნენ შუბები მათი. ისე ახლოს მივიდნენ მორკინალნი ურთიერთთან, რომ მათი ფარების გნდეებიდან, ხმალთა ვადებიდან და შუბთა დიბლიგებიდან შემზარავი ძახილით იძახეს მიონთა და ჰაერის მცველთა, ელქაჯისსახიანმა აღქაჯებმა და გაფითრებულმა მაძახურებმა. ისე ახლოს მივიდნენ მორკინალნი ურთიერთთან, რომ კალაპოტიდან ამოაგდეს მძლავრი ნაკადი და კალაპოტში დარჩა იმოდენა თავისუფალი ადგილი, რომ შიგ ნებიერად მოისვენებდნენ მეფე და დედოფალი, და კალაპოტში არ დარჩენილა წვეთი წყალი,

თვინიერ წყლისა, რომელიც მებრძოლებმა ბრძოლის ეპოს ფეხებით გამოადინეს ნიადაგს. ისე ახლოს მივიდნენ მორკინალნი ურთიერთთან, რომ მათი შიშით დაფრთხნენ ირლანდიური ბედაურები, დაწყვიტეს ბორკილები და ხალვანდები, მუკუდნი და ტოილონი, მოწყუნენ ადგილებიდან და შეშლილი ჭიხვინით გადაილუპნენ თემან-დასავლით, გააფრთხულნი თელავდნენ დიაცებსა და ბალდებს, თელავდნენ სნეულთა და ნაღვლიანთა ირლანდიელთა ბანაკში.

ხმალდახმალ ეკვეთნენ მორკინალნი ერთმანეთს და იყო წამი, ოდეს ფერდიადმა თევზისკბილისვადიანი ხმლით დაჰკოდა კუხულანდი. კუხულანდის მკერდიდან სისხლმა იხუვლა და ზოსტერზე ჩამოიღვარა, სისხლისფრად შეიღება ფონი.

ველარ აიტანა კუხულანდმა ფერდიადის ძლიერი, მომაკვდინებელი, პირდაპირი და ირიბი დარტყმები. უბრძანა მან ლოიგს, რიანგაბარას ძეს, მიეწოდებინა რქის შუბი. აი როგორი იყო ეს შუბი: იგი უნდა ჩაგეშვა წყალში და გაგეტყორცნა ფეხის ორი თითით; შუბი ოცდაათი წვერით იჭრებოდა სხეულში და მისი ამოძრობა არ შეიძლებოდა სხვაფრივ, თუ ირგვლივ არ ამოჭრიდი სხეულს.

გაიგონა ფერდიადმა რქის შუბის ხსენება და დაბლა ჩამოუშვა ფარი, რათა დაეფარა სხეულის ქვედა კერძო. მაშინ სხეულის გაშიშვლებულ ნაწილში, რომელიც ჩანდა ფარის გნდებზე, რქის ბეგთარის საყელურს ზემოთ, კუხულანდმა ხელშუბი შესტყორცნა ხელისგულით ფერდიადს. წამსვე ასწია ფარი ფერდიადმა, რათა დაეცვა სხეულის ზედა კერძო. მაგრამ უდროო იყო ეს დაცვა, რამეთუ ლოიგმა, რიანგაბარას ძემ, უკვე გამართა რქის შუბი წყალქვეშ და კუხულანდმა უკვე გამოსდო მას ფეხის ორი თითი. და გასტყორცნა შორიდან. შუბმა გაჰკვეთა ნაწრობი რკინის მტკიცე და სქელი წვივსაცემელი და სამ ნაწილად დაამსხვრია დოლაბისოდენა მკვიდრი ლოდი. გაფლითა საწმერთული და პერიკამი, შეიჭრა სხეულში და წვეტებით გაიჭედა ფერდიადის ყოველ კუნთში, გაიხლართა სხეულის ყოველ ხრტილში.

— გათავდა! მორჩა! — წამოიძახა ფერდიადმა. — ამჯერად უკვე სასიკვდილოდ ვარ დაკოდილი. მაგრამ უწყოდე, კუხულანდ: ძლიერი ძგერება ფეხის თითებით მაგემე შენ და არ ძალგიძს დაიქადო, რომ მე დამამხო შენმა მარჯვენამ.

შემდეგ კი დასძინა:

— ოპოი, ძაღლო, დიდოსტატო საბრძოლო საქმის,
არა, არ უნდა მოგეკალი ძმობილი შენი!
ამიერიდან უნდა კისრით ატარო ცოდვა,
არ მოგასვენებს სიკვდილამდე უბრალო სისხლი.

საზარელია ბედი მისი, ვინც მოკვდა ომში!
ვისაც უბიძგეს გამცემლობის უფსკრულის პირად!
ხმა წამრთმევია, ვგრძნობ სიკვდილის საშინელ სუნთქვას,
სადაც სხეულს დაუტევებს სიცოცხლე ტკბილი!

დამსხვრეულია სასიკვდილოდ ფერდები ჩემი,
სხეული ჩემი სისხლისაგან იცლება უკვე.

(ო, დღეს ნამდვილად არ მქონია ბრძოლაში ბედი,
შენ მე დამამხე, დაცამლეწე, ბრწყინვალე ძაღლო!

ერთი ნახტომით აღმოჩნდა კუხულაინდი ფერდიადთან. ორივე ხელით აიტაცა იგი და საჭურველთან და აბჯართან ერთად ფონს გაღმა გაიტანა, რათა გამარჯვების ეს დავლა არ დაეტოვებინა ფონის თემანით ირლანდიელთა ხელში და აღემაართა იგი ფონის ბორჩაისით. მან ფერდიადის სხეული ფრთხილად დაუშვა მიწაზე, მაგრამ ამ დროს სინათლე მიიღია კუხულაინდის თვალებში, უძლურებამ შეიპყრო იგი და გრძნობა მიეხადა.

ეს დაინახა ლოიგმა, ეს იხილეს ირლანდიელმა მხედრებმაც და დაიძრნენ კუხულაინდისაკენ, რათა ჯარად დასხდომოდნენ თავს.

— მსწრაფლ აღსდექ, კუხუ! — ჩასძახა ლოიგმა. — ირლანდიელი მხედრები დაიძრნენ შენკენ და ეს იქნება უკვე არა ორთაბრძოლა, არამედ ჯარად თავდასხმა, რათა შური მოგაგონ ფერდიადის, დამანის ძის, დარეს ძის სიკვდილის გამო.

— რად უნდა აღვსდგე, ყრმაო? — ეზრახა კუხულაინდი. — ხომ აქვე წევს იგი, რომელიც დავამხე!

და ისინი ეზრახნენ ერთურთს:

ლოიგი

ო, აღსდექ ჩქარა, ემანის ბრწყინვალე ძაღლო!
შენ უნდა იყო ნიადაგმცა ურყევი სულით.

შენ გმირთაგმირი ფერდიადი ბრძოლაში დაეც.
უფალსა ვფიცავ, სასტიკია ძველება შენი.

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

აწ რალად მინდა ურყეობა მწუხარე სულის?
გონებას ჩემსას ეუფლება სევდა და გლოვა,
ოდეს ვუყურებ ჩემს მიერვე ჩადენილ საქმეს,
განგმირულ ცხედარს მეგობრისას ვუყურებ ოდეს.

ლ ო ი გ ი

თავის ქება და მზეაობრობა შეგფერის უფრო,
ვიდრე სიკვდილზე წუწუნი და ქვითინი მწარე.
საოცარია, შენ იმ მხედარს დასტირი ახლა,
რომელიც აგერ, წუთის წინათ გიტევდა შუბით!

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

ნეტა მას ჩემთვის მოეკვეთა ბრძოლაში ფეხი,
მარჯვენა ხელი მოებალთა ბრძოლაში ნეტავ!
არ ჩავადებდი მე არაფრად დანაკლისს მძიმეს,
ოღონდ ეცოცხლა ქვეყანაზე საყვარელ ძმობილს!

ლ ო ი გ ი

იგი, რაც მოხდა, უდავოა სიმშვიდეს მოჰკვრის
მეწამულ ტოტში შემაქცევარ ასულთა კრებას,
იგი ხომ მოკვდა, შენ კი ცოცხლობ ჯან-ღონით სავსე,
არა, ხუმრობა არ ყოფილა კვეთება თქვენი.

კ უ ხ უ ლ ა ი ნ დ ი

მას შემდეგ, რაც რომ კუალნგეში დავადგი ფეხი,
წინ აღვუდექი ბოროტ მედბის უსაზღვრო ნებას,
მე სასაკლად გარდვაქციე კონახტის მხარე,
მრავალი გმირი გულოვანი განვგმირე შუბით.

შენ ერთი ღამეც არ წოლილხარ საწოლზე მშვიდად,
 რადგან ნიადაგ ბრძოლით იცავ მამულის საზღვრებს:
 მთელი მხედრობა ირლანდიის შენა ხარ ოდენ.
 აღრე აღმსობა გიხდებოდა, მხედარო, ხშირად!

შემდეგ კუხულაინდი მოჰყვა მოთქმას და ფერდიადის დატირებას. იგი მოსთქვამდა:

— ვაგლახ, ფერდიად, ვიდრე ბრძოლად აღიძვრებოდი, რად არ დაეკითხე მათ, რომელთაც უკვე განიცადეს სიგულოვნე და სიკისკასე ჩემი!

ვაგლახ, რომ ლოიგმა, რაინგაბარას ძემ, საყვედურით არ მოგაგონა ძმადნაფიცობის ის წლები, ოდეს საბრძოლო ხელოვნებას ვეუფლებოდით.

ვაგლახ, რომ ყურად არ იღე შეგონებანი ბრძენი ფერგუსისა!

ვაგლახ, რომ კონალ ძლევა მოსილმა, მხედარმა უძლეველმა და სახიერმა, არ გივაზირა და არ მოგაგონა შენ ჩვენი განსწავლის წლები.

ვაგლახ, რამეთუ ეს მხედრები შენს გონებას განარიდებდნენ ელჩებს, წადილებს, შეხვედრებს, და კონახტელ ცბიერ დიაცთა დაპირებებს!

რამეთუ მათ უწყიან, რომ ჯერ არ შობილა ვაქაკი, რომელიც კონახტებს აგემებდეს ისეთ დარტყმებს, როგორსაც ვაგემებ მე, — და არც იშვას აროდეს!

რამეთუ მთელს ირლანდიაში ტოლი არა მყავს მე ფართა ფარებაში და ხმალთა და შუბთა ძვერებაში, ჰადრაკის დაფაზე ბრძოლაში და ცხენთა და ეტლთა გეზებაში.

აწ ვერსად ჰპოვოთ მარჯვენა, მგმირავი, ღრუბელთა დასადარი, ფერდიადის მარჯვენის ბადალი.

აწ ველარასოდეს გაიგონოთ წითელბაგიანი ბოდბის ველური მოთქმა, რომლითაც მოთქმიდა იგი, ოდეს ფერდიადმა გაანგრია მებრძოლთა ლაშქარი და გადათქერა ფარების ჯღრღე.

აწ კრუახანმა ველარავისთან დასდოს პირობა იგი, რომელიც დას-
დო შენთან, ო, ალისფერო ძეო დამანისავ!

კუხულაინდმა შესწყვიტა მოთქმა და სთქვა:

— ჰოი, ფერდიად, შენ სასიკვდილოდ გაგიმეტეს ირლანდიელთა,
როს წაგაქეზეს ორთაბრძოლისთვის. ძნელია ბრძოლა იმ მორკინალ-
თან, ვინაც გაიტაცა ხარი კუალნგედან.

და მან დასძინა:

— მუხანათობის მსხვერპლი გახდი, ძმობილო ჩემო!
საბრალო იყო საბოლოო შეხვედრა ჩვენი!
შენ მიეთვალე მიცვალებულთ, მე ცოცხლად დავალ.
ვით ავიტანო განშორების მარადი სევდა!

ოდეს სკატახთან, უატახთან და აიფესთან
ვეუფლებოდით მეგობრები საბრძოლო ფანდებს,
აგრე გვეგონა, ჩვენს სიყვარულს და ნათელ ძმობას
აღარასოდეს ექნებოდა ამქვეყნად ბოლო.

ძვირფასი იყო ალისფერი იერი შენი,
და მშვენიზე მშვენი, სრულყოფილი, უზადო სახე,
ძვირფასი იყო მტრედისფერი თვალების ელვა,
ენამზეობა, მეტყველება რთული და ბრძნული.

არვის უხილავს, ალისფერო დამანის ძეო!
ტყავის მხეველი — შენი ძალის მხედარი ქვეყნად,
მუდამ მგზნებარე, ანთებული საბრძოლო ცეცხლით
და ფართო მხრებზე მოგდებულნი ვეება ფარით.

მხოლოდშობილი რომ დაეცა ძე აიფესი,
მას შემდეგ არის, არ მიხილავს მხედარი ველად,
შენი ბადალი უშიშარი, უებრო შენებრ,
ჰოი, ფერდიად, ვერც ვიხილო ვერასდროს ვგონებ.

ფინდაბაირი, დიდებული ასული მედბის,
მთელი თავისი სილამაზით, მშვენებით სრულით,
გმირო ფერდიად, შენთვის იყო იგივე ალბათ,
რაც არას ტოტი ტირიფისა ქვიშიან ქედზე!

კუხულაინდმა დახედა ფერდიადის ცხედარს და წარსთქვა:

— რა გაეწყობა, ლოიგ ბატონო, ახსენ ფერდიადს საჭურველი
და განძარცვე აბჯარი. ვიხილოთ აბზინდი იგი, რომლისა გამოც აღიძ-
რა ბრძოლად.

ლოიგი მივიდა ფერდიადის ცხედართან, ახსნა საჭურველი და
განძარცვა აბჯარი. კუხულაინდმა იხილა აბზინდი იგი და კვლავ მოჰ-
ყვა ფერდიადის დატრეპება იგი მოსთქვამდა:.....

ჰოი, ფერდიად, დიდებულო დამანის ძეო,
ვინაც ამხობდი უძლეველი მარჯვენის ძალით
მომხდურთა ლაშქარს და იცავდა სამშობლოს საზღვრებს,—
ოქროს აბზინდი გარდაგექცა საზარელ ტანჯვად.

რარიგ გშვენოდა ოქროსფერი გვირგვინი თმების,
რარიგ გვხიბლავდა დაბურდული, ხვეული ვარჯი!
დევეგმირო, თითქოს, სიკვდილამდე გემოსა წელზე
ძეწნებისაგან დაცაწნული ზოსტერი ლბილი.

რამ დამავიწყოს მეგობრობა და ძმობა ჩვენი,
შენი თვალების გამოხედვა წრფელი და მტკიცე,
ოქროს გნდეებით შემკობილი ბრწყინვალე ფარი,
საორთაბრძოლო დარტყმათათვის ჰადრაკის დაფა.

რამ დამავიწყოს სამაჯური ნათელი ვერცხლის,
შემოსალტული ძლევაშოსილ მაჯაზე მჭიდროდ,
სწორუპოვარი, იშვიათი შიმშური შენი,
და მშვენიერზე მშვენიერი უზადო სახე.

შენ რომ დაგამხო ძმადნაფიცის მარჯვენამ, ძმაო,
ო, ჰეშმარიტად სამარცხვინო საქმეა იგი,

არც სილამაზე არ ყოფილა რკინება ჩვენი,
ოქროს აბზინდი გარდაიქცა საზარელ ტანჯვად!

— ლოიგ ბატონო, — წარსთქვა კუხულაინდმა, — ახლა კი დროა.
გაჰკვეთო ფერდიადის სხეული და ამოაძრო რქის შუბი, — რამეთუ
ვერ დაეშთე მე თვინიერ ამა საქურელისა.

მაშინ მივიარდა ლოიგ ფერდიადის სხეულს, გაჰკვეთა იგი და ამო-
აძრო რქის შუბი. იხილა კუხულაინდმა თვისი სისხლიანი საქურველი
და მწარედ ღალადყო:

~~— ჰოი, ფერდიად, მძიმე იყო შეხვედრა ჩვენი!~~
შენ სასიკვდილო სარეცელზე განრთხმულხარ ახლა,
ხარ ერთიანად ფერმიხდილი, მოსვრილი სისხლში,
ველარასოდეს მოვიცილო ეს მძიმე ცოდვა.

ძმადნაფიცები ძველებურად რომ ვიყოთ მალრიბს,
იმ ბრძენ სკატახთან უატახთან და აიფესთან,
არ იქნებოდნენ უფერულნი ბაგენი შენნი,
არ იქნებოდი სარეცელზე განრთხმული ახლა.

იმ დიდებულმა დედაკაცმა, მწაფველმა ჩვენმა,
ჩვენ შორის შეჰკრა მეგობრობის კავშირი მტკიცე,
რათა ნათელი ირლანდიის ნაშიერთ შორის,
არ მომხდარიყო არაოდეს შუღლი ჩვენს გამო.

ნადვლიანია დილა ესე, მირკანის დილა,
დამანის ძეს რომ მოუვლინა სიკვდილი მწარე!
ო, საუკუნოდ მიიცვალა ძმობილი ჩემი,
ბრძოლით დამაშვრალ! ცხელი სისხლი შევასვი თავად!

ერთგულ მეგობრებს, გამოზრდილებს სკატახის სახლში,
სავალალო და საზარელი შეგვემთხვა საქმე.

მე ვარ ერთიან დაჩეხილი, ურვილი ერთობ,
შენ კი ვერასდროს ველარ მართო საბრძოლო ეტლი!

ერთგულ მეგობრებს, გამოზრდილებს სკატახის სახლში,
სავალალო და საზარელი შეგვემთხვა საქმე.
მე ვარ ერთიან დაჩეხილი, ურვილი ერთობ,
შენ კი მკვდარი ხარ და ასევე დარჩები მარად.

ერთგულ მეგობრებს, გამოზრდილებს სკატახის სახლში,
სავალალო და საზარელი შეგვემთხვა საქმე.
შენ მოკვდი უკვე, მე კი ვცოცხლობ, ვსუნთქავ და ვლალბ.
მრისხანი ბრძოლა — აი ხვედრი ნამდვილი მხედრის.

— რა გაეწყობა, კუხუ, — იზრახა ლოიგმა, — დროა განვეშორეთ
ფონს. ფრიად დაეახანეთ აქ.

— ნამდვილად დროა, — უპასუხა კუხულაინდმა. — უწყოდე,
ლოიგ: ყოველი ბრძოლა და ორთაბრძოლა, რომელიც მე ამ ფონთან
გამიმართავს, უბრალო თამაში და იაფი გართობა იყო ოდენ, ფერ-
დიადის ორთაბრძოლასთან შედარებით. — და მან დასძინა:

ყოველი იყო თამაში და გართობა ლაღი,
ვიდრე ფერდიადს არ შეეგები საზარელ ფონთან.
ჩვენ ერთი გვქონდა განსწავლა და საბრძოლო სიბრძნე,
ჩვენ ერთი გვქონდა გულქართლობა და მკლავის ძალა,
და ჩვენ ორივეს ერთი გვყავდა მოძღვარი სათნო,
და ფერდიადი იყო მუდამ რჩეული მისი.

ყოველი იყო თამაში და გართობა ლაღი,
ვიდრე ფერდიადს არ შეეგები საზარელ ფონთან.
ჩვენ მომხდურისთვის ერთნაირი ვიყავით რისხვა,
სასტიკ ბრძოლებში ერთნაირად ვხმარობდით ფანდებს.
სკატახმა მოგვცა ორი ერთი სიფართის ფარი,
ერთი — ფერდიადს, მეორე კი მოიღო ჩემდა.

ყოველი იყო თამაში და გართობა ლალი,
ვიდრე ფერდიადს არ შეეგები საზარელ ფონთან.
ო, მეგობარო სასურველო, ო, ოქროს სვეტო,
საზარელ ფონთან დამხობილო ჩემივე ხელით!
ო, ხალხთა ტახო, მძლავრო ტახო დაუცხრომელო,
ირლანდიაში უმამაცეს იყავი სხვათა!


ყოველი იყო თამაში და გართობა ლალი,
ვიდრე ფერდიადს არ შეეგები საზარელ ფონთან.
ამ გაათფრებულ და მძვინვარე ლომის ნაშიერს,
სამსჯავროსავით საშინელს და მრისხანე ტალღას.

ყოველი იყო თამაში და გართობა ლალი,
ვიდრე ფერდიადს არ შეეგები საზარელ ფონთან.
ასე მგონია, ფერდიადი, ძმობილი ჩემი,
დიდ მეგობრობას გამიწვედა სიკვდილის დღემდე.
გუშინ ის ფონთან უზარმაზარ მთასავით იდგა,
ხოლო დღეისთვის, ოდენ ლანდი დამშთალა მისი.

სამგზის დავამხვე საკუთარი მამაცი მკლავით
აურაცხელი და ბოროტი მხედრობა მტერთა,
მრავალი ხარი, ბედაური, მხედარი მძლავრი,
მივფანტ-მოვფანტე ამა ქვეყნის ოთხივე მხარეს.

თუმც აურაცხელ მტერთა იყო ლაშქარი იგი,
კრუხანმა რომ წარმოგზავნა შემუსვრად ჩვენდა,
მისი ნახევრის ნასამალი დავამხვე თავად,
საზარელ ფონთან მოვაკვდინე ბოროტი მტერი.
არ გაუზრდია ირლანდიას იმგვარი გმირი,
არვის უხილავს ძე მეფისა გასული ბრძოლად,
ვაჟკაცი იგი არ უხილავს ზღვასა და ხმელეთს.
რომელსაც ძალუძს დაძლევა და დამხობა ჩემი!

აქ მთავრდება ფერდიადის სიკვდილის ამბავი.



კუხულანდის დასწავლა

ულადები ყოველ წელიწადს იყრიდნენ თავს სამაინის¹ დღესასწაულზე. ეს ანდებობა იწყებოდა სამაინამდე სამი დღით ადრე, გრძელდებოდა თვით სამაინის დღეს და მთავრდებოდა სამაინიდან სამი დღის შემდეგ. ამ დღესასწაულზე, რომელიც მურტემნეს ტაფობზე² იმართებოდა, სხვა არა იყო რა, თვინიერ მღერისა, სახიობისა და ნადიმისა. ამიტომაც უყვარდათ სამაინი მთელს ირლანდიაში.

თავმოყრილი მხედრების საყვარელ საქმედ ითვლებოდა თავისი დვაწლითა და სიგულოვნით ქადილი. დანაქადების დასამტკიცებლად მათ თან მოჰქონდათ მოკლული მტრების ენები. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი მხედარი მათ უმარებდა პირუტყვის ენებსაც. მხედრები ლაპარაკობდნენ რიგის მიხედვით და ამ დროს ხდებოდა ასეთი რამ: ყოველ მხედარს წელზე ერტყა მახვილი, და თუ მხედარი ცრუობდა, მახვილის წვერი მის წინააღმდეგ მიიქცეოდა. ამრიგად, მახვილი იყო მხედრის სიმართლის თავდები.

ერთხელ ულადებმა თავი მოიყარეს მურტემნეს ტაფობზე, სამაინის დღესასწაულზე. მათ აკლდათ მხოლოდ ორი მხედარი: კონალ ძლევაგოსილი და ფერგუსი, ძე როიგისა.

— დავიწყოთ დღესასწაული, — სთქვეს ულადებმა.

— არ შეიძლება დაწყება, ვიდრე არ მოსულან კონალი და ფერ-გუსი, — იზრახა კუხულაინდმა.

ასე იზრახა კუხულაინდ, რამეთუ ფერგუსი იყო მისი მამობილი, ხოლო კონალი — ძუძუმტე მისი. მაშინ იზრახა სენხამ:

— მოდიოთ, მათ მოსვლამდე ვამღეროთ ჭადრაკი, დავტკბეთ სახიობით და ვუცქიროთ ასპარეზობას.

სანამ მხედრები ამგვარი საუბრით იქცევდნენ თავს, ახლორე ტბაზე უეცრად ფრინველების გუნდი გამოჩნდა. უფრო მშვენიერი ფრინველები ჯერ არავის ეხილა ირლანდიის მხარეში. მაშინ აიტაცა დიაცნი მათი შეპყრობის სურვილმა და იწყეს დავა დიაცთა, თუ ვისი ქმარი აღმოჩნდებოდა უფრო მარჯვე ფრინველთა შეპყრობაში.

— მე მსურს დავისვა თითო ფრინველი თითო მხარზე, — წარს-თქვა ეტნე აიტენკაიტრებმა, კონხობარის მეუღლემ.

— ჩვენც ასევე გვსურს! — წამოიძახეს დანარჩენებმაც.

— თუ ვინმესთვის შეიპყრობენ ამ ფრინველებს, უწინარესად ჩემთვის, — თქვა ეტნე ინგუბამ, კუხულაინდის მიჯნურმა.

— რა ვიღონოთ? — იკითხეს დიაცთა.

— ძნელი არ არის თქმა, — თქვა ლებორხამმა, ასულმა აუესა და ადარკისამ, — მე მივალ კუხულაინდთან და ვთხოვ, ადასრულოს სურვილი თქვენი.

იგი მივიდა კუხულაინდთან და ეზრახა მას:

— ფრიად განიხარებდნენ დიაცნი, ფრინველებს თუ შეიპყრობ-დი მათთვის.

კუხულაინდმა მუქარით გაივლო მახვილზე ხელი:

— ულადელმა კახებმა სხვა ვერაფერი მოიგონეს, გარდა იმისა, რომ ჩიტებზე სანადიროთ გამგზავნონ!

— შენ მართლა სცდები, ო, კუხულაინდ! — შეედავა ლებორ-ხამი, — შენ ხომ მიზეზი ხარ სამიდან ერთი იმ სიღუხჭირისა, რომე-ლიც თავს დაატყდათ ულადელ დიაცებს — შენ ხარ მიზეზი მათი სიელმისა.

რამეთუ სამი სიღუხჭირე დაატყდათ ულადელ დიაცებს: კუზი-ანობა, ენაბრგვნილობა და სიელმე. ისინი, რომელნიც ეტრფოდნენ კონალ ძღვევამოსილს, ბეჭებში იხრებოდნენ. ისინი, რომელნიც ეტრ-

ფოდნენ კუსკრაიდს, მახელ ენაბრგვნილს, ენაყენებით მეტყველებდნენ; ხოლო ისინი კი, რომელნიც კუხულაინდს ეტრფოდნენ, ცალი თვალით ელმობდნენ, რათა დამსგავსებოდნენ მას, — რამეთუ, ოდეს კუხულაინდს ბრძოლის ცეცხლი შეენთებოდა, მისი ერთი თვალი ისე ღრმად შედიოდა ბუდეში, რომ წეროც კი ვერ ჩააწვდენდა ნისკარტს, ხოლო მეორე თვალი საძროხე ქვაბივით გამოდიოდა გარეთ.

— გამართე ეტლი, ო, ლოიგ! — წამოიძახა კუხულაინდმა.

ლოიგმა ცხენები ეტლში შეაბა და ტბისაკენ დასძრა. ხმალამოწვდილი კუხულაინდი ისეთი ხაფით დაატყდა თავს ფრინველების გუნდს, რომ მათი პოჭოკებითა და ფრთებით მოჰფინა მთელი ტბა. ლოიგის დახმარებით მან ყველა ფრინველი შეიპყრო და დიაცებს გაუნაწილა. ყოველ დიაცს ორ-ორი ჩიტი ერგო, ხოლო ეტნე ინგუბას აღარაფერი შეხვდა. კუხულაინდი მივიდა თავის მიჯნურთან და ეზრახა:

— შენ ნაწყენი ხარ ჩემზე?

— სრულიადაც არა, — უპასუხა ეტნემ, — მე სიამოვნებით დავუთმობდი მათ ამ ჩიტებს. შენ ხომ კარგად უწყი, რომ ამ ასულთა შორის არ მოიპოვება თუნდაც ერთი ასული, რომელიც შენ ნაწილობრივ მიინც არ გეკუთვნოდეს. მე ხომ ერთი ნაწილითაც არ ვეკუთვნი სხვას: მე ერთიან შენი ვარ.

— მაშ, ნულარ მიწყენ, — რქვა კუხულაინდმა, — შენ მიიღებ ორ ულამაზეს ფრინველს, ოდეს ისინი კვლავ გამოჩნდებიან მურტემნეს ტაფობზე, ანდა მდინარე ბონინზე.³

მცირე ხნის შემდეგ ტბაზე გამოჩნდა ორი ფრინველი. ფრინველები ბაჯაღლო ოქროს ძეწკვით იყვნენ შეერთებული და ისე ტკბილად გალობდნენ, რომ მათ მსმენელთ ძილი ეუფლებოდათ. კუხულაინდი მსწრაფლ გაეშურა ფრინველებისაკენ.

— ყური დაგვიგდე, ო, კუხულაინდ, არ შეეხო მაგ ფრინველებს, — ეზრახნენ მას ლოიგი და ეტნე, — იღუპალი ძალი იმალება მათში.

— ერთხელაც იქნება, შენ ჩემთვის შეიპყრობ სხვა ფრინველებს, — დასძინა ეტნემ.

— რატომ გგონიათ, რომ ჩემს სიტყვას გადავალ! — იჰექა კუხულაინდმა. — არაოდეს. ქვა შთასდე შურდულში, ო, ლოიგ!

ლოიგმა აიღო ქვა და შურდულში ჩასდო. კუხულაინდმა სტყორცნა ფრინველებს, მაგრამ დააცილა.

— ავაპმე! — წამოიძახა კუხულაინდმა.

მან აიღო მეორე ქვა, კვლავ სტყორცნა ფრინველებს და კვლავ დააცილა.

— უბედურებამ დამრია ხელი! — წამოიძახა კუხულაინდმა. — მას აქეთ, რაც იარაღს დავეუფლეთ, დღემდე არ ვიცოდით, რა იყო დაცილება.

მაშინ კუხულაინდმა ლიბანდაკი შესტყორცნა ფრინველებს. ლიბანდაკმა ფრთა განუგმირა ერთ ფრინველს და ორივენი წყლის სიღრმეში გაუჩინარდნენ.

მაშინ კუხულაინდი მივიდა ბრტყელ და მაღალ ლოდთან და ზურგით მიეყრდნო მას. ლოდით დააწვა დარდი კუხულაინდს და ძილში ჩაიძირა მკვეთრ. ეძილისშორისა: გამოეცხადა ორი ღიაცი. ერთს მწვანე ემოსა მოსასხამი, მეორეს მეწამული, ხუთგზის შემოგრაგნილი მხრებზე. მიეახლა მწვანით მოსილი ღიაცი კუხულაინდს, გაუცინა და სცა მათრახი. შემდეგ მეორე ღიაცი მიეახლა მას, გაუცინა და მანაც სცა მათრახი. და ასე გრძელდებოდა დიდხანს: ღიაცი მიდიოდა მასთან და სცემდნენ მათრახს, სანამ სიკვდილის სამანს არ მიაგდეს იგი; ბოლოს ორივე გაუჩინარდა.

იხილეს ულადთა, რომ კუხულაინდს ფარსაგი არ სჭირს და მოისურვეს მისი გაღვიძება.

— არ მიეკაროთ მას, — იზრახა ფერგუსმა, — ზმანებას შეუპყროია იგი.

განიფრთხო ძილი კუხულაინდმა.

— რა შეგემთხვა? — ჰკითხავდნენ ულადნი.

მაგრამ კუხულაინდს ამის წართქმალა ძალედვა მხოლოდ:

— წარმიღეთ შინ, დამაცხედრეთ.

და იგი წაიყვანეს სახლში და სარეცელზე დააწვინეს, და იწვა იგი ვიდრე წელიწადი და არ წარუთქვამს სიტყვაც.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ, სამიანის დღესასწაულის ჟამს, კუხულაინდი იწვა სახლში და მისი სარეცლის ირგვლივ იხსდნენ ულადნი: ერთ მხარეს იჯდა ფერგუსი, მეორე მხარეს — კონალ ძლევა მოსილი, სასთუმალთან — სისხლიანი ნაჭრევეების ლუგაიდი, ფერხ-

თით კი ეტნე ინგუბა. იჩქითად სახლში ვილაც მამრი შემოვიდა და კუხულაინდის პირისპირ დაჯდა.

— რისთვის მოსულხარ აქ? — ჰკითხავდა კონალ ძლევამოსილი მამრს.

— მრთელი რომ იყოს აქა მწოლი, იგი დამიფარავდა მე ულად-თაგან. — უპასუხა მოსულმა, — ხოლო სნეული და ძალმიღებული, როგორიც ახლაა იგი, უკეთესი იმედია ჩემი. მე მოველ, რათა მოვე-თათბირო მას და ამიტომაც არ მეშინის არვის.

— თუ აგრეა, კეთილი იყოს შენი მობრძანება! — უპასუხეს ულადთა, — ნუ გეშინის.

მაშინ წამოდგა მოსული და ამღერდა:

— ო, კუხულაინდ, მწუხარეა იერი შენი!
ნეტა რამდენ ხანს გაგრძელდება წამება მძიმე?
შენ უსათუოდ განგკურნავდნენ, აქ რომ ჰგიებდნენ,
აიდ აბრატის ასულები უნეტარესნი.

იზრახა ლიბან, ვინც მეგობრობს ლაბრაიდ მორბედს,
კრუახის ველის მბრძანებელმა იზრახა ლიბან
(უწყოდა ლიბან, დაი მისი, თვალადი ფანდი,
კუხულაინდის სარეცელს რომ ელტვოდა ძლიერ):

„ჩემი ქვეყნისთვის გათენდება ნათელი დილა,
კუხულაინდი, გმირთაგმირი ეწვევა ოდეს!
იგი მიიღებს აურაცხელ საგანძურს ჩვენგან,
დიდი წყურვილის დასაცხრობად მივართმევთ ღვინოს.

ო, იქ რომ იყო, კუხულაინდ, ძვირფასო ჩემო,
სუალტამის ძევ, ჩვენს მხარეში რომ იყო ახლა!
იგი, რაც წუხელ დამამერალმა ვიხილე სიზმრად,
შენ უყოველო აღასრულებ სპათა გარეშე.“

თემანის თემად, დიდებულსა მურტემნეს ველად,
დიდ სამაინზე, კუხულაინდ, ძვირფასო ჩემო,

ო, განა სნებად — უკურნავი სენისა კურენად,
შეხვდებით ლიბანს, წარმოგზავნე რომელიც შენკერძ.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხავდნენ მას იქ მყოფნი.

— მე ვარ აინგუსი, ძე აიდ აბრატიისა, — უპასუხა მან.

და იგი ამ სიტყვებთან ერთად გაუჩინარდა და არავინ უწყოდა, საიდან მოვიდა და სად გაჰქრა იგი. კუხულაინდი წამოიწია საწოლიდან და ზრახვა ჰყო.

— დიდხანს ველოდით შენს აღდგომას! — წამოიძახეს ულაღებმა. — აწ გვიამბე, რა შეგემთხვა.

— გასულ სამაინს დავვარდი ძილად, — იზრახა კუხულაინდმა: და მან მოუთხრო მათ, თუ რა ეძილთშორისა მას.

— აწ რალა ვიღვაწო, ო, კონხობარ, ბატონო ჩემო? — ჰკადრა მან კონხობარს, ოდეს დაამთავრა თხრობა.

— რალა იღვაწო? — ეზრახა კონხობარი. — აღსდექ და წარვედ იმავე ლოდთან, სადაც მოჩვენება გამოგეცხადა.

ასეც მოიქცა კუხულაინდი. მივიდა იგი იმავე ლოდთან და მას კვლავ გამოეცხადა დიაცი იგი მწვანე მოსასხამით.

— აქა მშვიდობა, კუხულაინდ, — წარსთქვა დიაცმა.

— ჩემთვის ეს როდი ნიშნავს მშვიდობას, — ეზრახა კუხულაინდი, — რას ნიშნავდა შენი გამოცხადება ერთი წლის წინათ?

— ჩვენ მოვედით არა რაიმე ბოროტისა ქმნად, არამედ თხოვნად მეგობრობისა და შეწყვენისა. და აი ახლაც შენთან წარმომგზავნა მე ფანდმა, აიდ აბრატის ასულმა, რათა მოგეთათბირო შენ. მანანანმა,⁴ მეუღლემ მისმა, დაუტევა იგი და ფანდმა ამჟამად შენკერძ მომართა ტრფიალი თვისი. მე ვარ ლიბანი — დაი ფანდისა. ლაბრაიდ ხელმარჯვე, ქმარი ჩემი, მზადაა მოგიძღვნას ფანდი, თუ შენ დასთანხმდები და თუნდაც ერთ დღეს იბრძოლებ მის მხარეზე, მისი მტრების: სენახ მოჩვენების, ეოხაიდ იულის და ეოგან ინბირის⁵ წინააღმდეგ.

— ამჟამად ვერ ძალმიძს ვეწყო მებრძოლთ, — იზრახა კუხულაინდმა.

— მალე გამრთელდები ჯანით, — ეზრახა ლიბანი, — და დაგიბრუნდება ძალი აღრინდელი. შენ უნდა დასდო პატივი ლაბრაიდს, რამეთუ იგი უბადლო მორკინალია მთელს დუნიაზე.

- სად სახლობს ლაბრაიდ? — ჰკითხა კუხულაინდმა.
- განცხრომის ველად, — უპასუხა დიაციმა.
- მერჩია სხვა მხარე, — იზრახა კუხულაინდმა. — დაე, პირველად გამოგყვეს ლოიგი და გამოიძიოს ქვეყანა იგი.
- დაე გამომყვეს, — იზრახა ლიბანმა.

ლოიგი თან გაჰყვა ლიბანს და ისინი მიაღწენენ იმ ქვეყანას, სადაც სახლობდა ფანდი. ლიბანი მიუახლოვდა ლოიგს, მხარზე დაადო ხელი და წარსთქვა:

— უწყოდე, ლოიგ, აქედან უვნებლად ვერავინ გააღწიოს, თუ არ შეეწია დიაცი.

— აროდეს მომხდარა, დიაციებს დავეცავით, — რქვა ლოიგმა.

— ძლიერ ვწუხვარ, — რქვა ლიბანმა, — შენს მაგიერ აქ კუხულაინდი რომ არ არის.

— მეც მოხარული ვიქნებოდი, ჩემს მაგიერ იგი რომ იყოს აქ, — ეზრახა ლოიგი. მათ განაგრძეს გზა და მიაღწენენ ზღვის ნაპირს. ნაპირის გასწვრივ მოჩანდა უცხო კუნძული. მათ იქვე, წყალში, იხილეს ბრინჯაოს სანდალი. ჩასხდნენ ნავში, გადავიდნენ კუნძულზე და მიაღწენენ ერთ სახლს. სახლიდან გამოვიდა მამრი. ეზრახა ლიბანთ მამრს:

— მარქვი, სად არის ლაბრაიდი, ხელმარჯვე გმირი, მეთაური და განმგებელი უძლეველ სპათა, ჰოროლთა წვერებს მეწამულით რომ ღებავს სისხლით, და ეტლს დიდებულს გამარჯვების გვირგვინი უმკობს.

ეზრახა მამრი:

— შენ შემეკითხე, თუ სად არის ძე სიმორბედის? როდი აყოვნებს ლაბრაიდი, ხელმარჯვე გმირი, იგი ბრძოლისთვის გამალებით აგროვებს ლაშქარს, ფიდვის ველი რომ მეწამულით დაჰფაროს სისხლით.

ამის შემდეგ ისინი შევიდნენ სახლში და იხილეს იქ ას ერგასო ფიცარნავი და დიაცი ას ერგასი. დიაცი მიესალმნენ ლოიგს:

— სალამი შენდა, ო, ლოიგ, სალამი იმის გამო, ვისაც შენ ახლავხარ! და რადგან შენ მოხვედი აქ, ამიტომ სალამი შენდა, თავად შენს გამო!

— რის ქმნას მოისურვებ ამჟამად? — რქვა ლიბანმა. — ხომ არ წახვიდოდი ფანდთან სავაზიროდ?

— მსწრაფლ წარვიდოდი, რომ ვუწყოდე, სად ჰგიეს იგი, — უპასუხა ლოიგმა.

— ძნელი არ არის თქმა, — რქვა ლიბანმა. — იგი მიმდებარე სენაკშია.

ისინი შევიდნენ სენაკში და ფანდი მიესალმა მათ, ვითარცა სხვა დიაცნი.

(ფანდი იყო ასული აიდ აბრატიისა. აიდ აბრატი ნიშნავს წამწამთა აღს, ეს კი ნიშნავს გუგას. მისი ასულის სახელი ფანდი ნიშნავს ცრემლს, რამეთუ ცრემლია ასული გუგისა, რომლიდანაც მოჟონავს იგი. აგრე უწოდეს ასულს თავისი სიწმინდისა და აგრეთვე მშვენიერებისა გამო, რამეთუ ფანდი ულამაზესი ასული გახლდათ მთელ დუნიაზე.

ამ დროს მათ გაიგონეს ლაბრაიდის ეტლის გრიალი, რომელიც კუნძულს უახლოედებოდა.

— უგუნებოდაა ამჟამად ლაბრაიდი, — რქვა ლიბანმა, — წარვიდეთ, ვეზრახოთ მას და განვუფანტოთ სევდა.

ისინი მიეგებნენ ლაბრაიდს და ლიბანი მიესალმა მას ამგვარი სიტყვებით:

— სალამი შენდა, ლაბრაიდო, ხელმარჯვე გმირო,
იმ ტანმორჩილთა შუბოსანთა შთამომავლო,
ფართა მფრეწაო, დამლეწაო ჰოროლთა წყების,
მძლეთა მებრძოლთა დამამხოზო, მგმირავო გმირთა.

ისწრაფი ბრძოლად—ვით გამშვენიებს მედგარი ბრძოლა!
ამხოზ ურდოებს, აურაცხელ სიმდიდრეს იხვეჭ,
სალამი შენდა, ლაბრაიდო, მგრავინავო გმირო!
ხელმარდო გმირო, ლაბრაიდო, სალამი შენდა!

არარა ეზრახა ლაბრაიდ. მაშინ კვლავ იზრახა ასულმა:

— სალამი შენდა, ლაბრაიდო, ხმალო ფიცხელო, მსწრაფლ შემწყნარებო, უფარველთა ძლიერო ფარო, ბრძოლამდე მწყრალო, კრილობების არდამრიდალო, ო, დიდმეტყველო, უზაკველო მართალო სიტყვაჲ.

ძლიერი ნებით და მამაცი მარჯვენის ძალით გახელებული ამხობ მხედრებს, იმონებ სპათა, სალამი შენდა, ლაბრაიდო, ეტლთა ბელადო, ფიცხელო ხმალო, ლაბრაიდო, სალამი შენდა!

მაგრამ ლაბრაიდი კვლავ სდუმდა. მაშინ კვლავ ამღერდა ასული:

— სალამი შენდა, ლაბრაიდო, ხელმარჯვე გმირო, ზღვაზე ზვიადო, მორკინალო სწორუბოვარო, დიდი ბრძოლების წამომწყებო, თავხედთა რისხვაჲ, გმირთა ზარადო, დავრდომილთა მფარველო დიდო, ყიფთა გამტეხო ლაბრაიდო, სალამი შენდა! სალამი შენდა, ლაბრაიდო, ხელმარჯვე გმირო!

— არად მომწონს ზრახვა შენი, ო, დიაცო, — იზრახა ლაბრაიდ-
მა და ასე ამღერდა:

— მედიდურება და ყიფობა უცხოა ჩემთვის, გონს ვერ ამიმღვრევს მზვაობრობის ცთუნება მძლავრი! ძნელი ბრძოლები, მძიმე ომი მოგველის მებრძოლთ, თვალისმომკრელად იელვარებს მახვილი ბასრი. მოგველის ბრძოლა მტრის ძლიერ და უამრავ ჯართან, უნდა შევებათ ეოხაიდ იულის ჯილაგს.

— გიხაროდენ, ლაბრაიდ, — იზრახა ლიბანმა. — ლოიგი, მეეტ-
ლე კუხულაინდისა, ჩვენთან არს. იგი თავად კუხულაინდმა წარმოგ-
ზავნა აქ, და უეჭველია ჯართურთ შეგვეწევა კუხულაინდი.
მაშინ ეზრახა ლაბრაიდი ლოიგს:

— სალამი შენდა, ო, ლოიგი, სალამი იმ დიაცის გამო, ვისთან ერ-

თადაც მოხველ აქ, და იმ გმირის გამო, ვინაც წარმოგვზავნა აქ! ახლა მიიქეც უკან, ო, ლოიგ: ლიბანი გაგაცილებს შენ.

ლოიგი დაბრუნდა უკან და მოუთხრო კუხულაინდსა და სხვა ულაღებს ყოველივე ის, რაც გარდახდა და რაც იხილა:

— ვიხილე მხარე კეთილი და სხივთამთოველი,
იქ არ მეუფობს სიცრუე და არც სითაღლითე,
ვიხილე კიდევ მეომარნი ხელმწიფისანი,
ხელმარდი გმირის, ლაბრაიდის, ურიცხვი ჯარი.

ოდეს ვლიდი მე სევდიანი ლუადის ველად,
მუნ ხე ვიხილე გამარჯვების აღყვავებული,
ერთ ქედზე კიდევ, თვალი ვკიდე ორიოდ ურჩხულს,
ორთავე იყო საზარი და ორთავიანი.

როს მივალწიე მე ლიბანის ნათელ სამყოფელს,
გამომეგება და ალერსით მეზრახა ლიბან:
„მესათნოები, ლოიგ ჩემო, მაგრამ მერჩია,
აქ შენს მაგიერ მოსულიყო კუხულაინდი.“

სიმშვენიერე — გამარჯვება სისხლის გარეშე —
აიღ აბრატის ასულების ხვედრია მხოლოდ.
ო, ფანდი იგი, — ო, დიდების შარავანდელი! —
მას დედოფალნი ვერასგზით ვერ შეედრებიან.

აქ მობინადრობს ოდითგანვე — მე აგრე მამცნეს,
მამა ადამის უცოდველი, მარადი მოდგმა,
მაგრამ მშვენებით, ვით ამაში დავრწმუნდი თავად,
ისინი ფანდის ფეხის მტვრადაც როდი ფასობენ.

კიდევ ვიხილე მეომარნი ნათლითმოსილნი,
ათასნაირი იარაღით მბრძოლნი გმირულად,
ვნახე სამოსი, ტალავარი ფერად-ფერადი,
ჩვენს სამოსელზე უფრო კარგი და მშვენიერი.

ღზინზე ვიხილე უამრავი დიაცი სათნო,
ასულნი მშვენი უამრავი ვიხილე ღზინზე,
ხოლო უსიერ ტყის ტევრებში ნადირობის ჟამს
ვიხილე ლამაზ კაბუკების ასპარეზობა.

სახლად ვიხილე მძნობელნი და მსახიობარნი,
შემაქცევარნი დიაცთა და ტურთა ასულთა.
დრო რომ მქონოდა და დამეყო ჟამი მცირედი,
მივეცემოდი ჰეშმარიტად სრულ ნეტარებას.

დიდებულა ეტნე ჩვენი, რომ ჩვენს წინაშე
სდგას მალალ ქედზე, მშვენიერი, ამალღებული,
მაგრამ ასული, რომელზედაც გამბე უკვე,
სწორუპოვარი სილამაზით აოცებს ყველას.

კუხულაინდმა სარეცელიდან წამოიწია, სახე ხელებში ჩარგო და
ასე უსმენდა ლოიგს. ლოიგის მონათხრობს თუ დაეუჭერებთ, კუხუ-
ლაინდი გრძნობდა, თუ როგორ ნათლდებოდა გონება მისი და რო-
გორ ივსებოდა ძალებით თანდათან.

მცირე ხნის შემდეგ კუხულაინდი ეზრაბა ლოიგს:

— ო, ლოიგ, ახლა კი წარვედ, მოსძებნე ემერი, მეუღლე ჩემი,
და ამცნე მას ყოველი, რაიც თავს გარდამხდა. უთხარ მას აგრეთვე,
რომ რაც დრო გადის, სულ უფრო ვმრთელდები. დაე, მოვიდეს იგი
ჩემს სანახავად.

ლოიგი ეახლა ემერს და მოუთხრო მას, თუ რა ყოფაშია ამჟამად
კუხულაინდი.

— ო, ლოიგ, — ეზრაბა მას ემერი, — როდი გეპატიება შენ, რომ
ხანი რამ დაჰყავ სიღთა ქვეყანაში და ვერ წამოიღე წამალი შენი ბა-
ტონის განსაკურნავი. სირცხვილი ულადებს, ჰეშმარიტად სირცხვი-
ლი ულადებს, რომ არ ეძიებენ რაიმე ღონეს კუხულაინდის განსა-
კურნავად. კონხობარი რომ ყოფილიყო დაჭრილი, ან ფერგუსი და-
ვარდნილიყო ძილად, ანდა კონალ ძლევა მოსილს არ შემთხვიოდა
ფარსაგი რაიმე, კუხულაინდი მსწრაფლ შეეწეოდა მათ!

და იგი ამღერდა:

— ვაი! რა მძიმე დაეუფლა ტკივილი სხეულს,
კუხულაინდის სიავადე შევიტყვე ოდეს,
განუზომელი მწუხარებით აღმეცსო სული,
ნეტავ ძალმედვას შევეწიო უბადლო მხედარს!

ვაიმე! გული სიბრაღულით მეცსება ბედკრულს,
ვით დავრდომილა მშვენება და დიდება ველთა.
აწ აღარ ძალუძს, ვით ძაღედვა მორკინალს ადრე,
დიდ სამაინზე მოლხენა და ნადიმი დიდი.

მილურსმულია მორკინალი ცხედარზე მაგრად,
უცხო ზმანებას შეუბყრია მებრძოლი მძღავარი.
ხმა წამრთმეგია, მიმღებია ყოველი ღონე,
აჰა, ერთიან შევეუბყრე ვარ მხედარზე ურვას!

გასულან თვენი, წელიწადი გასულა უკვე,
რაც სარეცელზე განისვენებს მეუღლე ჩემი,
დაუფლებია მას ბოროტი ძილი და თვლემა,
რა უგონო და უმზრახნია იგი, ო, ლოიგ!

ემერი მსწრაფლ გაემართა ემან-მახასაკენ, შევიდა კუხულაინ-
დის სახლში და ჩამოჯდა მის საწოლთან.

— სირცხვილი შენ, — რქვა ემერმა, — ჰეშმარიტად სირცხვილი
შენ, რომ დავრდომილხარ დიაცის სიყვარულით. ხანგრძლივი წო-
ლით ხანგრძლივდება წოლა და სენი.

იგი მრავალგზის ეზრახა ამრიგად კუხულაინდს, ბოლოს კი ამ-
ღერდა:

— განიფრთხე ძილი, გმირო ულადისავ!
აღსდექ, ო, აღსდექ, მრთელი და ძლიერი!
რადგან ემაინის დიდებულ ხელმწიფეს
არაფრად მოსწონს თვლემა მორკინალის.

ო, კვლავ გაიხსენე ხელმწიფე სვიანი,
სვიანი სასმელით აღვსილი ჯიხვები!

ტრიალ ტრამალებზე მსრბოლავი ეტლები,
ეტლები მსრბოლავი ჰადრაკის დაფაზე!

შეხე: რა მძლავრია ჯარი ხელმწიფისა,
იხილე წარმტაცნი ასულნი მისი,
შეხე: უმამაცესს ხელმწიფის ვასალებს,
ქვეშევრდომ მეფეებს შეხედე, მხედარო!

შეხე: მოწევნილა უამი დაზამთჭების,
ზამთარს გვიახლოვებს ყოველი საათი,
შეხედე ზამთარის საზარელ საქმეთა:
რა მძაფრი ყინვაა, ვით დაჰკნენ ფერები!

ძილს მოაქვს ოდენ სენი და სიავადე,
ძალთა მიმღებია ძილი უსამანო,
და მავნებელია, ვით კერძი მძლარზე,
იგი მოკვდინების არის მოციქული.

განიფრთხე ეგ თვლელა—შეება მჭმთვრალეთა,
ძილი განაძევე ძლიერი წადილით!
ამას მათქმევიანებს შენდამი ტრფიალი:
აღსდექ, ო, აღსდექ, ულადის თვალისჩინო!

კუხულაინდი წამოიწია, სახეზე ხელები მოისვა და განაგდო სხე-
ულიდან უძლურება და ქარჩხვა. შემდეგ სარეცელიდან გადმოვიდა
და იმ ლოდისაკენ წარემართა, სადაც მოჩვენება გამოეცხადა. აქ
კვლავ მოვევლინა მას ლიბანი და კვლავ აწვევდა იგი კუხულაინდს
თავის ქვეყანაში.

— სად სახლობს ლაბრაიდ? — ჰკითხა კუხულაინდმა.

— ძნელი არ არის თქმა, — მიუგო ლიბანმა.

და იგი ამღერდა:

— ანკარა წყალზე სუფევს ლაბრაიდი,
სადაც ირევიან ასულთა გუნდები.

იოლად მიაღწევ იმ ნათელ სავანეს,
თუ გსურს ინახულო ხელმარჯვე მხედარი.

გმირი მორკინალი ამიწებს ათასებს,
მას მხოლოდ ენამზე ბრძენი თუ აღგიწერთ.
ძოწი უტურფესი და უსპეტაკესი, — ,
აი ლაბრაიდის სახის ფეროვნება.

მისი მეწამული მახვილის პირისპირ,
მგლის ხახას აბჩენს ბრძოლა საზარელი.
შლეგი ურდოების შუბთა დამლეწავი
და ფართა მფრეწია, გმირი გულოვანი.

მისი სხეული ხომ თვალია მხედველი,
როდი ულალატებს ამხანაგს ბრძოლაში.
თავის ქვეყანაში მან უპირველესმა
და უყოველომან დაამხო მრავალი.

გმირი საოცარი, მტერს შეურიგალი,
დღეს ეოხაიდის მხარეში შეიჭრა.
მისი დალალები ოქროს რტოებია,
ღვინის სურნელია მისი აღმოფშვინვა.

გმირი საოცარი, მტერს შეურიგალი,
ბრძოლად წარემართა შორეულ მხარეში.
ნავებს დაედევნენ მისი ულაყები
და დათარეშობდნენ კუნძულის გარშემო.

ზღვაზე უამრავი გმირობის ჩამდენი,
ლაბრაიდ ხელმარჯვე, გმირი საოცარი,
როდი ჰგავს მაძებარს მძინარს და მადეგარს,
ის თავად ადგია თავზე სხვის ძილ-ღვიძილს.

არის მეწამული მისი აღვირედი,
სახლი აღვსილია ძვირფას აღრალეებით,

და სახლის სვეტები ბროლი და ვერცხლია,
•ულამაზესია სახლი ლაბრაიდის.

•იმ სახლში სახლობენ ორნი ხელმწიფენი:
•თვით ლაბრაიდი და ნათელი ფაილბე,
•და სამგზის ერგასი მხედარი მსახურებს.
•თვითეულ ხელმწიფეს, იმ ნათელ ბინაში.

•ბრინჯაოს ფეხები ამშვენებთ საწოლებს,
•მოოქროვილია სვეტები სპეტაკი.
განათებულია საწოლი ყოველი
•და ფერგამჭვირვალე ქვებით მოოქვილი.

•გარეთ კი, იმ სახლის კარებთან, დასავლით,
•სადაც მიმწუხრისას მზის სხივი დახდება,
•სძოვენ ბედაურნი ნაირფერ ფაფრებით,
•რუხა და სრელანი, ან ტრედის ფერანი.

•მეორე კარებთან, იმ სახლის აღსავლით,
•დამდგარა სამი ხე მეწამულ ფერისა,
•ტოტებზე დამსხდარან ფრთამალი ფრთოსნები
•და სმენას უტკბობენ ამ სახლის სეფეწულთ.

•ეზოს უტევანზე ხე დგას საოცარი,
მისი რტოებიდან იღვრება ჰანგები.
•ხე იგი ერთიან ვერცხლია ხალასი,
მაგრამ მზის სხივებზე ოქროსებრ ენთება.

სამგზის ოცი ხე დგას ეზოში მაღალი,
რტონი ერთდებიან და კვლავ შორდებიან,
რტონი დახუნძლულან გემრიელ ნაყოფით,
სამას კაცს ანაყრებს ეს ხე თვითეული.

სიღებს გააჩნიათ უცნობი დარანი,
სადაც ას ერგასი არის მოსასხამი,
და ყოველ მოსასხამს აქვს მიმაგრებული
ოფაზი ოქროის ნათელი ბალთები.

იქ ლუდით აღვსილი კასრია პატარა,
რათა მოილხინონ ხელმწიფის სახლეულთ,
რამდენსაც არ სვამენ, მაინც არ თავდება,
და არც არ აკლდება სავსეა ნიადაგ.

კუხულაინდი და ლიბანი დაადგნენ გზას და ლაბრაიდის მხარეში
გაეშურნენ. კუხულაინდმა თან წარიტანა ეტლი თავისი და წაიყოლა
მეეტლე თვისი—ლოიგი. როდესაც მათ ფეხი შესდგეს ლაბრაიდის
კუნძულზე, დიაცნი მიესალმნენ კუხულაინდს, თავად ფანდი მიე-
სალმა მას.

— რა ვიღონოთ ახლა? — იკითხა კუხულაინდმა.

— ძნელი არ არის თქმა, — უპასუხა ლაბრაიდმა. — წარვიდეთ
და დავდარნოთ ლაშქარი მტრისა.

ისინი მიეახლნენ მტრის ლაშქარს და თვალი ჰკიდეს მას: უშქარა
ეჩვენათ სპა.

— ახლა კი განვედ, — ეზრახა კუხულაინდი.

მაშინ წარვიდა ლაბრაიდი და კუხულაინდი მარტო დაშთა ლაშ-
ქართან. მისი იქ ყოფნა ლაშქარს ამცნო ორმა გრძნეულმა ყორანმა,
რომელნიც შეჰქმნეს მათ შემწედ თვისდა.

და მთელი ლაშქარი დაეწყო წრიული წყობით, ისე, რომ შეუძ-
ლებელი იყო შეჭრა მის გულში. გეგონებოდათ, მთელი მხარე დაჰ-
ფარაო ლაშქარმა.

ეოხაიდ იული იალონზე გაემართა წყაროსაკენ ხელის დასაბანად..
კუხულაინდმა იგი ბეჭით შეიცნო, მოსასხამიდან რომ გამოსჰვივო-
და. კუხულაინდმა სტყორცნა შუბი ეოხაიდს და შუბმა განგმირა იგი
და კიდევ ოცდაცამეტი მხედარი, მის უკან მდგარი. მაშინ თავად სე-
ნახ მოჩვენება მიუხტა კუხულაინდს და დიდხანს იბრძოდნენ ისინი
გახელებით, მაგრამ ბოლოს იგიც დაამხო კუხულაინდმა.

ამ დროს მოაწია ლაბრაიდმა და დაფრთხა ლაშქარი მკვეთრ.

ლაბრაიდმა სთხოვა კუხულაინდს, შეეწყვიტა ბრძოლა. მაშინ ლოიგი ეხრახა ლაბრაიდს:

— ფრიად მეშინის, ბატონმა ჩემმა ჩვენკერძ არ მომართოს გზნება თავისი, რამეთუ ჭერ კიდევ არ გამძღარა იგი ბრძოლით. წადით და აღავესეთ სამი როფი ცივი წყლით, რათა მან როფებში დაიცნოს გზნება. იგი ჩახტება პირველ როფში და წყალი აღუღდება შიგ; შემდეგ ჩახტება მეორე როფში და წყალი გახდება აუტანლად ცხელი; და ოდეს იგი ჩახტება მესამე როფში, ორტაბახი გახდება წყალი.

ოდეს იხილეს დიაცთა ბრძოლიდან მობრუნებული კუხულაინდი, ფანდმა უმღერა მას:

— ჩვენსკენ მოისწრაფის გმირი საოცარი,
ცხენებს მოაგელვებს მამრი უწვერული,
ფიდგეშინ ლაშქარი დაუმარცხებია
და ახლა ახარებს თვალს მისი აღხილვა.

ქს 57A

ვაეკაცურ სიმღერას მღერის იალქანი,
მტრის სისხლით შეღებულ ეტლზე დაკიდული,
ეტლის გრიალი კი ზარავს ყურთასმენას,
მწყობრია სიმღერა მბრუნავი ბორბლების.

ეტლს მიაქროლებენ მძლე ბედაურები,
თვალს ვერ მოაცილებ დიდებულ სანახავს:
აჲვად გაზაფხულის ქარებზე უსწრაფეს
დაჰქრიან ველებზე უბადლო მერნები.

გმირს ხელთ ოქროს ვაშლი უპყრია ერგასი,
ჰაერში ისვრის და მყის იჭერს სრბოლისას.
მისი დასადარი ხელმწიფე სად არი,
ვის ძალუძს ეგზომი ზათქი და კვეთება.

ორივე ლოყაზე ხალი აქვს ორ-ორი,
ერთი წითელია და ერთიც მწვანეა,
მესამე ხალი კი არის მტრედისფერი,
ხოლო მეოთხე კი ღია მეწამული.

თვალთაგან იღვრება სინათლე შვიდფერი,
სცდება ის, რისხვის ჟამს ვინც სწამებს სიბრძავეს.
მისი მშვენიერი თვალების ზემოდან.
სჩანან ხოჭოსფერი წარბების რკალები.

ო, როგორ ამშვენებს საოცარ მორკინალს, —
ეს ხომ კარგად უწყის მთელმა ირლანდიამ, —
სამფერი თმები სამფენად დაფენილი.
ო, რა აღნაგია ჭაბუკი მხედარი.

მახვილი მის ხელში მხნეა და მახვილი,
მახვილის ვადა კი ვერცხლია ოფაზი,
ოფაზი ოქროა დარაკის კოპები,
თეთრი ბრინჯაოა დარაკის კიდენი.

საზარელ ბრძოლებში ამარცხებს მორკინალთ
და ბრძოლის ასპარეზს იკაფავს მახვილით.
ვერსად ვერ იპოვოთ მებრძოლის ბადალი,
თუნდაც მის ძებნაში მოედვათ ღუნიას.

აი ჩვენს მხარეში მოსულა დეე-გმირი,
ჭაბუკი მხედარი მურტემნეს ტაფობის.
დიდხანს მოველოდით და ბოლოს აღსრულდა
აბრატის ასულთა ოცნება ნეტარი.

შუბის დიბლიგიდან, ხელში რომ უპყრია,
სისხლის მეწამულის წვეთავენ წვეთები.
ო, რა ზვიადია ყივილი მოყმისა,
ვაი მტერს, რომელსაც ესმის ეს ყივილი.

შემდეგ სიმღერით მიესალმა ლიბანი კუხულაინდს:

— სალამი შენდა, ტახო უძლეველო!
დიდო მბრძანებლო მურტემნეს ტაფობის!

ხარ მაღლადმხედი და ლაშქრის სიამაყე!
ჯარის თვალისჩინი და ძალთა განმცდელი!

გამარჯვების გულო! სისხლივით წითელო!
მზად ხარ შეერკინო ულადთა მორკინალთ!
შენი სილამაზე იზიდავს ასულებს!
სალამი, კუხულაინდ, სისხლივით წითელო!

ამის შემდეგ კუხულაინდმა გაიზიარა ფანდის სარეცელი და მთელი ერთი თვე დაჰყო მასთან. თვის თავზე იგი გამოეთხოვა ფანდს. დიაცი ეზრახა კუხულაინდს:

— უწყოდე, კუხულაინდ, სადაც არ უნდა მომიხმო ტრფიალად, მე მოვალ უთუოდ.

ირლანდიაში დაბრუნების შემდეგ კუხულაინდმა ფანდი ტრფიალად იხმო იბურ-კინდ-ტრახტში. ეს ამბავი შეიტყო ემერმა, კუხულაინდის მეუღლემ. მან აიღო დანა და ერგასი დიაცის თანხლებით დანიშნული ადგილისაკენ გაემართა, რათა მოეკლა ფანდი.

ამ დროს კუხულაინდი და ლოიგი ჰადრაკს ამღერებდნენ, ვერ ამჩნევდნენ დიაცთა მოახლოებას. მაგრამ ფანდმა შეამჩნია ისინი და ეზრახა ლოიგს:

— ო, ლოიგ, გახედე ერთი, რა მოსჩანს იქ!

— რა უნდა მოსჩანდეს? — ეზრახა ლოიგი და გახედა.

იზრახა ფანდმა:

— უკმოიხილე, ო, ლოიგ! გდარწავენ დიაცნი მშვენი და ვერაგნი. ოქრომკობილია მათი გულ-მკერდი და ყოველ მათგანს ხელთ უპყრია ცისფერი ფოლადისაგან გაჭედილი მახვილი დანაკი. ბრძოლად მიმსწრაფ ცოფიან მხედრებს ჰგვანან ეგ დიაცნი. აგერ, ემერი, ასული ფორგალისი, უღალატნია სქესისა და ბუნებისათვის.

კუხულაინდი ეზრახა ფანდს:

— ო, ნუ გეშინის, არ შეგეხოს ასული იგი.

აღჯეკი ეტლზე და დაბრძანდი სხივფენილ დორზე, თუნდაც შეგროვდნენ ირლანდიის დიაცნი სრულად, ვერას გავენებენ, დაგიფარავს მარჯვენა ჩემი.

მამაცი საქმე განუზრახავს მშვენიერ ემერს,
ფორგალის ასულს შემწედ ახლავს დიაცთა გუნდი,
მაგრამ ბოროტად ვერ შეგეხოს ასული იგი,
ვიდრე ჩემს გვერდით იმყოფები, ძვირფასო ჩემო

იგი მიუბრუნდა ემერს:

— ჰოი, დიაცო, უკან ვიხევე მე შენს წინაშე,
როგორც იხევენ მეგობრების წინაშე კაცნი.
მე არ განვგმირავ საზარელი ჰოროლის წვერით
მალლა აღმართულს, მოცახცახე მარჯვენას შენსას.

არ გამოგტაცებ მაგ ხელიდან ნამლევა დანაკს,
ფრიად სუსტი და უძლურია მუქარა შენი,
ჩემი ძალა კი უსაზღვრო და მძლავრია ფრიად.
ვერ დავმორჩილდე მე დიაცის უაზრო წადილს.

— მარქვი, კუხულაინდ, — იზრახა ემერმა, — რად მომაყიენე
ულადისა და ირლანდიის დიაცთა თვალში, ყველა წესნიერი ადამი-
ერის თვალში? უჩუმრად მოველ მე აქ, მაგრამ ურყევი განჩინებით.
რაგვარადაც არ უნდა გწადდეს, ვერ მიატოვო შენ ცოლი შენი.

— მარქვი, ო, ემერ, — რქვა კუხულაინდმა, — რაისთვის დამიშ-
ლი, ხანი რამ დავჰყო ამა დიაცთან? წმინდა, კეთილშობილი, ნათელი
და მეფის ღირსია დიაცი ესე, და იგი მოვიდა აქ ზღვის გაღმვიდან
უზარმაზარ ტალღებზე გაღმოვლით. იგი მშვენიერია და დიდგვარო-
ვანი, ხელთუფალი და ყოველგვარი ხელსაქმის ჩინებული ოსტატი.
იგი განმზრახნია და მყარაზროვანი, ფრიად განმსჯელია იგი. მას უვის
ფრიადი რემა და ზროხა, და არარაი არს ცათა ქვეშე, რასაც იგი არ
იქმნოდა თავისი საყვარელი მეგობრისათვის, რაც არ უნდა ძნელი
იყოს მისი ქმნა. ხოლო შენ, ემერ, ვერ ჰპოვო სხვა მეტრძოლი უფრო
მშვენიერი, იარების უფრო არდამრიდალი და უფრო ძლევაძლიერი,
ვიდრე მე.

— დიაცი, ვისაც შენ ამჟამად ეტრფი, — რქვა ემერმა, — უდაოდ
უდარესია ჩემზე. მაგრამ ჰეშმარიტად: ყოველი მეწამული ხომ მშვე-

ნერია, ყოველი ცინცხალი—სპეტაკი, მადლით მდებარე—საწადე-
ლი, ყოველი ჩვეული—მწარე, ყოველი მიუწვდომი—ჩინებული და
ყოველი განცდილი—საზიზღარი,—ეს არის მთელი ამსოფლიური
ცხოვრების სიბრძნე. ჰოი, მეუღლე ჩემო, ოდესღაც პატივში გყავ-
დი მე და ეს კვლავაც ასე იქნება, თუკი მოისურვებ!

წარსთქვა რა ეს, ფრიადმა ნალველმა შეიპყრო ემერი.

— შენს თავს ვფიცავ, — წამოიძახა კუხულაინდმა, — შენ ძვირ-
ფასი ხარ ჩემთვის და ასეთივე დარჩები, ვიდრე ცოცხალ ხარ!

— ესე იგი, შენ მტოვებ მე? — ჰკითხა ფანდმა.

— უფრო სწორად, იგი მტოვებს მე, — რქვა ემერმა.

— არა! — წამოიძახა ფანდმა. — იგი მე მტოვებს. მე დიდიხანია
მემუქრებოდა ეს ამბავი.

ნალველმა მოიცვა ფანდი. იგი სირცხვილმა მოიცვა, რომ მიატო-
ვეს და ასე ჩქარა უნდა დაბრუნებულიყო სახლში. ტანჯვად ექცა მას
დიდი სიყვარული კუხულაინდისადმი და თავისი ნალველი სიმღერა-
ში გადმოლვარა:

დამდგარა ჟამი, უნდა დავდგე მოწყენილს გზაზე
და სამუდამოდ უნდა დავთმო ადგილი სათნო,
განა თუ ნებით, მე მომიხმობს ღირსება ჩემი,
უნდა წარვიდე, გულითაც რომ მსურდეს დარჩენა.

ნუ გაიოცებ, თუ მირჩევნის დარჩენა შენთან,
შენს გვერდით ყოფნა და სილალე, ძვირფასო ჩემო,
ვიდრე მიქცევა პაპისეულ დიდებულ კოშკში,
აიდ აბრატის სიმაგრეში ცხოვრება ვიდრე.

ოჰოი, ემერ, მეუღლეო უბადლო მხედრის,
მეუღლემ შენმა მიმატოვა, მოიქცა შენდა!
აწ ვერასოდეს ვერ ვიხილავ დიდებულ მოყმეს,
მაგრამ სული კი ნიადაგმცა მიიქცეს მისკენ.

ჩემს ხელს ითხოვდა უამრავი ლომგული გმირი,
საკუთარ სახლში თუ უსიერ ტევრებში ტყისა,

მაგრამ უარყავ გულითადი ტრფიალი მათი.
და დავიცავი საკუთარი შეუვალობა.

სიყვარულს მოაქვს მარტოდენ ცრემლი და ტანჯვა.
მიჯნურთ გამიჯვნის საბოლოო როს დგება ჟამი!
ასეთ დარჩენას, მე მგონია, გამიჯვნა მიჯობს,
ოღეს ჩემს ტრფიალს ტრფიალითვე პასუხობს არგინ.

ოქროსთმიანო, მშვენიერო, ასულო ემერ,
ვხედავ, თან გახლავს შენ ერგასი დობილი შენი,
რათა საჯაროდ მომაყივნო, — ო ბოროტებავ! —
რათა დამსხმოდი უგრძნეულოდ, დაგეკალ დანით.

მე ას ერგასი მეგობარი მივის ნამდვილი.
ყველა მათგანი ტურფაა და მამრის უცხონი.
და მეგობარნი ნეტარებენ ჩემსავე ვანად,
და გულმოდგინედ მდარაჯობენ, მიცავენ დობილს.

მანანანმა შეიტყო, რომ ფანდი, მეუღლე მისი. ასული აიდ აბრა-
ტისა, უთანაწორო ბრძოლაშია ულაღელ დიაცებთან და რომ კუხუ-
ლაინდმა უნდა დასტოვოს იგი. მაშინ ისწრაფა მან აღმოსავლით: და
ჰპოვა ფანდი. მანანანი მას იმგვარად მიუხანლოვდა. რომ ფანდის
გარდა არავის შეუმჩნევია იგი.

ძრწოლამ და სინანულმა შეიპყრო ფანდი, ოღეს იხილს მანანანი;
ამღერდა ფანდი:

— ერთი შეხედეთ, მანანანსა, ლერისა ძესა.
ვინაც მოსახლობს თვით ეოგან ინბირის ველად.
და ამა ქვეყნად ცად ასული არის დიდებით!
იყო ღრო, ოღეს მე ნამდვილად მიყვარდა იგი.

შემდეგ კი მძლავრად დაიკვილა უძღებმა გულმა
და განვიყარე მანანანი სხვისი გულისთვის.
დადის ტრფიალი ამა ქვეყნად იღუმალ გზებით,
ბევრიც ეცადონ, ვერ გაიგონ ბუნება მისი.

ოდეს ინზირის სიმაგრეში ვიყავით ერთად,
მე და ლერის ძე ვნეტარებდით საკუთარ კოშკში,
აგრე გვეგონა, რომ არ არის ამქვეყნად ძალა,
რომელსაც ძალუძს საბოლოოდ გათიშვა ჩვენი.

ოდეს შევერთე უმამაცეს მანანანს ცოლად,
მისი ერთგული თანამწოლი ვიყავი ნამღვილ
და მან საჩუქრად მომიძღვნა მე ოქროს სამკლავე,
ვით საფასური სარეცელის, პატიოსნების.

მშობელთა ჩემთა განმომზადეს ბრწყინვალე მზითვი,
თან გამაყოლეს მე ერგასი ასული კობტა;
ძვირფას მანანანს ძღვნად ერგასი მამაცი მივეცე,
რათა ერთგულად ემსახურათ, დაეცვათ იგი.

ოთხგზის ერგასი, — მონაჭორი როდია სიტყვა! —
ჩვენი სიმაგრის მსახურების რიცხვია ნაღდი:
მათ შორის არის ასი მამრი მძლავრი და გამწე,
და ამდენივე ასულია მორთული კობტად.

ვხედავ, ზღვადაზღვა მოისწრაფის მხედარი ჩემკენ,
ზღვის მღვრიე ქაფით გალუმპულა ზვიადი მოყმე.
არად სჭირდება მხნე მორკინალს ხამლები ხისა,
ბრყევთა თვალთვალის უჩინოა მხედარი იგი.

აი მოიჭრა, მოგვეახლა ამაყი მოყმე,
მწლოდ სიდების მოდგმას ძალუძს შემჩნევა მისი:
ო, იგი სიბრძნით მხილველია ყოველთა არსთა,
მაშინაც, როცა შორს არიან მისგან ეს არსნი.

ო, ასეთია ბედი ჩემი — აღსრულდა იგი.
უძლურ დიატთა სიყვარულში გვაკლია განსჯა:
მამრმა, რომელიც შევიყვარე ესოდენ ძლიერ,
არად ჩამავდო, მიმატოვა, აღმავსო დარდით.

მშვიდობით, ჩემო კუხულაინდ, უბაღლო ძაღლო!
უკვე მომიხმობს, მომიწოდებს ღირსება ჩემი.
რაიც მეწადა მე, თუ იგი ვერ ვპოვე შენთან,
ერთის უფლება მაინც დამრჩა. წავიდე, დაგთმო.

აგერა, უკვე განშორების საათმაც დაჰკრა,
განუკურვნიელი მწუხარებით მევსება გული.
შეურაცხყოფა ავიტანე ზომაზე მეტი.
მშვიდობით, ლოიგ, შენც გშორდები, მშვიდობით, ლოიგ!

მე ვუბრუნდები ჩემს საყვარელ მეუღლეს ისევ,
წყენას აროდეს მომაცენებს მეუღლე ჩემი.
შებედეთ ყველამ, თუ რარიგად მივდივარ თქვენგან,
რათა არა სთქვან, რომ მალულად დაგტოვეთ თითქოს.

ასულმა სიმღერა დაამთავრა და მანანანს მიეახლა. მანანანი მიესალმა ასულს და წარსთქვა:

— სიკეთე ნუ მოგიშალოს ღმერთმა, ასულო! რასა იქმ ახლა, კუხულაინდს დაელოდები თუ მე გამომყვები?

— აი სიტყვა ჩემი, — უპასუხა ასულმა. — თქვენ ორს შორის არის ერთი, რომლის ცოლობაც მერჩია ნამდვილად, მაგრამ მე გამოგყვები შენ და აღარ დაველოდები კუხულაინდს, რამეთუ მან დამტოვა მე. და კიდევ არის მიზეზი ერთი: შენს გვერდით არ სდგას დედოფალი შენი შესაფერისი, კუხულაინდს კი ჰყავს ამგვარი.

ოდეს იხილა კუხულაინდმა, რომ ფანდი მიჰყვება მანანანს, მწარედ ლაღადყო:

— რა მოხდება აწი, ო, ლოიგ?

— რა უნდა მოხდეს? — უპასუხა ლოიგმა. — ფანდი მიჰყვება მანანანს, ლერის ძეს, რამეთუ შენ არ შეიყვარე იგი.

მაშინ უზარმაზარი კამარა შეჰკრა კუხულაინდმა ჰაერში, სამი მალა და სამიცი აღსავლით, ლუხაბარის მხარეს. ამის შემდეგ მან მრავალი ხანი დაჰყო უსმელ-უტემელმა მთებში. მიდ-ლუხაბარისაკენ⁷ მიმავალ გზაზე ეძინა ღამით.

ემერი ეახლა კონხობარს და მოუთხრო მას ყოველივე, რაც კუ-

ხულაინდს გარდახდა. მაშინ კონსობარმა წარგზავნა მძნობელნი, იღუმალთა მიმთხრობნი და დრუიდნი კუხულაინდთან, რათა მათ წამოეყვანათ იგი ემან-მახაში. კუხულაინდმა დააპირა მათი მოკვდინება, მაგრამ მათ უმღერეს კუხულაინდს გრძნეული სიმღერები და მაგრად გაძაგრეს მისი ხელ-ფეხი, და ასე ჰყავდათ, ვიდრე გონს არ მოეგო იგი. მაშინ კუხულაინდმა სასმელი მოითხოვა და მიართვეს მას დავიწყების სასმელი, და ოდეს კუხულაინდმა შესვა სასმელი იგი, მას დაჰვიწყდა ფანდი და ყოველივე, რაიც თავს გარდახდა. შემდეგ სასმელი იგი მისცეს ემერს, რამეთუ ემერიც ისეთივე ყოფაში იყო. მანანანმა კი თავისი მოსასხამი დაბერტყა ფანდსა და კუხულაინდს შორის, რათა ისინი აღარასოდეს შეხვედროდნენ ურთიერთს.



კახულაინდის სიკვდილი

— აროდეს ყოფილა, — იზრახა კუხულაინდმა, — ჩემთვის დიაციებსა და ბაღლებს თავიანთი გასაჭირი შემოეჩივლოთ და არ შეეწევენოდე მათ.

სამეფო მოდგმის ერგასი დიაცი გადაუდგა კუხულაინდს გზაზე. მათი სურვილი იყო, არ გაეშვათ კუხულაინდი ახალ საგმირო საქმეებზე, დაეოკებინათ იგი ემაინ-მანაში, მაშინ მოიღეს მათ სამი წყლიანი როფი, რათა კუხულაინდი ჩამხტარიყო ამ როფებში და დაეცხრო თავისი საბრძოლო ცეცხლი. ამრიგად დააოკეს იგი იმ დღეს.

ლაშქრით შემოეწყვენენ ემაინ-მანას კალატინის ძენი.¹ დილა მდე უცადეს ძმებმა კუხულაინდს. შემდეგ კი ერთიან გადაწვეს ახლორე სოფლები და ცაში ავარდნილმა ბოლმა წარმოშვა ღრუბელი ყომრალი და უზარმაზარი ღრუბელი იგი გადაეზღუდა ემაინ-მანას. ზარდამცემი ყიყინა დასცა ლაშქარმა და ერთიან შეირყა კონხოზარის სახლი ემაინ-მანაში, სახლის კედლებიდან დაცვივდა საქურველი. ცუდი ამბები მოსდიოდა კუხულაინდს.

მაშინ ამღერდა ლებორხამი:

— აღსდექ, ო, აღსდექ, გმირო კუხულაინდ.
და გაბოროტებულ ლაგენის სპათაგან
დაიცავ მურტემნეს ტაფობის მკვიდრნი.
სიკეთის პირმშოვ, ო, ძეო ლუგისავ,
მტრისკენ მიმართე საოცარი ფანდები შენი.

პასუხად აგრე ამღერდა კუხულაინდი:

— თუმცა დიდია ვალი ჩემი ქვეყნის წინაშე,
მაგრამ ულადში მე როდი ვარ მხედარი მხოლოდ.
მარტო ლუგის ძე როდი უდგას იმედად ულადს,
პოი, დიაცო, დამეხსენი დამაშვრალს, გვედრებ!

ავია შენი განზრახვა და თათბირი შენი.
რამეთუ ესდენ საზარელი ბრძოლების შემდეგ.
განა მე კვლავად მევალება, აღვიძრა ბრძოლად,
ულმობელ მახვილს შევაგებო მაშვრალი მკერდი.

ამღერდა ნიაში, ასული კელტხაირის, მეუღლე კონალ ძლევაშ-
სილისა:

— შენ უნდა ისწრაფო ბრძოლად, კუხულაინდ,
რამეთუ მხოლოი დაამხო მხედრობას.

მაშინ მიიჭრა კუხულაინდი თავის საჭურველთან და იწყო აღკაზ-
მვა. მეყვსეულად აბზინდი გაპვარდა ხელიდან კუხულაინდს, რომლი-
თაც შეიკვროდა ტოლომა. ამღერდა კუხულაინდი:

— ეს ბრალი როდია ჩემი ტოლომისა.
როდი მაზიანებს მე მისი ხახუნნი.
ეს ჩემი აბზინდის ბრალია მარტოდენ,
რომელმაც ტყავი გაჰკვეთა მეყვსეულად.
როს ფეხზე დამეცა.

კუხულაინდი აღიკაზმა, ხელთ იპყრა ფარი მახვილგნდეებიანი და
ფოჩიანი და ეზრახა ლოიგს. რიანგაბარის ძეს:

— ძვირფასო ლოიგ, გამართე ეტლი.

— ჩემი ხალხის საფიცარს ვფიცავ, — წარსთქვა ლოიგმა, — კონხობარის მთელი სამეფოც რომ დაეხვიოს მახელ რუხს, მაინც ვერ ძალიდვან მისი ეტლში შებმა ძალით. აროდეს მომხდარა, არ ამხდარიყოს მისნობა მისი. თუ გწადის, წარვედ რუხთან და ეზრახე რუხს.

კუხულაინდი მიეახლა რუხს, ბედაური სამგზის მიიქცა მისკენ მარცხენა ფერდით.

ღამით, მორიგანის² კვირაძალში, ეტლი დაუმსხვრია რუხმა კუხულაინდს. მისი ბრძოლად წასვლა არ ეწადა რუხს, რამეთუ უწყოდა: ვერ შემოიქცეოდა გმირი ემან-მახაში.

მაშინ კუხულაინდი მიუბრუნდა თავის ბედაურს და უმღერა მას:

— ასეთი არ იყო შენი ჩვეულება, მახელო რუხო,
როდი ჰპასუხობდი ავბედით ნიშნით ჩემს მოწოდებას.

მაშინ მორჩილად მიეახლა კუხულაინდს მახელი რუხი და თვალთაგან დასცდა ორი მსხვილი და სისხლიანი კურცხალი, ფართო ფლოქვებზე დაცვივდნენ კურცხალნი. მაშინ აიჭრა ეტლზე კუხულაინდი და ისწრაფა თემანით, მიდ-ლუახაირისაკენ მიმავალი გზით.

ღიაცი ვინჟე გადაუდგა გზად კუხულაინდს — ლებორხამი, ასული აუესა და ადარკისა, კონხობარის მონისა და მხევლისა. ამღერდა ღიაცი:

— ნუ მიგვატოვებ, გმირო კუხულაინდ!
შენი ნაჭრევები ფარია ჩვენი,
ჩვენი ლამაზი ბედია იგი.
ვაი ღიაცთა!
ვა ძეთა მათთა!
გრძლივი იქნება შენი დატირება!

ამ სიმღერას მოძახილს ეუბნებოდა სამეფო გვარის სამგზის ერგასი ღიაცი ემან-მახადან.

— გვერჩია დარჩენა, — წარსთქვა ლოიგმა, — მოაქეამამდე შენ ერთიან ინარჩუნებდი იმ ძალას, რომელიც გადმოგეცა დედისეული გვარიდან.

— ვაი, რომ აწ ვეღარ! — იზრახა კუხულაინდმა, — გვაღე: ლო-
იგ! მეეტლეს მართებს ცხენების მართვა, მებრძოლს — უძლურთა
დაცვა, ბრძენთ — ვაზირობა, ხოლო დიაცთა — დრტვიწვა. ვისწრა-
ფთ ბრძოლისკენ! შიში ვერ იხსნის სიკვდილსა და არც მტერნი
შეგვიბრალევენ ტირილითა და ვიშით.

ლოიგმა მკვეთრ შეატრიალა ეტლი მარჯვნივ. მაშინ ნები-ნებს
დასცეს დიაცთა და აღმოუშვეს ძახილი წუხილის. ურვის და ვედრე-
ბის. რამეთუ უწყოდნენ, კუხულაინდი, მფარველი მათი, ვეღარ შე-
მოიქცეოდა ემაინ-მახაში, რომ დღესვე მიიღებდა მას უფალი. ამ-
ღერდნენ დიაცნი:

მგლოვიარეა დიუფალთ კრებულნი.
დაუყენებია ცრემლების მდინარე.

ოდეს სიმღერა დაასრულეს, აღმოხდათ დიაცთ ძახილი წუხილის,
ურვის და ვედრების, რამეთუ უწყოდნენ, გმირი კუხულაინდი რამდ-
გარი იყო მოუსვლელ გზაზე.

კუხულაინდის გზაზე მისი აღმზრდელი ძიძის სახლი იდგა. იგი
მუდამ შეივლიდა ხოლმე მასთან, ოდეს ირლანდიის თემანით მიემარ-
თებოდა ანდა უკმოიქცეოდა ხოლმე. ძიძას მისთვის მუდამ ჰქონდა
გადანახული კათხა ლუდი. კუხულაინდმა ამჯერადაც შეიარა ძიძას-
თან, დალია ლუდი, გამოემშვიდობა ძიძას და გზა განაგრძო.

იგი მიდიოდა მიდ-ლუახაირისაკენ მიმავალ გზაზე და გაღაიარა
მონგის ველი. მეყვსეულად სამი დედაბერი დალანდა კუხულაინდმა
გზაზე. ისინი მარცხენა თვალით ელაშნი იყვნენ და ჭნავის შამფუ-
რებზე ძაღლის ხორცს სწვავდნენ, კაზმავდნენ შხამითა და თილის-
მით. აღთქმა ჰქონდა დადებული კუხულაინდს — არც ერთ ოჯახში არ
ეთქვა უარი ჭამადზე, და კიდევ — აროდეს ეგემნა ხორცი თა-
ვისი სეხნასი. მას ეწადა, შეუჩერებლივ ჩაეველ. მათთვის, მაგრამ
ერთი დედაბერი ეზრახა მას:

— დაგვეწვიე, ო, კუხულაინდი!

— არა, ნამდვილად არ დაგვეწვევით მე თქვენ. — უპასუხა კუხუ-
ლაინდმა.

— ჩვენ ძაღლის ხორცი გვაქვს მხოლოდ, — რქვა დედაბერმა. —
მდიდარი რომ იყოს ოჯახი ჩვენი, შენ, რა თქმა უნდა, გვეწვევოდი.
ცუდად იქცევა დიდი კაცი, მდაბიორს როს თაკილობს.

მაშინ კუხულაინდი მივიდა დედაბერთან და დედაბერმა მარცხენა ხელით მიაწოდა მას ძალღის ბეჭი. და კუხულაინდმა ბეჭი იგი ამოი-
ჩარა მარცხენა ბარძაყში და შეუდგა ჭამას მარცხენა ხელით. და მარ-
ცხენა ხელი, რომელითაც მან აიღო ძალღის ხორცი და მარცხენა ბარ-
ძაყი, რომელშიც ამოიჩარა იგი, დაზიანდა გრძლივ და აღარ იყო
მათში სიმრთელე აღრინდელი

კუხულაინდმა და ლოიგმა კვლავ ისწრაფეს მიდ-ლუახაირისაკენ
მიმავალ გზაზე და შემოუარეს მთა ფუატს.³ ოდეს მთის თემანით აღ-
მოჩნდნენ, კუხულაინდი ეზრახა ლოიგს:

— რა მოსჩანს წინ, ძვირფასო ლოიგ?

— აურაცხელი უბადრუკი მტერი და ამიტომ—გამარჯვება უდი-
ადესი.

— ავაჰმე, — წამოიძახა კუხულაინდმა და ამღერდა:

— მე მესმის ხმაური მქისე,

საცაა ვიხილავთ ვეჟანა ულაყებს.

მარცხენა ხელით აღხმული ფარები შეეჯახებიან ურთიერთს.

მეეტლე დაემხობა ბრძოლაში პირველი,

დაეცემიან ცხენები მასუკან.

ვაი, რა დიდხანს მივუძღვებოდი ირლანდიელთა მხედრობას
ბრძოლადა!..

კუხულაინდი და ლოიგი კვლავ ისწრაფოდნენ თემანით, მიდ-ლუ-
ახაირისაკენ მიმავალ გზაზე და იარეს მანამ, ვიდრე ციხე-სიმაგრე
არ დალანდეს მურტემნეს ტაფობზე. იქ შეხვდნენ ისინი მომხდუ-
რებს. მაშინ ამღერდა ერკი, კაირპრეს ძე. იმ კაირპრესი, რომელიც
კუხულაინდის მარჯვენამ დაამხო:

— ვხედავ, მოისწრაფის ჩვენსკენ გააფთრებით,

ეტლი მშვენიერი, კოხტა და ფერადი,

და ეტლზე დგაფუნებს დროშა წენგოსფერი,

ცქენებს მოაგელვებს ლომგული მხედარი.

— ჩვენსკენ მოისწრაფის მხედარი იგი, რათა თავს დაგვესხას. განემზადენით დასახვედრად, — წარსთქვა ერკმა და კვლავ ამღერდა:

— აღსდექით, გპირნო ირლანდიის, აღსდექით ჩქარა!
ჩვენსკენ ისწრაფის კუხულაინდ, მხედარი ბრძენი.
მას ხელთ უპყრია მეწამული მახვილი მტკიცე.
აღსდექით, მამრნო ირლანდიის!

— როგორ განვეწყოთ ბრძოლად? — იკითხეს მებრძოლთ.

— რჩევაა ჩემი, — მიუგო ერკმა, — თქვენ, ყველანი, ირლანდიის ოთხი სხვადასხვა სამეფოს მკვიდრნი ხართ. ერთ ტანად შეერთდით ბრძოლაში. შეაერთეთ ფარები თქვენი და შეჰქმენით ყოველის მხრივ კედელი ერთიანი. ყოველი კუთხიდან წინ წამოსწიეთ სამ-სამი მხედარი, ორ-ორი მათგანი უმძლავრეს მხედართაგან უნდა იყოს გამორჩეული. დაე ისინი ერკინონ ერთმანეთს, მაგრამ მათ გვერდით იდგეს ჯადეგიც. ჯადეგი შესთხოვს კუხულაინდს, ათხოვოს მას შუბი, სახელით — უსაჩინოესი საჩინოთა შორის. ჯადეგის თხოვნას იმოდენი ძალა ექნება, რომ კუხულაინდი უარს ვერ იტყვის შუბის მიცემაზე და მაშინ შუბი იგი მასვე განგმირავს. არის წინათქმა, რომ იმ შუბმა უნდა განგმიროს ხელმწიფე. თუ ჩვენ გამოვთხოვთ კუხულაინდს იმ შუბს, მაშინ ჩვენს სავალალოდ როდი აღსრულდება წინათქმა იგი. აღმოუშვით ძახილი ტანჯვისა და შევლად მოწოდების, — და კუხულაინდს მისი და მისი ცხენების ცეცხლი საშუალებას არ მისცემს იმღეროს და თითო-თითოდ გამოგვიწვიოს ბრძოლად, ვითარცა იქმოდა კუალნგელი ხარისათვის ბრძოლის უამს.

როგორც ერკმა სთქვა, ისე აღსრულდა.

კუხულაინდი უფრო ახლოს მივიდა ლაშქართან და ეტლზე აჩვენა სამი მგრგვინავი ფანდი: გრგვინვა ასი, გრგვინვა სამასი და გრგვინვა სამგზის ცხრა გმირისა.

მოქნეული ცოცხის დარად, რომელიც მიიხვეტავს მტვერს მურტემნეს ტაფობზე, დაატყდა იგი მტერს და აღმართა ლაშქარზე საჭურველი თვისი. იგი თანაბრად ხმარობდა, ვითარცა შუბს, აგრევე ფარსა და მახვილს. ყველა თავისი საბრძოლო ფანდი გადმოაფრქვია კუხულაინდმა.

და რაოდენიც ქვიშაა ზღვაში, ვარსკვლავი—ვარსკვლავეთში, ლეშნი—ვარდობის თვეში, თოვლის ფანტელი—ზამთარში, ხოშკაკალი—ქარიშხალში, ფოთოლი—ტყეში, ჰვავის ოქროს თაველი—ბრეგის ტაფობზე და ბალახი ირლანდიის ბედაურთა ფლოქვებქვეშ ზაფხულის ჟამს, ამდენივე თავით, ამდენივე თავისქალით, ფეხით და გასისხლიანებული ძვლებით მოჰფინა კუხულაინდმა მურტემნეს ტაფობი და ტაფობი იგი ერთიან გარუხდა მოკლულთა ტვინთაგან.

იხილა კუხულაინდმა ლაშქრის განაპირას ორი მხედარი ერთურთს მორკინალი. გეგონებოდათ, ვერაფერი დააზავებდა მათ.

— სირცხვილი შენ, ო, კუხულაინდ, ჰემმარიტად სირცხვილი შენ, — წამოიძახა ჩადეგმა, — თუ არ დააზავებ ამ მორკინალთ.

მაშინ კუხულაინდი მიეჭრა მორკინალთ და ისე მძლავრად დასცა თავებში მუშტები, რომ მათი ყურებიდან და ცხვირებიდან ტვინმა გამონეტქა.

— შენ დააზავე ისინი, — რქვა ჩადეგმა, — აწ ველარ უბოროტონ მათ ურთიერთს.

— მათ ვერაფერი დააზავებდა, შენ რომ არ გეთხოვა მათი დაზავება, — ეზრახა კუხულაინდი.

— მათხოვე შუბი შენი, ო, კუხულაინდ, — ეზრახა ჩადეგი.

— ჩემი ხალხის საფიცარს ვფიცავ, — უპასუხა კუხულაინდმა, — შენ ჩემზე მეტად როდი გჭირდება იგი. ირლანდიის ლაშქარი მიტევეს მე და მე ვიგერიებ მას.

— შუბს თუ არ მათხოვებ, ბოროტ სიმღერას შევთხზავ მე შენზე, — რქვა ჩადეგმა.

— სიძუნწის გამო აროდეს ცყოფილვარ მე წყეული და მოყივნებული.

თქმა ერთი იყო და კუხულაინდმა გასტყორცნა შუბი წვერით წინ და წვერმა თავი გაუპო ჩადეგს და განგმირა კიდევ ცხრა მხედარი მის უკან მდგარი.

კუხულაინდმა გაიგრიალა თავისი ეტლით ლაშქრის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე.

მაშინ ლუგაიდმა, კუროისქემ, ხელთ იპყრა შუბი იგი გასისხლული, სამსახურად განმზადებული რომ დაენარცხა კალატინის ძეთა შორის.

— ო, ძენო კალატინისანო, ვის დასცემს შუბი ესე? — იკითხა ლუგაიდმა.

— ხელმწიფეს დასცემს შუბი ეგე, — მიუგეს მათ.

მაშინ ლუგაიდმა შესტყორცნა შუბი კუხულაინდის ეტლს და შუბი იგი ეძგერა ლოიგს, რაინვაბარის ძეს, და ნაწლევნი მისი გადმოცვივდა ეტლის ბალიშზე. იზრაბა ლოიგმა:

— მიძიმედ დავიკოდე, ო, კუხულაინდ.

კუხულაინდმა ამოაძრო შუბი ლოიგს და გამოეთხოვა მას. იზრაბა კუხულაინდმა:

— დღეს მე ვიქნები მბრძოლიც და მეეტლეც.

და კვლავ გაიგრიალა მან თავისი ეტლით ლაშქრის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე.

და ლაშქრის ბოლოში კვლავ იხილა მან ორი სხვა მხედარი ერთერთს მორკინალი. იქვე იდგა ჯადეგიც.

— სირცხვილი შენ, ო, კუხულაინდ, ჰეშმარიტად სირცხვილი შენ, თუ არ დავვაზავებ, — ეზრაბა ერთი მორკინალი

მაშინ მიეჭრა კუხულაინდი მორკინალთ და ისეთი ძალით გასტყორცნა ერთი მარჯვნივ, ხოლო მეორე კი მარცხნავ, რომ ისინი უსულოდ დაენარცხნენ იქვე, კლდის ძირას.

— მათხოვე შუბი შენი, ო, კუხულაინდ, — ეზრაბა ჯადეგი.

— ჩემი ხალხის საფიცარს ვფიცავ, — უპასუხა კუხულაინდმა. — შენ ჩემზე მეტად როდი გჭირდება იგი. ჩემს მარჯვენას, ჩემს ვაჟკაცობას და ჩემს საჭურველს დღეს ვალად აძევს, განწმინდოს მურტემნეს ტაფობი ირლანდიის ოთხი სამეფოს მხედრობისაგან.

— მე შევთხზავ ბოროტ სიმღერას შენზე.

— არა არს წესი, ერთ დღეს ორგზის აღვასრულო ერთი და იგივე თხოვნა. მე უკვე მოვიხადე ვალი, ოდეს პირველად აღვასრულე თხოვნა.

— მე შევთხზავ ბოროტ სიმღერას ულაღზე. — რქვა ჯადეგმა.

— აროდეს უგემნია წყევლა და მოყივნება ულადს ჩემი სიძუნწის წყალობით. თუმცა მცირელა დამშთენია სიცოცხლე, დღეს ვერვინ მოაყივნოს ულადი.

და კუხულაინდმა გასტყორცნა შუბი წვერით წინ და წვერმა თა-

ვი გაუპო ჯადეგს და განგმირა კიდევ ცხრა მხედარი მის უკან მდგარი.

და კუხულაინდმა კვლავ გაიგრიალა თავისი ეტლით ლაშქრის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე.

მაშინ ერკმა, გმირი მებრძოლის კაირპრეს ძემ, ხელთ იპყრა შუბი იგი მგმირაევი, სამსახურად განმზადებული რომ დაენარცხა კალატინის ძეთა შორის.

— ო, ძენო კალატინისანო, რასა იქმს შუბი ესე? — იკითხა კაირპრეს ძემ.

— ძნელი არ არის თქმა. ხელმწიფეს დასცემს შუბი ეგე, — უპასუხეს კალატინის ძეთ.

— თქვენ ერთხელ უკვე სთქვით, რომ ეს შუბი ხელმწიფეს დასცემდა, ოდეს ლუგაიდმა გასტყორცნა იგი.

— აღსრულდა კიდევ, — უპასუხეს კალატინის ძეთ, — რამეთუ მან დასცა ირლანდიის მეეტლეთა ხელმწიფე, კუხულაინდის მეეტლე ლოიგი, რაინგაბარის ძე.

— ჩემი ხალხის საფიცარს ვფიცავ, --- იზრახა ერკმა, — ხელმწიფე, რომელზედაც თქვენ ლაპარაკობთ, როდია ის ხელმწიფე, რომელიც ლუგაიდმა უნდა დასცეს ამ შუბით.

და ერკმა შესტყორცნა შუბი კუხულაინდს და შუბი იგი ეძგერა მახელ რუხს.

კუხულაინდმა ამოაძრო შუბი მახელ რუხს და მხედარი და ბედაური გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. რუხი ტბისაკენ გაიჭრა მახელი რუხი და თან გაიყოლა ხელნის ნახევარი. რუხი გადაეშვა რუხ ტბაში მთა ფუატთან. ამ ტბიდან ამოიყვანა იგი კუხულაინდმა ოდესღაც და ამ ტბას დაუბრუნდა იგი სასიკვდილოდ დაკოდილი.

— დღეს მე ვიბრძოლებ ერთი ცხენით და ნახევარი ხელნით. — იზრახა კუხულაინდმა.

და კუხულაინდი დაეყრდნო გატეხილი ხელნის კიდეს და ერთხელ კიდევ გაიგრიალა თავისი ეტლით ლაშქრის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე.

და კვლავ იხილა კუხულაინდმა ორი მხედარი ერთუერთს მორკინალი. იქვე იდგა ჯადეგიც. და კუხულაინდმა დააზავა ისინი ისევე, როგორც ის ორი წყვილი მხედარი, რომელთაც ადრე შეხვდა.

— მათხოვე შუბი შენი, ო, კუხულაინდ, — ეზრაბა ჯადეგი.

— შენ ჩემზე მეტად როდი გჭირდება იგი, — უპასუხა კუხულაინდმა.

— მე შევთხზავ ბოროტ სიმღერას შენზე.

— მე საკმარისად დავიცავი ჩემი ღირსება დღეს. ერთ დღეს მხოლოდ ერთგზის უნდა აღვასრულო ერთი თხოვნა.

— მე შევთხზავ ბოროტ სიმღერას ულადზე.

— მე საკმარისად დავიცავი ულადის ღირსება დღეს, — ეზრაბა კუხულაინდი.

— მე შევთხზავ ბოროტ სიმღერას შენს ჯილაგზე, — რქვა ჯადეგმა.

— ნუმც გავრცელებულა ხმები ჩემს სიძაბუნეზე იმ მხარეებში, სადაც არ ვყოფილვარ. მცირე ხნის დამშთენია სიცოცხლე.

და კუხულაინდმა გასტყორცნა შუბი წვერით წინ და წვერმა თავი გაუპო ჯადეგს და განგმირა კიდევ სამგზის ცხრა მხედარი მის უკან მდგარი.

— ეს მრისხანების საჩუქარია, ო, კუხულაინდ, — ეზრაბა ჯადეგი.

და კუხულაინდმა უკანასკნელად გაიგრიალა თავისი ეტლით ლაშქრის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე.

მაშინ ლუგაიდმა, კუროის ძემ, ხელთ იპყრა შუბი იგი მგმირავი, სამსახურად განმზადებული რომ დაენარცხა კალატინის ძეთა შორის.

— ო, ძენო კალატინისანო, რასა იქმს შუბი ესე? — იკითხა მან.

— ხელმწიფეს დასცემს შუბი ეგე, — მიუგეს კალატინის ძეთ.

— მე ამ დილითაც მოვისმინე თქვენგან ეგ სიტყვები. ოდეს შუბი იგი სტყორცნა ერკმა.

— აღსრულდა კიდევ, — უპასუხეს კალატინის ძეთ, — რამეთუ მან დასცა ირლანდიის ცხენების ხელმწიფე—მახელი რუხი.

— ჩემი ხალხის საფიცარს ვფიცავ, — იზრაბა ლუგაიდმა, — ერკის დარტყმას ჭერ კიდევ არ განუგმირავს ხელმწიფე იგი, რომელიც ამ შუბმა უნდა განგმიროს.

და ლუგაიდმა გასტყორცნა შუბი კუხულაინდისაკენ და შუბი იგი ეძგერა კუხულაინდს და ნაწლევნი მისნი გადმოცვივნენ ეტლის ბალიშზე. და მაშინ ბედაური მისი მშვენიერი ველის შავრა—მოსწყდა

ადგილს და თან გაიყოლა ხელნის ნარჩენები და მიაღწია მუსკრავიკ ტირეს შავ ტბას. ამ ტბიდან ამოიყვანა ოდესღაც კუხულაინდმა იგი. შავრა გადაეშვა შავ ტბაში და აშიშინდა ტბა შავი. კუხულაინდი კი მარტო დაშთა ბრძოლის ველად ეტლზე აღმართული.

— ფრიად მეწადა, მივსულიყავი შავ ტბასთან და შემესვა წყალი მისი, — იზრახა კუხულაინდმა.

— კეთილი და პატიოსანი, — ეზრახნენ ულადნი, — მხოლოდ ერთი პირობით, რომ უსათუოდ მოიქცევი უკან.

— გთხოვთ მოხვიდეთ ჩემთან, — იზრახა კუხულაინდმა, — თუ მე ვერ შეეძელი თქვენთან მოსვლა.

მაშინ მოზიდა კუხულაინდმა ნაწლევნი და კვლავ შიგანში შეზიდა. იგი გაემართა შავი ტბისაკენ და მიაღწია ტბას. მან შესვა წყალი და იბანა ტბაში. ისე, რომ მუცლიდან ხელი არ მოუცილებია, ეშინოდა არ გადმომცვივდესო ნაწლევნი. აი რატომ ჰქვია მურტემნეს ტაფობის ტბას — დამხმარე ხელის ტბა.

ოდეს წყალი შესვა და განიბანა, კუხულაინდმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და სთხოვა თავის მტრებს, მიახლოვებოდნენ მას. მხედართა დიდი რაზმი მიუახლოვდა კუხულაინდს. ველად ეყუდა დიდი და მაღალი ლოდი. კუხულაინდი მივიდა ლოდთან, ზურგით მიეყრდნო მას და ტანი ზოსტერით მიიბა ლოდზე. ასე მოიქცა კუხულაინდი, რამეთუ არ ეწადა მას, მომკვდარიყო მჭდომარე ან მწოლარე, არამედ მდგომარე ეწადა სიკვდილი კუხულაინდს.

მაშინ შემოეხვივნენ მხედრები მას, მაგრამ მიკარება მაინც ვერ გაბედეს, რამეთუ ეჩვენათ, ჯერ კიდევ ცოცხალიაო კუხულაინდი.

— სირცხვილი თქვენ, ჰეშმარიტად სირცხვილი თქვენ, — წარსთქვა ერკმა, გმირი მორკინალის კაირპრეს ძემ, — თუ არ წარკვეთეთ თავი კუხულაინდს და შური არ მიაგეთ მამიჩემის სიკვდილისათვის, რომელსაც მან წარკვეთა თავი.

და მაშინ მოიჭრა მახელი რუხი, ბედაური კუხულაინდისა, რათა დაეცვა იგი, ვიდრე კვლავ ედგა სული კუხულაინდს და სინათლის სხივი ციალებდა მას სახეზე. სამი სისხლიანი მიხდომა მოახდინა მახელმა რუხმა კუხულაინდისათვის. სახელდობრ: კბილებით მან დაჭვლითა ერგასი მხედარი, ხოლო თვითთული ფლოქვით გასთელა ოცდაათი. ამიდაც უთქვამთ: „არავის ახსოვსო მიხდომა უფრო მხნე,

ვიდრე მიხდომა იგი, მახელმა რუხმა რომ მოახდინა კუხულაინდის სიკვდილის შემდეგ“.

მეყვსეულად ზეცაში ფრთოსანთა გუნდი გამოჩნდა და ნებიერად დაეშვა კუხულაინდის მხრებზე.

— ადრე აროდეს ყოფილა კუხულაინდი ფრთოსანთა სვეტი, — იზრახა ერკმა, კაირპრეს ძემ.

ლუგაიდი მიეახლა უკანიდან კუხულაინდს, ხელები თმებში ჩაავლო და ხმლით წარკვეთა თავი. მაშინ ხელიდან გაჰვარდა ხმალი კუხულაინდს და ლუგაიდს დაეცა ხმალი იგი და წარკვეთა მარჯვენა. მაშინ კუხულაინდსაც წარკვეთეს მარჯვენა და ამით იგეს შური.

ამის შემდეგ ლაშქარი გზას დაადგა და თან წარიტანა კუხულაინდის თავი და მარჯვენა. ლაშქარმა მალე ტემრას მიაღწია, და მუნ დაფლეს კუხულაინდის თავი და მარჯვენა, მის ფართან ერთად.

სიმღერა შეთხზა კენფაილდმა, ძემ აილილისამ:

— დაემხო სვეტი მშვენიერი, სვეტი ცხოველი,
კუხულაინდი, მრავალლონე, მფარველი მამრი!
მთელს მხედრიონზე უფრო მძლავრი აღიძრა იგი
სამ ძაღლის ძეზე — ლუგაიდზე, კუროის ძეზე.
სიკვდილი მისი როდი ჰგავდა ჯაბანის სიკვდილს,
მრავალი დასცა საზარელმა მარჯვენამ მისმა.
ოთხგზის რვა მხედარს უგულოვნესს, ოთხგზის ათ მეგრძოლს,
და ოთხას ოცსა — ო, გმირობა გასაოცარი! —
კვლავ ოთხას ოცსა — მისმა მკლავმა მოუღო ბოლო! —
სუალტამის ძის დარტყმამ დასცა საბრალო მბრძოლნი.

შემდეგ ლაშქარი თემანით დაიძრა და მიაღწია მდინარე ლიფეას. მაშინ ეზრახა ლუგაიდი მეეტლეს:

— ზოსტერი ჩემი მამძიმებს ფრიად, მსურს განვიბანო.

ლუგაიდი გამოეყო ლაშქარს და იწყო ბანაობა, ლაშქარმა კი გზა განაგრძო. იჩქითად თევზი გაეხლართა ლაჩებში ლუგაიდს. მან შეიპყრო თევზი იგი და მეეტლეს გადაუგდო. მეეტლემ ცეცხლი გააჩაღა, რათა შეეწვა თევზი. ამ დროს უღადთა ლაშქარი ახლოვდებოდა

ბორრაისით, ემან-მახას მხრიდან. იგი უახლოვდებოდა მთა ფუატს.³ რათა იქ ხარკი აეკრიფა.

კუხულაინდი და კონალ ძლევაგამოსილი ურთიერთის მეტოქენი იყვნენ ვაჟკაცობაში და დადებული ჰქონდათ ასეთი აღთქმა: ვინც პირველი მოკვდებოდა მათ შორის, მისი სისხლი უნდა აეღო მეორეს. „თუ მე მომკლეს პირველი, რამდენ ხანში აიღებ ჩემს სისხლს?“ — ჰკითხა კუხულაინდმა. „იმავე დღეს, ბინდის მოწვენამდე“, — უპასუხა კონალმა. — „თუ მე მომკლეს პირველი, რამდენ ხანში აიღებ ჩემს სისხლს?“ — ჰკითხა კონალმა. — „სისხლი ვერ მოასწრებს მიწაზე გაშრობას“, — უპასუხა კუხულაინდმა.

კონალ ძლევაგამოსილი მთა ფუატთან იდგა ულადთა მხედრობით. აქ შეეფეთა მას მახელი რუხი ერთიან გასისხლული, რუხი ტბისაკენ ისწრაფოდა. ამღერდა კონალი:

— თუ ბედაური რუხი ტბისკენ ისწრაფის ხელნით,
ეს ნიშნავს იმას, ლუგაიდის მარჯვენის ირგვლივ
დაღვრილა სისხლი, დაღეწილა ეტლების წყება,
დანებებულან, დაფრეწილან ფარები ფართე.

— ლუგაიდმა, კუროის ძემ, დარეს ძემ, მოჰკლა კუხულაინდი,
ძუძუმტე ჩემი, — იზრახა კონალმა.

კონალმა დადარნა შემოგარენი და მაღალ ლოდთან დალანდა კუხულაინდი. მახელი რუხი მიეახლა კუხულაინდს უსულოდ მდებარეს და თავი დაადო მკერდზე.

— დიდი დარდია ეს სხეული მახელი რუხისათვის. — წარსთქვა კონალმა.

იქვე ახლორე კონალმა იხილა ხანდაკი.

— ჩემი ხალხის საფიცარს ვფიცავ, — იზრახა კონალმა, — დიდი მხედრის ხანდაკი დაერქმევა ამ ხანდაკს დღეიდან.

ამის შემდეგ კონალი დაიძრა მტრის ლაშქრის კვალდაკვალ. ლუგაიდი ამ დროს ისევ ბანაობდა.

— მიმოიხედე ირგვლივ, — რქვა ლუგაიდმა მეეტლეს, — არეან მოგვეპაროს უგრძნეულოდ.

მეეტლემ მიმოიხედა ირგვლივ.

— გვიახლოვდება მხედარი უცხო. დიდია აჩქარება და მძაფრია სწრაფვა მისი. თითქოს მთელი ირლანდიის ყორნები მოსჩხავიან მხედარს, და თითქოს თოვლის ფანტელებისაგან აჭრელებულა მთელი ტაფობი.

— არ მომწონს მხედარი, ჩვენსკენ რომ ისწრაფის, — იზრახა ლუგაიდმა, — კონალ ძლევამოსილია მხედარი იგი, თავის ბედაურზე, „წითელ ცვარზე“ ამხედრებული. ხოლო იგი, რაც შენ ყორნებად გეჩვენება, მიწის გუნდებია მხოლოდ, რომელსაც ისერის მისი ბედაურის ფლოქეები. რაც შეეხება თოვლის ფანტელებს, რომლითაც აჭრელებულია ტაფობი, მისი ულაცის ლაშების ქაფია, ლაგამიდან გადმონადენი. ერთი გახედე, რომელი გზით ისწრაფის იგი ჩვენსკენ.

— იგი ისწრაფვის ფონისაკენ, — უპასუხა მეეტლემ, — იმ გზით, რომელიც განვლო ჩვენმა ლაშქარმა.

— კარგი იქნება, თუ აგვეცდება მხედარი იგი, — იზრახა ლუგაიდმა, — მასთან შეყრის არა ვარ მსურველი.

კონალმა მიაღწია ფონის შუაგულს და ფონის ორივე მხარეს გაიხედა.

— აგერ მხედრები უცხო, უნდა გავიგოთ, რა ხალხია, — იზრახა კონალმა და მიეახლა მხედრებს.

— მახარებს, ვიხილო სახე მევალისა, — შესძახა კონალ ძლევამოსილმა, — ოდეს შეიძლება მოსთხოვო ვალი. მე შენი მევალე ვარ. შენ კი მკვლელი ჩემი მეგობრისა, მოვალე ჩემი, ამ ვალისათვის გეახელ ახლა.

— შენი მოთხოვნა სამართლიანი არ არის, — ეზრახა ლუგაიდი. — შენი სარჩელი მხოლოდ მაშინ იქნებოდა კანონიერი, თუ ჩვენი ორთაბრძოლა გაიმართებოდა არა აქ, არამედ მუჰმანში.

— თანახმა ვარ, — ეზრახა კონალი, — მაგრამ ერთი პირობით. ჩვენ იქ არ უნდა წავიდეთ საერთო გზით, რათა არ ვეზრახოთ ერთმანეთს გზაში.

— ეს ძნელი როდია, — უპასუხა ლუგაიდმა. — მე წავალ ბელგაბრუინის, გაბარისა და მაირგ-ლაგენის გზით, შენ კი წახვალ სხვა გზით და ჩვენ შევიყრებით არგეტროსში.⁴

ლუგაიდი პირველი გამოცხადდა ადგილზე. მალე კონალიც გამოჩნდა და მკვეთრ სტყორცნა შუბი ლუგაიდს, და დაჰკოდა იგი. ამ დროს ლუგაიდი მაღალ ლოდს ებჯინებოდა ფეხით; აი რატომ ჰქვია იმ ლოდს ლუგაიდის ლოდი.

პირველი დარტყმის შემდეგ უკან დახევა იწყო ლუგაიდმა ოსორგის მიდამოებში, იმ ადგილისაკენ, რომელსაც ახლა ლუგაიდის სამარეს ეძახიან. იქ მორკინალნი ეზრახნენ ერთუერთს.

— მე მოვითხოვ, კაცური კანონით იმოქმედო შენ, — სთქვა ლუგაიდმა.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა კონალ ძლევამოსილმა.

— მე ვგულისხმობ იმას, რომ შენ უნდა იბრძოლო ცალი ხელით, რამეთუ მე ცალხელა ვარ.

— დე იყოს ასე, — წარსთქვა კონალმა.

და ლუგაიდის ხალხმა კონალს ცალი ხელი გვერდზე მიაკრა. ამის შემდეგ დაიწყო მათი ორთაბრძოლა და იბრძოდნენ ისინი დღის ერთი გუშაგიდან ვიდრე მეორე გუშაგამდე, მაგრამ ერთმა ვერ სძლია მეორეს.

კონალ ძლევამოსილი მიხვდა, რომ არ ძალედვა მეტოქის დაძლევა და გახედა თავის ბედაურს, „წითელ ცვარს“. ამ ცხენს ძალღის თავი ება და წესად ჰქონდა ადამიანების გლეჯა ბრძოლებსა და ორთაბრძოლებში. ულაცი მიეჭრა ლუგაიდს და ფერდიდან ხორცი გამოჰგლიჯა. ლუგაიდის ნაწლევნი ლუგაიდისავე ფერხთით დაცვივდა.

— ავაჰმე! — შეჰყვირა ლუგაიდმა. — კაცთა წესი დაარღვიე შენ, კონალ!

— მე პასუხს ვაგებ მხოლოდ საკუთარ თავზე, — უპასუხა კონალმა, — და არა მხეცებსა და პირუტყვებზე.

— მე ვუწყვი, შენ ისე არ წახვალ, თან რომ არ წარიღო ჩემი თავი, — ეზრახა ლუგაიდი, — როგორც ჩვენ წარვიღეთ კუხულაინდის თავი. წარიღე თავი ჩემი შენს სათავში და ჩემი სათავადო შენი სათავადოს სათავში და ჩემი იარაღი შენი იარაღის სართში. მე თანახმა ვარ, რომ დღეიდან შენ იწოდებოდე ირლანდიის პირველ გმირად.


და კონალ ძლევამოსილმა მოჰკვეთა თავი ლუგაიდს, კურიოს ძეს.

მან თან წარიტანა ლუგაიდის თავი და ულადების ლაშქარს წამოეწია ლაგენის როიერენში.

ულადებს არ ეყოთ სიმხნევე, რომ იმ შვიდეულში შესულიყვნენ ემაინ-მახაში. ასეთი სიმხნევე კუხულაინდის ხვედრი იყო მხოლოდ. სამეფო გვარის ერგას დიუფალს, რომელთაც გული დასწყვიტა კუხულაინდის ბრძოლაში წასვლამ, უეცრად გამოეცხადა კუხულაინდის სული. უცხო სანახაობა წარმოუდგა მათ: ზეცაში, ემაინ-მახას თავზე, იდგა კუხულაინდის ეტლი, ეტლზე აღმართულიყო გარდაცვლილი კუხულაინდი და მღეროდა:

ო, ემაინ-მახა! ო, ემაინ-მახა!
უსაჩინოესო საგანძურო ჩემო!





**კონდ ასნაცადის ძის,
კონდლა მშვენიერის
გაუჩინარება**

რატომ შეარქვეს არტს მარტოსული? ძნელი არ არის თქმა.

ერთხელ კონდლა ალისფერი, კონდ ასნაცადის¹ ძე, მამასთან ერთად ზემო უსნეხში იმყოფებოდა. იქ მან იხილა უცხოოდ მოსილი ასული ერთი, მისკენ მომავალი.

— ჰოი, ასულო, საიდან მოხვალ? — ჰკითხავდა კონდლა.

— მე მოვალ ცოცხალთა ქვეყნიდან, — უპასუხებდა ასული, — სადაც არა არს არც სიკვდილი და არცა ურვა. სად განუსვენებლივ ჰგეის სუფრა და სუფევს ნადიმი, და სუფრა იგი ივსება თავად, და არს მუნ ცხოვრება ბედნიერი, გვემის გარეშე. დიდ სიღში² ვსახლობთ ჩვენ და ამიტომაც სიღთა მოდგმას გვიხმობენ ჩვენ.

— ვის ეზრახვი, ყრმაო? — ჰკითხავდა კონდი თავის ძეს, რამეთუ ვერავენ იხილა ასული იგი, თვინიერ კონდლასი.

ჭაბუკის მაგიერ ამღერდა ასული:

მშვენიერ ასულს ეზრახება ჭაბუკი კონდლა,
კეთილშობილი მოდგმის ასულს ეზრახვის იგი,

ვისაც ვეროდეს შეეხება სიკვდილის ცელი.
ვერც სიძაბუნე შეეხება ვეროდეს ვისაც.
ჭაბუკი ესე შევიყვარე სპეტაკი გულით,
აღისფერ კონდლას მე მოეუხმობ განცხრომის ველად,
სადაც მბრძანებლობს უძლეველი ხელმწიფე ჩენი,
სადაც არ არის არცა ურვა და არცა კენესა
მას შემდეგ, რაც რომ ტახტზე დაჯდა ხელმწიფე იგი.

და ასულმა განაგრძნო სიმღერა და ძიმართა კონდლას:

წამოვედ ჩემთან, ყელშემკული ძვირფასო კონდლავე,
ო, აღისფერო მორკინალო, წამოვედ ჩემთან.
ოქროს გვირგვინი დაგიმშვენებს ოქროსფერ სახეს.
რათა შეამკოს ხელმწიფური იერი შენი.
ოღონდ ისურვე, და აროდეს დაჭკნება, კონდლავე,
არც სიყმაწვილე, არც მშვენება შენეულ სახის
და ამაქვეყნად სამუდამოდ იბრწყინებს იგი.

მაშინ კონდი მიუბრუნდა თავის დრუიდს, სახელად კორანს, და
სთხოვა, შესწევნოდა მას: რამეთუ ზრახვა ასულისა ყველას ესმოდა.
ხოლო თავად ასული კი ვერავინ იხილა:

- ო, კორან, გვედრებ, მომეახლო, მოხვიდე შველად!
რამეთუ ხარ შენ აღჭურვილი სიმღერის ძალით,
დაუფლებიხარ აურაცხელ იღუმალ სიბრძნეს.
მე თავს დამატყდა იღუმალი ძალმოსილება.

და იგი სჭარბობს ჩემს გონებას, უფლებას ჩემსას.
მე არასოდეს არ მიხილავს ამგვარი მტერი
მას შემდეგ, რაც რომ ხელმწიფება ხელთ ვიპყარ სრული.
უხილავ სახეს ებრძვის ახლა საბრალო კონდი.

აძალა სახემ უხილავმა და გრძინებით მძლია,
და ჯადოსნური სიმღერების ძალებით ცდილობს.

ხელმწიფურ ხელებს გამოსტაცოს ჭაბუკი ესე,
უცხო მხარეში წაიყვანოს ძვირფასი ვაჟი.

მაშინ დრუიღმა წარსთქვა შელოცვა ესდენ ძლიერი, რომ ასულის ხმა უსმენელი გახდა ყველასათვის და თავად კონდლაც ველარს სჭვრეტდა ასულს. მაგრამ ვიდრე ასული დრუიდის შელოცვას განერიდებოდა, მან კონდლას უბოძა ჯადოსნური ვაშლი. ერთი თვის მანძილზე არათფერი უჭამია და არც უსუამს კონდლას, რამეთუ მას შემდეგ, რაც ეს ვაშლი იგემა, ყოველივემ დაჰკარგა გემო. ნიადაგ იგემებდა იგი ამ ვაშლს, მაგრამ ჭაშლი იგი არ კნინდებოდა და მრთელი რჩებოდა ნიადაგ. ჭმუნვამ შეიპყრო ჭაბუკი კონდლა ერთხელ ხილული ასულის გამო.

ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ იგი მაგ-არხოშინი იმყოფებოდა მამასთან ერთად და მან კვლავ იხილა ასული იგი, მისკენ მომავალი. ასულმა უმღერა მას:

— მალალ ადგილზე აღმჯდარხარ, გმირო,
წარმავალთა და მოკვდავთა შორის
და მოკვდინების ხარ მომლოდინე.
მარად ცოცხალნი გინმობენ, კონდლაე!

შენ მამაცი ხარ ტეტრახელთ³ თვალში,
ღღენიადაგ რომ აღერსით გმზერენ.
ოღეს მოილხენ მშობელთა თანა,
მოყვასთა თანა მოილხენ ოღეს.

კონდმა გაიგონა თუ არა ასულის ხმა, უბრძანა თავის ხალხს:
— მიხმეთ დრუიდი. ვხედავ, კვლავ აზრახდა ასულის ენა.
მაშინ იმღერდა ასული იგი:

— კონდ ასნაცადო,
ველარ მძლიონ ახლა დრუიდთა,
მათი ძალების აღსასრული დამდგარა უკვე.

გაჰკვირდა კონდი, რამეთუ ზრახვათა მიმართ უმზრახი იყო კონდლა და ნიადაგ ერთს იზრახვიდა: „აჰა, ესერა, მოვალს ასული იგი!“

— თუ ძალგამს განსჯა, ო, კონდლა, რას იზრახვის ასული იგი?—
ჰკითხავდა კონდი.

უპასუხებდა კონდლა:

— იგი მას იზრახვის, რომ შევებას ვიგრძნობდი მე, თუ არ სიყვარული ჩემი მოყვასთა თანა. ჰუმუნვამ მომიცვა ასულის გამო.

პასუხად ამღერდა ასული იგი:

— დიდიხანია შენ გიზიდავს სურვილი ამო,
ზღვათა ტალღებზე ისრიალო ასულთან ერთად.
თუკი ინებებ დაბრძანებას მინის სანდალში,
იმ უძლეველის სახელმწიფოს მივალწევთ, მჯერა,

არის ამქვეყნად შორეული ქვეყანა ერთი,
ვინაც მიაგნებს იმ ქვეყანას, იხარებს დიდად.
თუმცა ვხედავ, რომ გადიწვერა მზე შუბის ტარზე,
ღალამებამდე უცხო მხარეს მივალწევთ მაინც.

ო; მხარე იგი ნეტარებას ანიჭებს ყველას,
ვინაც სეირნობს, ვინც მიმოდის მის მაგარ მკერდზე,
შენ იმ მხარეში ვერ იხილო სხვაგვარი მკვიდრნი.
იქ დიაცნი და ასულები მკვიდრობენ მხოლოდ.

ასულმა სიტყვა დაასრულა თუ არა, კონდლამ დასთმო მოყვასნი თვისნი და მინის სანდალში ჩახტა. მალე სანდალმა მიაღწია იმ სიშორეს, სანამდეც ძლივს აღწევდა მოყვასთა ხედვა. ასე შესცურა კონდლამ ზღვაში ასულთან ერთად და მას შემდეგ არავის უხილავს ისინი და არცრა სმენიათ მათზე.

ოდეს ნაპირზე დარჩენილნი მჭვუნვარე ფიქრებში იყვნენ ჩაძირულნი, მათ მიეახლა არტი.

— არტი მარტოსული გახდა, — იზრახა კონდმა. — ჰეშმარტიად აღარ უვის მას ძმა.

— ჰეშმარტი სიტყვა ბრძანე შენ, — წარსთქვა კორანმა. — ასეც შეერქმევა მას ამიერიდან: მარტოსული არტი.

ასე შეერქვა არტს მარტოსული



ბრანეს, ფეხალას ძის მოგზაურობა

ოცდამეორე ოთხთაეპედი იმღერა უცხო მხარეთა ასულმა ბრანის, ფეხალას ძის სელარში, ოდეს სელარი იგი სავსე იყო ხელმწიფეებით, და არავინ უწყოდა, საიდან შემოაღწია ასულმა შინ, რამეთუ დახშულ იყვნენ ბჰენი ციხე-სიმაგრისა.

ეს ამბავი ასე დაიწყო. ერთხელ ბრანი სრულიად მარტო დაეხეტებოდა თავისი ციხე-სიმაგრის ირგვლივ. მას უეცრად ზურგს უკან მუსიკის ხმა შემოესმა. უკმოიქცა ბრანი, მაგრამ მუსიკა კვლავ ჟღერდა მის უკან, და ასე მოხდა ბრანის თვითეულ უკუშემოქცევაზე. მუსიკის ჰანგები ისეთი მომხიბლავი იყო, რომ ბრანს ძილი დაეუფლა ბოლოს. ოდეს გაიღვიძა, იხილა ბრანმა თეთრი ყვავილებით შემოსილი ვერცხლის რტო და ძნელი იყო გარჩევა, სად მთავრდებოდა რტოის ვერცხლი და სად იწყებოდა ყვავილთა სითეთრე.

ბრანმა აიღო ვერცხლის რტო და წარიღო თავის სელარში. და ოდეს სელარში ყველამ მოიყარა თავი, უეცრად გამოეცხადა მათ უცხოდ მოსილი ასული ერთი და დადგა იგი დარბაზის შუაგულში.

სწორედ მაშინ იმღერა ასულმა ოცდაორი ოთხტაეპედი და ყველა უსმენდა და სჭკრეტდა ასულს.

იგი მღეროდა:

-- მომაქვს ვაშლის რტო მშვენიერი, ემაინიდან,¹
უკვე ყველასთვის ცნობილია რტო საოცარი.
თეთრი ვერცხლია რტოთა ყლორტნი მოელვარენი,
ხოლო ყვავილით შემოსილი წარბები — ბროლი.

არის იმქვეყნად შორეული კუნძული ერთი,
კუნძული იგი დაყრდნობია მუხლმაგარ სვეტებს
და მის გარშემო ზღვის რაშები დანავარდობენ
ზღვის ფერდობებზე თვალს ახარებს ნავარდი მათი.

საამო არის საცქერალად თემანის ველი,
მჭკრეტელს ახარებს ვერცხლისფერად მბრწყინავი მდელო,
სად მორკინალნი ეძლევიან შვებას და მღერას,
დაოთხილ ეტლებს ეჭიბრება სრბოლაში ნავი.

თეთრი ბრინჯაოს სვეტებზე დგას კუნძული უცხო,
ბრინჯაო იგი ვერასოდეს დაფაროს უანგმა.
ფერად-ფერადი ყვავილები ამკობენ კუნძულს
და წალკოტებით მოფენილა ძვირფასი მხარე.

მუნ ხეა ერთი ძველთაძველი და მსხმოიარე,
ზედ ჩამომსხდარი ფრინველები გალობენ საათს,
და ფრინველები ჩინებულად ხმაშეწყობილნი,
გვამცნობენ ხოლმე საათების მოახლოებას.

თემანის თემად, ვერცხლისფერად მინისლულ ველად,
ციდან იღვრება უნაზესი ჰანგები უცხო,
მზრუნველი თვალი ფერს იხილავს რაგინდარაფერს
და ზეციური საკრავები ატკბობს მუნ სმენას.

ჩემს ბარაქიან სამშობლოში, მშობლიურ თემში.
უცხო ხილია სითაღლითე, სევდა და ურვა,
არ არის წვეთი სიმძიმის და არცა ღვარძლის,
ტკბილი ჰანგებით გაჟღენთილა ძვირფასი მხარე.

უურვადობა, უსევდობა, უსიკვდილობა,
უუვადობა, უსენობა, უბერებლობა, --
აი ნიშანი ჭეშმარიტი ემან მხარის.
მისი ტოლფასი სასწაული ვერავინ ჰპოვოს.

საოცარია შორეული ქვეყანა იგი,
გულს ახალისებს მშვენიერი მისი ბუნება,
თვალს ასეირებს მოალერსე იერი მისი,
უფაქიზესი ნისლი მისი ხედვას ახარებს.

ერთი შეხედვე ბარაქიან, დალოცვილ მიწას:
ზღვა ნაპირებზე ახლის ტალღებს და აელვარებს
ურჩხულის ლოდებს და მშვენიერ კრისტალთა კრებულს
კრისტალის თმები იფრქვევიან მისი ფაფრიდან.

ფერთა სიუხვეს, უამრავთა ფერთა საგანძურს.
უმაღლესი უამრავი ამ დანამულ, დიდებულ ველად.
გულს დაგიაშებს, გაგალაღებს ჰანგები უცხო,
ჭაშნიკს გასინჯავ უძვირფასეს ღვინოებისას.

ზღვის ფერდობებზე ისწრაფიან ოქროს ეტლები,
ზღვის მოქცევის ჟამს გახელებით მიჰქრიან მზისკენ.
ვერცხლის ეტლები თარეშობენ თამაშთა ველად.
თამაშთა ველად თამაშობენ ბრინჯაოს ეტლნი.

მრეში ცხენები გულმოდგინედ სთელავენ მდელოს,
ველებს სთელავენ ჩალისფერი ბედაურები,
გრძელბალნიანი ტაიჭები სცოხნიან ბალახს,
ლურჯა ცხენები გახელებით ღეჭავენ ლაგამს.

მზის ამოსვლასთან ერთად მოვალს ჰაბუჯი ვინმე,
ნისლიან ველებს გაანათებს მშვენიება მისი,
ზღვის სანაპიროს გაუყვება მხედარი ფიცხლად
და სისხლად აქცევს აბორგებულ, მრისხანე ტალღებს

ანკარა ზვირთებს გადმოივლის მრავალი მამრი
და მოაშურებს უცხო მხარეს—მგზავრობის მიზანს.
დამაშვრალეები დადგებიან ელვარე ლოდთან,
სადაც გაისმის გამუდმებით სიმღერა ასი.

სიმღერა მისი მოისწრათის მომსწრათთა მიმართ.
მოედინება უზრუნველი სიმღერა ზღვაზე.
მომხიბლავია სიმღერები ასხმიან გუნდის,
მათ უძღურებას და სიკვდილსაც მოუღეს ბოლო.

მრავლისმხილველო ემანო, მხარეო ზღვისავე,
მხარეო ერთობ ახლობელო და ძალზე შორო,
კოხტად მოსილი ასულების გამშვენიებს დასი.
ნათელ აშიად მოგხვევია ზღვა უსასრულო.

მარად მღუმარე, გარინდებულ, ტენიან ჰაერს,
წყდება წვეთები მოციმციმე, წვეთები ვერცხლის,
და ზღვის ნაპირთან აღმართული თეთრი ქარაფი
თავის წილ სითბოს მოელვარე მზისაგან იღებს.

მოისწრათიან ვაჟკაცები თამაშთა ველად
და იმართება უტევანზე შეჯიბრი დიდი.
ამ ვაჟკაცებმა თავად სიკვდილს მოუღეს ბოლო
და დაამიწეს უძღურება და სიძაბუნე.

ო, უცხო მხარეე,—ო, გვირგვინო მშვენიერების!—
მოწმენდილ ციდან ილიმება ღრუბელი თეთრი!
შებინდებისას ზეციური ჰანგები გზიბლავს,
უცხო წალკოტი ჰბადებს სურვილს სეირნობისას.

ჩვენგან დასავლით, უსამანო ოკეანეში,
სამგზის ერგასი კუნძულია ვრცელი და ფართე,
თითო მათგანში ისლანდია გამოიჭრება,
და განა ერთი, ანუ ორი, მგონია, სამიც.

დე ბრძენმა ბრანმა მშვიდობიან თემის ჯამათს
მიაპყრას თვისნი სასმენელნი, მოილოს სიბრძნე.
გაბედე, ბრანო, უანკარეს ტალღებზე ცურვა:
იქნებ როგორმე მიაღწიო ასულთა მხარეს.

ამის შეჰდეგ ასულმა დაუტევა ისინი და არ უწყოდნენ მათ, თუ
საით წავიდა ასული იგი. ასულმა თან წარიტანა ვაშლის რტო, ხელი-
დან რომ გაჰვარდა ბრანს და გადავიდა ასულის ხელში, რამეთუ
ბრანს აღარ გააჩნდა მკლავში ძალა, რათა დაეჭირა რტო იგი.

მეორე დღეს ბრანმა ზღვაში შესცურა. სამჯერ ცხრა ვაჟკაცი ახ-
ლდა ბრანს თანამგზავრებად. ყოველ ცხრა კაცს თაოსნობდა მისი
ერთ-ერთი ძუძუმტე და თანატოლი. ორი დღე-ღამე იცურეს მეზღვა-
ურებმა ზღვაზე და იხილა ბრანმა მამრი უცხო, რომელიც ეტლით
მოისწრაფოდა ტალღებზე. მან ამცნო ბრანს თავისი ვინაობა, რქვა
მას, მანანანი მქვიაო, ძეი ლერისა,² და უმღერა მას ოცდაორი ოთხ-
ტაეპედი:

— საამო არის ბრანისათვის სანდალში ჯდომა
და უზრუნველი სეირნობა ანკარა ზღვაზე.
ჩემთვის კი, ვინაც მოვისწრაფი შორიდან ეტლით,
ყვავილოვანი მინდორია ზღვა იგი ვრცელი.

ო, ეს მინდორი, ო, ეს ველი ყვავილოვანი,
ორბორბლიანი სწრაფი ეტლით რომ გავიარე,
ის არის ჩემთვის, რაც ბრანისთვის ზღვა უსასრულო,
კიჩოიანი სწრაფი სანდლით რომ გადასერა.

აღტაცებული უკვრეტს ბრანი ანკარა ტალღებს,
ნათელ ზღვაში რომ ირხევიან და დგაფუნობენ,

ხოლო მე ეტლით მოვისწრაფი გართობის ველად.
და ვუპკრეტ წალკოტს ყვავილოვანს, მშვენებით შემკულს.

დათარეშობენ ზღვაზე ლერის ბედაურები
და ბრანის ხედვის არეს ავსებს ველური რემა.
ო, მანანანის, ლერის ძისა, უცხო მხარეში
მოედინება ველ-მინდვრებზე თათლის მდინარე.

ქავლთა ლივლივი, რომელთ შორის შენ იმყოფებ.
ტალღათ სითეთრე, რომელსაც შენ მიჰყვები, ბრანო.
ეს არის მიწა გადაშლილი ყვითლად და ცისფრად
და მიწა იგი კეთილია, არა სასტიკი.

ზღვის წიაღიდან ორაგული ამოდის ჰრელი
და შენ შეჰყურებ ორაგულთა მხიარულ სხლტომბა :
ნაირფერადი ნუკრებია ისინი, ბრანო.
ერთმანეთისა არმოშიშნი, ალერსიანნი.

ამ უზრუნველ და ყვავილებით მორთულ მხარეში.
შენთვის ხილული ერთადერთი ეტლია მხოლოდ.
მაგრამ აქ, ველად, ბედაურთა რემანი ვლენან.
რომელთაც ახლა ვერ ამჩნევენ თვალები შენი.

ვრცელია ველი. ზედ მრავალი ვაჟკაცი დადის.
ნათელ ზეიმით ელვარებენ ფერები უცხო.
ვერცხლის ჩანჩქერი, სამოსელი ოქროქსოვილ-
თავის სიუხვით და მშვენებით აოცებს ყველას.

და მოილხენენ ვაჟკაცები დიდებულ ველად,
მხიარულ თამაშს აჩაღებენ, თვრებიან ღვინით,
ქაბუკები და ასულები ლაღობენ ჩრდილში.
უბრალოა და უცოდველი ლაღობა მათი.

ტყის კენწეროთა გასწვრივ გასცურა
შენმა სანდალმა რიფებზე გავლით.

ტვერი ხილით და ფრინველით საესე,
ვერ წვდება შენი სანდალის კიჩოს.

ემ ტყეში ხარობს ხილი და ხმილი,
და ხილთა შორის იზრდება ვაზი,
ტყე უქკნობია და უცოდველი,
შემოსილია ოქროვან ფოთლით.

ეს ჩემი სახე ხილული შენგან,
ირლანდიაში იხილო კვალად,
რამეთუ მელის იქით მგზავრობა,
ლინე-მაგელი ასულის ხილვად.

შენს წინაშეა მანანანი, პირმშო ლერისა,
ეტლზე აღმჯდარი, მოვლენილი მიწიერ სახით.
იგი გააჩენს — სულ ხანმოკლე სიცოცხლისათვის—
უმშვენიერესს და სახეთეთრს, დიდებულ ვაჟკაცს.

იქნება იგი სიხარული გრძნეული მთების,
კეთილი მხარის თვალისჩინი იქნება იგი,
და ამოიცნობს საიდუმლოს—სიბრძნისა წყაროს —
იმ ქვეყანაში, სადაც სუფევს სიამე სრული.

დედამიწაზე მოარული, მცურავი ზღვაში,
იგი მიიღებს ყოველგვარი ნადირის სახეს,
მტრების წინაშე გარდიქცევა ურჩხულად უმალ,
მგლად გარდიქცევა უსიერ და გაუვალ ტყეში.

დიდების ველად, ეტლები რომ დაგრიალებენ,
ვერცხლისრქებიან ხარირემად იქცევა იგი,
უსიერ ტბაში გარდიქმნება მშვენიერ თევზად,
მშვენიერ გედად ისრიალებს ანკარა ტბაზე.

იქნება იგი საუკუნეთ განმავლობაში
ქვეყნის მპყრობელი, სვესვიანი გვირგვინოსანი.

ბრძოლად აღძრული დაამიწებს მომხდურთა რაზმებს,
სისხლიან ველებს შემორჩებათ ბორბლების კვალი.

ხელმწიფეთა და სახელოვან რაინდთა შორის
უშამაცესი მეომარი იქნება იგი,
და განუუმზადებ სასიკვდილო სარეცელს მთაზე,
როგორც შეჭვერის მამაც რაინდს დაცემულს ომში.

მას აღვაზევებ, ავამალლებ თავადთა ზედა.
ძე ცთომილების შეეყრება და შეყრის სიკვდილს.
მანანანი კი, ძე ლერისა, იქნება მისი
მოძღვარი ბრძენი, მწურთვენელი და მამა მშობელი.

იგი იცოცხლებს—ხანმოკლეა სიცოცხლე მისი!—
ერგას წელიწადს უზრუნველად ამქვეყანაზე.
ზღვათა ურჩხულის ქვა განგმირავს უბადლო რაინდს
და სენლაბორის მძაფრ ბრძოლაში მოკვდება იგი.

მდინარე ლოხ-ლოხ წყალს მოითხოვს სიკვდილის პირას,
თვალს გააყოლებს სისხლის ნაკადს ველზე დანთხეულს.
მას ღრუბლის ეტლით წაასვენებს თეთრი ლაშქარი
იმ სავანისკენ, სად სიმშვიდე მეუფობს სრული.

დე გულმოდგინედ ამოძრაოს ნიჩბები ბრანმა,
აგერ, საცაა გამოჩნდება ასულთა მხარე.
სტუმართმოყვარე ემანის დიდებულ ნაპირს,
წვის გადახრამდე უსათუოდ მიაღწევ, მჭერა.

ამის შემდეგ ბრანმა ცურვა განაგრძო და სულ მალე ერთ კუნ-
ძულს მიაღდა. იგი კუნძულის შემოვლას შეუდგა და იხილა კუნძულ-
ზე თავმოყრილი ბრბო; ადამიანებს პირები დაეღოთ და გულიანად
ხარხარებდნენ. ბრანმა და მისმა მხლებლებმა ვერასგზით ვერ მოა-
ხერხეს მათთან დალაპარაკება, რადგან ისინი განუწყვეტლივ ხარხა-
რებდნენ და სახეში შესცქეროდნენ მათ. მაშინ ბრანმა კუნძულზე

ერთ-ერთი თავისი მხლებელი გაგზავნა. იგი წამსვე შეუერთდა ბრბოს და ხარხარი მორთო, ბრბოსავით შეჰყურებდა ბრანს და მის მხლებლებს. მაშინ ბრანმა რამდენჯერმე შემოუარა კუნძულს, და როცა ნავი მათ ამხანაგს ჩაუვლიდა, ისინი ამაოდ ცდილობდნენ მასთან ლაპარაკს. ამხანაგს არ ეწადა მათთან საუბარი, იგი მათ შეჰყურებდა მხოლოდ და სახეში შეჰხარხარებდა. ამ კუნძულს ერქვა „სინხარულის კუნძული“. ასე დატოვეს მათ თავიანთი ამხანაგი კუნძულზე.

მალე მოგზაურებმა მიაღწიეს ასულთა მხარეს და ნავთსაყუდარში იხილეს ასულთა დედოფალი.

— გადმოვედი ნაპირზე, ო, ბრან, ფეხალის ძეგ! — წარსთქვა დედოფალმა. — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

ბრანმა ვერ გაბედა ნაპირზე გადასვლა. მაშინ ესროლან მას ასულთა დედოფალმა მორგვი და ბრანმა დაიჭირა მორგვი იგი. მორგვი ხელისგულზე აეკრა ბრანს. მორგვის ბოლო დედოფალს ეპყრა ხელთ და გამოსწია დედოფალმა ძაფი და ნავი ნავთსაყუდარს მიაყენა. მოგზაურები გადმოვიდნენ ნავიდან და დიდ სახლში შევიდნენ. იქ იყო თითო სარეცელი ორ კაცზე განკუთვნილი — სულ ოცდაშვიდი სარეცელი. მორთმეული ხორაგი თეფშებიდან აღარ ჰქრებოდა და ყოველი განიცდიდა იმ კერძის გემოს, რომელსაც მოისურვებდა. მათ ეჩვენებოდათ, რომ ამ სახლში მხოლოდ ერთი წელიწადი დაჰყვეს, სინამდვილეში კი მრავალი წელი გასულიყო.

ბრანის ერთ მხლებელს, ნებტანს, კოლბრანის ძეს, სამშობლოს სევდა-მოეძალა. ნებტანის ნათესავები ემუდარნენ ბრანს, ჩვენთან ერთად დაბრუნდით ირლანდიაში. ასულმა გააფრთხილა ისინი, რომ მწარედ ინანებდნენ ამ კუნძულიდან წასვლას. ისინი მაინც მოემზადნენ გასამგზავრებლად. მაშინ ასულმა ურჩია მათ, ფეხით არ შეხებოდნენ მიწას.

მოგზაურებმა დიდხანს იტურეს და ბოლოს მიაღწიეს სოფელს, სახელად ბრანის კონცხს³. იქაური ხალხი შეეკითხა მოგზაურებს, თუ ვინ იყვნენ ისინი. ეზრახა მათ ბრანი:

— მე ვარ ბრანი, ფეხალის ძე.


მაშინ მიუგეს მათ:

— მართალია, ჩვენ არ ვიცნობთ ასეთ ვინმეს, მაგრამ ჩვენი

ქველთაძველი თქმულებები მოგვითხრობენ ბრანის ზღვაოსნობის ამბავს.

ნებტანი უეცრად ნავიდან ნაპირზე გადახტა, და ოდნავ შეეხო თუ არა იგი ირლანდიის მიწას, უმალ მტვრის გროვად იქცა. თითქოს საუკუნეთა მანძილზე იდოო მიწაში მისი სხეული.

ამის შემდეგ ბრანმა მოუთხრო თავმოყრილ ხალხს თავისი მოგზაურობის ამბავი, დასაწყისიდან ვიდრე იმდღევანდლამდე. შემდეგ იგი დაემშვიდობა მათ და იმ დღიდან მის მოგზაურობაზე არაფერი სმენიათ.



აქა ზმბავი

სახელგანთქმული ბაილენი

ბაილე მხოლოდშობილი ძე იყო სახელგანთქმული ბუანისა. იგი ყველას უყვარდა, ვისაც თუნდაც ერთხელ ეხილა იგი, ანდა მხოლოდ სმენოდა მის შესახებ. იგი უყვარდათ, ვითარცა მამრებს, აგრეთვე დიაცებს, იმ კარგი სახელის გამო, რომელიც დაიგდო მან მთელს ირლანდიაში. მაგრამ სხვებზე მეტად ბაილე შეუყვარდა აილენს, ლუგაიდის! მშვენიერ ასულს. ბაილესაც შეუყვარდა აილენი. მათ პირობა დასდეს, ერთმანეთს შეხვედროდნენ როსნარიგში², ბრეგ-ბოინის ნაპირზე რომ მდებარებს, რათა იქ საუკუნო ფიცი მიეცათ ურთიერთისათვის.

ბაილე დაიძრა ემან-მახადან და ისწრაფა თემანისაკენ, უკუმოიტოვა მთა ფუატი და მურტემნეს ტაფობი, მიაღწია ადგილს, რომელსაც ეწოდება ტრაიგ-ბაილი.³ იქ ბაილემ და მისმა მხლებლებმა ცხენები ეტლებიდან გამოხსნეს და საბალახოდ მდელობზე გადნეს.

დაღლილი მგზავრები ველად განისვენებდნენ, ოდეს მათ ხედვას წარმოუდგა მამრი, ხილვად საზარელი. იგი მოისწრაფვოდა თემანით, მოქროდა, ვითარცა ქორი კლდიდან აფრენილი, მოიგრაგნებოდა,

ვითარცა ქარიშხალი ზურმუხტისფერი ზღვიდან დაძრული. მიწისკენ იყო დაღერილი მარცხენა ფერდით.

— ვისწრაფოთ მისკენ! — წარსთქვა ბაილემ. — ვკითხოთ, საიდან მოისწრაფვის იგი და საით ესწრაფვის.

— მე მივისწრაფვი ტუაიგ-ინბერში, — გაისმა პასუხად. — და მიმაქვს ამბავი ერთადერთი, რომ ლუგაიდის ასულს, აილენს, შეეუყვარდა ბაილე, ძე ბუანისა, და წარემართა მის შესახვედრად, და რომ ლაგენის მხედრები გზაში თავს დაესხნენ ასულს და მოჰკლეს იგი, ვითარცა ეს იმისნეს დრუიდთა და იღუმალთა მიმთხრობთა: სიცოცხლეში ვერ დაჰყონო ერთად, სიკვდილის შემდეგ კი ერთად იყვნენო საუკუნოდ. აი სულ ეს არის ამბავი ჩემი.

ამ სიტყვებთან ერთად მან დაუტევა მგზავრები და მათ ძალა აღარ ეყოთ მის დასაოკებლად.

ოდეს ბაილემ მოისმინა სიტყვები მისი, მიწას დაეკვეთა და სული განუტევა მყის. ბაილეს გაუთხარეს სამარე, პატივით დაფლეს და სამარეზე აღმართეს ქვის მაღალი სვეტი. ულადებმა მისი სულის მოსახსენიებელი თამაშები გამართეს და ბაილეს საფლავზე აღმოცენდა მშვენიერი ურთხელი, რომლის თავიც წააგავდა ბაილეს თავს. იმადაც ჰქვია ამ ადგილს ტრაიგ-ბაილი.

საზარელი მოჩვენება კი წარემართა თემანისაკენ, ეწვია აილენს და შეაღწია მის ფოთლოვან ვანში.

— საიდან მომევილინა ეს უცხო სული? — იკითხა ასულმა.

— ირლანდიის ბორრაისით, ტუაიგ-ინბერიდან, — იყო პასუხად.

— რა ამბავი მოუტანია უცხოს? — იკითხა ასულმა.

— სასიხარულო მომაქვს ამბავი, — უპასუხა სულმა, — ვიხილე ულადნი, მოსახსენიებელ თამაშებს რომ მართავდნენ ტრაიგ-ბაილში მას შემდეგ, რაც სამარე გაუთხარეს ბაილეს და ქვის სვეტი აღმართეს სამარეზე, და სვეტზე აღმოტვიფრეს სახელი ბაილესი, ბუანის ძისა, ულადთა ხელმწიფის შთამომავლისა. იგი ისწრაფვოდა საყვარელ ასულთან, მაგრამ მათ თურმე არ ეწერათ ერთუერთის ხილვა და ერთად ყოფნა სიცოცხლეში.

დაამთავრა თუ არა თავისი ბოროტი ამბავი, ავი სული ეთერში გაზავდა, აილენი კი დაენარცხა დედამიწას და სული განუტევა მყის. აილენიც დამარხეს, როგორც ბაილე, და მის საფლავზე აღმოცენდა

ვაშლის ხე. მეშვიდე გაზაფხულზე დასრულდა ხე იგი, ხოლო მის კენწეროს თითქოსდა აილენის თავი გამოება.


ამ დღიდან შვიდი წლის შემდეგ, დრუიდთა და იდუმალთა მიმობრობთა მოსჭრეს ბაილესთავიანი ურთხელი და მისი ტანიდან ფირფიტები გათალეს. მგოსანთა და მთხრობთა სამიჯნურო ამბები და ულადთა ათასგვარი საქმენი აღწერეს ამ ფირფიტებზე. ასევე მოექცნენ ლაგენები აილენის ვაშლის ხეს; მისი ტანიდან გამოთლილ ფირფიტებზე ისინი წერდნენ თავიანთ საქმეებს.

მოაწია სამაინის კვირაძალმა და ირლანდიელებმა თავი მოიყარეს კორმაკთან⁴, არტის ძესთან, რათა ეზეიმათ სამაინი. ზეიმზე ჩვეულებისამებრ მოვიდნენ მგოსნები და სხვადასხვა ხელობის ადამიანები. მაშინ სახალხოდ გამოიტანეს ეს ფირფიტები. კორმაკმა იხილა თუ არა ისინი, მყის ბრძანა, მოერთმიათ მისთვის; მან აიღო ორი ფირფიტა, ერთი მარჯვენა ხელში, მეორე კი მარცხენაში ურთიერთის საპირისპიროდ. მაშინ ერთი ფირფიტა თავისით მიახტა მეორეს და შეერწყა მას, ვითარცა წერწა ერწყმის ტოტს, და არავის ძალედვა მათი გათიშვა.

ეს ფირფიტები ისევე დამარხეს ტემრას საგანძურში, ვითარცა სხვა ძვირფასი განძი.

მგოსანმა თქვა:

— კეთილშობილო ვაშლო აილენ,
უდარებელო ურთხელო ბაილე!
რასაც მოგვითხრობენ ძველი სიმღერები,
ძნელად შეისმინოს უბადლო სმენამ.



ეტიანი საღმი ბრზიალი

ეოხაიდ აირემი! ირლანდიის უზენაესი ხელმწიფე იყო და მას ჰმორჩილებდა ირლანდიის ხუთივე მეხუთედი. იმჟამად სახელმწიფოში სამეფო სკიპტრები ეპყრათ: კონზობარს, ნესის ძეს, მეს-გეგრას, ტიგერნახ ტეტბანახს, კუროის და აილილს, მატა მიურესკის ძეს. ორი ციხე-სიმაგრე ეპყრა ეოხაიდს: ფრემინი მიდში და ფრემინი ტეტბეში. ფრემინი ტეტბეში მისი უსაყვარლესი ციხე-სიმაგრე იყო ირლანდიის ციხე-სიმაგრეთა შორის.

ეოხაიდ აირემმა ტახტზე ასვლის უმალ მოუწოდა ირლანდიის ერს ტემრაში, დღესასწაულზე, რათა განეწესებინა მათზე გამოსაღები და ბეგარა ხუთი წლით ადრე. მაგრამ ირლანდიელნი ეზრახნენ ეოხაიდს, რომ ისინი არ მოვიდოდნენ დღესასწაულზე, ვიდრე სახელმწიფო უდედოფლო იყო, რამეთუ ეოხაიდი იმჟამად უცოლო გახლდათ.

მაშინ ეოხაიდმა დაგზავნა ელჩნი ირლანდიის ხუთსავე სამეფოში. უბრძანა მათ, გამოეძებნათ მისთვის ულამაზესი საცოლე, თანაც ისეთი, რომლისთვისაც მამრი უცხო იქნებოდა. მოციქულებმა, როგორც იქნა, მიაგნეს ასეთ ასულს ინბერ კიზმაინში,² სახელი მისი იყო ეტა-

ინი, ასული ეტაირის, და ეოხაიდმა შეერთო იგი ცოლად, რამეთუ ეტაინი მისი სწორფერი იყო სახიერებით, სიყმაწვილით და კეთილი სახელით.

სამი ძე ესვა მეფისწულს ფინდს, ფინდლუგას ძეს: ეოხაიდ აირე-
მი, ეოხაიდ ფეიდლეხი³ და აილილ ინგუბა. მას შემდეგ, რაც ეტაინ-
მა უკვე გაიზიარა ეოხაიდის სარეცელი, აილილ იანგუბას ტემრაში
დღესასწაულზე შემოენთო ეტაინისადმი ნიყვარული და თვალს ვერ
აშორებდა მას. დაეინებითი ცქერა ზომ ნიშანია სიყვარულისა და
ამიტომ აილილმა გუნებაში უსაყვედურა საკუთარ თავს და ნებისყო-
ფის დაქაბვით დაიოკა მძაფრი სურვილი.

აილილმა არ დაარღვია ღირსების ადათი და არ გაუქმლავნა
ასულს თავისი გულის ნადები, რის გამოც სნეულებამ შეიპყრო იგი.
და ოდეს აილილის თვალებს სიკვდილი აესეეტა, მაშინ ეახლა მას
მკურნალი ეოხაიდისა, სახელად ფახტნა, და ეზრახა მკურნალი აი-
ლილს:

— იმ ორ სენთავან, რომელთა წინაშეც მკურნალი უძღურია,
შენ შეგყრია ერთ-ერთი: სიყვარული ან ეჭვი.

მაგრამ აილილმა ფახტნას არ გაუმხილა სიმართლე, რამეთუ ერ-
ცხვინებოდა გამხელა. მაშინ გარდიწყვიტეს აილილის იმედი და
სრულიად მარტო დააგდეს იგი ტეტბეს ფრემაინდი. ოდეს ეოხაიდი
ირლანდიის შემოსავლელად გაემგზავრა, ეტაინი შინ დაუტევა, რა-
თა ეტაინს უკანასკნელი პატივი დაედო აილილისათვის: ღირსეულად
დაეფლათ იგი, მოთქმით დაეტირათ და დაეკლათ მისი მომსახურე
პირუტყვი.

ყოველდღე დადიოდა ეტაინი სნეულ აილილთან, დიდხანს ესა-
უბრებოდა მას და ვიდრე იგი მასთან იყო, აილილი თვალს არ აცი-
ლებდა ეტაინს. ეს შეამჩნია ეტაინმა და ჩაფიქრდა. ერთხელ ჰკითხა
მან აილილს, თუ რა იყო მისი დასნეულების მიზეზი.

— შენდამი ტრფიალი, — მიუგო აილილმა.

— დასანანია, აქამდე რომ არ გაამხილე იგი, — ეზრახა ეტაინი, —
ადრევე რომ გვცოდნოდა ეგ ამბავი, ადრევე განგკურნავდით მაშინ.

— არც ახლაა გვიან, თუკი შენ მოისურვებ, — მიუგო აილილმა.

— სჩანს, ჩემი სურვილია საჭირო, — იზრახა ეტაინმა.

ეტაინი ყოველდღე აკითხავდა აილილს, ჰბანდა თავს, აწვდიდა

საქმელს და წყალს. სამჯერ ცხრა დღის შემდეგ აილილს განეშორა სენი და ეზრახა იგი ეტაინს:

— როდის მომცემ იმას, რაც აუცილებელია სრული განკურნებისათვის?

— ხვალ დილით მიიღებ მას, — ეზრახა ეტაინი. — მაგრამ ხელმწიფის მოყენება არ უნდა მოხდეს მისსავე სელარში. ხვალ დილით სერზე მპოვებ მე, ჩვენი სახლის წინარე.

მამლის პირველ ყვივლამდე ფხიზლობდა აილილი. მაგრამ შეხვედრის დროისათვის ჩასთვლიმა და გვიან გაეღვიძა. ეტაინი კი მივიდა დანიშნულ ადგილას და იქ იხილა მამრი, რომელიც ძალიან ჰგავდა აილილს. მამრი იგი სენს უჩიოდა. ეტაინი მასთან ისე მოიქცა, როგორც აილილს აღუთქვა.

როცა ეტაინი აილილთან მოიქცა, აილილმა მას ხანგრძლივი და სევდიანი მზერა შეაგება.

— რად არის სევდიანი სახე შენი? — ჰკითხავდა ეტაინი.

— იმად, რომ შეხვედრა აღგიტქვი და ვერ კი მოველი. ძილმა დამძალა მე და ახლა ცხადლივ ვხედავ, კვლავ ვერ დავიბრუნე სიმრთელი.

— ნუ ჰმუნავ, არის გამოსავალი ამ გასაჭირიდან, — მიუგო ეტაინმა და კვლავ დაუნიშნა პაემანი აილილს მეორე დღისათვის.

იმ დამითაც ფხიზლობდა აილილი. მან გააჩალა დიდი ცეცხლი და გვერდით მოიდგა წყლიანი კასრი. იგი დროდადრო წყალს სახეზე ისხურებდა, რათა არ ჩასძინებოდა. მაგრამ მაინც ჩაეძინა აილილს, ხოლო ეტაინი კი დათქმულ დროზე მივიდა დანიშნულ ადგილას და კვლავ იხილა მამრი იგი აილილის სახით, და კვლავ შეისმინა მისი სიყვარული. ოდეს ეტაინი სახლად მიიქცა, აილილი მას თვალცრემლიანი დაუხვდა.

მესამედაც მივიდა ეტაინი დანიშნულ ადგილას და კვლავ იგვემამრი იხილა აილილის მაგიერ.

— ვინა ხარ შენ, ჩემს შესახვედრად რომ ისწრაფვი? — ეზრახა ეტაინი მამრს. — შენ როდი აღგიტქვი მე შეხვედრა. ცდუნებას, ანდა აღრეულ ვნებას როდი მოვყავარ აქ ირლანდიის დედოფალი, არამედ მოვსულვარ, რათა მამრი იგი განკურნო სენიდან.

— ჩემთან გერჩია მოსვლა, — უპასუხა მამრმა, — რამეთუ, იმხა-

ნად, ოდეს შენი სახელი იყო ეტაის ებრიდე, ასული აილილისა, მე
ქმარი ვიყავი შენი. დიდი საფასური გავიღე მაშინ შენს მოსაპოვებ-
ლად, დავთმე უკეთესი მამულები ირლანდიისა და აქას დავეუმატე
იმდენი ოქრო და ვერცხლი, რამდენსაც თავად იწონიდი.

— ვინა ხარ შენი? — ჰკითხავდა ეტაინი.

— მე ვარ მიდერი ბრი-ლეიტეიდან.

— რამ დაგვაშორა ჩვენ ურთიერთს?

— ფუამნახის⁴ ენამ და ბრესალ ეხარლამის შელოცვებმა, — იხ-
რაბა მამრმა და დასძინა: — თუ გწადს წამომყვე?

— არა, — მიუგო ეტაინმა, — როგორ მივატოვო ირლანდიის
ხელმწიფე იმ მამრის გამო, რომლის გვარ-ტომი მე არ ვუწყვი.

— ეს მე ვარ, — რქვა მიდერმა, — სიყვარულს რომ ვუნერგავდი
აილილს და მევე ვართმევედი მას ძალას, რათა არ შებღალულიყო
სინდისი შენი. მარქვი, წამოხვალ თუ არა ჩემთან, თავად ეოხაიდმა
რომ დაგართოს ამის ნება?


— ასეთ შემთხვევაში თანახმა ვარ, — მიუგო ეტაინმა.

ამის შემდეგ ეტაინი სახლად მიიქცა.

— რა კარგია, რომ ასე მოხდა! — წამოიძახა აილილმა. — ახლა
მე ერთიან მრთელი ვარ და შენი ღირსებაც ხელშეუხებელია!

— მართლაც რომ კარგია, — მიუგო ეტაინმა.

ოდეს ეოხაიდი შემოვლიდან ტემრაში მოიქცა, ფრიად განიხარა
მან, რამეთუ კვლავ ცოცხალი იხილა ძმა თვისი და ფრიად უმაღლი-
და ეტაინს ესოდენი ზრუნვისა გამო.



მუირხერტახის, ერაქის ძის სიკვდილი

მუირხერტახი,¹ ძე მუირედახ ეოჰანის ძისა, ხელმწიფე ირლანდიისა, ცხოვრობდა ბრუგ-ბოინის² ნაპირას, კლეტეხის სახლში. იგი ცხოვრობდა კონახტის ხელმწიფის დუახ ენასპილენძიანის ასულთან, დუაიბსეხთან ერთად. ერთხელ მუირხერტახი ნადირობად გამოვიდა ბრუგის სანახეზში. იგი როგორღაც ასცდა თავის ამხანაგებს და სრულიად მარტო აღმოჩნდა სანადირო ბორცვზე.

იქვე, საფლავის ბორცვზე, მუირხერტახმა იხილა მწვანე მოსასხამით მოსილი მარტოშენილი ასული. თვალადი და ტანადი იყო ასული იგი. მუირხერტახი უჭვრეტდა ასულს და მთელი მისი არსება სიყვარულით ივსებოდა. იგი ფიქრობდა, რომ მთელს ირლანდიას გაიღებდა ამ ასულთან ერთი ღამის ნეტარების საფასურად. მუირხერტახი მიესალმა ასულს იმგვარად, თითქოს აღრეც იცნობდო მას, ჰკითხა, ვინა ხარო, ან სადაური.

— ვიპასუხებ, — მიუგო ასულმა. — მე ვარ მიჯნური მუირხერტახ ერკის ძისა, ირლანდიის ხელმწიფისა, და აქ მოვსულვარ. რათა შევეყარო მას.

მაშინ განიხარა მუირხერტახმა.

— ასულო, განა უწყია სახელი ჩემი? — ჰკითხა მან ასულს.

— დილაც ვუწყი, — მიუგო ასულმა, — რამეთუ ვუწყი მე საქმენი უფრორე იდუმალნი.

— თან თუ გამომყვები, ასულო? — ჰკითხა მუირხერტახმა.

— რატომაც არა, — მიუგო ასულმა, — თუკი მიბოძებ იმ სანიჰარს, რომელსაც მოგთხოვ.

— ყველაფერს გიბოძებ, რის ბოძებაც კი ძალიძის, — ეზრახა ერკის ძე.

— მაშ, ვიდრე მიბოძებ, მომეც სიტყვა რომ მიბოძებ, — ეზრახა ასული. მუირხერტახმა მაშინვე მისცა ასულს სიტყვა.

— ყოველი ჯოგიდან მე გიბოძებ შენ ას თავ საქონელს, აგრეთვე ას ყანწს, ას ბარძიმს და ას ოქროს ბეჭედს. ყოველ მეორე საღამოს კი დიდებულ ნადიმს გაგიმართავ კლეტეხის სახლში.

— არა, — წარსთქვა ასულმა — მე ეგ არა მსურს. აი, რა მნებავს მე: შენ არასოდეს არ უნდა ახსენო სახელი ჩემი; დუაიბსეხი. მშობელი დედა შენი შვილებისა, უნდა განერიდოს ჩემს თვალებს. იმ სახლში, სადაც მე ვიცხოვრებ, ფეხი არ უნდა დაღჯან ეკლესიის მსახურთ.

— აღსრულდება ნება შენი, რამეთუ აღვითქვი აღსრულება, — იზრახა ხელმწიფემ. — თუმცაღა მერჩია, ირლანდია აღმეთქვა ნახევარი. ახლა კი ასულო, გვარქვი ჰეშმარიტი სახელი შენი, რათა ვუწყოდეთ იგი და განვერიდოთ მის ხსენებას.

მიუგო ასულმა:

— ხავილი, ახი, ქარაშოტი, ქარმკვეთრი, ზამთრის წყვდიადი, პირმოხეული გრგვინვა, გოდება, დრტვინვა, — აი სახელები ჩემი.

ამრიგად, ხელმწიფე დასთანხმდა ასულს, აღსრულებინა ყოველივე, რაც კი ასულმა მოისურვა, და ისინი მიიქცნენ კლეტეხის სახლად.

ჩინებულად იყო მოწყობილი ეს სახლი. იგი ნიადავ სავსე იყო დარბაზის ერთ და ერთგული მსახურებით. ნიალის კეთილშობილი შთამომავალნი ხალისითა და სიხარულით აგროვებდნენ სამთავროებზე დაკისრებულ ბეგარას კლეტეხის სახლში. სახლი იგი აღმართუ-

ლი იყო ორაგულებით მდიდარ ბოინის პირად და ბრუგის მწვანე სანახების გასწვრივ.

კოგდა სინმა იხილა სახლი ხალხით სავსე და იზრახა:

— კარგია სახლი ესე.

— ჰეშმარიტად კარგია, — წარსტევა ხელმწიფემ. — არც ტემრაში, არც ნაასში, არც წითელ ტოტში, არც ემაინ-მახაში, არც აილენ-ნეიტსა და კლეტენში არ აუგიათ მისი დასადარი.

— რა ვიღონოთ ამჟამად? — იკითხა ასულმა.

— რასაც ინებებ, — მიუგო მუირხერტახმა.

— თუ აგრეა, — იზრახა სინმა, — მაშინ, ღუაიბსეხ, მეუღლე შენი, განეშოროს სახლს შვილებითურთ. დაე ყოველმა მამრმა, რომელთაც გააჩნიათ რაიმე ხელობა ანდა ხელოვნება, თავი მოიყარონ სანადიმო დარბაზში.

ასეც აღსრულდა. სტუმრებმა თავი მოიყარეს სანადიმო დარბაზში და ყოველმა მათგანმა ხოტბა შეასხა თავის ხელობას ანდა ხელოვნებას, შეიხზა ოდები მის სადიდებლად. ნადიმის შემდეგ ეზრახა სინი მუირხერტახს:

— ახლაც კი დროა ჩამაბაროთ სახლი, ვითარცა აღმიტქვით.

და სინმა განაძევა კლეტენიდან ნიალის შთამომავალნი და ღუაიბსეხი შვილებითურთ. განდევნილ მამრთა და მდედრთა რიცხვი ორლეგიონს შეადგენდა.

ღუაიბსეხი კლეტენიდან ტუილენში გაეშურა. იგი მივიდა სულის მეგობართან, წმინდა მამასთან, ეპისკოპოს კაირნებთან და გაუმჟღავნა მას თავისი მწუხარება. მაშინ ეწვია კაირნები ეოჰანისა და კონალის ძეთ, თან გაიყოლა ისინი და კლეტენს გაეშურა. მაგრამ ამაო გამოდგა მათი ცდა, სინმა ისინი ციხე-სიმაგრესთან არ მიუშვა. მაშინ განრისხდა კაირნები და დასწყევლა მან ციხე-სიმაგრე სინისა და სინსაც სამარე განუმზადა.

— იგი, ვისთვისაც განამზადეს სამარე ესე, — იზრახა კაირნებმა, — ჰეშმარიტად განწირული კაცია. მის ხელმწიფებას და განმგებლობას აღსასრული დასდგომია ჰეშმარიტად.

.ბრძანა კაირნებმა, დაერისხებინათ დედა ზარი: ეს იყო რისხვა და ზარი ხელმწიფესა ზედა.

ამრიგად, კაირნებმა შერისხა სინის სიმაგრე და დალოცა სხვა დანარჩენი ადგილები. ურვამ და წუხილმა მოიცვა კაირნები.

— დაგვლოცე ჩვენც, ვიდრე მივიქცევით საკუთარ თემში, — ევედრნენ კაირნებს ნიალის ძენი, — ჩვენ ხომ უბრალონი ვართ შენს წინაშე.

მაშინ დალოცა კაირნებმა კონალისა და ეოჰანის შთამომავალნი: დაე, ხელთ გეპყრათ ხელმწიფება და ხელისუფლება ირლანდიისა, უკუნითი უკუნისამდე. აგრეთვე ხელმწიფება მეზობელ სამთავროთა ზედა. დაე, დაიმკვიდროთ აილენი, ტემრა და ულადი; ვერავინ გიმსახუროთ სასყიდლის ძალით, რამეთუ თქვენი მემკვიდრეობითი უფლებაა — ხელმწიფება ირლანდიისა ზედა; დაე არასოდეს და არავისათვის არ გაგეგზავნოთ მძევალნი; დაე, დაიღუპონ თქვენი მძევალნი, თუ გაიქცევიან თქვენგან; ნიადაგ გამარჯვებული ყოფილიყავით ბრძოლათა შინა, თუ ბრძოლა სიმართლისათვის გამართეთ; დაე, სალოცავი თქვენი და დროშა თქვენი იყოს: კატახი, პატრიკის ზარი და კაირნების წიგნი. დაე, ამ სალოცავთა ძალი შეგეწიოთ ყოველ ბრძოლაში და ორთაბრძოლაში. ამენ! — შემდგომ ამისა, ნიალის ძენი მიიქცნენ თავ-თავიანთ სახლებში და ციხე-სიმაგრეებში.

ახლა კი ვიუბნოთ კაირნებისათვის. ნიალის ძეთა დალოცვის შემდეგ იგი წარემართა მონასტრისაკენ და გზად შემოეყარა ჯარად მომავალი ხალხი: ესენი იყვნენ შთამომავალნი ტაგდა კიანის ძისა, რომელიც იყო ძე აილილ ოლომისა. ისინი ევედრნენ კაირნებს, წამოგვეყვი და დაგვეხმარეო მურიხერტახთან დაზავებაში.

ხელმწიფემ შეიტყო თუ არა მათი მოსვლა, გამობრძანდა სახლიდან და მიესალმა მოსულებს. მაგრამ ოდეს კაირნებიც მათთან იხილა, რისხვისაგან აენთო და იქექა:

— ჰოი, მსახურო ეკლესიისავ, რა პირით მოხვალ, რისთვის დასწყევლე სამწყსო ჩემი.

— მოვალ, რათა დაგაზავო ტაგდა კიანის ძისა და ეოჰან ნიალის ძის შთამომავლებთან, — ეზრახა კაირნები.

ამის შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეებმა ერთმანეთს დაუდეს ხელშეკრულება. კაირნებმა მოშულართა სისხლი ერთ ჭურჭელში აურიო და დასწერა ხელშეკრულების პირობები. მურიხერტახი გამოემშვიდობა ეპისკოპოსს და უბრძანა, თვალთ აღარ ჩვენებოდა მას.

ბოლოს კაირნებმა დალოცა ყველანი და ჯოჯობეთის ტანჯვა და დღე-
მოკლე სიცოცხლე აღუთქვა მათ, ვინაც დაარღვევდა ამ ხელშეკრუ-
ლებას, და გაემართა თავისი მონასტრისაკენ. ხელმწიფე კი მიიქცა
ციხე-სიმაგრეში თავის ქვეშევრდომებთან ერთად, რათა დაეცვა ცი-
ხე-სიმაგრე ნიალის ძეთაგან.

დაბრძანდა ტახტზე მუირხერტახი და მარჯვნივ მოისვა გრძნეუ-
ლი სინი. დედამიწას არ ახსოვდა მისი დასადარი დიაცი. ხელმწიფე
სიყვარულით უქვერეტდა სინს და შეკითხვებს აძლევდა ჟამიდანეჟა-
მად. ეწადა ხელმწიფეს, მოელო სიბრძნე დიაცისაგან. მას სწამდა,
რომ სინს ქალღმერთის ძალა ჰქონდა. იგი შეეკითხა სინს, საიდან
ჰქონდა მას ესოდენი ძალა:

— ო, გვიპასუხე, სანუკვარო ასულო ჩვენო,
თუ გწამს უფალი მონაზონთა, თუ გჯერა მათი?
გვარქვი, საიდან მოევლინე ამ ცოდვილ მიწას?
ო, გვამცნე შენი იღუმალი წარმომავლობა.

მიუგო სინმა:

— მე მწამს უფალი ჭეშმარიტი და ერთადერთი,
მან არაერთგზის დამიფარა სიკვდილისაგან,
უწყოდეს ყველამ: არ მომხდარა ჯერ სასწაული,
რომლის მოხდენა სინის ძალას აღემატება.¹⁴

მე ვარ ასული სასურველი მამრის და მდედრის
და მე ვარ ევას და ადამის შთამომავალი.
ო, მეუფეო, სინანული არ გაგეკაროს,
შემომიერთდი, შემენიეთე საყვარელ ასულს.

მე ძალმიძს შევქმნა ზეციერი მზეცა და მთვარეც,
ზეცის ტატნობზე მოციმიციმე დავსხა მთიები,
თუ მოვისურვე, ძალმიძს შევქმნა მძლავრი ლაშქარი,
შიშშეუვალი, უდრეკელი, აღძრული ბრძოლად.

მე ძალმიძს ღვინოდ გარდეაქციო ბოინის წყალი,
ეგ სიმართლეა, ჩემს ხელთაა ამის უფლება.
მე ლოდებისგან ძალმიძს შევექმნა ცხოვართა ფარა,
გვიმრებისაგან გათქვირულთა კერატთა კოლტი.

მე შემიდლია შევექმნა ვერცხლი, ოფაზი, ოქრო,
ამას იხილავს თავმოყრილი თქვენი ლაშქარი.
აგრეთვე ძალმიძს შევექმნა შენთვის მხედარნი მხნენი
და თანაც ახლავ, მე ვბრძანებ და თან აღვასრულებ.

— ჰქმენ მრავალთაგან ერთი სასწაული, — ეზრახა ხელმწიფე.
მაშინ გამოვიდა სინ სახლიდან და მყისვე შექმნა ორი ლეგიონი,
ერთნაირად მძლავრი და მშვენი; ვინაც კი იხილა ამ ლეგიონთა ელ-
ვისებური ჩეხვა და კვეთება, უმაღლეს დარწმუნდა, რომ ჯერ არავის
ეხილა ორი ლეგიონი უფრო უშიშარი და უფროვე მამაცი.

— ხომ ხედავ, — იზრახა ასულმა, — ჩანს, ძალა ჩემი არ არის
მოჩვენებითი.

— ვხედავ, — მიუგო მუირხერტახმა.

ოდეს ხელმწიფე კვლავ მიიქცა ციხე-სიმაგრეში, მაშინ მოართვეს
მას წყალი ბოინიდან და სთხოვა მან ასულს, წყალი იგი გარდაექცია
ღვინოდ. მაშინ ასულმა სამი კასრი წყლით აღავსო და წარსთქვა შე-
ლოცვა; წამს ღვინოდ იქცა წყალი. ხელმწიფემ და მისმა ხალხმა
ღვინოს ჭაშნიკი გაუსინჯეს და ერთხმად აღიარეს, რომ ჯერ არავის
უგემნია უფრო გემრიელი და მაგარი ღვინო. ასულმა შემდეგ გვიმ-
რისაგან ჯადოსნური, მოჩვენებითი კერატი შექმნა და ღვინოც და
კერატიც მხედრებს უბოძა, მხედრებმა გაიყვეს ნაბოძარი, იგემეს იგი
და მოეჩვენათ, რომ დანაყრდნენ. მაშინ ასულმა აღუთქვა მათ, ნა-
დავ მიიღებთო ასეთი საბოძარს.

ლამით, ჯადოსნური ნადიმის შემდეგ, ხელმწიფეს იცავდა ტაგდა
კიანის ძის მოდგმა. ხელმწიფემ ფრიალი უძალობა იგრძნო დილით,
უძალობა იგრძნეს ყოველთა, რომელთაც იგემეს ღვინო და გრძნეუ-
ლი ლეში.

კვლავ ეზრახა ხელმწიფე ასულს:

— ჰოი, ასულო, კვლავ განმიცხადე იღუმალი ხელოვნება შენი!

— აღსრულდება სურვილი შენი, — მიუგო ასულმა.

მუირხერტახი და მთელი მისი მხედრობა ველად გამოეფინენ სასწაულის ხილვად. მაშინ იხმარა სინმა გრძნება ძლიერი და ლოდთაგან შექმნა ცისფერი კაცნი და თხისთავიანი მხედრები. ამასთანავე, ოთხი აღჭურვილი ლეგიონი გამოეცხადა ბრუგის ველად თავმოყრილ მხედრობას. მაშინ ხელთ იპყრა მუირხერტახმა საჭურველი თვისი, ბრძოლად აღიკაზმა და ვითარცა აზავერი შეშლილი და გავეშებული, ეკვეთა ლეგიონებს. უმოწყალოდ ჩეხდა მუირხერტახი ლაშქარს, ასე იღვწოდა იგი ვიღრე მიმწუხრამდე. მაგრამ ყოველი აჩეხილი მხედარი, რალაც სასწაულოთ, წამსვე ცოცხლდებოდა და ბრძოლას ანახლებდა. თუმც დიდი იყო რისხვა და გახელება მუირხერტახისა, მაგრამ ბოლოს მაინც დასცხრა იგი.

მწუხარე მიიქცა მუირხერტახი ციხე-სიმაგრეში. სინმა კვლავ მიართვა მას გრძნეული ღვინო და კერატი. ხელმწიფემ და მისმა ხალხმა მაძღრისად ივანშემეს და ძილქუშით დაიძინეს. მეორე დილით მუირხერტახმა ველარ იგრძნო ვერც ძალა და ველარც სიმაგრე.

ხელმწიფეს უეცრად მხედართა ყიჟინა შემოესმა. ბრძოლად მოუხმობდნენ მხედრები მუირხერტახს. ორი ლეგიონი შეაგებეს ბრუგში: ერთი ცისფერი კაცებისა, მეორე — თხისთავიანი მხედრებისა. მაშინ გახელდა მუირხერტახი, მთელი სხეულით აღიმართა იგი და გაცოფებული დაენარცხა დედამიწაზე. შემდეგ მსწრაფლ წამოდგა და ისწრაფა ბრუგისაკენ, თავს დააცხრა ლეგიონებს და იწყო ლეწვა მათი.

სამი მონაზონი წარგზავნა კაირნეხმა მუირხერტახთან: მასანი, კასანი და კრიდანი. ასე მოიქცა კაირნეხი, რამეთუ უწყოდა მან ხელმწიფის თავზე დამტყდარი უბედურება და ეწადა წმინდანს, უფალი შესწევნოდა ხელმწიფეს. მონაზვნებმა მუირხერტახი ბრუგში იხილეს. იგი აპობდა ლოდებს, ჩეხდა ჭირკვეებს და სხეპდა თავთავებს. მაშინ გამოულოცეს მონაზონთა ხელმწიფესა და ლოდებს და წამსვე დასცხრა გახელება მუირხერტახისა. იგი გონს მოეგო, პირჯვარი გარდაისახა და იხილა: არარა ჰვიებდა ირგვლივ, თვინიერ ლოდთა, ჭირკვთა და თავთავთა.

— რაისთვის მოხვედით? — იკითხა მუირხერტახმა.

— შენი წარმავალი სხეულისათვის, — იყო პასუხად, — რამეთუ მოგეახლა ჟამი აღსასრულისა.

მაშინ მონაზონთა უჩვენეს მუირხერტახს ბრუგის ეკლესია და უბრძანეს, საკუთარი ხელით გაეთხარა მისთვის ბლისკინი, არსთა უზენაესი განმგებლის სადიდებლად.

— აღსრულდება ნება თქვენი, — იზრახა მუირხერტახმა და იწყო ბლისკინის თხრა;

აი, როგორ გაითხარა პირველად ბრუგის მდელობი.

შემდეგ ხელმწიფემ აღსარება გაანდო მონაზონთ და მხურვალედ შეუვრდა უფალს. მონაზვნებმა აპკურეს მას აიაზმა და ქრისტეს უხრწნელ ხორცს ეზიარა ხელმწიფე. მუირხერტახი ევედრა მონაზონთ, უთხარითო კაირნებს, ხელმწიფემ უკვე აღიარა და შეინანა-თქო.

მონაზვნები ბრუგის ეკლესიაში დარჩნენ, ხოლო ხელმწიფე კლეტხში მიიქცა. იგი დაბრძანდა სინის მარჯვნივ და ჰკითხა სინმა, თუ რად შესწყვიტა დღეს მან ბრძოლა.

— მონაზვნები მეწვივნენ ბრძოლის ჟამს, პირჯვარი გარდამსახეს და ვიხილე მაშინ: არარა ჰკიებდა ჩემს ირგვლივ, თვინიერ ლოდთა და ბალახთა; და ვინაითგან არეისთან მქონდა საბრძოლველი, უკმოვიქეც.

— ნუ გრწმენინ მონაზონთ: მიმართ, — იზრახა სინმა, — რამეთუ ცრუობენ ბერნი. მე უკეთესი შემწე ვარ შენი.

და სინმა მიადინა გონება მისი და ჩადგა მუირხერტახსა და მონაზონთა შეგონებას შორის. იმ საღამოს კვლავ შექმნა სინმა გრძნეული კერატი.

ეს იყო სინის მეშვიდე სერი, უკვე გასულიყო სამაინი და იყო დღე მარიხისა. ოდეს მხედრები დანაყრდნენ და შეთვრნენ, ქარმკვეთრი ამოვარდა უეცრად.

— ზამთრის ღამეული ქვითინია ქარი ესე, — იზრახა მუირხერტახმა.

მაშინ იზრახა სინმა:

— ეს მე ვგრიალე — მძაფრი ქარი, ეს მე ვწყვიდილობ — ზამთრის ღამე, ეს მე გახლავართ — უმშვენიერეს არსთა ასული. დაიმახსოვრეთ სახელი ჩემი, ასე მიხმობენ ყველგან და მარად: ქვითინი, ქარი და ზამთრის ღამე...

შემდგომ ამისა, სინმა უხმო ქარბუქს და მკვეთრ მოიჭრა ქარბუქი. ბრძოლის ყიყინა არ ყოფილა ისეთი მძლავრი, როგორც იყო ხვერიელი თოვლის ხმაური. ხმაური იგი მოისწრაფვოდა ბორაის-დასავლით. მაშინ შეიქცა სახლის სიღრმეში მუირხერტახ, მაგრამ კვლავ მოიქცა და ფრიად სწუხდა ქარიშხლის გამო.

როცა ნადიმი დასრულდა, ხელმწიფემ და მხედრებმა ძილი ინებეს. იმდენი ძალაც კი აღარ გააჩნდათ, რამდენიც თუნდაც მშობიარე დიაცს. მძიმე ზმანება ეზმანა მუირხერტახს. ძილში წამოიყვირა და განეფრთხო ძილი.

— რა შეგემთხვა, — ჰკითხავდა ასული.

— დემონთა ლაშქარი მესიზმრა მე, — მიუგო მუირხერტახმა.

ხელმწიფე აღარ დააძინა ხილულმა. იგი გამოვიდა სახლიდან და იხილა მცირე ცეცხლი, ბრუგის ეკლესიიდან გამომჰკვირვალნი. იგი შევიდა ეკლესიაში და ეზრახა მონაზონთ:

— ძილი და ძალი მიმელო მე, — და მან მოუთხრო მათ, რაც ესიზმრა. და ბოლოს დასძინა, — გამიძნელდებოდა მომხდურის ძლევა, თავს რომ დამსხმოდა ამ ღამით: უძლურებამ შეგვიპყრო ჩვენ დამეც ავია დღეს.

მაშინ იწყეს მონაზონთა შეგონება მისი და მუირხერტახ უმაღლესი მათ, სახლად მიიქცა და საუბარი გამართა სინთან:

მ უ ი რ ხ ე რ ტ ა ხ ი

რარიგ მძვინვარებს შეღამების ქარბუქი მძლავრი და ეხეთქება ეკლესიის დაგმანულ კარებს. ძილი წარსტაცა სავანეში წმინდანთა კრებულს, ააწრიალა, შეაღონა სენაკი მათი.

ს ი ნ ი

იხორციელო, რად ახსენე სახელი ჩემი, მუირხერტახის და ერკის ძევ, რაისთვის მიხმე? შენ მალე სიკვდილს გარდაიხდი — წყნარ დღესასწაულს. კლეტების სახლში მძლავრი ძალით განიფრთხე ძილი!

მ უ ი რ ხ ე რ ტ ა ხ ი

ო, უდარდელი დედაკაცო, პასუხი გამეც,
რამდენ მორკინალს დავამიწებ ბრძოლაში კიდევ?
მითხარ სიმართლე, მიპასუხე კრძალვის გარეშე,
აწ რამდენ მხედარს დავამხობ და მოვუღებ ბოლოს?

ს ი ნ ი

ო, ერკის ძეო, დიდებული წინაპრის ძეო,
დღეს ერთ მხედარსაც ვერ დაამხობს მარჯვენა შენი-
ო, მეუფეო, მოგდგომია სიკვდილი კარად,
ხარ დავრდომილი, მიგლებია ყოველი ღონე.

მ უ ი რ ხ ე რ ტ ა ხ ი

კეთილშობილო, უხილავთა მხილველო სინო,
ვაი, რომ უკვე მიილია ძალები ჩემი.
იყო დრო, ოდეს მარტოდმარტო ვუტევედი ლაშქარს,
ხოლო ამჯერად უძღურების დამიდგა ღამე.

ს ი ნ ი

ბრძენო ლოარნის, იმ მაღალი ასულის ძეო,
ბევრი მხედარი დაამიწა მარჯვენამ შენმა,
შენ მარტოდმარტო უხვდებოდი მომხდართა ლაშქარს,
ხოლო ამჯერად მწუხარების დავიდგა უამი.

— ჰეშმარიტი სიტყვა ბრძანე შენ, ასულო, — წარსთქვა ხელმწიფემ, — რამეთუ იმისნეს მისანთა: ჩემი წინაპრის, ლოარნის დარად მოგკვდები მე: ბრძოლაში როდი დაეცა ლოარნი, არამედ ცოცხლად დაიწვა იგი.

— მშვიდად იძინე, — ეზრაბა სინი, — მომანდე მე დაცვა შენი, და თუ წერა არაა, მაშინ სახლი შენი არ დაიწვება შენს თავზე ამაღამ.

— მე ვგრძნობ, — რქვა ხელმწიფემ, — ტუატალ მაილგარბი, ძე

ცალთვალა კორმაკისა, ძე კაირპრესი, ძე ნიალ ცხრამძეველიანისა, ბოროტად აღძრულა ჩემზე.

— დაე, მოვიდეს ბოროტად აღძრული ტუატალი თავისი მხედრობით, შიში ნუ გექნება მისი, მიუგო ასულმა, — დაიძინე.

ხელმწიფე წამოწვა სარეცელზე და ასულს სასმელი სთხოვა. ასულმა მოჩვენებითი ღვინო საძილე გრძნებით შეაზავა და ხელმწიფეს მიაწოდა. მან იგემა ღვინო და უძღურებამ შეიპყრო იგი. ძილქუშით დაიძინა ხელმწიფემ და ეძილითშორისა დამაშვრალს: ხომალდით დაცურავდა იგი ზღვაზე. ხომალდი დაზიანდა და თანდათან ჩაძირვა იწყო. ამ დროს უეცრად ზეცაში გრიფი გამოჩნდა, თავს დააცხრა ხელმწიფეს და ხომალდიდან ბრჭყალებით აიტაცა. შემდეგ ზეცაში გააქანა და ბუდეში ჩაითრია. უეცრად ცეცხლი მოეგზნო ბუდეს და მუირხერტახი გრიფთან ერთად შიგ გამოიწვა.

ხელმწიფემ ძილი განიფრთხო და ბრძანა:

— სიზმარი ესე მოუთხრეთ ღუბ და რინდუს, დრუიდ საიგნენის ძეს, ძუძუმტეს ჩემსას.

ძუძუმტემ ასე განმარტა სიზმარი:

— ხომალდი, რომლითაც ზღვაზე ცურავდი, ცხოვრების ზღვაზე მეუფების ხომალდია იგი, ხოლო შენ კი—მესაჭე მისი. ხომალდის დაღუპვა აღსასრულია შენი ხელმწიფეებისა და სიცოცხლისა. გრიფი, რომელმაც ბუდეში ჩაგითრია, არის ღიაცი, რომელიც გათრობს, გითრევს რა თავის სარეცელში და გაოკებს კლეტების სახლში, რათა სახლი იგი დაიწვას და დაგემხოს თავზე. გრიფი, რომელიც შენთან ერთად გამოიწვა ბუდეში, არის ღიაცი, რომელიც დაიღუპება შენს გამო. აჰა, განმარტება შენი სიზმრისა.

ამის შემდეგ ასულმა კვლავ შეკრა ხელმწიფე საძილე გრძნებით და დააძინა ძილქუშით.

მაშინ ადგა სინი სარეცელიდან, თავი მოუყარა ყველა შუბსა თუ ხელშუბს, ალაყაფის კარებში დაალაგა და წვერით სახლისაკენ მიმართა. შემდეგ გამოვიდა გარეთ და შექმნა უზარმაზარი ლაშქარი, სახლში და ეზოში ცეცხლი მიმოაფრქვია და ძილად დაწვა.

განიფრთხო ძილი მუირხერტახმა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ასულმა.

— დემონთა გუნდი მეძლითშორისა მე. სახლი თავს დამაწვეს და ალაყაფთან მოსრეს სპაჲ ჩემი.

— განაგდე დარდი, — მიუგო ასულმა, — სიზმარი იყო ოდენ ყოველი.

ასეთ საუბარში იყვნენ ისინი, ოდეს გაიგონეს სახლის რღვევის ხმა და დემონთა შემზარავი ყიჟინა.

— ვინა დგას სახლის ახლორე? — იკითხა ხელმწიფემ.

მიუგო სინმა:

— ტუატალ მაილგარბი, ძე ცალთვალა კორმაკისა, ძე კაირპრე ნიალის ძისა, თავისი მხედრობით. იგი მოვიდა აქ, რათა გრანარდეს ბრძოლისათვის სამაგიერო მოგაგოს შენ.

როდი უწყოდა ხელმწიფემ, რომ ასულის სიტყვები მტკნარი სიტკრუე იყო და რომ ძეხორციელიც კი არ იდგა სახლთან. იგი მსწრაფლ წამოდგა საწოლიდან და იარაღის საქებრად გასწია, მაგრამ იარაღს ველარ მიაგნო და ვერც ვერავინ ჰპოვა, ვინაც მიასწავლიდა იარაღის სამყოფელს. მაშინ გამოვიდა ასული სახლიდან და ხელმწიფეც უკან გაჰყვა ასულს. ციხე-სიმაგრის ეზოში იჩქითად ლაშქარი შეეფეთა მუირხერტახს. გაჭირვებით მოიგერია ხელმწიფემ ლაშქარი და სარეცელს დაუბრუნდა. მაშინ ხელმწიფის სპა გამოეგება ლაშქარს და ბრძოლა გაუმართა! მუირხერტახის ერთი სპათაგანიც ვერ გადაურჩა კვეთებას და ხანძარს.

ხელმწიფემ კვლავ დააპირა სახლიდან გასვლა, მაგრამ მუირხერტახსა და კარს შორის ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა და წიოდა ალი. ცეცხლი ეცა გამოსასვლელს და სრულიად მოიცვა სახლი იგი, ხელმწიფეც ცეცხლმა შემოზღულდა. მაშინ ჩაძვრა მუირხერტახი ღვინიან კასრში და ღრმად ჩაყვინთა. იგი წამს წამოწევდა თავს კასრიდან და წამს იმალებოდა კასრში. უცებ თავზე ჰკერი ჩამოეწვრა და ხუთი ფუტის სიგრძეზე დაიწვა მუირხერტახი, სხეულის დანარჩენ ნაწილს კი ღვინო იფარავდა ცეცხლისაგან.

მეორე დღეს, დილით, ხელმწიფეს ეახლნენ წმინდა მამები: მასანი, კასანი და კრიდანი. რა იხილეს ცხედარი ხელმწიფისა, მყის წარიღეს იგი ბოინში, რათა განებანათ მუნ.

მაშინ თავად კაირნეხმა მოაწია ბოინში თავისი სულიერი ძმებითურთ და ცხარედ დაიტირა უბედური ხელმწიფე. იზრახა კაირნეხმა:

— სიკვდილი ერკის ძისა აუნაზღაურებელი დანაკლისია ირლანდიისათვის. იგი გახლდათ ერთი იმ ოთხთაგანი, რომლებიც სიცრუისა და ძალადობის გარეშე განაგებდნენ ირლანდიას: ერთი მათგანი იყო მუირხერტახი, ძე ერკისა, მეორე—ნიალ ცხრამქველიანი, მესამე — კონდ ასნაცადი, ხოლო მეოთხე — უგაინე დიდი.

ამის შემდეგ ხელმწიფის ცხედარი ტუილენში წაასვენეს და იქ დაკრძალეს.

ღუაიბსეხი, მეუღლე მუირხერტახისა, გზად შეეყარა მონაზვნებს, როდესაც ისინი ხელმწიფის ცხედარს მოასვენებდნენ. მაშინ ღალად-ჰყო ღუაიბსეხმა ძალუმად და გამწარებული იხოკდა სახეს. იგი მიეყრდნო ბებერ ხეს ოინახ-რეილში, სისხლის ნაკადმა იხუვლა მისი მკერდიდან და იქვე განუტევა სული საბრალომ. მონაზვნებმა ღუაბსეხი მეუღლის გვერდით დაასვენეს.

შემდეგ დედოფალი დაკრძალეს და საფლავზე ბორცვი აღმართეს. ხელმწიფეც იქვე დაკრძალეს ბორცვის ბორჩაისით.

საქმე რა მოათავეს მონაზვნებმა, უეცრად გამოეცხადათ უცხო ასული. ხილვად საამო იყო ასული იგი. მწვანე მოსასხამი და ოქროს ფესვედიანი აბრეშუმის პერანგი ემოსა მას. იგი მიეახლა მონაზვნებს და მიესალმა მათ. მონაზვნებიც მიესალმნენ ასულს. მის გამოხედვაში მონაზვნებმა ამოიკითხეს იღუმალი სევდა და ამოიცნეს ხელმწიფის მკვლელი. მაშინ კაირნეხმა ჰკითხა ასულს ვინაობა. სხვა მონაზვნებმაც ჰკითხეს ასულს, ვინა ხარო, ვინ არიანო შენი მშობლები და რად მოჰკალიო ხელმწიფე.

— სინი გახლავთ სახელი ჩემი, — იზრახა ასულმა. — მამაჩემია ძე სიგე დიანისა, ძე ტრენისა — მამაა ჩემი. მუირხერტახმა ბოინის კერბესთან²⁴ მოჰკლა მშობლები ჩემი და დაი ჩემი. მანვე ამოუუჟა ტემრისა და ჩემი სამშობლოს ძირქველი ვეარები.

და შემდეგ მან დასძინა:

მე ბოლოს მომიღებს ტანჯვა საზარელი,
მძაფრი სინანული წამართმევს სიმშვიდეს,
ბოლო რომ მოვუღე უბადლო მორკინალს,
დიდებულ ხელმწიფეს ტანჯვა რომ ვაგემე.


ამის შემდეგ ასულმა აღსარება გაანდო კაირნებს და მხურვალედ შეუვრდა უფალს. იგი მორჩილად დაუდგა კაირნებს და მალე განუტევა სული. ბრძანა კაირნებმა, ასულისათვის სამარე გაეთხარათ და დაეფარათ იგი ბუსნოთი. აგრეც აღსრულდა.

კაირნები ფრიად ზრუნავდა მუირხერტახის სულისათვის, მაგრამ მაინც ვერ იხსნა იგი ჯოჯოხეთიდან. მაშინ კაირნებმა შეთხზა ლოცვა, რომელსაც მისი დასაწყისის გამო *Pace mihi, Domine** ეწოდება და ნიადაგ ადავლენდა ხოლმე ამ ლოცვას ხელმწიფის სულისათვის. ისეთი მხურვალე იყო ვედრება მისი, რომ ბოლოს ხელმწიფის სული იხსნა კაირნებმა ჯოჯოხეთიდან. ამის შემდეგ კაირნებს გამოეცხადა ანგელოსი და რქვა მას: თუ ძეხორციელი ნიადაგ ადავლენს ამ ლოცვას, უეჭველად დაიმკვიდრებს ზეცის სასუფეველს, რაოდენ ცოდვილი არ უნდა იყოსო იგი:

ვინაც კი ადავლენს ამ ლოცვას დიდებულს,
ვინც ნათელმხილველის წარმოსთქვამს ვედრებას,
იუდაც რომ იყოს, კაცთაგან დევნილი,
მოწყალე უფალი მასაც კი შეუნდობს.

აი, სულ ეს გახლავთ მუირხერტახის სიკვდილის ამბავი. აგრე გადმოგვცეს იგი კაირნებმა, ტიგერნახმა, კირანმა, მოხტამ და ტუატალ მაილგარბმა; იგი ჩაწერილ და შესწორებულ იქნა ამ წმინდა მონაზონთა ხელით, ყველასათვის საუკუნო მოსახსენებლად, გარდასულ დღეთაგან ვიდრე მოაქვამამდე.

* განმისვენე, უფალო (ლათ.).



კორმაკის თავგადასავალი ალთაჟულ ჰვეჟანაჟი

ხელმწიფე კორმაკს ჰქონდა ერთი ჩინებული ოქროს თასი. აი, რა-
რიგ ერგო მას თასი იგი.

ერთხელ, მაისის მშვენიერ საღამოს, კორმაკი მარტოდმარტო და-
ეხეტებოდა მურ ტეაში, ტემრაში.¹ უეცრად მან თვალი მოჰკრა ჭა-
ღაროსან მხედარს, რომელსაც დიდებული გარეგნობა ჰქონდა და
მისკენ მოემართებოდა. მეწამული და ფესვედი მოსასხამი მოსავედა
მას. ოქროსქსოვილი პერანგი შეენოდა ვაჟკაცს. ბრინჯაოსძირიანი
მაშიები ემოსა ფეხებზე. თეთრი იყო ბრინჯაო იგი. ჰაბუკს მხარზე
გაედო ვერცხლის რტო. სამი ოქროს ვაშლი ესხა რტოს. იგი შერხე-
ვისას ლალ ჰანგებს გამოსცემდა. მიძიმედ დაკოდილ მხედრებს, მუც-
ლადღებულ დიაცებს და ყოველს, ვინაც კი შეპყრობილი იყო რაიმე
სენით, უღრტვინველი ძილი ეუფლებოდათ ამ ჰანგების მოსმენის
ჟამს.

მხედარი მიესალმა კორმაკს, კორმაკამაც სალმით უპასუხა.

— საიდან მოხვალ, უცხო მხედარო? — ჰკითხავდა კორმაკი.

— მე მოვალ იმ ქვეყნიდან, სადაც მეუფობს ოდენ სიმართლე, — იყო პასუხად, — და სადაც არა არს არცა სიბერე და არცა სიძაბუნე, არცა კმუნვა და არცა ურვა, არცა შური და არცა იქვი, არცა ბოროტება და არცა დამდაბლება.

— ასე როდია ჩვენთან, — იზრახა კორმაკმა, — მარქვი, მხედარო, ძალგვიძს თუ არა დავამყაროთ შენტან კავშირი?

— რა თქმა უნდა, — მიუგო მხედარმა.

— შენ მიიღებ ამ სანიჰართ, — მიუგო კორმაკმა.

— მე მოგცემ ამ რტოს, — იზრახა მხედარმა, — მხოლოდ ერთი პირობით: სამაგიეროდ, შენ უნდა მიბოძო სამი სანიჰარი, რომელსაც მოგთხოვ ტემრასში.

— შენ მიიღებ ამ სანიჰართ, — მიუგო კორმაკმა.

მაშინ მხედარმა გადასცა კორმაკს ვერცხლის რტო და გაუჩინარდა. და არ უწყოდა კორმაკმა, საით წარემართა მხედარი იგი. ოდეს კორმაკი სახლად მიიქცა, მას გარს შემოეხვია დარბაზის ერი და გაოცებულნი შეჰყურებდნენ უცნაურ რტოს. მაშინ კორმაკმა შეარხია რტო იგი და ძილქუში დაეუფლა ყველას და ძილი იგი გრძელდებოდა შერხევის ჟამიდან, ვიდრე მეორე დღის იმავე ჟამამდე.

მიიწურა ერთი წელი და უცხო მხედარი კვლავ გამოეცხადა კორმაკს. მხედარმა მოითხოვა პირველი სანიჰარი რტოის სანაცვლოდ.

— შენ მიიღებ ამ სანიჰარს, — რქვა კორმაკმა.

— თუ ავრეა, მაშინ თან მიმყავს აილბე, ასული შენი, — იზრახა მხედარმა.

და მხედარმა წაიყვანა აილბე, ასული კორმაკისა. სამგზის აღმოხდათ კივილი ტემრის დიაცებს. მაშინ კორმაკმა შეარხია რტო იგი და უმაღ განეშორა სევდა დიაცებს და უდრტვინველი ძილი დაეუფლა მათ.

ერთი თვის შემდეგ, ზუსტად იმავე დღეს, მხედარი იგი კვლავ გამოეცხადა კორმაკს და ამჯერად თან წაიყვანა კაირპრე ლიფეხაირი, ძე კორმაკისა. მოთქმა და ურვა დაეუფლა ტემრას უფლისწულის გამო. იმ ღამეს არავის უგემნია ჰამადი და არცა ძილი. მაშინ კვლავ შეარხია კორმაკმა რტო იგი და მყის განეშორა სევდა ტემრას.

კვლავ გამოეცხადა მხედარი კორმაკს.

— რას მოითხოვ დღეს? — ჰკითხა კორმაკმა.

— ეტნე ტანკენარს, მეუღლეს შენსას, — მიუგო მხედარმა, — ლაგენის ხელმწიფის, დუნლანგის ასულს.

და მხედარმა თან წაიყვანა ეტნე ტანკენარი.

ეს კი ველარ დასთმო კორმაკმა. იგი თავისი ხალხითურთ უკან დაედევნა მხედარს. სქელი ნისლი გადაეღობათ მღევრებს უკაცრიელ ველზე. მიწაყრილით იყო გარემოცული ველი იგი. მარტოღმარტო აღმოჩნდა კორმაკი ველის შუაგულში. ბრინჯაოს გალავნით შემოზღუდული ციხე-სიმაგრე იხილა კორმაკმა, თეთრი ვერცხლისაგან ნაგები სახლი აღმართულიყო ციხე-სიმაგრის ეზოში. სახლი თეთრი ფრინველების ნაკრტენით ნახევრად იყო გადახურული. ბედაურებზე ამხედრებული სიდეები მოდიოდნენ სახლთან, თან მოჰქონდათ თეთრი ნაკრტენი და ხურავდნენ სახლს, — მაგრამ სახურავზე ქარი დაჰქროდა და ფანტავდა ნაკრტენს.

კორმაკმა სახლში შეამჩნია უცხო მამრი. იგი ბუხართან იჯდა და ცეცხლს აჩაღებდა. ბუხარში იწვოდა ტანმსხვილი მუხის კუნძი ფესვებიდან ვიდრე კენწერომდე. როდესაც ერთი მუხა დაიფერფლებოდა, მამრი გადიოდა გარეთ და შემოჰქონდა მეორე.

შემდეგ უზარმაზარი ციხე-სიმაგრე იხილა კორმაკმა. იგი შემოზღუდული იყო ბრინჯაოს გალავნით. ოთხი სახლი იდგა მის ეზოში. კორმაკი შევიდა ეზოში და მიაღვა ხელმწიფის დიდ სახლს. ბრინჯაოს ძელებით იყო ნაგები სახლი იგი და თეთრი ფრინველების ნაკრტენით გადახურული. ვერცხლის ღობეწნული ერტყა გარს.

კორმაკმა ეზოში შეამჩნია ანკარა წყარო. ხუთ ნაკადად მოედინებოდა იგი და რიგრიგობით ეზიდებოდა ხალხი წყალს. ბუანის² ცხრა კაკლის ხე ხარობდა წყაროს პირას და ამ მეწამული ხეებიდან კაკლები ცვიოდა წყაროში. ჩამოცვენილ კაკლებს ხუთი ორაგული ხრავდა, ლენჯო კი დინებას მიჰქონდა. ყველა ადამიანურ ჰანგებზე ტკბილი იყო ამ ნაკადათა ჩუხჩუხი.

კორმაკი შევიდა სახლში და მხედარი იხილა მუნ ასულთან ერთად. უჩვეულოდ ლამაზი იყო მხედარი იგი: პირმშვენიერი, აღნაგობა — კეთილშობილი, მიხრა-მოხრა — უზადო. მის გვერდით ოქროს თმითა და ოქროს თავსამკაულით დამშვენებული ტანკენარი ასული იდგა. ახლადფეხდაბანილი იყო ასული იგი, რამეთუ მიმდებარე

ოთახში აბანო ხურდა. ცხელი ქვეები თავისით ხტებოდნენ აუზში, ათბობდნენ წყალს და შემდეგ კვლავ უჩინარდებოდნენ. კორმაკიც განიბანა აბანოში.

სალამოხანს სახლში შემოვიდა უცხო მამრი. მარჯვენა ხელში ხის ნაჯახი ეპყრა, მარცხენაში — მორი, ზურგზე კი ქოსმენი მოედო.

— დროა ეუმასპინძლოთ სტუმარს, — იზრახა მხედარმა, — ჩინებული სტუმარი გვეწვია.

მაშინ უცხო მამრმა აღმართა ნაჯახი და მორი იგი სამად დააპო. შემდეგ ერთი დაკვრით დაჰკლა ტახი და ქვაბში ჩაუძახა.

— დროა გვერდი უცვალოთ ქოსმენს, — იზრახა მხედარმა.

— არ არის საჭირო, ეზრახა მზარეული, — რამეთუ საუკუნოდაც რომ იხარშოს ტახი იგი, ვერ მოიხარშოს მაინც, თუ ტახის ყოველ მეოთხედზე სიმართლე არ წარითქვა.

— რახან აგრეა, დაიწყე, — იზრახა მხედარმა.

— ერთხელ, — დაიწყო მზარეულმა, — ჩემს კარმიდამოში სხვი-სი ნახირი ვიხილე და იგი ჩემს ბოსელში შევრეკე. მომადგა ნახირის პატრონი და მევედრა: დამიბრუნე ნახირი, სამაგიეროდ სანიჰარს გიბოძებო. მაშინ დავუბრუნე მას ნახირი და სამაგიეროდ მიბოძა ერთი ტახი, ერთი მორი და ერთი ცული, რათა დამეპო მორი და დამეკლა ტახი. მორი იგი საკმარისი იყო ტახის სახარშად და ხელმწიფის მთელი სახლის გასათბობად. იმ დღიდან მოყოლებული აგრე ხდება: დაკლული ტახი მეორე დღით კვლავ ცოცხლდება, ხოლო დაპოვილი მორი კვლავ მრთელდება.

— ჭეშმარიტია სიტყვა შენი, — იზრახა მხედარმა.

მაშინ უცვალეს გვერდი ტახს და დარწმუნდნენ, ტახის ერთი მეოთხედი მართლაც რომ მოხარშულიყო.

— ახლა კი ვთქვათ მეორე მართალი ამბავი, — იზრახეს მათ.

— მე ვიტყვი, — თქვა მხედარმა. — ერთხელ, ხენის ჟამი რომ დადგა, სახნავად გავეშურეთ, გავხედეთ მინდორს და რას ვხედავთ: იგი უკვე გადაუხნავთ, დაუფარცხიათ და ხნულეებში ხორბალიც მოუბნევიათ. ნამგალიობა რომ დადგა, აღმოჩნდა, რომ პური უკვე ძნებად შეუკრავთ. ძნების თავმოყრა და გადმოტანა რომ დავაპირეთ, აღმოჩნდა, რომ ძნები უკვე ერთ უზარმაზარ ზვინად დაედგათ. იმ

დღიდან მოყოლებული იმ ხორბალით ვარსებობთ და ხორბლის მარაგი არც მატულობს და არც მცირდება.

კვლავ უცვალეს გვერდი ტახს და აღმოჩნდა, რომ მისი მეორე ნაწილიც მოხარშულიყო.

— ახლა კი ჩემი ჯერია, — იზრახა ასულმა და დაიწყო: — შვიდი სული ძროხა და შვიდი სული ცხვარი მამადია მე. აღთქმული ქვეყნის მთელ მოსახლეობას ჰყოფნის ამ ძროხების რძე. ამ ცხვრების მატყლი კი საკმარისია მის შესამოსავად.

ამასობაში ტახის მესამე მეოთხედიც მოიხარშა.

— ახლა კი შენმა ჯერმაც მოაწია, — ეზრახნენ ისინი კორმაკს.

მაშინ კორმაკმა მოუთხრო მათ, თუ როგორ წაჰგვარეს ღვიძლი ასული, საყვარელი ძე და ერთგული მეუღლე. როგორ მიჰყვა კვალდაკვალ წამგვრელს და როგორ მოხვდა ამ სახლში.

კორმაკმა ამბავი დაასრულა თუ არა, მაშინვე გადააბრუნეს ტახი და იხილეს, ერთიან მოხარშულიყო ქოსმენი.

მაშინ ტახი ოთხ ნაწილად დააპეს და კორმაკს მისი არჩივი წინ დაუდეს.

— მე არასოდეს მივახშვია სხვაგვარად, — იზრახა კორმაკმა, — თუ არ ერგასი მეინახის თანხლებით:

მაშინ მხედარმა წყნარი სიმღერა წამოიწყო და კორმაკს ძილქუში დაეუფლა მკვეთრ. ოდეს განიღვიძა, იხილა კორმაკმა მხედარი ერგასი, აგრეთვე ძე, ასული და მეუღლე თვისი და გამხნევედა ფრიად. უზღვავე ხორაგი და ღვინო მოართვეს კორმაკს, მის სახლეულთ და მხედრებს. მაშინ იგემეს მათ ხორაგი და ღვინო და არნახულმა სილაღემ შეიპყრო ისინი.

მხედარს ხელთ ეპყრა ოქროს თასი. კორმაკი გააოცა თასზე ამოტვიფრული სახეების სიმრავლემ და სინატიფემ.

— ამ თასში უფრო მეტი საოცრებაა, ვიდრე თქვენ ხელავთ, — იზრახა მხედარმა. — თასი იგი სამ ნაწილად დაიშლება მკვეთრ, სამ სიცრუეს თუ წარსთქვამ მის წინაშე. ხოლო თუ შემდეგ წარსთქვამ სამ სიმართლეს, მკვეთრ შენივთდებიან თასის ნაწილები და აღრინდელ სახეს მიიღებს თასი.


მაშინ მხედარმა წარსთქვა სამი სიცრუე და თასი იგი სამ ნაწილად დაიშალა მკვეთრ.

— ახლა კი საჭიროა სამი სიმართლე, — იზრახა მხედარმა, — რათა კვლავ შენივთდეს თასი იგი. მაშ ასე, მე ვიწყებ, ო, კორმაკ! — წამოიძახა მხედარმა, — მას შემდეგ, რაც ტემრიდან წამოვიყვანე, არც შენს მეუღლეს და არც შენს ასულს არ უხილავთ მამრის სახე, არც შენს ძეს უხილავს დიაცის სახე.

ამის წართქმა და თასის შენივთება ერთი იყო.

— თან წაიყვანე ოჯახი შენი და თან წარიტანე თასი ესე. — იზრახა მხედარმა, დაე, გემსახუროს იგი სიცრუისა და სიმართლის გასარკვევად. ეგ ჰანგების რტოც შენთან დარჩეს. მაგრამ უწყოდე, კორმაკ: როს აღესრულები, მაშინ ეგ თასიც და ეგ რტოც მე დამიბრუნდება კვლავ. გაბსოვდეს: მე ვარ მანანანი, ძეი ლერისა,³ ხელმწიფე აღთქმული ქვეყნისა. ეს მე შემოგიტყუე აქ, რათა გეხილა აღთქმული ქვეყანა.⁴ სახლის მხურავი მხედრები ირლანდიის ოსტატები არიან. ისინი აგროვებენ საქონელს და დოვლათს, რომელიც შემდეგ არარაობად იქცევა. კაცი, ბუხარში ცეცხლს რომ აჩაღებდა, თავადია ამა თემისა, რომელსაც უსასყიდლოდ არარა ეძლევა. ხუთნაკადიანი წყარო—წყაროა სიბრძნისა. ხუთი ნაკადი—ხუთი გრძნობაა, რომელშიც მოედინება ცოდნა. არავის ძალუძს ცოდნის დაუფლება, თუ არ დაეწაფა სიბრძნის წყაროს. ყოველი ხელობისა და საქმის კაცი ეწაფება ამ წყაროს.

ოდეს განიღვიძა კორმაკმა, იგი კვლავ ტემრის მდებლობზე აღმოჩნდა. მას თან ახლდა ძე, ასული და მეუღლე თვისი. ჰანგების რტო და ოქროს თასიც თან ჰქონდა. კორმაკის თასი უწოდეს ამ თასს და ემსახურებოდა იგი სიცრუისა და სიმართლის გარჩევას ირლანდიაში. მაგრამ, როგორც მანანანმა იწინასწარმეტყველა, კორმაკის სიკვდილის შემდეგ თასი იგი აღარ დარჩა ხალხს.



მაილ-ღუინის მოგზაურობა

I

მაილ-ღუინის წარმოშობა და მისი მოგზაურობის მიზანი

ეოგანახტ ნინუსელთა¹ მოდგმაში იყო ერთი სახელგანთქმული ვაჟკაცი. არანის კუნძულების მკვიდრი იყო ვაჟკაცი იგი და აილილ მძაფრმბრძოლად უხმობდნენ მას. იგი იყო ბელადი თავისი მოდგმისა და ტომისა. ერთხელ დედათა მონასტრის წინამძღვარი ქალწული მონაზონი შეეყარა აილილს და შეეძინათ მათ მშვენიერი ძე, სახელად — მაილ-ღუინი. მოგიტხრობთ, ვით მოხდა შთასახვა და შობა მაილ-ღუინისა.

ერთხელ ეოგანახტის ხელმწიფე მეზობელი ქვეყნის დასალაშქრად აღიძრა და თან წარიტახა აილილ მძაფრმბრძოლი. გზით დაქანცულმა მხედრებმა ეტლებიდან ცხენები გამოხსნეს და განსასვენებლად ერთ ქედზე განლაგდნენ. ქედის მახლობლად დედათა მონასტე-

რი იდგა. შუალამისას, როცა ბანაკმა მიიძინა, აილილმა მალულად შეაღწია მონასტრის ეკლესიაში. ამ დროს ეკლესიაში შემოვიდა მონაზონი, რათა დაერისხებინა ზარები და მორწმუნენი მწუხრის ლოცვაზე მოეხმო. აილილმა დიაცს ხელი ხელში სტაცა, მიწაზე დასცა და დაეუფლა.

ეზრახა აილილს დიაცი:

— ვაიმე ბედკრულს: მუცლადღებულნი ვარ და უნდა ვშვა ყრმა-მარქვი, რომელი მოდგმის კაცი ხარ და რას გიხმობენ შენ?

მიუგო აილილმა:

— აილილ მძაფრმბრძოლს მიხმობენ სახელად, მე ვარ ბორჩაის ბუმანიდან და ეოგანახტთა მოდგმას ვეკუთვნი.

ამის შემდეგ ეოგანახტის ხელმწიფემ დაარბია ქვეყანა იგი, წამოასხა მძევლები და აილილთან ერთად თავის სახელმწიფოში მიიქცა. შინ დაბრუნებული აილილი მეკობრეებმა მოჰკლეს: თავზე დააწვეს მას ღუბკლუაინის ეკლესია. მუცლადღებულმა დიაცმა კი ცხრა თვის შემდეგ შვა ძე და უწოდა მას მაილ-დუინი. ახალშობილი მალულად მიჰგვარეს დედოფალს, დიაცის დობილს: იგი ყრმას ზრდიდა ვითარცა საკუთარ შვილს. დედობილმა ურწია მას იგივე აკვანი, აწოვა იგივე ძუძუ, გაზარდა იმავე კალთაში, რომელიც ურწია, რომელიც აწოვა ხელმწიფის სამ ძეს, რომელშიც გაზარდა ისინი.

მშვენიერი ჭაბუკი დადგა მაილ-დუინი: ძნელად მოიძებნებოდა ვაჟკაცი უფრო თვალადი, უფრო ტანადი, უფრო კისკასი, უფრო მხნე და მოასპარეზე. იგი თანატოლებს სჯახნიდა ყოველგვარ შეჯიბრში—ბურთაობაში, სრბოლაში, ხლტომაში, ლოდთა სრევაში და ჩირითში. ყოველი ასპარეზობიდან გამარჯვებული გამოდიოდა იგი.

ერთხელ ერთმა მოშურნე მხედარმა რისხვის ჟამს მაილ-დუინს მიახალა:

— ჰეი შენ, ყოველ ასპარეზობაში გამარჯვებულს, სწორუპოვარო ზღვაზე და ხმელზე, შეუდარებლო ჭადრაკის დაფაზე! არავინ უწყის, რომელი გვარ-ტომის კაცი ხარ შენ და ვინ არიან მშობელნი შენნი!

დადუმდა მაილ-დუინი. შემდეგ მივიდა იგი მეფე-დედოფალთან და ეზრახა მათ:

— არ ვიგე მებ არცა ჭამადს და არცა სასმელს, ვიდრე არ გამიმხელთ, ვინ არიან მშობლები ჩემი.

— ეგ რა შეკითხვაა? — მიუგო დედოფალმა. — გულთან ნუ მიიტან თავხედი ბიჭების ნალაყბევს. მე დედა ვარ შენი და არც ერთ დედას არ უყვარს თავისი ძე იმგვარად, როგორც მე მიყვარხარ.

— შესაძლებელია აგრეც იყოს, — იზრახა მაილ-დუინმა, — მაგრამ მე მაინც მნებავს ვუწყოდე, ვინ არიან მშობლები ჩემი.

მაშინ დედობილმა მაილ-დუინი მიჰგვარა დედას და ჭაბუკმა უბრძანა მას, გაემხილა ვისი ძე იყო იგი.

— ბრიყვო, — ეზრახა დედა, — რას გარგებს მისი სახელის ცოდნა, იგი დიდხანია ამქვეყნად აღარ არის.

— მე მაინც მსურს, გავიგო სახელი მისი, — მიუგო მაილ-დუინმა.

მაშინ დედამ აუწყა მას სიმართლე:

— აილილ მძაფრმბრძოლს უხმობდნენ მამაშენს, ნინუსელ ეოგანახტა მოდგმას ეკუთვნოდა იგი.

მაშინ გაემგზავრა მაილ-დუინი თავის მამულში: თავისი წილი შემეკვიდრეობის მიღება ეწადა ჭაბუკს. მას თან ახლდნენ მისი ძუძუმტენი. საამო სანახავენი იყვნენ მხედარნი. თავაზით მიეგებნენ მაილ-დუინს თვისტომნი, გულითადად უმასპინძლეს მას და მის ძუძუმტეთ.

გამოხდა ხანი და მოხდა ასეთი ამბავი: ერთხელ მხედრებმა ლოდების სრევა გამართეს დუბკლუაინში, ეკლესიის სასაფლაოზე. მაილ-დუინიც სვრიდა ლოდებს და ცალი ფეხით ერთ დამწვარ ქვას ეყრდნობოდა. ერთი ენაგესლიანი მონაზონი, სახელად ბრიკნე, ეზრახა მაილ-დუინს:

— გერჩია, აგელო იმ კაცის სისხლი, რომელიც აქ დასწვეს, ვიდრე ლოდები დაგეკრიბა მისი დანახშირებული ძვლებისათვის.

— ვინ იყო იგი? — ჰკითხა მაილ-დუინმა.

— აილილ მძაფრმბრძოლი, შენი მშობელი მამა, — იყო პასუხი.

— ვინ მოჰკლა იგი? — კვლავ ჰკითხა მაილ-დუინმა.

— ლაივისელ მეკობრეთა მოჰკლეს იგი, — მიუგო ბრიკნემ, — სწორედ ამ ადგილას.

მაშინ მაილ-დუინმა ხელიდან განაგდო ლოდი იგი და წამოსასხამ-

ში გაეხვია: მწუხარების მოისხა წამოსასხამი. მცირე ხნის ღუმლის შემდეგ იკითხა მაილ-დუინმა, რომელი გზა მიმიყვანსო ლაიგისში. ლაიგისში მოხვედრა მხოლოდ ზღვის გავლით შეიძლებაო, ასწავლეს მას.

მაშინ კორკომრუადის მხარეში გაემართა მაილ-დუინი. ეწადა: ძლიერი გრძნება და გზის დალოცვა გამოეთხოვა კორკომრუადელი დრუიდისათვის. ნუკას უხმობდნენ სახელად იმ დრუიდს და იმადაც ერქვა. იმ ადგილს ბოირენ-ნუკა. დრუიდმა მაილ-დუინს აუწყა ბედნიერი დღე ხომალდის ასაგებად, აგრეთვე ხალხის რიცხვი, რომელიც ხომალდში უნდა ჩამჯდარიყო, კერძოდ, ჩვიდმეტი კაცი (სხვა ცნობის მიხედვით კი — თექვსმეტი); არც მეტი, არც ნაკლები. შემდეგ, დრუიდმა დაუდგინა მას ზღვაში გასვლის დღეც.

მაილ-დუინმა გააწყო ხომალდი სამი ტყავისაგან და მგზავრები ზღვაში გასასვლელად მოემზადნენ. მათ შორის იყვნენ გერმანი და დიურან მოშაირე.

ისინი ზღვაში გავიდნენ ზუსტად იმ დღეს, რომელიც დრუიდმა დაუდგინა მათ. მაგრამ აღმართეს თუ არა იალქნები და ნაპირს ოდნავ განშორდნენ თუ არა, ნაპირთან მოიკრიბა მაილ-დუინის სამმა ძუძუმტემ. მათ მორთეს ყვილი და ევედრნენ მაილ-დუინს, ნაპირთან მოქცეულიყო და ისინიც თან წარეტანა.

— დაბრუნდით უკან! — გასძახა მათ მაილ-დუინმა, — ვერას-გზით ვერ წარგიტანთ თან, ხომალდით უნდა იმგზავროს იმდენმა კაცმა, რამდენიც უკვე ვართ.

— უწყოდე, მაილ-დუინ: თან თუ არ წარგიტან, ზღვაში შემოვცურავთ, უკან დაგედევნებით და დავიღუპებით, — მიუგეს მათ.

ამ სიტყვების თქმა და მათი ზღვაში გადაშეება ერთი იყო. როცა ძუძუმტენი დიდი მანძილით დაშორდნენ ნაპირს, მაშინ მაილ-დუინმა გასცურა მათკენ და ისინი ხომალდზე ამოიყვანა.

II

მაილ-დუინი ერთ კუნძულზე მიადგება მამამისის მკვლელებს, მაგრამ ძარიშხალი მის ხომალდს ზღვაში გაიტაცებს.

პირველ დღეს მოგზაურებმა მიმწუხრამდე იცურეს, შემდეგ კი შუალამემდე. ბოლოს ისინი მიადგნენ ორ პატარა და უდაბურ კუნ-

ძულს. კუნძულზე აღმართულიყო ორი ციხე-სიმაგრე. ციხე-სიმაგრე-ებიდან გალესილ ბრბოთა ღრიანცელი აღწევდა ხომალდამდე; თავიანთ გმირობებს იქადდნენ მთვრალი მეკობრენი. ერთი ეუბნებოდა მეორეს:

— აბა, განზე გადექ! შენი საქმენი ვით დაედარონ საქმეთა ჩემთა, მე დავამხე აილილ მძაფრმბრძოლი და თავზე დაეაწვი ღუბ-კლუაინის² ეკლესია. და მას აქეთ, სამაგიერო ვერ მომაგეს მე მისთა მოყვასთა. მსგავსი არაფერი ჩაგიდენია შენ!

— გამარჯვება ჩვენს ხელთაა! — წამოიძახეს გერმანმა და დიუ-რან მოშიარემ. — უფალმა პირდაპირ აქ მოგვიყვანა. მივიდეთ და დავამხოთ ციხე-სიმაგრენი.

მოგზაურები ამ საუბარში რომ იყვნენ, მეყვსეულად ძლიერი ქარიშხალი ამოიჭრა და მათი ხომალდი მთელი ღამით ზღვაში განდევნა. ინათა თუ არა, მეზღვაურებმა ვეღარსად იხილეს, ვერც მიწა, ვერც ნაპირი და აღარც ის უწყოდნენ, საით მიემართათ გეზი. მაშინ იზრახა მაილ-დუინმა:

— გზებს ნუ ვეძიებთ: დაე, თავად უფალმა წარმართოს ხომალდი ჩვენი, საითაც ენებოს.

და მათ უმისამართოდ იცურეს უკიდევანო ოკეანეში: ძაილ-დუინი ეზრახა ძუძუმტეთ:

— ჭეშმარიტად თქვენი მიზეზით მოხდა ყოველივე, რაიც მოხდა, რამეთუ არ შეისმინეთ რჩევა ნათელმხილველი დრუიდისა და ჩახხედით ხომალდში. დრუიდმა გვიჩიოა ხომალდში მხოლოდ იმდენი მგზავრი უნდა იყოსო, რაც თქვენს მოსვლამდე იყო.

ძუძუმტენი დადუმდნენ და აყუჩეს.

III

პოლიათი ჰინანველავის კუნძული. — უზარმაზარ ფრინველთა კუნძული. — ჯადოსნური ცხენი. — ღამონთა ჯირითი.

სამი დღე და სამი ღამე დაჰყვეს მოგზაურებმა ზღვაში და ამ ხნის განმავლობაში ვერ იხილეს მათ ვერც მიწა და ვერც ნაპირი. მეოთხე დღეს, ღილით, მოგზაურებმა გაიგონეს საზარელი ხმაური. ბორჩაის თემანით მოისწრაფოდა ხმაური იგი.

— ნაპირსმიხლილი ტალღის ხმაურია ეს, — იზრახა გერმანმა.

ინათა თუ არა, მოგზაურებმა იხილეს ხმელეთი და დააპირეს კენკის ყრა, თუ ვინ უნდა გადასულიყო კუნძულზე, მაგრამ უეცრად ნაპირს მოაწყდა გოლიათი ჭიანჭველების ჯგრო. კვიციხოდენა იყო თვითეული მათგანი. ისინი მოისწრაფოდნენ ნაპირ-ნაპირ და წყალდაწყალ. მოგზაურთა ხომალდიანად შთანთქმა ეწადათ მათ. მაგრამ ისინი სასწრაფოდ განერიდნენ ნაპირს და კვლავ იცურეს სამი დღე და სამი ღამე. და ამ ხნის განმავლობაში ვერ იხილეს ვერც მიწა და ვერცა ნაპირი.

მეოთხე დღეს, დილით, მოგზაურებმა გაიგონეს ტალღის ხმაური, რომელიც ნაპირს ეხლებოდა. და ოდეს ინათა, იხილეს მათ დიდი და მაღალი კუნძული. კუნძულის კლდოვანი ფერდები დაყოფილი იყო საფეხურებად და ეშვებოდა წყლისაკენ. ყოველ საფეხურზე ხარობდნენ ხეები. ხეებზე იხსდნენ უზარმაზარი ფრინველნი. მოგზაურებმა შექმნეს ბჭობა იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გადასულიყო ნაპირზე და გამოეძია კუნძული, რათა გაეგო საშიშნი ხომ არ იყვნენ ფრინველნი.

— მე გადავალ კუნძულზე, — იზრახა მაილ-ღუინმა.

იგი გადავიდა კუნძულზე, გამოიძია იგი და ვერაფერი სახიფათო ვერ ჰპოვა იქ. მაშინ მოგზაურებმა დააპურეს ფრინველები და ბევრი მათგანი თან წამოიყვანეს.

კვლავ დაჰყვეს მოგზაურებმა ზღვაზე სამი დღე და სამი ღამე. მეოთხე დღეს, დილით, იხილეს უზარმაზარი ქვიშრობი კუნძული. ნაპირზე გადასვლა დააპირეს თუ არა, უცებ შენიშნეს ცხენის მაგვარი რაღაც ცხოველი. მას ძაღლის თათები ჰქონდა და მახვილი ფლოქვები. იგი მოგზაურთა დანახვამ ფრიალ გაახარა, ეწადა მათი შთანთქმა ხომალდიანად.

— იგი უარს არ იტყოდა ჩვენთან მოსვლაზე, — იზრახა მაილ-ღუინმა, — მსწრაფლ განვერიდოთ კუნძულს.

ასეც მოიქცნენ მოგზაურები. მხეცმა იხილა თუ არა მათი სწრაფვა, ეცა ნაპირს, ფლოქვებით მიწა მოთხარა, მიწიდან ქვეები ამოყარა და მოგზაურებს დაუშინა. ისინი უფრო სწრაფად განერიდნენ კუნძულს.

ამის შემდეგ მოგზაურებმა დიდხანს იცურეს ზღვაზე, ვიდრე არ

იხილეს ვრცელი და ბრტყელი კუნძული. კუნძულის გამოძიების მუხთალი ხვედრი წილად ხვდა გერმანს.

— თან გამოყვები, გერმან, — ეზრახა დიურან მოშაირე, — სამაგიეროდ, სხვა დროს, ჩემი გამოძიების ჯერი რომ დადგება, შენ წამომყვები მე.

ამის შემდეგ გერმანი და დიურან მოშაირე გადავიდნენ კუნძულზე. დიდი იყო სიღრმე და სიგანე კუნძულისა. ისინი გრძელ და ფართო მდელობზე წააწყდნენ ცხენის უზარმაზარ ნაფეხურებს. ხომალდის აფრის ოდენა იყო თვითეული ნაფეხური. მათ იხილეს, აგრეთვე, კაკლის ვეებერთელა ლენჯოები და ღრეობის შემდეგ დარჩენილი ადამიანის ლეში. ისინი შეაძრწუნა ხილულმა და უხმეს მეგობართ, რათა მათაც ეხილათ იგი. მეგობრებიც შეაძრწუნა ხილულმა და სასწრაფოდ მიაშურეს ხომალდს.

ნაპირს ოდნავ განშორდნენ თუ არა, მოგზაურებმა იხილეს უცნაურ არსებათა ბრბო; ისინი ზღვიდან კუნძულზე მიისწრაფოდნენ და ოდეს კუნძულზე გადავიდნენ და მდელობს მოადგნენ, უმაღ ჯირათი გაჩაღდა. გრიგალივით დაჰქროდნენ გახელებული ბედაურები, შემზარავად გაჰკიოდნენ მათი მხედრები. მაილ-დუინმა გაიგონა მათ-რახების წივილი და გაარჩია მათი შეძახილები:

- სისვი მომგვარეთ ბედაური!
- აგერა ქურანი!
- ჩემი ფეხმარდია!
- ჩემი რბის უკეთ!

მაშინ მაილ-დუინი და მისი მეგობრები მთელი სისწრაფით განერიდნენ კუნძულს. მათთვის ცხადი გახდა რომ კუნძულზე დევები ჯირითობდნენ.

IV

ორაგულის სახლი. ჩინებული ვაჟლები.— მზრუნავი მხეცი.— გადაუარტა ბილილი. — ცაცხლისმფრჰვეელი ცხოველები და ოპროს ვაჟლები.

ამის შემდეგ მთელი კვირა იცურეს მოგზაურებმა. შიმშილი და წყურვილი სტანჯავდათ მათ, ვიდრე არ იხილეს დიდი და მაღალი

კუნძული. კუნძულის პირად სახლი იდგა. სახლის ერთი კარი გადი-
ოდა ველად, კუნძულის შუაგულში, მეორე კი—ზღვაზე. ამ კარზე
მიდგმული იყო ლოდი. ლოდში ამოჭრილი იყო ხვრელი, რომლიდა-
ნაც ტალღები ორაგულს მისდენინდნენ სახლში.

მეგზურები შევიდნენ სახლში და იხილეს იქ ოთხი სარეცელი.
ერთი ეკუთვნოდა სახლის პატრონს, დანარჩენი სამი კი ოჯახის სამ
წევრს. ყოველ სარეცელთან იდგა კერძი და კარგი ლუდით სავსე მი-
ნის ტოლჩა, ხოლო ყოველ ტოლჩასთან—მინის თეფში. მეზღვაუ-
რებმა მიიღეს კერძი, იგემეს ლუდი და მადლი შესწირეს ყოვლისშემ-
ძლე უფალს, რომელმაც ისინი შიმშილით სიკვდილისაგან იხსნა.

ამის შემდეგ მოგზაურებმა დასტოვეს კუნძული და დიდხანს
იტურეს უკიდევანო ოკეანეში. ისინი იტანჯებოდნენ საშინელი შიმ-
შილით, ვიდრე არ მიადგნენ უზარმაზარი კლდეებით შემოზღუდულ
ერთ კუნძულს. ამ კუნძულზე იყო ტყე, ერთობ ვიწრო და ძალიან
გრძელი. როდესაც კუნძულს ჩაუარეს, მაილ-დუინმა განაპყრო ხელი
და ხიდან რტო მოსტეხა. ხომალდი სამი დღე და სამი ღამე უვლიდა
კლდეებს გარშემო. მესამე დღეს რტოს წვერზე ამოიზარდა სამი
ვაშლი. თითო ვაშლი სამი დღის სარჩოდ ეყოფოდათ მოგზაურებს.

ამის შემდეგ მეზღვაურებმა იხილეს ქვის გალავნით შემოზღუ-
დული მცირე კუნძული. ნაპირს მიუახლოვდნენ თუ არა, კუნძულზე
გამოჩნდა უზარმაზარი მხეცი. იგი გაშმაგებული დაძრწოდა კუნძუ-
ლის გარშემო. შემდეგ კუნძულის მწვერვალზე აიჭრა და იქ დადგა.
თავი დაბლა დააღირა, ფეხები კი მაღლა აღმართა, თანაც უცნაურად
იქცეოდა მხეცი: იგი ხან ტრიალებდა თავისივე ტყავში, ესე იგი,
ხორცი და ძვლები ტრიალებდა, ხოლო ტყავი კი უძრავი რჩებოდა,
ხან კი პირუკუ, ტყავი დოლაბივით ბრუნავდა, ხორცი და ძვლები კი
არ იძვროდა.

დიდხანს ირჯებოდა მხეცი ამრიგად. შემდეგ კი ოთხზე დადგა და
კვლავ კუნძულის ირგვლივ მოჰყვა სრბოლას. ბოლოს იგი დაუბრუნ-
და ადრინდელ ადგილს და კვლავ ადრინდელად ირჯებოდა. მავრამ
ამჯერად ტყავის ქვედა ნაწილი უძრავი რჩებოდა, ზედა ნაწილი კი
დოლაბივით ბრუნავდა.

მაილ-დუინი და მისი თანამგზავრები მსწრაფლ განერიდნენ კუნ-
ძულს. მხეცმა შეამჩნია თუ არა მათი რიღება, ნაპირისაკენ ისწრაფა,

მაგრამ მოგზაურები უკვე შორს იყვნენ. მაშინ მხეცმა გამძაფრებით დაუშინა ლოდები ხომალდს. ერთმა ლოდმა მაილ-დუინის ფარი შუა გააპო და ხომალდის კიჩოს დაენარცხა.

მალე მოგზაურები მიადგნენ სხვა კუნძულს, ვრცელსა და მშვენიერს. მათ იქ იხილეს ცხენისმაგვარი ცხოველები. ისინი ფლეთდნენ ერთმანეთს და მათი ფერდებიდან გადმოფრქვეული ალისფერი სისხლი ერთიან რწყავდა ვრცელ კუნძულს. მოგზაურები შეაძრწუნა და შეჰზარა ამ სანახაობამ. ისინი მსწრაფლ განერიდნენ კუნძულს და აღარ უწყოდნენ, საით ეძებნათ საიმედო მიწა და ნაპირი.

დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ შიმშილითა და წყურვილით განაწამებნი, დამაშვრალნი და უსასოქმნილნი, მიადგნენ ერთ უზარმაზარ კუნძულს. მრავალი ხე ხარობდა ამ კუნძულზე. ოქროს ვაშლებით იყო დატყნძლული ხეთა რტოები. ღორისმაგვარი ცხოველები დაეხეტებოდნენ მათ ქვეშ, უკანა ფეხებს სცემდნენ ხეებს და ხეებიდან ცვიოდა ნაყოფი. ცხოველები მაღიანად შეექცეოდნენ ვაშლს და მზის გადაწურვისას გამოქვაბულებს აფარებდნენ თავს. გათენებამდე აღარ გამოდიოდნენ გარეთ.

მრავალი ფრინველი დაცურავდა კუნძულის ირგვლივ. ისინი დიდიდან მოყოლებული, ვიდრე შუადღემდე, ცურვით შორდებოდნენ კუნძულს, შუადღიდან მიმწუხრამდე კი კვლავ მოისწრაფოდნენ კუნძულისაკენ და მზის გადაწურვისას აღწევდნენ ნაპირს. შემდეგ გადადიოდნენ კუნძულზე, აგროვებდნენ ვაშლს, ასუფთავებდნენ და მაღიანად შეექცეოდნენ.

— გადავიდეთ ნაპირზე, მივიდეთ იქ, სადაც ფრინველები ბუდობენ, — იზრახა მაილ-დუინმა, — არც ჩვენ გაგვიძინელებია იმის ქმნა, რასაც ფრინველები სჩადიან.

მაშინ ერთმა მეზღვაურმა გადაწყვიტა კუნძულზე გადასვლა, რათა გამოეძია იგი. მაგრამ ფეხი შეახო თუ არა ნაპირს, მყის შველად იხმო ერთი ამხანაგთაგანი. ნიადაგი ხვატისაგან ისე გამღვალიყო, რომ შეუძლებელი ჩანდა ზედ დიდხანს დარჩენა. ამ კუნძულს ერქვა ცეცხლოვანი მიწა, რამეთუ მას მიწყვივ ახურებდნენ გამოქვაბულებში დაბუდებული ცხოველები.

მოგზაურებმა მაინც მოასწრეს რამდენიმე ვაშლის მოწყვეტა. ხომალდზე აიტანეს და იგემეს.

გამთენიისას ფრინველებმა კუნძული დატოვეს და ტურვით განერიდნენ ნაპირს. მაშინ ცეცხლისმფრქვეველი ცხოველები გამოქვაბულიდან გამოძვრნენ და მზის გადაწურვამდე შეექცეოდნენ ვაშლს. როცა ცხოველები კვლავ მიიქცნენ თავიანთ თავშესაფრებში, ფრინველები კვლავ მოველინენ კუნძულს და იწყეს ვაშლების ჭამა. შეღამდა თუ არა, მოგზაურები გადავიდნენ კუნძულზე, ვაშლი შეაგროვეს, ხომალდზე აზიდეს და კვლავ ზღვაში შესცურეს. ამ ვაშლების წყალობით ისინი უიმშილსა და წყურვილს იოკებდნენ ერთხანს.

V

**ზრუნული კატის ცინე-სიმაგრა.—ფართავალის კუნძული.—გოლიათი
ლორეანის, ურკო ხარეანის და ცაცხლისმფრქვეველი მდინარის
კუნძული. — სახარელი წიგნი.**

როცა მოგზაურებს ვაშლი დაელიათ, ისინი კვლავ შეაწუხა აუტანელმა უიმშილმა და წყურვილმა. ზღვის სიმლაშით გაეღლინათ ნესტოები და ლაშები. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწენ ერთ მცირე კუნძულს. კუნძულზე აღმართულიყო უზარმაზარი ციხე-სიმაგრე. იგი შემოზღუდული იყო მაღალი და თეთრი გალავნით. ერთიან კირღულაბით ნაშენი გეგონებოდათ გალავანი იგი და ცას წვდებოდა მისი ქონგურები. ღია იყო კარები ციხე-სიმაგრისა და ხანდაკთან იდგა რამდენიმე სახლი, უზარმაზარი და თოვლივით თეთრი.

მოგზაურები შევიდნენ დიდ სახლში და მუნ იხილეს მხოლოდ პატარა კატა.⁴ ოთხ სვეტთა შორის დახტოდა ხატაურა და უკრავდა სვეტებზე. მან ცალი თვალით გახედა შემოსულთ, ისე რომ დაკვრა არ შეუწყვეტია.

მოგზაურებმა სახლში იხილეს მრავალი ნივთი. ნივთები სამ მწკრივად ეკიდა კედლებზე, ერთი კარიდან მეორე კარამდე. პირველი მწკრივი წარმოადგენდა ოქროსა და ვერცხლის ბალთებს. ბალთები წვეტებით იყო ჩარჭობილი კედლებში. მეორე მწკრივი შედგებოდა ოქროსა და ვერცხლის ფარღულთაგან. კასრის სალტისოდენა იყო თჯითეული ფარღული. მესამე მწკრივი შედგებოდა ოქროსა და ვერცხლისტარიანი გრძელი ხმლებისაგან.

ოთახები სავსე იყო თეთრი საბნებითა და ნაირფერი სამოსელით. იქ უხვად მოიძებებოდა ძროხის შემწვარი ხორცი და შაშხი. აგრეთვე საამო და მაგარი ლუდით სავსე დიდი ტოლჩები.

— ჩვენთვის ხომ არ განუმზადებიათ ყოველივე ეს? — იკითხა მაილ-დუინმა.

კატამ კვლავ გახედა მას და დაკვრა განაგრძო. მაშინ იაზრა მაილ-დუინმა, რომ ყოველივე ეს მათი საკუთრება იყო. იეზღვაურებმა მაძღრისად ჰამეს და სვეს. ლუდის ნარჩენები ტოლჩებში ჩაასხეს, საჭმლის ნამუსრევეები კი საგულდაგულოდ შეაგროვეს და დასაძინებლად დაწვენენ

წასასვლელად რომ მოემზადნენ, ერთ-ერთი ძუძუმტე ეზრახა მაილ-დუინს:

— თან ხომ არ წაგველო ფარლულთაგანი?

— არა, — წარსთქვა მაილ-დუინმა, — უდარაჯო როდია სახლი ესე.

აგრე კი წარსთქვა მაილ-დუინმა, მაგრამ ძუძუმტემ მაინც აიღო ფარლულთაგანი და კარებისაკენ გასწია. კატამ ყოველივე დაინახა, მაგრამ დააცალა მას ნახევარი გზის გავლა. შემდეგ ცეცხლოვანი ისარივით გაფრინდა, თავს დააცხრა და ფერფლად აქცია იგი. ბოლოს კმაყოფილმა სვეტის თავზე მოიკალათა.

მაილ-დუინმა ალერსით დაამშვიდა კატა და ფარლული ადრინდელ ადგილას დაჰკიდა. ძუძუმტის ფერფლი გულმოდგინედ შეაგროვა და სანაპიროს კლდეებზე მიმოაბნია. ამის შემდეგ მოგზაურები ხომალდში ჩასხდნენ, ზღვაში შესცურეს და გადარჩენისათვის მადლი შესწირეს უფალს.

მეოთხე დღეს, დილით, მოგზაურები მიადგნენ ერთ უცხო კუნძულს, რომელსაც შუაზე ჰყოფდა სპილენძის მესერი, კუნძულზე სძოვდნენ ცხერის უზარმაზარი ფარები; მესერის ერთ მხარეს—შავი, მეორე მხარეს კი—თეთრი. მათ იხილეს, აგრეთვე, გოლიათი მამრი, რომელიც ანაწილებდა ცხერებს. როცა იგი თეთრ ცხვარს მესერის მეორე მხარეს გადაისროდა, სადაც შავი ფარა ძოვდა, თეთრი ცხვარი წამსვე შავდებოდა, ხოლო როცა შავ ცხვარს გადაისროდა მესერის მეორე მხარეს, შავი ცხვარი წამსვე თეთრდებოდა. მოგზაურები შეაძრწუნა ხილულმა.

— აი რას ვიღონებთ ჩვენ, — იზრახა მაილ-დუინმა. — კუნძულზე გადავისვრიტ ხის ორ ტოტს, და თუ ტოტებმაც ისევე იცვალეს ფერი, ვითარცა ცხვრებმა, მაშინ ჩვენც იგივე მოგველის, კუნძულზე თუ გადავედით.

მოგზაურებმა ისროლეს შავქერქიანი ტოტი მესერის იმ მხარეს, სადაც თეთრი ფარა ძოვდა, და ტოტი იგი მყისვე გათეთრდა. შემდეგ მეორე ტოტს ქერქი მოაცილეს და ისროლეს მესერის იმ მხარეს. სადაც შავი ფარა ძოვდა, და ტოტი იგი წამსვე გაშავდა.

— ნუ გადახვალთ კუნძულზე, — იზრახა მაილ-დუინმა. — ექვი არ არის, არც ჩვენ დაგვადგება კარგი დღე.

და მეზღვაურები უზომოდ შიშნულნი განერიდნენ კუნძულს. მეოთხე დღეს მეზღვაურებმა კვლავ იხილეს უცხო კუნძული, დიდი და ვრცელი. კუნძულზე ირეოდა გოლიათი ღორების კოლტი. მოგზაურებმა მოჰკლეს ერთი გოჭი და მისი ხომალდზე ათრევა სცადეს. ბევრი ეცადნენ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. მაშინ გოჭი იგი იქვე შეწვეს და ნაჭერ-ნაჭერ აზიდეს ხომალდზე.

შემდეგ მეზღვაურებმა შენიშნეს მალალი მთა და გადაწყვიტეს მთაზე ასვლა. ეწადათ: მალლიდან გამოეძიათ კუნძული. როცა დიურან მოშაირე და გერმანი მთისაკენ დაიძვრნენ, მათ უეცრად გზა გადაუჭრა მდინარემ. იგი იყო ძლიერ ფართო, მაგრამ იმდენად თავთხელი, რომ შეიძლებოდა მისი ფონით გადასვლა. მაშინ გერმანმა მდინარეში ჩაუშვა შუბის ბუნი და ბუნი იგი წამსვე დაიფერფლა. მეზღვაურებმა ველარ შეჰბედეს მდინარეში.

მდინარის მიღმა მოგზაურებმა თვალი ჰკიდეს ურქო ხარების უზარმაზარ ჯოგს. იქვე შენიშნეს გოლიათური აღნაგობის მამრი. რომელიც ჯოგთან ჯდა. მაშინ გერმანმა შუბი მოიმარჯვა, დარაკას დაჰკრა და მკვეთრ დაფრთხა ჯოგი.

— რაში დაგჭირდათ ბრიყვი ხბორების დაფრთხობა, — იზრახა გოლიათმა მეჯოგემ.

— სად არიან ხარ-ფურნი ამა ხბორებისა? — იკითხა გერმანმა.

— ამ მთის გადაღმა, — მიუგო მეჯოგემ.

მაშინ დიურანი და გერმანი მიიქცნენ ხომალდზე და მოუთხრეს ამხანაგებს, რაიც იხილეს. მეზღვაურებმა გზა განაგრძეს.

მალე ისინი მიადგნენ ერთ კუნძულს. კუნძულზე ჩნდა უზარმაზა-

რი და უშნოდ აწოწილი წისქვილი. წისქვილთან იდგა მეწისქვიალე, გოლიათი და ხილვად საზარელი.

— ეს რა წისქვილია? — იკითხეს მოგზაურთა.

— ნუთუ არ უწყით? — იზრახა მეწისქვილემ.

— საიდან უნდა ვუწყოდეთ, — მიუგეს მათ.

— ამ წისქვილში იფქვის თქვენი ქვეყნის მთელი ხორბლის ნახევარი, — იზრახა მეწისქვილემ. — ყოველივე, რასაც სიმწარე მოაქვს, ამ წისქვილში იფქვის.

მეზღვაურებმა იხილეს, თუ როგორ ეზიდებოდა საბრალო ხალხი მომქანცველ ტვირთს ზოგი ცხენით, ზოგი კი ქვეითად. შემდეგ როგორ მიჰქონდათ უკან და მიემართებოდნენ დასავლეთისაკენ. მაშინ კვლავ იკითხეს მეზღვაურთა:

— რას უხმობენ ამ წისქვილს?

— ინბერ ტრე-კენანის წისქვილს უხმობენ მას, — მიუგო მეწისქვილემ.

რა იხილეს და რა მოისმინეს ყოველივე ეს, მოგზაურებმა პირჯვარი გარდაისახეს და ხომალდზე მიიქცნენ.

VI

ზავ მოტირალთა კუნძული. — საოცარი ფრინველის კუნძული. —

ჯადოსნური ხიდი და მჯითუნახავი დინასტიისი

ბევრი იცურეს თუ ცოტა იცურეს, მოგზაურები მიადგნენ ერთ ვრცელსა და ხალხმრავალ კუნძულს. შავკანიანი და შავტალავარიანი იყო ხალხი იგი. თავებზე მაქმანები ჩამოებურათ და განუწყვეტლივ ტიროდნენ. კუნძულზე გადასვლის მუხთალი ხვედრი წილად ხვდა მაილ-დუინის ორ დარჩენილ ძუძუმტეთაგან ერთ-ერთს. მიუახლოვდა თუ არა იგი მტირალა ხალხს, მაშინვე გაშავდა და მათთან ერთად იწყო ტირილი. მაშინ მოგზაურებმა გაგზავნეს ორი ამხანაგი მის მოსაყვანად. მაგრამ მათ ხალხში ველარ იცნეს იგი და თავადაც მომტირალთ შეუერთდნენ.

მაშინ იზრახა მაილ-დუინმა:

— დაე, ოთხმა მხედარმა აისხას იარაღი, გადავიდეს კუნძულზე და ჩვენი ხალხი ძალით შოიყვანოს უკან. იცოდეთ: არ დახედოთ მიწას და არ ახედოთ ზეცას; მოსასხამები მოიბურეთ სახეზე, რათა არ ისუნთქოთ ჰაერი იქაური. არ გაიხედოთ განზე, უყურეთ მხოლოდ თქვენს ამხანაგებს.

ასეც მოიქცნენ მხედრები: გადავიდნენ კუნძულზე და ორი თავიანთი ამხანაგი ძალით წამოიყვანეს უკან. როცა მათ ჰკითხეს ამხანაგებს, თუ რა იხილეს კუნძულზე, ამხანაგებმა მიუგეს:

— არარა ვუწყით და არარა გვახსოვს. ჩვენ უნდა გვეკეთებინა მხოლოდ ის, რასაც აკეთებდა იქაური ხალხი.

მაშინ მოგზაურები სწრაფლ განერიდნენ ნაპირს.

ამის შემდეგ ისინი მიადგნენ ერთ მაღალ კუნძულს, რომილსაც ოთხ ნაწილად ჰყოფდა ოთხი მესერი. ერთი მესერი იყო ოქროსი, მეორე—ვერცხლისა, მესამე—სპილენძისა, მეოთხე კი—მინისა. ერთ ნაწილში იმყოფებოდნენ ხელმწიფენი, მეორე ნაწილში—დედოფალნი, მესამეში—მხედარნი, ხოლო მეოთხეში—ქალწულნი.

ერთი ქალწული მიეგება მოგზაურებს, ნაპირზე გადმოსვლა უშველა და საჭმელი შესთავაზა. საჭმელი იგი გარეგნულად ყველს ჰგავდა, მაგრამ მისი გემებისას ყოველმა მათგანმა იგემა იმ კერძის გემო, რომელიც ენება. მოგზაურებმა ძმურად გაინაწილეს პატარა ტოლჩით მორთმეული სასმელიც და სასმელი იგი ყელამდე ეყოთ მათ, დარჩათ კიდევ. სასმელმა თანდათან იმძლავრა და მიაძინა მეზღვაურები. სამი დღე და სამი ღამე ეძინათ გაუნძრევლად. მთელი ამ ხნის განმავლობაში მათ იფარავდა ქალწული.

მეოთხე დღეს მოგზაურებმა გამოიღვიძეს და რას ხედავენ: ყველანი ხომალდზე არიან, ხოლო ხომალდი შუა ზღვაშია. აღარსად ჩანს არც კუნძული და არც ქალწული.

მოგზაურებმა განაგრძეს ცურვა.

ბევრი იცურეს თუ ცოტა იცურეს, ბოლოს მიაღწიეს ერთ კუნძულს. კუნძულზე იდგა ციხე-სიმაგრე და წმინდა ბრინჯაოს კარი ება მას. კარისაკენ მიემართებოდა მინის ხიდი. ხიდის ქვეშ მიედინებოდა ანკარა წყარო. მოგზაურებმა რამდენჯერმე სცადეს ხიდის გადავლა, მაგრამ ამაოდ. რაღაც უხილავი ძალა უკან ისროდა მათ. ამ დროს ციხე-სიმაგრიდან გამოვიდა დიაცი კათხით ხელში და ასწია მინის

ფილა ხიდის ქვეშ. კათხა წყაროს წყლით აავსო და ციხე-სიმაგრეში მიიქცა.

— აი, ჩინებული დიასახლისი მაილ-დუინისათვის! — იზრახა გერმანმა.

— რა თქმა უნდა! — თქვა დიაცმა და კარი მოიგდო.

მაშინ მოგზაურებმა ბრინჯაოს ხიდზე ბრახუნი ატეხეს, მაგრამ, შათდა ვასაოცრად, ხიდმა საამო ჰანგები გამოსცა. ჰანგებმა მიაძინა მეზღვაურები და ძილი მათი გაგრძელდა დილამდე. დილით ციხე-სიმაგრიდან კვლავ გამოვიდა დიაცი იგი და იმავე ფილის ქვეშ კათხა წყლით აავსო.

— კვლავ მოემართება მაილ-დუინისაკენ მისი დიასახლისი! — ეზრახა გერმანი.

— დიდებულია მაილ-დუინი ჩემთან მობრძანებული! — მიუგო დიაცმა და ციხე-სიმაგრის კარი გამოიკეტა.

კვლავ იმავე ჰანგებმა მიაძინა ისინი და დილამდე ეძინათ მათ. ასე მეორდებოდა სამ დღეს. მეოთხე დღეს მოგზაურებმა კვლავ იხილეს დიაცი იგი. თეთრი ლაბადა ემოსა მას; ოქროს სალტე ელავდა მის ოქროს თმაზე; ვერცხლის სანდლები შეენოდა ვარდისფერ ფეხებს; მოოქროვილი ვერცხლის აბზინდი ებნია მის ლაბადას; აბრეშუმის თხელი პერანგი ფარავდა მის სპეტაკ სხეულს.

— სალამი შენდა, ო, მაილ-დუინ! — იზრახა დიაცმა. შემდეგ იგი რიგრიგობით მიესალმა ყველა მოგზაურს და სახელი უწოდა თვითეულ მათგანს.

— დიდი ხანია ვუწყით ჩვენ თქვენი სტუმრობა და გულითადად გელით, — დასძინა მან.

შემდეგ დიაცმა მათი ხომალდი ხმელეთზე ამოათრია და სტუმრებს დიდ სახლში შეუძღვა. ზღვის პირას იდგა სახლი იგი. მოგზაურებმა იხილეს მაილ-დუინისათვის გამზადებული სარეცელი და თითო სარეცელი ყოველ სამ კაცზე.

შემდეგ დიაცმა კალათით საჭმელი მოიტანა, რომელიც გარეგნობით ყველს ან ხაჭოს წააგავდა. ყოველ სამ კაცს თითო ნაჭერი დაურიგა და ყოველმა მათგანმა მასში ივემა იმ საჭმლის გემო, რომელიც ენება. მაილ-დუინს დიაცი ცალკე ემსახურებოდა. მან ჯამები იმავე წყაროს წყლით აავსო და ყოველ სამ კაცს თითო ჭიქა მორათვა. რო-

ცა დიაცი დარწმუნდა, რომ სტუმრები საკმარისად დანაყრდნენ და მოიკლეს წყურვილი, შეწყვიტა მათი გამასპინძლება.

— აი, შესაფერისი მეუღლე მაილ-დუინისათვის, — ეზრახნენ მოგზაურნი ურთიერთს.

ამის შემდეგ დიაცი წარვიდა და თან გაიყოლა ჯამი და კახხა. მოგზაურებმა რქვეს მაილ-დუინს:

— ხომ არ მოვეთათბიროთ დიაცს? იქნებ იგი თანახმაა, გაიზიაროს შენი სარეცელი?

— არაფერი დაშავდება, თქვენ რომ ეთათბიროთ მას, — მიუგო მაილ-დუინმა.

როცა დიაცი მეორე დღეს კვლავ ეახლა მოგზაურებს, ისინი ეზრახნენ მას:

— ხომ არ ინებებ მაილ-დუინის სიყვარულს, ხომ არ გაიზიარებ მის სარეცელს? რა მოხდება, ეს ღამე მასთან რომ გაათითო?

მაშინ დიაცმა სტუმრებს მიუგო, რომ ცოდვის ჩადენა მისთვის უცხოა და მუდამ უცხო იყო იგი; ამ სიტყვებით გაშორდა დიაცი მათ. მეორე დღეს იგი კვლავ ეახლა სტუმრებს, გაუმასპინძლა და მოემსახურა მათ. როცა სტუმრები დანაყრდნენ და შეთვრნენ, კვლავ იგივე საუბარი გაუბეს დიაცს.

— ხვალ მიიღებთ პასუხს, — მიუგო მათ დიაცმა.

იგი განეშორა მეზღვაურებს და მათ კვლავ დაიძინეს მაგარი ძილით. დილით გამოიღვიპეს და რას ხედავენ: ისინი კვლავ თავიანთ ხომალდზე იმყოფებიან, ხოლო კუნძული, ციხე-სიმაგრე, დიაცი და ის ადგილი, სადაც წინა დღეს მოილხენდნენ, აღარსად ჩანს.

VII

მოლაპარაკე ფრინველები. — განდვილიც კუნძული. — ჩინებული
წაარო. — გოლინათი გველები. — შინის ზღვა. — ღრუბლების
ზღვა. — მარადი კუნძულები.

მოგზაურები ნაპირს ოდნავ გაშორდნენ თუ არა. უეცრად შემოესმათ უცნაური ხმაური და ხალმუნთა მაგვარი გალობანი. მთელი ღამე დაჰყვეს მოგზაურებმა ზღვაზე, შემდეგ შუადღემდე უსმენდნენ

ამ უცნაურ ხმას და გალობებს, მაგრამ ვერასგზით ვერ გაარკვიეს, რა იყო და საიდან მოდიოდა იგი. ბოლოს ისინი მიადგნენ მაღალ-მთიან კუნძულს. კუნძული დაფარული იყო შავი ლიბრით და ფერად-ფერადი ფრინველებით. ისინი მყოვარ ყიოდნენ და ხმამაღლა ეზრახოდნენ ურთიერთს.

მოგზაურები ოდნავ დაშორდნენ თუ არა ნაპირს, უმაღლ მიადგნენ სხვა კუნძულს. კუნძული იგი მცირე იყო და ხემრავალი. ხეებზე იჭდა და ხარობდა ფრთოსანთა დიდი გუნდი.

გარდა ამისა, მეზღვაურებმა კუნძულზე იხილეს უცნაური მამრი, რომელსაც სამოსის ნაცვლად მისივე თმა ემოსა ტანთ. მოგზაურებმა ჰკითხეს მამრს, რომელ მოდგმას ეკუთვნოდა და ვინ იყო იგი.

— ერთი ირლანდიელთაგანი გახლავართ მე, — მიუგო მამრმა მოგზაურებს. — ერთ მშვენიერ დღეს მცირე ხომალდი ავაგე და წმინდა ადგილების მოსალოცად გავემგზავრე. ოდნავ დაეშორდი თუ არა ნაპირს, ხომალდი დამემსხვრა და კვლავ ხმელეთს მივაშურე. ხმელეთზე ვიხილე კორდის ნამსხვრევი, ზედ შევდექ და ზღვაში შევცურე. უფალმა ჩემთვის დაამკვიდრა აქ კორდის ეს ნაჭერი და ყოველ წელიწადს ზრდის მას ერთი მტკაველით. კორდზე ყოველ წელიწადს იზრდება თითო ხე. ფრთოსანთა დიადი გუნდი, ხეებზე რომ იხილეთ, შვილთა და ნათესავთა ჩემთა სულელები არიან, ვითარცა მამრთა, აგრეთვე მდებრთა, და ისინი აქ მოელოდებიან განკითხვის დღეს. უფალმა მიბოძა მე ნახევარი პური, თევზის ნაჭერი და წყაროს წყალი: ყოველივე ამას ყოველდღე ვიღებ მე ანგელოსთა ხელით. შუადღის ჟამს კი სხვა ნახევარი პური და თევზის სხვა ნაჭერი ჩნდება ამ მამრთა და მდებრთათვის, აგრეთვე კმასამყოფელი წყაროს წყალი.

სამი დღისა და სამი ღამის შემდეგ მოგზაურები გამოეთხოვნენ განდგვილს. იგი ეზრახა მათ:

— ყველა მოგზაური მიადწევს სამშობლოს, თვინიერ ერთისა.

სამი დღის შემდეგ მოგზაურები მიადგნენ ერთ კუნძულს. იგი შემოზღუდული იყო გალაენით, რომლის საძირკველი თეთრი იყო, ვითარცა ბუმბული. მათ კუნძულზე შენიშნეს უცხო მამრი, რომელსაც მისივე თმა ემოსა ტალავრად. მოგზაურებმა ჰკითხეს მამრს, რითი ასაზრდოებდა იგი საკუთარ სხეულს. მამრმა მიუგო:

— ამ კუნძულზე მოედინება ერთი წყარო. ყოველ ერმისა და ყოველ დიოსს წყალს ან დოს ადენს იგი. კვირაობითა და წმინდანთა დღეებში იგი ადენს გემრიელ რძეს, ხოლო მარიაშობას, ნათლილებას და მოციქულთა დღეებში, აგრეთვე, სხვა დიდ ღვთისაწაულზე— ლუდსა და ღვინოს.

ნაშუადღევს უფალმა უბოძა მოგზაურებს ნახევარ-ნახევარი პური და თითო ნაჭერი თევზი; და მათ დაიოკეს წყურვილი იმ უცნაური წყაროს წყლით. მაშინ მოგზაურებს ძილქუში დაეუფლათ და დილაშდემდე იძინეს მათ. სამი დღის შემდეგ განდევილმა უბრძანა მოგზაურებს, გზა განეგრძოთ. ისინი გამოეთხოვნენ განდევილს და ზღვაში გავიდნენ.

საკმაო ხანი დაჰყვეს მოგზაურებმა ზღვაზე. ბოლოს, როგორც იქნა, უცხო კუნძული დალანდეს შორით. მიუახლოვდნენ თუ არა კუნძულს, ისეთი მძაფრი ხმაური გაიგონეს, როგორსაც სამი ან ოთხი მჭედელი გამოსცემს ხოლმე რკინის ჭედვისას. ისინი უფრო მიუახლოვდნენ კუნძულს და ცხადლივ გაიგონეს, თუ როგორ ეკითხებოდა ერთი მამრი მეორეს:

— ახლოს არიან ისინი?

— ახლოს არიან, — მიუგებდა მეორე.

— ვინ ისინი? — კვლავ იკითხა პირველმა.

— მცირე ნავით მცურავ ბალღებს ჰგვანან, — იყო პასუხად.

როცა მაილ-დუინმა გაიგონა მჭედლების საუბარი, იზრახა:

— ვისწრაფოთ უკან, თანაც ისე, რომ არ შეგვაბრუნოთ ხომალდი, ვიცუროთ კიჩოთი წინ, რათა არ შეგვაძინიონ მათ.

ასეც მოიქცნენ მოგზაურები. მაშინ კვლავ იკითხა პირველმა მჭედელმა:

— რაო, ახლოს არიან ნაპირთან?

— ისინი ერთ ადგილზე დგანან: არ იძვრიან არც წინ, არც უკან.

მცირე ხნის შემდეგ პირველმა კვლავ იკითხა:

— ახლა რას იქმენ?

— მე მგონია, — მიუგო მზირმა, — ისინი გვეცილდებიან ჩვენ. ამჯერად თითქოს უფრო შორს არიან. ვიდრე ადრე.

მაშინ გამოვიდა მჭედელი სამჭედლოდან, გამდნარი რკინის ვეებერთელა ბელტი აიტაცა მაშით და გასტყორცნა ხომალდისაკენ,

მაგრამ ბელტი ასცდა ხომალდს, ზღვაში მოადინა ზღართან და ერთიან ადულდა ზღვა. მაშინ მოგზაურები კუნძულს განერიდნენ და შიშნეულნი ისწრაფოდნენ უკიდვანო ოკეანეში.

დიდი ხნის ცურვის შემდეგ მოგზაურები ერთი ზღვიდან მეორე ზღვაში გავიდნენ. მწვანე მინას წააგავდა ზღვა იგი და იმდენად გამჭვირვალე იყო, რომ მის ფსკერზე ცხადლივ იხილვოდა ხვინჭა და შლამი. ბრაგათა შორის არ ჩანდნენ არც ურჩხულნი და არც რამე წყლიერნი. ოდენ შიშველი ლოდები და მწვანე შლამი იხილვოდა ფსკერზე. მეზღვაურებმა დიდხანს იცურეს ზღვაში. ფრიადი იყო მშვენიება და ლაზათი ზღვისა.

შემდეგ მოგზაურები გავიდნენ სხვა ზღვაში. ჰაეროვან ღრუბელს წააგავდა ზღვა იგი. მოგზაურებმა იფიქრეს, ზღვა ვერ გაუძლებსო ჩვენი ხომალდის სიმძიმეს. ზღვის ფსკერზე მათ იხილეს გადახურული სახლები და თვალთუნახავი ქვეყანა, აგრეთვე, ზღაპრული, უზარმაზარი და ხილვად საზარელი მხეცი. იგი იჯდა ხეზე, ხოლო ხის ირგვლივ მეჯოგენი ისხდნენ ჯოგებითურთ. ხეს დარაჯობდა ფარშუბით აღჭურვილი მამრი.

ოდეს მამრმა ხეზე უზარმაზარი მხეცი შენიშნა, მსწრაფლ გაეცალა მას. მაშინ საზარელმა მხეცმა წარზიდა კისერი და კეფიდან ვიდრე ზურგამდე ხახაში იგდო ახლორე ხარი, ხეზე აათრია და მსწრაფლ შთანთქა. მაშინ დაფრთხა ჯოგი და დაფრთხნენ მეჯოგენი.

მოგზაურებმა ოდეს იხილეს ეს არნახული სანახაობა, უფრო დიდი შიში და ძრწოლა დაეუფლათ მათ, რამეთუ ღრუბელივით ფაშარი ეჩვენათ წყალი ზღვისა და ჰგონებდნენ, რომ იგი ვერ გაუძლებდა მათი ხომალდის სიმძიმეს და ფსკერზე მოადენდა ზღართანს, მაგრამ მრავალი ხიფათის შემდეგ მოგზაურებმა მაინც დააღწიეს თავი ამ საზარელ ზღვას.

ამის შემდეგ მიადგნენ ერთ კუნძულს; ზღვა ყალყზე დგებოდა და უზარმაზარ ზღუდეს ჰქმნიდა ხომალდის ირგვლივ. კუნძულის მცხოვრებლებმა შეამჩნიეს თუ არა ხომალდი, ძახილი მორთეს: „აგერ, ისინი! აგერ ისინი!“ — ასე გაჰყვიროდნენ ხმის მიღებამდე.

მაილ-ღუინმა და მისმა თანამგზავრებმა კუნძულზე შენიშნეს უამრავი ხალხი, აგრეთვე ძროხების, ცხენების და ცხვრების უზარმაზარი ფარა-ჯოგები. ერთმა დიაცმა ვეებერთელა კაკლები დაუშინა

ზომალდს. მოგზაურებმა შეაგროვეს ეს კაკლები და თან წაიღეს. უკუიქცნენ თუ არა კუნძულიდან, ყვირილიც შეწყდა.

— სად არიან ისინი? — იკითხა მამრმა, რომელიც ყვირილზე მოიჭრა.

— უკუიქცნენ, — მიუგო მას რამდენიმე მამრმა.

— ესენი სხვები არიან, — იზრახეს სხვებმა.

სჩანს, ეს ხალხი შიშით ელოდა სულ სხვა ხალხს, რომელიც განადგურებდა კუნძულს და მცხოვრებლებს კუნძულიდან განაძევებდა.

VIII

ნაკადი ცისარტყელა. — გაფიანი ვერცხლის სვეტი. — შხინანი კუნძული. — უმუხვინიერეს ახლთა კუნძული.

ამის შემდეგ მოგზაურები მიადგნენ სხვა კუნძულს, სადაც მათ იხილეს ვასაოცარი სანახაობა. კუნძულის ერთი ბოლოდან ამოდიოდა უზარმაზარი ნაკადი, რომელიც ცისარტყელასავით ირკალებოდა ჰაერში და კუნძულის მეორე ბოლოში ეშვებოდა. მოგზაურებმა გასცურეს ამ ნაკადის ქვეშ და ოდნავადაც არ დასველებულან ისინი. შემდეგ მათ დიბანდაკები აძგერეს ნაკადს და ნაკადიდან ვეებერთელა ორაგულები დაცვივდნენ დედამიწაზე. თევზის სუნით გაიყვინთა მთელი კუნძული.

კვირა საღამოდან მოკიდებული, ვიდრე მთოვარისის შუადღემდე, ნაკადი იგი უძრავად იწვა ზღვაში, კუნძულის ახლორე, როდი დიოდა იგი.

მოგზაურებმა თავი მოუყარეს ყველაზე დიდ ორაგულებს, ხომალდზე აზიდეს და კვლავ ოკეანეში გავიდნენ.

ბევრი იცურეს თუ ცოტა იცურეს, ბოლოს მიადგნენ ერთ უზარმაზარ ვერცხლის სვეტს. ოთხწახნაგა იყო სვეტი იგი და მისი ყოველი ფერდი ნიჩბის ორ მოსმას უდრიდა; სვეტის შემოსავლელად საჭირო იყო ნიჩბის რვა მოსმა. მიწის ნამცეციც კი არ ჩანდა მის ახლომახლო, ოდენ უსასრულო უკეანე რკალავდა სვეტს. ისე მაღალი

იყო სვეტი იგი, რომ არ ჩანდა არც ფუძე და არც ბოლო მისი. სვეტის ბოლოდან ეშვებოდა ვრცლად გაშლილი ვერცხლის დიდბადე ხომალდმა დაკეცილი აფრებით გასცურა დიდბადის ერთ თვალში. დიურანმა მახვილი დაჰკრა ბადეს.

— ნუ დაარღვევ მას, — იზრახა მაილ-დუინმა. — ძლოვან კაცთა ნახელავია იგი.

— მე ამას ვიქმ, — რქვა დიურანმა, — ღვთის სასოებად, რათა ირწმუნონ კაცთა თავგადასავალი ჩემი, თუკი როგორმე მივაღწიე ირლანდიას, ბადის ამ ნაჭერს არმაგის საჟურთხეველზე დავსდებ მე.

ასე სთქვა დიურანმა და აღასრულა კიდევ. ორნახევარ უნციას იწონიდა ნაჭერი იგი.

უეცრად სვეტის ბოლოში გაისმა უცნაური ძახილი. მძლავრი და მკლერი იყო ძახილი იგი. მაგრამ ვერაფრით ვერ გაარკვიეს, ვინ იზრახოდა და რა ენაზე.

შემდეგ მოგზაურები მიადგნენ ერთ კუნძულს. ერთადერთ ფეხზე იყო აზიდული მთელი კუნძული. მოგზაურებმა შემოუარეს ფეხს, მაგრამ ვერასგზით ვერ მიადგნენ კუნძულზე ასასვლელს. ბოლოს მუხლქვემოთ შენიშნეს დახშული კარი და იაზრეს, რომ ამ კარით შეიძლებოდა კუნძულზე ასვლა. მოგზაურებმა კუნძულის ერთ მწვერვალზე შეამჩნიეს მხვნელი, მაგრამ არ გამოელაპარაკნენ მას, არც მხენელი გამოელაპარაკა მათ. ამის შემდეგ მოგზაურებმა გზა განაგრძეს.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს მიადწიეს ერთ უზარმაზარ კუნძულს; ვრცელი ველი გადაშლილიყო კუნძულზე, მაღალი მოედანი დაფარული იყო არა მანანებით, არამედ მოლით. კუნძულზე აღმართულიყო მაღალი და მაგარი ციხე-სიმაგრე, კოხტა სარეცლებით იყო მორთული იგი. ჩვიდმეტი ასული ახურებდა აბანოს ამ ციხე-სიმაგრეში.

მოგზაურები გადავიდნენ კუნძულზე და დასხდნენ მოედანზე, ციხე-სიმაგრის წინ. მაშინ იზრახა მაილ-დუინმა:

— ექვი არ არის, ჩვენთვის ხურდება აბანო იგი.

შუადღე რომ მიიწურა, უცხო მხედარმა ციხე-სიმაგრესთან მოაგდო მუხლადი ბედაური, ლამაზი ასალი შვენოდა შავრას. მხედარს თავს ერქვა ცისფერი თავსაბურავი, მხრებს უმშვენებდა მეწამული

წამოსასხამი, ფესვედიანი, ხელებს კი — ოქროსქსოვილი თათმანები, ფერხთ ემოსა უმშვენიერესი სანდლები. ერთმა ასულმა აღვირში ჩაპკიდა ხელი ბედაურს და ჩამოართვა მხედარს. მხედარი შევიდა ციხესიმაგრეში და აბანოსაკენ გაემართა. მაშინ იხილეს აბანოში მჭკრეტელთა, რომ მხედარი იგი იყო ასული.

მცირე ხნის შემდეგ ერთი ასული მიეახლა მოგზაურთ:

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — სთქვა მან, — შემობრძანდით, დედოფალი გიწვევთ ციხე-სიმაგრეში.

მოგზაურები შევიდნენ სიმაგრეში და განიბანეს აბანოში. მისაღებ ოთახში ბრძანდებოდა დედოფალი, ჩვიდმეტი ასულით გარემოცული, დედოფლის პირდაპირ დაბრძანდა მაილ-დუინი, ჩვიდმეტი თანამგზავრით გარშემორტყმული. მას წინ დაუდგეს გემრიელი კერძებით სავსე ლანგარი და სურნელოვანი სასმელით აღვსებული მინის ჯამი; ყოველ სამ თანამგზავრს კი მიაართვეს თითო ლანგარი და თითო ჯამი.

როცა სტუმრები დანაყრდნენ, იზრახა დედოფალმა:

— ვითარ ინებებენ ძილს სტუმარნი?

— ვითარცა თქვენ ბრძანებთ, — მიუვო მაილ-დუინმა.

— ბედნიერი ფეხით გადმოსულხართ ჩვენს კუნძულზე, — იზრახა დედოფალმა. — დაე, თვითეულმა თქვენგანმა მდივნად მიიღოს ასული, რომელიც მის პირისპირ ზის, და შეჰყვეს მას საძილე პალატში.

და მართლაც, სიმაგრეში იყო ლამაზად მორთული ჩვიდმეტი პალატი, ჩინებული სარეცლებით. ამრიგად, ჩვიდმეტმა მოგზაურმა ღამე გაათია ჩვიდმეტ ასულთან, მაილ-დუინმა კი დედოფლის სარეცელზე გაათია ღამე. მეორე დღით მოგზაურები წამოდგნენ და გასამგზავრებლად მოემზადნენ.

— დარჩით ჩვენთან, — ეზრახა მათ დედოფალი, — თუ აქ დარჩებით, დრო არ დაგეკარგებათ თქვენ. ყოველ თქვენგან შეინარჩუნებს დღევანდელ ჰასაკს და აღარასოდეს არ მოკვდება. ხოლო მას, რაც წუხელ მოგართვით, მიიღებთ ყოველ საღამოს. რად უნდა ეხეტოთ ერთი კუნძულიდან მეორე კუნძულამდე ამ უკიდევანო ოკეანეში.

— მარქვი, დედოფალი, — რქვა მაილ-დუინმა, — ვით მოხვდა შენ ამ კუნძულზე?

— ძნელი არ არის თქმა, — მიუგო დედოფალმა. — ამ კუნძულზე ცხოვრობდა ერთი დიდებული მოყმე, ხელმწიფე ამა კუნძულისა. მე ვაჩუქე მას ჩვიდმეტი ასული და იგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ტახტის მემკვიდრედ ვაჟი არ დაუტოვებია. მაშინ თავად ვიტვირთე ხელმწიფეა ამა კუნძულისა. მე მარადღე დავდივარ ვრცელ ველზე და ვიქმ სამართალს, ვწყვეტ ყოველგვარ დავას კუნძულის მკვიდრთა შორის.

— ახლა რად გვტოვებ დედოფალო? — წამოიძახა მაილ-დუინმა.

— თუ ახლა არ დავტოვებ, მაშინ, რაც წუხელ მოხდა, აღარასოდეს განმეორდება. — მიუგო დედოფალმა. — ოღონდაც დარჩით აქ, — დასძინა მან, — და უზრუნველად იცხოვრებთ ნიადაგ. მე მივალ, რათა განვსაჯო ხალხი მათივე კეთილდღეობისათვის.

მოგზაურებმა მთელი ზამთარი დაჰყვეს ამ კუნძულზე. მაგრამ ეს სამი თვე სამ წელიწადად მოეჩვენათ.

— რა ხანია აქ ვცხოვრობთ, — ეზრახა მაილ-დუინს ერთი თანამგზავრი. — რად არ მივიქცევით მამულში?

— ბრიყვეულად სჯი, — მიუგო მაილ-დუინმა. — ასეთ პატივს ვინ მოგვიზღავს მამულში.

მაშინ აბუზღუნდნენ თანამგზავრნი:

— დიდია ტრფიალი მაილ-დუინისა დიაცისადმი. უმჯობესია იგი აქ დავტოვოთ, თავად კი მამულში მივიქცეთ.

— მე აქ მარტო არ დავრჩები, — იზრახა მაილ-დუინმა.

ერთხელ, როცა დედოფალი სამართლის ქმნად გაეშურა, მოგზაურები თავიანთ ხომალდში ჩასხდნენ და გასამგზავრებლად მოემზადნენ, მაგრამ ეს იგრძნო დედოფალმა, და მოიჭრა ბედაურით. ესროლა მოგზაურებს გრძნეული მორგვი და მაილ-დუინმა დაირჩინა მორგვი იგი. ხელისგულზე აეკრა მორგვი მაილ-დუინს. ძაფის ბოლო ხელთ ეპყრა დედოფალს და მან მოიზიდა ხომალდი და ნაპირს მოაყენა.

მოგზაურებმა სამი თვე კიდევ დაჰყვეს კუნძულზე. სამგზის სცადეს გამგზავრება, მაგრამ სამგზისვე იგივე განმეორდა, რაც პირველად მოხდა. მაშინ იბჭეს მათ:

— ჩვენ ახლა კარგად ვხვდავთ, თუ რა დიდია ტრფიალი მაილ-

დუინისა ამ დიაცისადმი. იგი განგებ ცდილობს, რომ ხელისგულზე აეკრას მორგვი და ამრიგად ჩვენ ციხე-სიმაგრეში დაგვაბრუნოს.

— მაშინ სხვამ დაირჩინოს მორგვი იგი, — იზრახა მაილ-დუინმა, — და თუ მორგვი ხელისგულზე აეკრა, მოეკვეთოს ხელი იგი.

მოგზაურები კვლავ ჩასხდნენ ხომალდში და დედოფალმა კვლავ ესროლა მათ მორგვი. ერთმა მოგზაურმა დაირჩინა იგი და ხელისგულზე აეკრა მყის. მაშინ დიურანმა მოჰკვეთა მას ხელი, რომელიც მორგვთან ერთად ზღვაში ჩაეარდა. ეს იხილა დედოფალმა და მთელი კუნძული გააყრუა კივილით.

მოგზაურებმა ასე დააღწიეს დედოფალს თავი და ასე განერიდნენ კუნძულს.

IX

**მათროგელა ნაყოფი. — განდგომილი და სიზმარული ტაა. —
მონარხარეთა კუნძული. — ციხელოვანი გალავანი**

ამის შემდეგ მოგზაურებმა იხეტიალეს უკიდვანო ზღვაზე. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწენ ერთ კუნძულს. კუნძულზე ხარობდა ძეწნისა თუ კაკლის მაგვარი ხეები. ხეებს ესხა უცნაური ნაყოფი, რომელიც ვეებერთელა კენკრას წააგავდა. მოგზაურებმა მოკრიფეს ეს ნაყოფი და წილი ჰყარეს, თუ ვის ეგემა პირველად იგი. წილი მაილ-დუინს ჰხვდა. მან რამდენიმე ნაყოფი ლამბაქზე დაწურა და წვენი შესვა. ძილქუში დაეუფლა მაილ-დუინს. მეორე დღის იმავე ჟამამდე ეძინა დამაშვრალს. ამხანაგებმა არ უწყოდნენ, ცოცხალი იყო იგი თუ მკვდარი, რადგან მეწამული პერი მოსდგომოდა მაილ-დუინს ბაგეებზე.

მაილ-დუინმა განიფრთხო ძილი და იზრახა:

— ჩინებულია ნაყოფი ესე, შეაგროვეთ.

მოგზაურებმა შეაგროვეს ნაყოფი, მაგრამ დაწურეს და წვენში წყალი გაურიეს; მისი მათრობელი და მაძინებელი ძალის განელება ეწადათ მოგზაურებს. შემდეგ ამ წვენით ჭურჭლები აავსეს და კვლავ ზღვაში შესცურეს.

მცირე ხნის შემდეგ მიაღწენ ერთ უზარმაზარ კუნძულს. მისი

ერთი ნახევარი ეკავა ურთხმელისა და ბერმუხის ტყეს, მეორე ნახევარი კი — ვაკეს. ვაკის შუაგულში იყო მცირე ტბა. ცხვრის დიდი ფარები ძოვდნენ ვაკეზე. მოგზაურებმა იქვე შენიშნეს პატარა ეკლესია და მცირე ციხე-სიმაგრე. ისინი გაემართნენ ეკლესიისაკენ, სადაც ლოცულობდა მოხუცი მონაზონი, ერთიან დაფარული თავისივე თმით.

— საიდანა ხარ შენ? — ჰკითხა მას მაილ-დუინმა.

— მე ვარ უკანასკნელი თანამგზავრი ბრენდან ბირელის თხუთმეტ თანამგზავრთაგან. წმინდა ადგილების მოსალოცად გავედით ჩვენ ოკეანეში და ამ კუნძულს მოვადექით. ყველანი დაიღუბნენ, მხოლოდ მე ერთი გადავურჩი სიკვდილს.

და მოხუცმა უჩვენა მოგზაურებს ბრენდანის ფირფიტები, რომელიც ბრენდანს თან წამოეღო მოგზაურობაში.

მოგზაურებმა მუხლი მოიყარეს ფირფიტების წინაშე, ხოლო მაილ-დუინი სასოებით ეამბორა თვითეულ ფირფიტას.

— ჰამეთ ეს ცხვრები, რამდენიც სხეულმა მოგთხოვთ, მხოლოდ მეტი კი არა.

და რამოდენიმე ხანს მოგზაურები ცხვრის ხორცით საზრდობდნენ.

ერთხელ, როდესაც მოგზაურები კუნძულიდან ზღვას გასცქეროდნენ, მათ შენიშნეს რაღაც, რომელიც ღრუბელივით მოისწრაფოდა მათკენ თემან-დასავლით. მცირე ხნის შემდეგ მოგზაურები დარწმუნდნენ, რომ იგი იყო არა ღრუბელი, არამედ ფრინველი, რამეთუ ცხადლივ ჩანდა მოქნეული ფრთები. ფრინველი დაეშვა კუნძულზე და ტბის ახლორე ქედზე ჩამოისვენა. მეზღვაურები შიშობდნენ, ვაითუ ამ საზარელმა ფრინველმა ბრჭყალები ჩაგვავლოს და ზღვაში გაგვიტაცოსო.

ფრინველმა თან მოიყოლა ვეებერთელა ხის ტოტი: ტოტი იგი ბერმუხაზე ფართო იყო და მსხვილი რტოები შვენოდა მას. მძიმე და უხვი ნაყოფი ესხა რტოებზე. ყურძნის მაგვარ წითელ ჟოლოს ჰგავდა ნაყოფი იგი, მაგრამ ჟოლოზე უფრო მსხვილი იყო.

მოგზაურები გაირინდნენ, თვალს ადევნებდნენ, თუ რას მოიმოქმედებდა უცნაური ფრინველი. გადაფრენით ქანცმილეული, იგი ერთხანს ისვენებდა, შემდეგ კი ნაყოფის ჰამას შეუდგა. მაილ-დუინი

მივიდა ქედის ძირას, რათა მოესინჯა, ვნებას ხომ არ მომაცუნებსო ფრინველი; მაგრამ ფრინველმა მას არაფერი ავნო; მაშინ მისი თანამგზავრებიც მიუახლოვდნენ ქედს.

— დაე, ერთი ჩვენგანი მივიდეს ტოტთან, — იზრახა მაილ-დუ-ინმა, — და მოსწყვიტოს რამდენიმე ნაყოფი.

მაშინ ერთი მოგზაური მივიდა ტოტთან და რამდენიმე ნაყოფი მოსწყვიტა. ფრინველმა არ დაუშალა მოგზაურს; არც კი შერხეულა და არც კი შემოუხედავს მისთვის. თვრამეტი ფაროსანი მხედარი მიუპარა ფრინველს, და ფრინველმა მათაც არაა ავნო.

შუადღე რომ გადავიდა, მოგზაურებმა იხილეს ორი უზარმაზარი არწივი. ისინიც თემან-დასავლით მოისწრაფოდნენ და, ოდეს კუნძულზე მოაწიეს, დიდი ფრინველის გვერდით ჩამოსხდნენ. კარგად რომ დაისვენეს, დიდი ფრინველის გასუფთავებას შეუდგნენ: ამო-რებდნენ მას მწერებს, ქოჩორზე, ჩიჩაყზე, თვალებსა და ყურებზე რომ აკვროდა. მზის გადაწურვამდე იღვაწეს არწივებმა, ბოლოს კი სამივენი ნაყოფის ჭამას შეუდგნენ.

მეორე დღეს არწივები კვლავ ასუფთავებდნენ ფრინველს, აძრობდნენ ძველ ბუმბულსა და ფუფხს. შუადღე რომ მოიწია, არწივებმა მოსწყვიტეს ყველა ნაყოფი, ნისკარტით დაგლიჯეს და ტბაში ჩაყარეს; ტბა მეწამული პერით დაიფარა ერთიან.

მაშინ დიდი ფრინველი ტბაში შევიდა და მიმწუხრამდე იწრიალა შიგ. ბოლოს გამოვიდა ტბიდან და კვლავ იმავე ქედზე დაჯდა, მაგრამ ამჯერად სხვა ადგილას, რათა მოშორებული მწერები კვლავ არ შელოდებოდნენ ტანზე.

მეორე დღით არწივებმა კვლავ იწყეს დიდი ფრინველის წმენდა და ვარცხნა ნისკარტებით. ასე იღვწოდნენ ისინი შუადღემდე. შემდეგ ოდნავ შეისვენეს და იმავე მხარეს გასწიეს, საიდანაც მოვიდნენ.

მარტოდარჩენილი ფრინველი კი კვლავ იწმენდა სხეულს და აფართხუნებდა ფრთებს. ასე იღვწოდა იგი მესამე დღის მიწურვამდე. მეოთხე დღეს, დილით, ფრინველი ქედიდან აფრინდა, კუნძულს სამი წრე დაარტყა და კვლავ იმავე ქედზე ჩამოსივნა. შემდეგ კვლავ ცაში აიჭრა და იქით გაეშურა, საიდანაც მოვიდა. ამჯერად სწრაფა მისი უფრო სწრაფი და მძლავრი იყო, ვიდრე პირველად.

მაშინ მაილ-დუინი და მისი თანამგზავრები მიხვდნენ, რომ ფრინველმა თავისი სიბერე სიყმაწვილით შეცვალა წინასწარმეტყველის სიტყვისამებრ:

Renovatibur ut aquilae inventus tua*.

ამ გასაოცარი სასწაულის მხილველმა დუირანმა წამოიძახა:

— წარვიდეთ და განვიბანოთ ტბაში, რომელშიც ფრინველი განიბანა, რათა მისებრ გავყმაწვილდეთ.

— ეს არ შეიძლება, — იზრახა ერთმა თანამგზავრმა, — რამეთუ ფრინველმა თავისი შხამი ჩასტოვა შიგ.

— სისულელეს როშავ, — მიუგო დიურანმა. — პირველი მე შევალ ტბაში.

დიურანი შევიდა ტბაში, განიბანა, ბაგეები წყლით დაისველა და რამდენიმე ყლუპი იგემა კიდევ. ამის შემდეგ დიურანისათვის მხედველობას არ უღალატია, არც ერთი კბილი არ მორყევია, თმის არც ერთი ღერო არ ჩამოვარდნია, არც სენი რამ შეჰყრია დიურანს.

ამის შემდეგ მოგზაურები დაემშვიდობნენ მოხუცს, თან გაიყოლეს ცხვრის დიდი ფარა და ზღვიდან ოკეანეში გავიდნენ. მცირე ხნის შემდეგ ისინი მიაღვნენ ერთ კუნძულს. კუნძულზე გადაჭიმული იყო უზარმაზარი და ხალხმრავალი ველი. ხალხი იგი ველად იმღერდა და განუხვენებლივ ხარხარებდა. მოგზაურებმა წილი ყარეს, თუ ვინ უნდა გადასულიყო კუნძულზე და გამოეძია იგი. წილი ხვდა მაილ-დუინის მესამე ძეძუმტეს.

იგი გადავიდა კუნძულზე და მიაღწია თუ არა ველს, უმალ შეუერთდა ხალხს და მათებრ იწყო მღერა და ხარხარი, თითქოსდა მთელი სიცოცხლე ამ ხალხთან გაუტარებიაო. მოგზაურები დიდხანს ელოდნენ ამხანაგს, მაგრამ ბოლოს მისი იმედი გადაიწყვიტეს და გზა განაგრძეს.

ამის შემდეგ ისინი მიაღვნენ ერთ მომცროს კუნძულს. იგი შემოზღუდული იყო ცეცხლოვანი გალავნით. გალავანი მოძრავი იყო და კუნძულის გარშემო ბრუნავდა. მას ჰქონდა ერთი ღია კარი, რომელიც ბრუნვის დროს მოგზაურების პირისპირ აღმოჩნდებოდა ხოლმე და მოგზაურები მაშინ ცხადლივ ჰკვრეტდნენ მთელ კუნძულს: კუნძულზე ჩანდა უამრავი ხალხი: თვალადნი, კეთილადმოსილნი და

* ვითარცა არწივს, კვლავ გეწვევა შენც სიყმაწვილევ (ლათ.).

ოქროს თასებით მონადიმენი. მათი სუფრულიც კი მოისმოდა კუნძულიდან.

მოგზაურები დიდხანს ჰკრეტდნენ ამ დიდებულ სანახაობას. ფრიად ხიბლავდათ იგი.

X

განღვივილი მხარაპი

მოგზაურები გაეცალნენ ამ უცნაურ კუნძულს და სულ მალე შორიდან დალანდეს რალაც საგანი, რომელიც თეთრ ფრინველს წააგავდა. მათ ხომალდის კიჩო თემანისაკენ მიმართეს, უკეთ რომ გამოეძიათ საგანი იგი. მიეახლნენ თუ არა მას, მეზღვაურებს წარმოუდგათ ადამიანი. იგი დაფარული იყო თეთრი თმით და მუხლებით სიბკიდეს ეყრდნობოდა. მეზღვაურები მიცურდნენ მასთან და სთხოვეს მოხუცს, დაელოცა ისინი. შემდეგ მათ ჰკითხეს მოხუცს, როგორ მოხვდა იგი ამ კლდეზე; აი, რა მოუთხრო მოგზაურებს მოხუცმა:

— მე ტორახელი გახლავართ. ტორახს ვიზარდე მე. ეკლესიაში მზარეულად ვიდექ და ცუდი მზარეული ვიყავ. ეკლესიის კერძს ვყიდდი ფულზე და ვცვლიდი ფასიან საგნებზე. ამრიგად, სახლი ჩემი აღივსო საბნებით, სასთუმლებით, სელისა და შალის ფერადი სამოსელით, სპილენძის თუნგებით, ოქროს წვეტებით დამშვენებული ბალთებითა და რაგინდარა ზარაურთებით. ჩემს სახლს არ აკლდა არაფერი, რაც ადამიანის თვალს ეამებოდა; იქ იყო, აგრეთვე, ოქროცურვილი წიგნები და სპილენძითა და ოქროთი მოვარაყებული სკივრები. ამასთანავე, მე ვჩადიოდი უფრო დიდ ცოდვას: ეკლესიების ქვეშ ვთხრიდი ხვრელებს, შევდიოდი შიგ და ვიტაცებდი საგანძურს. იმჟამად ფრიადი იყო სიამაყე და ამპარტავენება ჩემი.

ერთხელ მთხოვეს მე, საფლავი გამეთხარა ერთი გლეხისათვის. საფლავს რომ ვთხრიდი, უეცრად ქვევიდან, ჩემს ფერხთა ქვეშე, ხმა შემომესმა:

„ნუ სთხრი საფლავს ამ ადგილას, ნუ სდებ ცოდვილის ცხედარს სამართლიანი კაცის სხეულსა ზეთა.“

„იყურე სულო, ეს საქმე გვეხება მხოლოდ ჩვენ — მე და ჩემს უფალს!“ — წამოვიძახე მედიდურად.

„ამინ, — ამომძახა წმინდანმა. — მაშინ უწყოდე: თუ ამ ცხედარს დასდებ ჩემს სხეულსა ზედა, მაშინ ხორცი შენი მოკვდება სამ დღეში და სული შენი მოხვდება ჯოჯოხეთში, ხოლო ამ ცხედარს მაინც წაიღებენ აქედან.“

მაშინ მე ვკითხე უხუცესს კაცს.

„რა საჩუქარს მპირდები, თუ ამ ცხედარს არ დავდებ შენს ზედა?“

„საუკუნო ცხოვრებას ღმერთების საუფლოში“, — მომიგო მან.

„ვით ვირწმუნო სიტყვები შენი?“ — ვკითხე მე.

„ძნელი არ არის ამის რწმენა, — მომიგო მან. — საფლავი, რო-მელსაც შენ თხრი, ნიადაგით ამოივსება. და ეს ცხადლივ მიგანიშნებს შენ, რომ არა და არ ძალგიძს, ცხედარი იგი დასდო ჩემს ზედა, რაოდენიც არ უნდა ეცადო.“

უხუცესმა წარსტკვა თუ არა ეს სიტყვები, წამსვე ქვიშით ამოივსო საფლავი იგი. მაშინ სხვა ადგილას დავფალ გლეხის ცხედარი.

გამოხდა ხანი და ზღვაზე გავუშვი ახალი ხომალდი, ჩავჯექი ხომალდში და შევებით ვჭკრეტდი შემოგარენს: რაიც კი გამაჩნდა, თან წამოვიღე. არ დამიტოვებია არც დიდი, არც მცირე, ყველაფერი ხომალდზე ავზიდე: როფები, კათხები და ლანგრებიც. გარემოს ჭკრეტით რომ ვტკბებოდი, უეცრად ზღვაზე ძლიერი ქარიშხალი ამოიჭრა და ისე შორს გამიტაცა, რომ ნაპირიც კი აღარსად ჩანდა. შემდეგ კი დადგა ხომალდი ჩემი და აღარ იძვროდა ადგილიდან.

მაშინ მიმოვიხილე ირგვლივ და ვიხილე უცხო რამ სანახაობა: უზარმაზარ ტალღაზე დაბრძანებულიყო უცხო მამრი. იგი მეზრახა მე:

„საით ისწრაფვი?“

„მე მსურს ვისწრაფო იქით, — მიეუგე მე, — საითაც იცქირებიან ჩემი თვალები!“

„შენ დასთმობდი შენს სურვილს, მეზრახა იგი, -- რომ უწყოდე, რა ხალხი გახვევია გარს.“

„რა ხალხი მახვევია?“ — ვკითხე მე.

„თუ ხედვა არ მაცთუნებს, ზღვა და ღრუბლები სავსეა დემონე-

ბით. ისინი გარსმოგზევეიან შენ, რათა მიგაგონ შენი სიხარბის მზევე-
რობის, ამპარტავენობისა და კიდევ უამრავთა ცოდვთა სამაგიერო.
თუ უწყვი, რად დადგა ხომალდი შენი?“

„ნამდვილად არ ვუწყვი“. — მიეუგე მე.

„ფეხს არ მოიცვლის ხომალდი იგი, ვიდრე არ აღასრულებ ჩემს
ნებას.“

„მე ვერ მოვითმენ ავას!“ — მიეუგე მე.

„შენ მოითმენ ჯოჯოხეთის წამებას, თუ არ დამორჩილდები ჩემს
ნებას.“

სთქვა თუ არა ეს, მამრი მომიახლოვდა და ხელი შემახო; მაშინ
აღვუთქვი მას აღსრულება ყოველი ნებისა.

„ზღვაში ჩასძირე მთელი განძი, ხომალდზე რაც გიძევს!“ — წარ-
სთქვა მან.

„ბრალია, — ვეზრახე მე, — ამ განძის გაქრობა“.

„ამაოდ არ გაჰქრება იგი. არის ვილაც, ვისაც შეეწევი ამით.“

მაშინ ზღვაში ვისროლე მე ყველაფერი, რაც კი ხომალდზე გა-
მაჩნდა, ერთი უბრალო ფინჯანი დავიტოვე მხოლოდ.

„ახლა კი იცურე, — წარსთქვა მოხუცმა, — და დაემკვიდრე
იმ ადგილას, სადაც ხომალდი შედგება!“

და მამრმა გზაში გამატანა ერთი ფინჯანი ღო და შვიდი კვერი.

— და აი, — განაგრძო მოხუცმა, — მე მოვხვდი იმ მხარეში, სა-
ითაც ქარიშხალი მისდენიდა ჩემს ხომალდს, რამეთუ ნებაზე მიეუშ-
ვი ნიჩბებიცა და საჭეც. და ტალღებმა ამომაგდეს მე ამ კლდეზე, და
მე არ ვუწყოდი, მიაღწია თუ არა ჩემმა ხომალდმა მიზანს, რამეთუ
უჩინარ იყო აქ მიწაცა და ნაპირიც. უცებ გამახსენდა მე იმ კაცის
სიტყვები: დაემკვიდრებულაიყავი იქ, სადაც ჩემი ხომალდი დადგე-
ბოდა. მაშინ ავიღე თავი და ვიხილე მცირე კლდე, რომელსაც ტალ-
ღები ეხლებოდნენ. მტკიცედ დავეყრდენი ამ კლდეს და ხომალდი
ჩემი განმეშორა მე, კლდე კი ამაღლდა ჩემს ფერხთა ქვეშე და ტალ-
ღებიც განმერიდნენ მაშინ.

შვიდი წელი ვიცხოვრე ამ კლდეზე და ამ ხნის განმავლობაში
ვიკვებებოდი ოდენ შვიდი კვერით და ფინჯან ღოთი, რომელიც გა-
მომატანა მოხუცმა კაცმა. ამის შემდეგ მე არ დამრჩენია არაერთარი
საჭმელი, თვინიერ ერთი ფინჯანი ღოისა, რომელიც ნიადაგ დამაქვს.

შემდეგ სამი დღე დაეყავ მაგარი საკვების გარეშე. მესამე დღეს კი, შუადღე რომ მიიწურა, წავმა მომიტანა ორაგული. ვიფიქრე და დავასკენი, რომ უმად ვერ ვჭამდი ორაგულს და ზღვაში გავუშვი. კვლავ სამი დღე დაეყავ მაგარი ჭამადის გარეშე. მესამე დღეს, შუადღე რომ მიიწურა, ვიხილე, ერთ წავს მოაქვს ორაგული, მეორე წავს კი—ალმოგზნებული მუგუზლები; წავმა გააჩაღა მუგუზლები და აღაგზნო კოცონი. მაშინ მოვხარე ორაგული და შვიდ წელიწადს ვიცხოვრე ასე. დღენიდაგ მეძლეოდა მე ორაგული და ცეცხლი. კლდე კი ნიადაგ იზრდებოდა, ვიღრე იმოდენი არ გახდა, რამოდენიც ამჟამად არს.

შემდეგი შვიდი წლის განმავლობაში მე აღარ ვიღებდი ორაგულს. პირველი სამი დღე კვლავ გავატარე მაგარი საკვების გარეშე. მესამე დღეს კი, შუადღე რომ გადავიდა, მომეცა ნახევარი კვერი და თევზის ნაჭერი. ჩემი დოიანი ფინჯანი გაჰქრა, მაგრამ მისი ადგილი დაიკავა იმავე ზომის მეორე ფინჯანმა, რომელშიც ესხა კეთილი სასმელი; და ფინჯანი იგი დღენიდაგ სავსეა. არც ქარი, არც წვიმა, არც სიციხე, არც ყინვა არ მაწუხებს მე ამ კლდეზე. სულ ეს არის ამბავი ჩემი, — დაასრულა თხრობა უხუცესმა კაცმა.

შუადღის შემდეგ მოგზაურებს დაურიგდა ნახევარ-ნახევარი პური, ხოლო ფინჯანი რომელიც მოხუცის წინ იდგა, სავსე იყო კეთილი სასმელით. შემდეგ მოხუცი ეზრახა მათ:

— ყველანი მშვიდობით მიაღწევთ სამშობლოს, შენ კი მაილდუნ, მამაშენის მკვლელს ციხე-სიმაგრეში მიაგნებ, მაგრამ იცოდე, არ მოაკვდინო იგი, შეუხდე მას, რამეთუ უფალი გფარვიდათ თქვენ მძიმე და მრავალი განსაცდელის ჟამს. ამას გარდა, თქვენც ცოდვილნი ხართ და სიკვდილის შვილნი.

XI

შახვედრა მამის მკვლელებთან

მოგზაურებმა დასტოვეს მოხუცი განდევნილი, ზღვაში შესცურეს და მცირე ხნის შემდეგ ერთ კუნძულს მიაღწენ. კუნძულზე იყო

უამრავი ორფეხი—ხარები, ძროხები და ცხვრები. მაგრამ არსად ჩანდა არც სახლი და არც ციხე-სიმაგრე. მაშინ მათ დაკლეს ცხვრები და მადიანად შეექცნენ. უცებ მოგზაურებმა იხილეს ზღვის ფრინველი. რამდენიმე მათგანმა თქვა:

— ეს ფრინველი, იმ ფრინველთა მსგავსია, ირლანდიაში რომ იცის!

— მართლაც რომ მსგავსია, — მიუგეს სხვებმა.

— თვალი არ მოაცილოთ მას, — იზრახა მაილ-დუინმა. — ზვერეთ, საით გაფრინდება იგი.

მოგზაურებმა იხილეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლისაკენ გაეშურა ფრინველი და კვალდაკვალ მიადევნეს ხომალდი.

ასე იცურეს მიმწუხრამდე, ხოლო მიმწუხრზე იხილეს მიწა, რომელიც ძალიან ჰგავდა ირლანდიის მიწას. ისინი მიადგნენ ნაპირს და აღმოჩნდა, რომ მიწა იგი მცირე კუნძული ყოფილა. თანაც სწორედ ის კუნძული, რომელსაც მოგზაურობის დასაწყისში ქარიშხალმა მოსწყვიტა მეზღვაურები.

ისინი გადავიდნენ ნაპირზე და გაემართნენ ციხე-სიმაგრისაკენ, რომელიც კუნძულზე შენიშნეს. მოგზაურებს სიმაგრიდან შემოესმათ მონადიმეთა საუბარი.

აი, რას უბნობდა ერთ-ერთი მათგანი:

— კარგი იქნებოდა, არ შევხვედროდიო მაილ-დუინს!

— მაილ-დუინი დაიხრჩო, — მიუგო მეორემ.

— ადვილი მოსალოდნელია, რომ მაილ-დუინმა გამოგადვიძოთ მძინარენი, — იზრახა სხვამ.

— უეცრად კარს რომ მოგვადგეს, რა უნდა ვიღონოთ მაშინ? — იკითხა ერთმა.

— რა უნდა ვიღონოთ და, კეთილად უნდა დავხედეთ, — მიუგო სახლის პატრონმა, — მან ხომ ხანგრძლივი და მძიმე გასაჭირი გადაიტანა.

ამ დროს მაილ-დუინმა კარებზე ჩაქუჩით დააკაკუნა.

— ვინ არის? — იკითხა მეკარემ.

— მაილ-დუინი! — იყო პასუხად.

— განახვნეთ კარნი, — იზრახა სახლის პატრონმა. — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!


მოგზაურები სახლში შევიდნენ. მასპინძლები გულლიად მიეგებ-
ნენ მათ და ახალი სამოსელი მიართვეს. მაშინ მოგზაურებმა მოუთხ-
რეს მასპინძლებს ყოველი სასწაული, რომელიც უფალმა მოუვლინა
გზაში ღვთაებრივი პოეტის სიტყვისამებრ:

Haec olim meminisse invabit.*

მაილ-ღუინი დაუბრუნდა თავის ქვეყანას, ხოლო დიურან მოშა-
ირემ არმაგის საკურთხეველზე დასდო ორნახევარი უნცია ვერცხლი
და ბადის ნაჭერი, სასწაულთა და გასაოცართა საქმეთა მოსაგონებ-
ლად, რომელნიც უფალმა მოიმოქმედა მათთვის და მათ იამბეს თა-
ვიანთი თავგადასავლები დასაწყისიდან, ვიდრე დასასრულამდე. მო-
იგონეს ყოველი ხიფათი და ყოველი გასაჭირი, რომელიც გარდახ-
დათ ზღვაზე თუ ხმელზე.

აიდ ნათელმა, ირლანდიის ბრძენმა პოეტმა ეს ამბავი ისე შეთხზა,
როგორც აქაა მოთხრობილი. მან ეს იღვაწა იმისათვის, რათა გაემხი-
არულებინა ირლანდიის მკვიდრნი, რომელნიც მის შემდგომ მოვი-
დოდნენ ირლანდიაში.

* „ოდესმე ტკბილად მოვიგონებთ გარდასულ ჟამსაც“ (ლათ.) ვირგილიუსი.
„ენეიდა“, I. 203.



ღიარმაიღისა და გრაინეს ღეჳნა

ერთხელ ფინმა, კუმალას ძემ, უთენია გამოიღვიძა ვრცელსა და ღიღებულ ლაგენის ალმაისში და გავიდა ველად. ფინის თან ახლდნენ ოისინი ფინის ძე და ღიორუინგ, დოვარ ო'ბაისგნეს ძე. მაშინ ჰკითხა მას ოისინმა:

— რამ აგაყენა ასე ადრიან, ო, ფინ?

— უმიზეზოდ როდი აემდგარვარ, — მიუგო ფინმა. — მას შემდეგ, რაც აღესრულა მორნეს ძის, გარად გლუნდუბის ასული მაიდნესი, მე აღარ მივის ძვირფასი მეუღლე. აი, რადაა, რომ უზრუნველმა ძილმა დამაგდო მე და წამომაგდო ასე ადრიან, ო, ოისინ.

— მაგრამ რად ცხოვრობ ასე, ო, ფინ? — კვლავ ჰკითხა ოისინმა. — ირლანდიაში არ მოიძევება ისეთი ასული, რომელიც ვერ მოგვვაროთ ნებით ან ძალით. საკმარისია მისდა მიმართო ხედვა შენი. ანდა ოდენ ზერელედ ესროლო მზერა.

შემდეგ იზრახა ღიორუინგმა:

— მე ძალმიძს მოგვვარო შენი შესაფერისი ძვირფასი მეუღლე.

— ვინ არის იგი? — იკითხა ფინმა.

— იგია გრაინე, ასული კორმაკ არტის ძისა, რომელიც იყო ძე

სახელგანთქმული კონდ ასნაცადისა, — მიუგო დიორუინგმა. — ასუ-
ლი იგი უზადოა თვალად და ტანად და უბადლო მოუბარია იგი.

— ვფიცავ მარჯვენას, ო, დიორუინგ, დიდი ხანია მძვინვარებს
შუღლი ჩემსა და კორმაკს შორის, სწორედ ამიტომ არა მსურს ვიწ-
ვნიო უარი მისგან. მე ასე მიჯობს: ორიენი ეახლოთ კორმაკს და ჩე-
მი თავი სიძედ შესთავაზოთ, რამეთუ უფრო იოლად გადავიტან მის
უარს თქვენს მომართ თქმულს, ვიდრე პირდაპირ ჩემს მომართ.

— თუმცა თავად ჩვენ არავითარ სარგებელს არ გამოველით ამ
საქმიდან, მაგრამ მაინც ვეახლებით მას, — რქვა ოსინმა, — მხო-
ლოდ, ერთი პირობით: ჩვენი ელჩობის ამბავი არავინ უნდა შეი-
ტყოს, ვიდრე არ მოვიქცევით უკან.

თუ როგორ დაემშვიდობნენ მოციქულები ფინს, როგორ დაიძვ-
რნენ გზაზე, ანდა როგორ იარეს, იმის შესახებ ჩვენ არარა ვუწყით.
ვიდრე არ მიაღწიეს ტემრის ველს.

მხოლოდ ისე, რომ ამ დროს ირლანდიის ხელმწიფე გამოსული
იყო მხედრობის აღხილვად და მხედართმთავრებსა და ტომის ბელა-
დებს ეთათბირებოდა. მან იხილა თუ არა უცხო სტუმრები, თავყრი-
ლობა მეორე დღისათვის გადასდო და ელჩებს პატივით მიეგება. იგი
დარწმუნებული იყო, რომ რალაციის თხოვნად იყვნენ მოსულნი ელჩ-
ნი. მაშინ ჰკადრა ხელმწიფეს ოსინმა, გვერდით მიმდგარიყვნენ,
რათა საიდუმლო რამ ემცნო მისთვის. ისინი გვერდით მიდგნენ და
ამცნო ოსინმა, რომ ისინი მოვიდნენ, რათა მოეთათბირონ მას ფი-
ნის, კუმალას ძის, და მისი ასულის შეუღლების თაობაზე. მაშინ იზ-
რახა კორმაკმა:

— ირლანდიში არ მოიძეება ისეთი ხელმწიფე, არცა თავადი
და არც ასპარეზობაში გამარჯვებული მხედარი. რომლისთვისაც უა-
რი არ ეთქვას ჩემს ასულს, ხოლო ამაში კი ბრალს მდებენ მე. ამი-
ტომ მიჯობს, თავად წარსდგეთ ასულის წინაშე და თვითონ მისგან
მოისმინოთ უარი, ვიდრე მე მისაყვედუროთ შემდგომ ამისა გამო.

მაშინ კორმაკი და ელჩნი გზას დაადგნენ და იარეს მანამ, ვიდრე
არ მიაღწიეს სადელაოს. კორმაკმა ელჩები გრაინეს მაღალ სარეცელ-
თან დასხა და რქვა ასულს:

— ო, გრაინე, აგერ, ფინის, კუმალას ძის მოციქულები. ისინი

მოსულან, რათა დაგითანხმონ შენ ფინის ცოლობაზე. რას მიუგებ მათ, ო, გრაინე?

მიუვო გრაინემ:

— თუ ფინს ძალუძს გახდეს შენი ღირსეული სიძე, რად არ ძალუძს გახდეს ჩემი ღირსეული ქმარი და ერთგული მეუღლე!

ყველა კმაყოფილი დარჩა გრაინეს პასუხით. კორმაკმა დიდი ნადიმი გამართა მოციქულთა პატივსაცემად. ნადიმზე იყვნენ გრაინე და სადედაოს სხვა დიაცნიც. ორი კვირა მოილხენდნენ ტემრაში კორმაკი და ელჩები.

ამის შემდეგ ოისინი და დიორუინგი მოიქცნენ ალმანში და იხილეს ფინი თავისი ფენიების თანხლებით. ელჩებმა მოუთხრეს მათ ყველაფერი თავიდან ვიდრე ბოლომდე.

მაშინ აღარ დააყოვნა ფინმა და მოუწოდა ყველაზე ერთგული ფენიების შვიდ რაზმს. ფენიები უმალ გამოცხადდნენ ხელმწიფესთან ვრცელ და დიდებულ ლაგენის ალმანში. შემდეგ დაიძრნენ ტემრის ტაფობისაკენ, ვითარცა მომსკდარი, ცოფიანი და მიუქცეველი ლავა.

და არავინ უწყის, როგორ ისწრაფოდნენ ისინი, ვიდრე მიალწიეს ტემრის ტაფობს.

სტუმრებს ტემრაში დაუხვდა მხედარმთავრებითა და ტომთა ბელადებით გარშემორტყმული კორმაკი. იგი ზარ-ზეიმით მიეგება ფინს და მის თანხლებ ფენიებს.

ამის შემდეგ ყველანი ერთად დაიძრნენ ხელმწიფის სანადიმო სელარისაკენ. მიდხუარტს უხმობდნენ ამ სელარს.

ირლანდიის ხელმწიფე დაბრძანდა ტახტზე, მარცხნივ დაისვა დედოფალი ეიტნე, ატან კორკაინის ასული, დედოფლის გვერდით კი დაჯდა გრაინე. ხელმწიფის მარჯვნივ დაბრძანდა ფინი, კუმალას ქე, მის გვერდით დაჯდა კაირპრე ლიფეხაირი, კორმაკის ძე; ხოლო ოისინ ფინის ძემ აღგილი დაიკავა დარბაზის მეორე მხარეს. ასე განლაგდნენ ისინი, მათი წოდებისა და პატივის მიხედვით.

ფინის უბრძნესი დრუიდი, დაირე დუნანხი, ძე მორნისა, გრაინეს გვერდით ჩამოჯდა და მათ შორის მალე საუბარი გაიმართა. ბოლოს წამოდგა დრუიდი დაირე და სიმღერით აღიდა გრაინეს წინაპარნი. მაშინ ჰკითხა გრაინემ დრუიდს:

— რა ზრახვით მოვიდა ფინი ამ საღამოს?

— შენ თუ არ უწყვი ეს, მაშინ საიდან უნდა ვუწყოდე მე, — მიუგო დრუიდიმა.

— მე მსურს მოვისმინო ეს შენგან, — რქვა გრაინემ.

— მაშ, ისმინე, — მიუგო დრუიდიმა: — მას ნებავეს, გახდეს მისი ცოლი და ერთგული მეუღლე. ამიტომ გეახლათ ფინი დღეს.

— ეს გასაოცარი სიახლეა ჩემთვის, — იზრახა გრაინემ, — რომ არა ოისინი, არამედ ფინი ითხოვეს ჩემს ხელს, რამეთუ, უფრორე შემეფერებოდა მე ისეთი ყმაწვლი კაცი, როგორც ოისინია, ვიდრე ფინი, რომელიც მამაჩემზე ხნიერია.

— ნუ ამბობ ეგრე, — რქვა დრუიდიმა, — რამეთუ კმა არს, შეიტყოს ფინმა... ნათქვამი ეგე და აღარ შეგიროთოს ცოლად, მაშინ ვერც ოისინ გაბედოს შენი შერთვა.

— ახლა კი მარქვი, — იზრახა გრაინემ, — ვინ არის მხედარი იგი, ოისინის, ფინის ძის მარჯვნივ რომ დამჯდარა?

— იგი გოლი, — მიუგო დრუიდიმა, — ძე მორნესი, შეუდრეკელი და ჩალხი.

— იგი ვინღაა, გოლის გვერდით რომ დაბრძანებულა? — ჰკითხა გრაინემ.

— ოსგარი, ძე ოისინისა, — მიუგო დრუიდიმა.

— ის გრძელფეხა და ტანადი მხედარი ვინღაა, ოსგარის გვერდით რომ ზის?

— იგია კაილტე, ძე რონანისა, — იყო პასუხად.

— იგი ზვიადი და მქირდავი მხედარი ვინღაა, კაილტეს გვერდით რომ დაბრძანებულა? — კვლავ ჰკითხა გრაინემ.

— იგი დაუბრძანია, ძე ლუგაიდ მკლავმაგარისა და ფონის, კუმალას ძის დაისა.

— ახლა კი მარქვი, ის ვინღაა, მზით გარუჯული, ტკბილმოუბარი, ხუჭუჭთმიანი და დაწვებწითელი მხედარი, ოისინის, ფინის ძის მარჯვნივ რომ ზის? — ჰკითხა გრაინემ.

— მხედარი იგი დიარმაიღია, ძე ო, დუივენესი. იგია რჩეული დიაცთა და ასულთათვის.

— დიარმაიდის გვერდით ვინღაა? — კვლავ იკითხა გრაინემ.

— დიორუინგია იგი, ძე დოვარ დამად ოზაისგნესი: იგიც დრუიდი, განსწავლული ფრიად, — მიუგო დაირე დუანახმა.

— ვერაფერს იტყვი, რჩეული სტუმრები არიან, — იზრახა გრანემ.

მაშინ იხმო გრანემ თავისი ერთგული მხევალი და უბრძანა, მოელო სამონადირეო ოქროს თასი, რომელიც მას ტემრაში დაშთა. მხევალმა მოიღო თასი და გრანემ პირთამდე აღავსო იგი ღვინით (ხოლო ეს თასი კი იტევდა იმდენს, რომ ცხრა ვაჟკაცს ცხრაჯის უნდა ეგემა იგი, რათა ფსკერამდე დაეშრო), და წარსტევა გრანემ:

— თასი ესე უწინარესად მთავარი ფინს და სთხოვე, იგემოს ყლუბი თასიდან, თანაც უთხარ, რომ იგი მივართვი მე.

მხევალმა მიართვა თასი ფინს და ამცნო ყოველი, რაიც გრანემ დააბარა. ფინმა მოსვა თუ არა ერთი ყლუბი, მყის ძილქუში დაეუფლა. შემდეგ კორმაკმა მოსვა ყლუბი და ძილმა სძლია იგიც. მაშინ ეიტნემ აიღო თასი იგი და იგემა ყლუბი ღვინო, და ძილმა დაბორკა იგი, ვითარცა სხვანი. მაშინ იხმო გრანემ უერთგულესი მხევალი თვისი და უბრძანა მხევალს:

— თასი ესე მთავარი კაირპრე ლიფეხაირს და სთხოვე, ბაგე შეაბოს თასს. შემდეგ კი მთავარი ხელმწიფის ძეთ, მის გვერდით რომ დაბრძანებულან.

მაშინ მხევალმა თასი იგი მიართვა კაირპრეს და კაირპრემ მოსვა თუ არა თასი, ველარ ძალიდვა მისი სხვისთვის გადაცემა, რამეთუ ძილი დააცხრა მკვეთრ, ვითარცა ყოველს, ვინც იგემა ღვინო იგი. მთვარეულნი ერთურთზე წაეწყვნენ და განეწყვნენ ძილად.

ოდეს გრანემ იხილა ყოველი, მაშინ წამოდგა იგი ზვიადი და ჰაეროვანი და ეზრახა ოისინს:

— მაოცებს საქციელი ფინის, კუმალას ძისა. ვითარ ძალედვა მას ეთხოვა ხელი ისეთი ასულისა, როგორიც მე ვარ? განა უმჯობესი არ იქნებოდა, ცოლად გავყოლოდი კაცს, რომელიც ასაკით ტოლია ჩემი, ვიდრე კაცს, რომელიც მამაჩემზე უფროსია.

— ნუ იტყვი ეგრე, ო, გრანე, — რქვა ოისინმა. — ფინმა რომ შეიტყოს სიტყვები ეგე, ცოლად აღარ შეგიერთავს ფინი და ვერც მე გავბედავ შენს შერთვას.

— თუ გთნავს ტრფიალი ჩემი? — ჰკითხა გრანემ.

— არა, არ მთნავს, — მიუგო ოისინმა. — შენ გარიგებული ხარ ფინზე და მე არ შევეცილები ფინს.

მაშინ გრაინემ მიმართა ხედვა ღიარმაიდ ო'ლუივენეს და ეზრაბას მას:

— რახან ჯერ არ გამიზიარებია სახელი ოისინისა, იქნებ შენ მაინც თუნავს ტრფიალი ჩემი.

— არა, — წარსთქვა ღიარმაიდმა, — ასულს, რომელიც მზად იყო გაჰყოლოდა ოისინს, ცოლად არ შევიერთავ მე, თუნდაც იგი ჯერ გარიგებული არ იყოს ფინზე.

— მაშინ უწყოდე, ო, ღიარმაიდ, — რქვა გრაინემ, — მე შენ დაგბორკავ სიყვარულის მძიმე ბორკილებით, თან თუ არ წამიყვან, ვიდრე გაიღვიძებენ ფინი და ირლანდიის ხელმწიფე.

— მძიმე ბორკილებით დამბორკე მე, ჰოი ღიაცო, — რქვა ღიარმაიდმა. — და რად დამბორკე სწორედ მაშინ, ოდეს განიღვიძეს უფლისწულთა და ბრწყინვალე მთავართა ხელმწიფის სელარში, მიღხუარტს რომ უხმობენ, და იხილეს, რომ მათ შორის არვინაა ასულის ტრფობის ღირსი, თვინიერ ღიარმაიდ ო'ლუივენესი?

— ვფიცავ ჩემს ხელს, ო, ღიარმაიდ, შემთხვევით როდი დაგბორკე მე ამ ბორკილებით, — მიუგო გრაინემ, — ახლავე აგისხნი ყოველს: იმ ოდეს, ოდეს ირლანდიის ხელმწიფე სპათა აღხილვად იმყოფებოდა ტემრის ველად, იქ შემთხვევით აღმოჩნდნენ ფინი და მისი შვიდი ფენია. და მოხდა იქ დიდი შეჯიბრი კაირპრე ლიფენაირ კორმაკის ძესა და ღუბტახ ლუგაიდის ძეს შორის, აგრეთვე, ბრეგმაგისა და კერნის მოყმეთა შორის. მაშინ ტემრის მძლავრი ტალღები დადგნენ კაირპრეს მხარეზე, ხოლო ირლანდიის ფენიები — ღუბტახ ლუგაიდის ძის მხარეზე, და აღარავინ დარჩა იმ თავყრილობაში ხელმწიფე ფინისა და შენს გარდა, ო, ღიარმაიდ. მოხდა ისე, რომ არ გაუმართლა ღუბტახ ლუგაიდის ძეს. მაშინ წამოიძარათ შენ შენი ადგილიდან, ხანჯალი გამოართვი გვერდით მჯდომ მხედარს, ჩაარქვე იგი მაგარ მიწაში და ჩაეხი ასპარეზობაში, და შენ სამგზის დაჯაბნე კაირპრე და ტემრის სხვა მხედარნი. მე მაშინ ვიჯექ ჩემსავე კოშკში და სარკმლის ცისფერი მინიდან ვჭვრეტდი ყველაფერს. მას შემდეგ შენ გიძღვენ მე სიყვარული ჩემი, და აწი აღარავის ვუძღვნი მას მთელს ღუნიაზე.

— ძლიერ მიკვირს, მე რომ მეტრფი და არა ფინს, — რქვა ღიარმაიდმა, — რამეთუ კარგად ხედავ, მთელს ირლანდიაში არ მოიძევება

კაცი, ისე მძლავრად რომ ეტრფოდეს დიაცს, ვითარცა ფინი გეტრ-ფის შენ. თანაც უწყოდე, გრანინე: ოდეს ფინი ტემრაში იყო, სწორედ მას ჩააბარეს ციხე-სიმაგრის გასაღები. ამრიგად, როგორღა გავალწვევთ ჩვენ ციხე-სიმაგრესთან?

— არის ჩემს კოშკში მოჯადოებული კარი, — რქვა გრანინემ, — და ჩვენ გავალწვევთ იმ კარით.

— აღთქმა მაქვს დადებული, აროდეს გავიარო მოჯადოებულ კარში.

— გამიგონია, — რქვა გრანინემ, — რომ მამაც მხედარს თავისი შუბისა და მახვილის წყალობით, ძალუძს გააღწიოს და გამოაღწიოს ყოველი ციხე-სიმაგრის პატნეზში. მე გავალწვევ მოჯადოებულ კარს და შენ მომყვები კვალდაკვალ.

გრანინემ გაიარა კარი, როგორც თქვა, დიარმადმა კი მიმართა თავის ხალხს:

— ო, ოისინი, ძეო ფინისავ, რა მოვეუხერხო სიყვარულის ამ ბორკილებს, რომლითაც დამბორკეს?

— შენი ბრალი როდია შენი ბორკილები. მე გეტყვი შენ: გაჰყევ გრანინეს და ერიდე ფინის ოინებს.

— ო, ოსგარ, ძევ ოისინისავ, რა მოვეუხერხო იმ ბორკილებს, რომლითაც დამბორკეს?

— მე გეტყვი შენ: გაჰყევ გრანინეს, — რქვა ოსგარმა, — რამეთუ უბადრუკია მხოლოდ იგი, ვისაც არ ძალუძს სიყვარულის ბორკილების ზიდვა.

— შენ რაღას მირჩევ, ო, კაილტე? — ჰკითხა დიარმადმა.

— მე გეტყვი შენ, — მიუგო კაილტემ: — მე მიზის ღირსეული მეუღლე. მაგრამ გრანინეს სიყვარული უძვირფასესი განძი იქნებოდა ჩემთვის.

— შენ რაღას მირჩევ, ო, დიორუინგ?

— მე გეტყვი შენ: გაჰყევ გრანინეს, თუმცაღა ვუწყი, მოგაკვდინებს შენ ეს და მე მეტბრალვი ფრიად.

— ნუთუ ყველანი ამას მირჩევთ? — იკითხა დიარმადმა.

— რა თქმა უნდა, — რქვა ოისინმა. და ყველამ ასევე მიუგო.

ამის შემდეგ დიარმადი წამოიმართა თავისი ადგილიდან, მგმი-

რავი მარჯვენა მახვილისაკენ განაპყრო და დაემშვიდობა ოისინსა და ფენიათა მხედართმთავრებს.

სისხლივით წითელი მარწყვი არ ბრწყინავს ისე, ვითარცა ბრწყინავდა დიარმაიდის თვალთაგან მოწყვეტილი ყოველი კურცხალი, ოდეს ეთხოვებოდა იგი თანშეზრდილ თანამებრძოლებს.

ამის შემდგომ დიარმაიდი ამაღლდა ციხე-სიმაგრის პატნეზზე, შედგა შუბის წვერზე და ფრინველის დარად, მსუბუქად და ლალად აეშვა ჰაერში, და იფრინა მანამ, ვიდრე არ მიაღწია ორ მდელს, რომელიც მდებარეობდა ერთ მშვენიერ ტაფობზე. იგი დაეშვა დაბლა და გრანინე მიეგება მას. ეზრახა დიარმაიდი გრანინეს:

— ცუდი საქმე ჰქმენ, ო, გრანინე. უმჯობესი იყო, შეგყვარებოდა ფინი, კუმალას ძე. რამეთუ არ ვუწყვი მე, ირლანდიის რომელ მხარეში, რომელ ტყესა და რომელ გამოქვაბულებში უნდა წაგიყვანო შენ და როგორ დაგაბრუნო შემდეგ შენსავე კოშკში ისე, რომ ფინმა ვერასოდეს შეიტყოს შენი გაქცევის ამბავი.

— მე აღარასოდეს დავუბრუნდები იმ კოშკს და აღარასოდეს დაგმორდები შენ, თუ სიკვდილმა არ დაგვაშორა.

— მაშ დავიძრათ გზაზე, ო, გრანინე, — რქვა დიარმაიდმა.

დიარმაიდი და გრანინე დაადგნენ გზას, მაგრამ ერთი ბილიკიც კი არ გაეცლოთ, იზრახა გრანინემ:

— ო, ო'დუივენეს ძეო, მე დავიქანცე.

— შენი დაქანცვის ჟამია ჰეშმარიტად, ო, გრანინე, — რქვა დიარმაიდმა. — უკან დაბრუნება გიჯობს. ვფიცავ მხედრის ღირსებას, რომ ხელით არასოდეს მიტარებია დიაცი და არც შენ გატარებ.

— არც არის საჭირო, — რქვა გრანინემ, — აქვე, შემოღობილ მდელობზე, მამიჩემის ბედაურები დაბალახობენ, მათ გვერდით კი ეტლები დგანან. წამოასხი ბედაურნი, აქვე დაგიცდი.

დიარმაიდი მიეპარა ცხენებს, ორი ბედაური შეიპყრო და ეტლში შეაბა. ხოლო იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს მათ ბელ-ატა-ლუაინამდე, ჩვენ არაფერი ვუწყით.

დიარმაიდი ეზრახა გრანინეს:

— ფინს გაუადვილდება ჩვენი კვალის მიგნება, რამეთუ ცხენები გვიბია ეტლში.

— მაშინ მივატოვოთ ცხენები და ფეხით გავუდგეთ გზას.

მათ გალიეს ბელ-ატა-ლუიანი და მიადგნენ დამშრალი ნაკადის კალაპოტს. მაშინ დიარმაიღმა დაუტევა ერთი ცხენი ეტლითურთ კალაპოტის ერთ მხარეს, მეორე კი მეორე მხარეს. შემდეგ კი დაიძრნენ კალაპოტის დასავლეთ და მიაშურეს კონახტის მეხუთედს.

ალარაფერია ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს მათ დოირა-და-ვოტს, კლან-რიკარდის შუაგულში რომ მდებარეობს. იქ დიარმაიღმა დასხეპა მსხვილი ტოტები, დაწნა ტყრუშული ლობე და შვიდი კარი შეაბა ლობეს. შემდეგ ნორჩი ბუჩქებისა და არყის ფოთლებისაგან გრაინესათვის სარეცელი დაწნა და კარვის შუაგულში დადგა.

ახლა კი მოგიტხრობთ ფინზე, კუმალას ძეზე.

მონადიმეებმა უთენია გამოიღვიძეს და იხილეს, რომ დიარმაიღი და გრაინე მათ შორის აღარ იმყოფებიან.

ეპვის ცეცხლი შეეგზნო ფინს, კუმალას ძეს, და მრისხანებამ ერთიან მიუღო ძალი. მას ამცნეს, რომ კლან ნავენის ველზე ნაპოვნია მათი კვალი. მაშინ ბრძანა ფინმა, — მიჰყოლოდნენ კვალს. კვალმა ბელ-ატა-ლუიანის ციხე-სიმაგრეში მიიყვანა მღვერები და ფინმაც, ფენიებიტურთ, მიაღწია ამ ადგილს. მაგრამ მათ ფრიალ გაუძნელდათ ციხე-სიმაგრეში შეღწევა. მაშინ ფინმა დაიფიცა მხედრის ღირსება, რომ თუ მისი ფენიები ვერ გააღწევდნენ ციხე-სიმაგრეს, იგი დასჯრიდა მათ თავებს და სიმაგრის კედლებზე დაჰკიდებდა.

მაშინ მღვერებმა გააღწიეს ამ ციხე-სიმაგრეს და ფინი ირლანდიელი ფენიებიტურთ მიადგა ნაკადის კალაპოტს და იხილა იქ ცხენები, — ერთი—კალაპოტის ერთ მხარეს, მეორე კი—მეორე მხარეს. მაშინ მღვერები დაიძრნენ კალაპოტის დასავლისაკენ და გალიეს თუ არა ერთი მილი, შეამჩნიეს დევნილთა კვალი; კონახტის მეხუთედისაკენ მიედინებოდა კვალი იგი. ფინი და ირლანდიელი ფენიები მიჰყვნენ კვალს.

მაშინ იზრახა ფინმა:

— ახლა ვუწყი მე, სად ვეძიოთ დიარმაიღი და გრაინე. უნდა ვეძიოთ დოირა-და-ვოტში.

ოისინმა, ოსგარმა, კაილტემ და დიორუინგმა, დოვარ დამადო' ბაისგნეს ძემ, ისმინეს ეს სიტყვები, და იზრახა ოისინმა:

— დიარმაიღი და გრაინე თუ შეიპყრეს, არც ჩვენ დაგვადგება

კარგი დღე. უნდა გავაფრთხილოთ ისინი. ერთი გახედეთ, სად არის ბრანი — ფინის, კუმალას ძის მწევარი. ოსგარ, წარგზავნე იგი გაფრთხილებით დიარმაიდთან დოირა-და-ვოტში.

მაშინ ეზრახა ოსგარი ბრანს. ბრძენმა ძალმა უმაღლესი გაუგო ოსგარს და ჯარის ბოლოში გააღწია, რათა ფინს ვერ შეენიშნა იგი. შემდეგ კი ისწრაფა დიარმაიდისა და გრანინეს კვალზე და მიაღწია დოირა-და-ვოტას. ბრანმა დრუნჩი შეჰყო კარავში, სადაც იმაღლე-ბოდნენ დიარმაიდი და გრანინე.

უმაღლესი განიფრთხო ძილი დიარმაიდმა, გააღვიძა გრანინეც და ეზრახა:

— მოვიდა ბრანი, ფინის კუმალას ძის მწევარი, რათა გვამცნოს ფინის მოახლოება.

— მაშინ მსწრაფლ განერიდეთ აქაურობას, — რქვა გრანინემ.

— არა, — წარსთქვა დიარმაიდმა, — ტყიდან გასვლასაც ვერ მოვასწრებ, რომ უკვე შემიპყრობს ფინი.

ამის გაგონებაზე გრანინე ერთიან აცახცახდა, ხოლო ბრანი კი დაუბრუნდა მღვერებს.

მაშინ ოსინი, ძე ფინისა, ეზრახა თავის მეგობრებს:

— მე ვგონებ, ბრანმა ვერ მიაღწია დიარმაიდს. ჩვენ უნდა გავუგზავნოთ მას სხვა გაფრთხილება. გახედეთ, სად არის ფარგ-ოირი. საჭურველთმტვირთველი კაილტესი.

— იგი ჩემს გვერდითაა, — სთქვა კაილტემ.

უნდა ითქვას, რომ კაილტეს საჭურველთმტვირთველი განთქმული იყო თავისი ძალოვანი ხმით. სამ მილზე ისმოდა ძახილი მისი. უბრძანეს მას, ისე მძლავრად დაეყვირა, რომ დიარმაიდს გაეგონა.

დიარმაიდმა რა გაიგონა ფარგ-ოირის ხმა, გააღვიძა გრანინე და ეზრახა:

— მე მესმის კაილტეს საჭურველთმტვირთველის რონანის ძის ხმა, და მე ვუწყვი, რომ იგი ყვირის კაილტეს ბრძანებით, და ვუწყვი. რომ ამით ფინის მოახლოებას მამცნობენ მეგობრები.

— ყურად იღეთ ეს გაფრთხილება, — რქვა გრანინემ.

— არა, — მიუგო დიარმაიდმა, — კარვიდან გასვლა და ჩვენი შეპყრობა ერთი იქნება. ოდეს მოისმინა ეს სიტყვები, შიშმა და ძრწოლამ აიტანა გრანინე.

ახლა მოვიქცეთ ფინის კვალზე.

ფინი ჭიუტად ისწრაფოდა დევნილთა კვალზე, ვიდრე არ მიაღწია ღოირა-და-ვოტას. მან ტყეში წარგზავნა ავუნის ტომისანი, რათა გამოეძიათ ტყე. მათ გამოიძიეს ტყე და ჰპოვეს ღიარმაიდი ღიატან ერთად. მაშინ ეახლნენ ისინი ფინს და ფინმა ჰკითხა მათ, თუ მიაგენითო ღიარმაიდსა და გრაინეს.

— ღიარმაიდი ტყეში იმყოფება, — მიუტყეს მათ, — და მასთან არის ვილაც ღიაცი. მაგრამ ჩვენ არ ვუწყით, ვინ არის ღიაცი იგი, რამეთუ ვუწყით, როგორია ღიარმაიდი და არ ვუწყით, როგორია ღიაცი იგი, გრაინეს რომ უხმობენ.

— ღიარმაიდის მეგობრები მოციუნდებიან ღიარმაიდის გამო, — იზრახა ფინმა. — ჩვენ არ დავაგდებთ ამ ტყეს, ვიდრე სამაგიეროს არ მივაგებ ღიარმაიდს ამ დიდი შეურაცხყოფისათვის.

— ბოროტი იქვი გალაპარაკებს შენ, ო, ფინ, — რქვა ოისინმა. — რად დარჩებოდა ღიარმაიდი მაინმაგის ველად, როცა იქ არ დგას არავეითარი ციხე-სიმაგრე და ოღეს უწყის, რომ შენ დაეღვენები მას?

— ვერაფერს მოიგებ მაგ სიტყვებით, ო, ოისინ, — რქვა ფინმა, — მე კარგად გავიგონე სამი ძახილი კაილტეს საჭურველთმტვირთველისა, და ვუწყი, ამით შენ გააფრთხილე ღიარმაიდი, ვითარცა ვუწყი იგი, რომ ბრანი, მწევარი ჩემი, წარგზავნე მასთან სხვა გაფრთხილებით, მაგრამ არც ერთი გაფრთხილება აღარ უშველის მას. რამეთუ ვერ დააგდებს იგი ღოირა-და-ვოტას, ვიდრე სამაგიეროს არ მივაგებ იმ შეურაცხყოფისა და აუტისათვის, რომელიც მომაყენა.

— თუ ფიქრობ, რომ ღიარმაიდი აქ იმალება და გიცდის შენ, რათა შეიპყრო იგი, ეს სიბრიყვეა შენგნით, — რქვა ოსგარმა, ოისინის ძემ.

— მაშ შენი აზრით, ტყეში ვინ დასხეპა ტოტები და დაწნა ესოდენ მაღალი ღობე შეიდი მაგარი კარით? — ჰკითხა ფინმა. — პასუხი გაგვეც, ო, ღიარმაიდ, — იქვეა ფინმა; — ვინაა მართალი ჩვენ შორის: მე თუ ოსგარი?

— შენ არასოდეს შემცდარხარ, ო, ფინ, — გასძახა ღიარმაიდი. — მე და გრაინე აქ ვიმყოფებით.

მაშინ უბრძანა ფინმა ირლანდიელ ფენიებს, ალყა შემოერტყათ

ღიარმადისათვის, შეეპყროთ იგი და მასთან მოეყვანათ. და ფენიებში უახლოვდნენ ღიარმადის კარავს.

ღიარმადი წამოიმართა და სამგზის ეამბორა გრაინეს. ეს იხილა ყველამ, იხილა ფინმაც და ავმა ეჭვმა შეიპყრო იგი. ძალი მიეღო რისხვისაგან, და სთქვა, რომ ღიარმადი ამ ამბოროთათვის პასუხს აგებსო თავით.

ამ დროს ბრუგელი ანგუსი,² ღიარმადი ო' დუივენეს მეურვე და აღმზრდელი, იჯდა ბოინის ბრუგში და იხილა გასაჭირი მისი შვილობილისა. მაშინ იხმო მან ზურგის ქარი, აღჯდა ზედ და ისწრაფა დიორა-და-ვოტისაკენ: მან შეუძმნეველად ჩაუქროლა ფინსა და ფენიებს და გასწია იქით, სადაც ეგულვებოდა ღიარმადი და გრაინე. იგი მისალმა ღიარმადის და ჰკითხა მას:

— რა ჩაიღინე, ო, ო' დუივენეს ძეო?

— ირლანდიის ხელმწიფის ასული გაექცა მამისეულ სახლს და თავი დააღწია ფინს, — მიუგო ღიარმადი, — მაგრამ ჩემი სურვილით როდი მოხდა ეს.

— ამოეფარეთ ჩემი ლაბადის კალთებს, — სთქვა ანგუსმა, — და ფინისა და ფენიების უგრძნეულოდ გაგიყვანთ აქედან.

— გრაინე განმარიდე, — მიუგო ღიარმადმა, — მე კი აქ დავრჩები. თუ ცოცხალი დავრჩი, უთუოდ გინახულე, ხოლო თუ მომკლეს, მაშინ გრაინე მიჰგვარე მამამისს, რათა თავად მოუაროს მას, როგორც ენებოს.

ამის შემდეგ ანგუსმა შეიფარა გრაინე ლაბადის ქვეშ და გაუჩინარდა ფინისა და ფენიების უგრძნეულოდ.

და არაფერია თქმული მათ შესახებ, ვიდრე არ მიაღწიეს როს-და-შოილახს, რომელსაც ამჟამად ლუიმნარხს უხმობენ.

ახლა კი დაეუბრუნდეთ ღიარმადის.

იგი ბერმუხასავით წამოიმართა ზეზე, გარდაიცვა აბჯარი, ზვიადად შეირტყა ფხიანი მახვილი და ხელთ იპყრა მძიმე და გრძელი შუბი. შემდეგ ღიარმადმა შეანჯღრია კარვის შვიდი კარიდან ერთ-ერთი და იკითხა, ვინ იღვა კარს უკან.

— არც ერთი აქ მდგომი მტერი არ არის შენი, — მიუგეს მათ, — რამეთუ აქ დგანან ოისინი, ძე ფინისა, ოსგარი, ძე ოისინისა, და ბელადები ბაისგნეს ტომისა. მოვედ ჩვენთან და ვერვინ შეგეხოს შენ.

— არ მოვალ მე თქვენთან, ვიდრე არ შევიტყოფ, რომელ კართან დგას თავად ფინი.

ღიარმადმა შეანჯღრია შემდეგი კარი და იკითხა, ვინ იღვა კარს უკან.

— კაილტე, ძე რონანისა და მისი გასაგისი. მოვედ ჩვენთან და გაგვიძეხ ბრძოლად.

— არა, არ მოვალ მე თქვენთან, — მიუგო ღიარმადმა, — რამეთუ არა მწადს, ფინი განვარისხო თქვენზე.

ღიარმადმა შეანჯღრია მესამე კარი და იკითხა, ვინ იღვა კარს უკან.

— აქ დგას კონანი, ძე ფინ ლიატლუახრისა, და მას თან ახლავან მორნეს გასაგისი. ჩვენ ფინის მტრები ვართ და ამიტომ მოვედ ჩვენთან და არავინ შეგეხოს შენ.

— არ მოვალ თქვენთან, — რქვა ღიარმადმა, — რამეთუ ფინი მოგაკედინებთ თქვენ, ვიდრე მე კარვიდან მოვასწრებ გამოსვლას.

მაშინ ღიარმადმა შეანჯღრია მეოთხე კარი და იკითხა, ვინ იღვა კარს უკან.

— ფინი, მეგობარი და მოყვარე შენი, ძე კუადან მურხადის ძისა, წინამძღოლი მუვის ფენიებისა. მუმანის ფენიებიც თან ახლავან მას. ჩვენ შენი მიწისანი ვართ, ო, ღიარმად, და შენთვის გავიღებთ სისხლსა და გავწირავთ სიცოცხლეს.

— არა, არ მოვალ მე თქვენთან, — რქვა ღიარმადმა. — მე არ შემიძლია, რომ ფინი განვარისხო თქვენზე იმ კეთილი საქმისა გამო, რომელიც ჩემთვის ქმენით.

ღარმადმა შეანჯღრია მეხუთე კარი და იკითხა, ვინ იღვა კარს უკან.

— აქ დგას ფინი, ძე გლორისა, წინამძღოლი ულადის ფენიებისა. ულადის მთელი ფენიები შეგეხოს შენ.

— არ მოვალ მე თქვენთან, — მიუგო ღიარმადმა, — რამეთუ შენ მეგობარი ხარ ჩემი, ხოლო მე მამაშენის ვარ მეგობარი. არ დავუშვებ, ფინის რისხვა რომ იგემოთ ჩემს გამო.

ღიარმადმა შეანჯღრია მეექვსე კარი და იკითხა, ვინ იღვა კარს უკან.

— არც ერთი აქ მდგომი არაა შენი მეგობარი, — გაისმა პასუ-

ხად, — რამეთუ აქ დგანან ავუინის მკვიდრნი: ედ-ბაგი, ედ-ფადა, კელ-კროდა, კონინახი, გოტან გილმურახი, აგრეთვე აიფე, ასული კონანასი, და კუალან ლოიგაირე. ჩვენ ყველას გვძულხარ შენ, და თუ გამოხვალ, ისე აგჩეხავთ, რომ ვალან სულამოსულს დაგამსგავსებთ მკვეთრ.

— სიბილწე — აი, ნამდვილი სახელი თქვენი, — იზრახა დიარმა-ილმა. — ჰოი, თქვენ, დამშეულნი მეძებარნი! როდი მაშინებს მახვილი თქვენი, სიძულვილის გამო არ გამოვალ გარეთ.

მაშინ დიარმაილმა შეანჯღრია მეშვიდე კარი და იკითხა, ვინ იდგა კარს უკან.

— აქ დგას თავად ფინი, ძე კუმალასი, ძე არტისა, ძე ფრენმორ ო'ბაისგნესი და მას თან ახლავს ოთხასი მხედარი. ჩვენ გვძულხარ შენ და თუ გამოხვალ, შევმუსრავთ შენს სხეულს და ავჩეხავთ შენს ძვლებს.

— ვიძლევი მხედრის სიტყვას, — მიუგო დიარმაილმა, — კარი. რომლის წინაშეც მე ვდგავარ, იქნება პირველი, რომელსაც მე განვახვამ.

ფინმა გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, უბრძანა თავის ფენიებს, არ დამფრთხალიყვნენ და არ გაეშვათ დიარმაილი.

მაგრამ დიარმაილი თავისი პოროლისა და ისრების წყალობით. მსუბუქად აეშვა ჰაერში და დაეშვა შორს, ფინისა და ფენიების მიღმა, მიუწვდომელი და უხილავი მათგან.

მაშინ უკმოიხედა დიარმაილმა, გამობერილ ფარაჯას ხელი დაჰკრა და გასძახა მღევართ, რომ იგი უკვე სამშვიდობოს იყო გასული. შემდეგ იგი გაემართა დასავლეთისაკენ და ერთხანს მალულად იარა ტყეში, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მღევრები აღარ მომდევნო, და მი-აღწია იმ ადგილს, სადაც ანგუსი და გრაინე განეშორნენ მას. დიარმაილი მიჰყვა მათ კვალს და მიაღდა ხოს-ლა-შოილანს.

დიარმაილმა მიაგნო ანგუსსა და გრაინეს: ისინი ისხდნენ მცირე სახლში და თბებოდნენ დიდ გაჩაღებულ კერძისთან. შამფურზე იწვოდა ქოსმენის ხორცი. დიარმაილი მიესალმა მათ და თითქოს თავად სიცოცხლე აღმოფრინდა გრაინეს ბაგეთაგან, ესდენ დიდი იყო შეყარის სიხარული.

დიარმაილმა ბოლომდე მოუთხრო მათ, რაიც თავს გარდახდა.

შემდეგ დევნილებმა მაძღრისად ივანეშემს. დიარმაიდი და გრანინე ერთად დაწვნენ და იძინეს, ვიღრე დღე არ გამოეცხადათ ნათელი მზით.

ანგუსი ადრე წამოდგა და ეზრახა დიარმაიდს:

— ახლა კი უნდა დაგტოვო, ო'დღეივნეს ძეო. და წასვლის წინ აი რას გირჩევ: ნუ შეხვალ ტყეში, თუ ტყეში მხოლოდ ერთი გზა შედის (ფინზე უწინ ნუ შეხვალ). ნუ შეხვალ გამოქვაბულში, თუ მას მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს; ნუ გადახვალ კუნძულზე, თუ მისკენ მხოლოდ ერთი გზა მიდის; კერძი სადაც მოამზადო, იქ არ აგემო იგი, ხოლო სადაც იგი იგემო, იქ არ დაიძინო. ხოლო როცა დაიძინო, აღსდექ უთენია.

ამის შემდეგ ანგუსი დაემშვიდობა მიჯნურთ, უსურვა მათ კეთილი მგზავრობა და თავის ბრუგს დაუბრუნდა.

მაშინ დიარმაიდი და გრანინე გზას დაადგნენ. სიონი ხელმარჯვნივ ჩამოიტოვეს და იარეს დასავლეთისაკენ. ბოლოს მიადგნენ გარბა-ავანაგ-ფიანს, რომელსაც ამჟამად ლავანს უხმობენ. დიარმაიდმა იქ შეიპყრო ორაგული, შამფურზე წამოაცვა და შეწვა.

შემდეგ მათ გადავლეს წყარო და სხვა ადგილას იგემეს ორაგული, ანგუსის რჩევისამებრ. ბოლოს კვლავ დასავლეთისაკენ იარეს, გზაში გამოიძინეს და ანგუსის რჩევისამებრ, უთენია წამოდგნენ ზეზე. შემდეგ კვლავ დასავლეთისაკენ გასწიეს და მიაღწიეს ფინლიახის ჭაობს.

ჭაობთან იხილეს უცხო ჭაბუკი. თვალადი და ტანადი იყო ჭაბუკი იგი, მაგრამ სრულიად უსაჭურვლო. დიარმაიდი მიესალმა ჭაბუკს და სთხოვა, მოეთხრო თავისი ამბავი.

— მე ჭაბუკი მხედარი ვახლავართ და მნებავს ბატონი, — მიუგო მან, — მუადანს მიხმობენ სახელად.

— ჭაბუკო, რით შეგიძლია მემსახურო? — ჰკითხა დიარმაიდმა.

— მე გემსახურები დღისით და დაგიცავ ღამით, — მიუგო მუადანმა.

— მე გირჩევ აიყვანო იგი, — რქვა გრანინემ, — რამეთუ შორს ვერ წავალთ მსახურის გარეშე.

ისინი შეუთანხმდნენ ჭაბუკს და კვლავ იარეს დასავლეთისაკენ,

ბოლოს მიაღწიეს კარტახს და მიადგნენ ერთ ღელეს. მუადანმა სურვილი გამოსთქვა, ზურგით გადაიყვანთო ღელეზე.

— მიძიმე ტვირთი ვიქნებით შენთვის, — რქვა გრაინემ.

მუადანმა მაინც მოიკიდა ისინი ზურგზე და გადაიყვანა ღელეზე და კვლავ დაიძრნენ ისინი დასავლეთისაკენ და იარეს მანამ, ვიდრე არ მიაღწიეს ბეიტს, და ოდეს ისინი კვლავ მიადგნენ ღელეს, მუადანი ისევე მოიქცა, როგორც პირველად. შემდეგ იხილეს მათ გამოქვაბული და შევიდნენ შიგ კურტახ კინდამაულის მხრიდან, ტონ ტომესთან რომ მდებარებს. მუადანმა ნორჩი ბუჩქისა და არყის ფოთლებისაგან დიარმაიდისა და გრაინესათვის საწოლი დაწნა, შემდეგ მებზობელ ტყეში გაეშურა; მოჭრა გრძელი და წვრილი არყის ტოტი, ნემსკავითა და თმით ანკესი გააკეთა, ზედ კენკრა წამოაცვა, მივიდა ღელესთან და თევზი დაიჭირა. შემდეგ ნემსკავზე მეორე კენკრა წამოაცვა და მეორე თევზი დაიჭირა. მესამედაც ასევე მოიქცა იგი და მესამე თევზიც დაიჭირა. შემდეგ ნემსკავი და თმა ქამარში დამალა, ტოტი მიწაში დაფლა და სამივე თევზი დაირმაიდსა და გრაინეს მიართვა. მუადანმა თევზები შამფურზე შეწვა და ეზრახა დიარმაიდს:

— სამად გაჰყავ, ო, დიარმაიდ.

— მე ვგონებ, შენს მიერ ხამს მათი გაყოფა — მიუგო დიარმაიდმა.

— მაშინ შენ გაჰყავ იგი ო, გრაინე, — რქვა მუადანმა.

— კმაყოფილი დავრჩები, თუ შენ გაჰყოფ, — მიუგო გრაინემ.

— შენ რომ გაგეყო იგი ო, დიარმაიდ, ყველაზე დიდ თევზს გრაინეს მიართმევდი, ხოლო შენ რომ გაგეყო იგი, ო, გრაინე, ყველაზე დიდ თევზს დიარმაიდს მიართმევდი. მაგრამ, რამდენადაც თევზს გაგეყოფ მე, ყველაზე დიდი თევზი გერგება შენ, დიარმაიდ, გრაინემ კი მიირთვას მეორე, უფრო მსხვილი. ხოლო მე, ნება მიბოძეთ, დავკმაყოფილდე ყველაზე პატარა თევზით.

დიარმაიდი უთენია წამოდგა და სთხოვა გრაინეს, ამდგარიყო და მუადანთან ერთად გამოქვაბულიდან ედარაჯა. თვითონ კი წავიდა შემოგარენის გამოსაძიებლად, ავიდა უახლოეს ქედზე და ოთხი მილის მანძილზე იყურებოდა ირგვლივ. გახედა აღსავალს, დასავალს, ბორრაისსა და თემანს.

მცირე ხნის შემდეგ იხილა ზღვაზე უამრავი ხომალდი. ისინი მო-

ისწრაფოდნენ დასავლით და უახლოვდებოდნენ ქედს, რომელზედაც ღიარმაიდი ღვა.

ხომალდებიდან ნაპირზე გადმოვიდა ცხრა ბელადი. ღიარმაიდი გაემართა მათკენ; ახალი ამბების შეტყობა ეწადა ღიარმაიდს. იგი მიესალმა ბელადებს და გამოჰკითხა მათ, რომელი მხრიდან ხართო და რამ მოგიყვანათო აქ.

— ჩვენ სამივენი მუირნ ლოხტის მხარის ბელადები ვახლავართ, — მიუგეს მათ. — ფინმა, კუმალას ძემ, წარმოგვგზავნა აქ ტყეში მიმალული დამნაშავის შესაპყრობად. იგი წინ აღუდგა ფინის ნებას და ფინმა განდევნა იგი და მას უხმობენ ღიარმაიდ ო'ღუიენეს ძეს. მის შესაპყრობად მოვსულვართ აქ. თან გვახლავს სამი შხამიანი ქოფაკი. ღიარმაიდის კვალზე გავუშვებთ ამ ქოფაკებს და არ გაივლის დიდი ხანი, ოდეს შევიტყობთ, თუ სად იმალება ის ბოროტმოქმედი, რამეთუ ჩვენი ძაღლები არც ცეცხლში იწვიან, არც წყალში იძირებიან და არც საჭურველი ეკარება მათ. აგრეთვე თან გვახლავს ორასი ერთგული მხედარი და ას ჩვეულებრივ მხედარს უდრის თვითეული მათგანი. ახლა კი გვითხარ, ვინა ხარ შენ და რა გსმენია ო'ღუიენეს ძის შესახებ.

— მე წუხელ ვინილე იგი, — რქვა ღიარმაიდმა. — კარგად უწყოდეთ: თავად მე საკუთარი მახვილით და ერთგული მარჯვენით ვიკაფავ ცხოვრებაში გზას, და მე გაფრთხილებთ თქვენ, რომ ჩვეულებრივ კაცთან როდი გექნებათ საქმე, თუ ღიარმაიდს გადაეყარეთ.

— დღემდე არ შევხვედრევართ მას, — მიუგეს ბელადთა.

— რას გეძახიან თქვენ? — იკითხა ღიარმაიდმა.

— დუვ-ხოსახი, ფინ-ხოსახი და ტრენ-ხოსახი, — ასე გვინმობენ ჩვენ, — მიუგეს მათ.

— ღვინო თუ გაქვთ ხომალდებზე? — ჰკითხა მათ ღიარმაიდმა.

— დიაღაც გვაქვს, — მიუგეს მათ.

— თუ გაქვთ, მაშინ მოაგორეთ აქ ღვინის კასრი და მე გაჩვენებთ ჩემს ხელოვნებას.

მაშინ ბელადებმა რამდენიმე მხედარი კასრის მოსატანად გაგზავნეს და როცა მათ მოაგორეს კასრი, ღიარმაიდი მივიდა კასრთან, ასწია ორივე ხელით და კასრიდან ერთი ყლუბი მოსვა, დანარჩენი კი შესვეს იქვე მდგარმა მხედრებმა. შემდეგ ღიარმაიდმა აიტაცა კას-

რი, აიტანა ქედის წვერზე, შედგა ზედ და დააგორა იგი ფერდობზე. ასე იგორა კასრმა, ვიდრე არ მიალწია ქედის ძირს; შემდეგ დიარმა-იღმა კვლავ აიტანა კასრი ქედზე და სამგზის გაიმეორა იგივე, რაც პირველად ჰქმნა, თანაც ისე, რომ კასრის გორვისას იგი კასრიდან არ ჩამოსულა. მაშინ მოსულეებმა დიარმაიდს უთხრეს: გეტყობა, არასოდეს გინახავსო ნამდვილი სიკისკასე, თუ ასეთ ფუნდრუკს ხელოვნებას ეძახიო. მაშინ წინ წარსდგა ერთი ჰაბუკი მხედარი და ავიდა კასრზე. დიარმაიღმა ფეხი უბიძგა კასრს და ჰაბუკი მხედარი მიწაზე გაწერებო, კასრი თავს გადაეველო და ერთიან გასრისა იგი, ნაწლევნი გამოწელა სხეულიდან. მაშინ დიარმაიდი დაეწია კასრს და კვლავ ქედზე აიტანა. ამჯერად წინ წამოდგა მეორე მხედარი და კასრზე შედგა. დიარმაიღმა კვლავ უბიძგა კასრს ფეხი და მეორე მხედარიც ისევე მსწრაფლ გამოეთხოვა სიცოცხლეს, როგორც პირველი. დიარმაიღმა კვლავ ამოაგორა კასრი ქედზე, და ამჯერად ზედ შედგა მესამე მხედარი და იგიც გაისრისა, ვითარცა წინა ორი. ამრიგად, დიარმაიღმა ერგასი მხედარი მოაკვდინა თავისი მოხერხებით, ხოლო სიკვდილს გადარჩენილები, შებინდდა თუ არა, ხომალდებს დაუბრუნდნენ.

დიარმაიდიც დაუბრუნდა თავის გამოქვაბულს. მაშინ მუადანმა ქამრიდან გამოაძრო ნემსკავი და თმა, მიამაგრა არყის ტოტზე, მივიდა მდინარესთან და სამი ორაგული შეიბჟრო. შემდეგ არყის ტოტი მიწაზე დააგდო, ნემსკავი და თმა ქამარში შეინახა და თევზები დიარმაიდსა და გრაინეს მიაართვა. როცა ვახშმობას მორჩნენ, გამოქვაბულის შორეულ კუთხეში მუადანმა საწოლი მოაწყო მათთვის, ხოლო თავად კი შემოსასვლელში დაწვა. დარაჯობდა მათ, ვიდრე დღის ნათელმა არ გაჰკვეთა ღამის წყვილიადი.

უთენია წამოდგა დიარმაიდი, გააღვიძა გრაინე და სთხოვა, გამოქვაბულს უღარაჯეო მუადანთან ერთად. შემდეგ კვლავ იმავე ქედზე ავიდა და მცირე ხნის შემდეგ მასთან გამოცხადდა სამი ბელადი. დიარმაიღმა ჰკითხა მათ კიდევ ხომ არ გამოსცდიოთ თქვენს სიმარჯვეს. ბელადებმა მიუგეს მას, რომ გვირჩევენია ო'ღუივენეს ძეზე შევიტყოთ რაიმე, ვიდრე ჩვენი სიმარჯვე გამოვცადოთ.

— მე შევხვდი კაცს, რომელმაც დღეს იხილა იგი, — რქვა დიარმაიღმა.

და ამ სიტყვებთან ერთად დიარმაიღმა იშიშვლა მახვილი,

მძლავრად შეანჯღრია ჰოროლი, კრან-ბუიდე-მანანანი, ჩაარჭო იგი მიწაში და ჩიტვივით მიაშურა ზეცას. შემდეგ კი ისე მარჯვედ დაეშვა ქედზე, რომ არც დაქრილა და არც გაკაწრულა.

ჭაბუკი ფენიების ჯგუფს გამოეყო ერთი ახალგაზრდა მხედარი და ეზრაბა:

— შენ, როგორც ჩანს, არასოდეს გინახავს ნამდვილი სიკისკასე. ამას თუ ხელოვნებად რაცხ.

და ამ სიტყვებთან ერთად მხედარმა შეანჯღრია ჰოროლი, მიწაში ჩაარჭო და დიარმაიდის დარად შეხტა ზედ. მაგრამ ჰოროლის წვერმა გული გაუგმირა და ჰაერში დარჩა საბრალო. სული განუტევა და დედამიწას დაენარცხა უსულოდ.

მაშინ დიარმაიდმა ჰოროლი მიწიდან ამოაძრო და შემდეგ კვლავ მიწაში ჩაარჭო იგი. მეორე მხედარმა მოსინჯა თავისი სიჩაუქე, მაგრამ იგიც განიგმირა, ვითარცა პირველი.

ამრიგად, ერგასი ჭაბუკი ფენია დასცა იმ დღეს დიარმაიდთან ჯიბრმა. მაშინ სთხოვეს ფენიებმა დიარმაიდს, განგვარიდეთ ჰოროლი შენი რათა აღარ მოისრანო მხედარნი. ამის შემდეგ ფენიები მიიქცენ თავიანთ ხომალდებზე.

დიარმაიდიც მიიქცა გამოქვაბულში. მუადანმა კვლავ მიართვა მათ თევზები. დევნილებმა მადიანად ივაშმეს და დიარმაიდმა და გრაინემ სარეცელი გაიზიარეს, ხოლო მუადანი დილამდე სდარაჯობდა მათ ძილს.

უთენია წამოდგა დიარმაიდი, მეზობელ ტყეში გაეშურა და მოსკრა ორი ჯირკი. მათგან ჯიჯინა გააკეთა და ქედზე აიტანა. ჩაარჭო მიწაში და ზედ გასდო მორალტახი — მახვილი ბროგელი ანგუსისა — და მსუბუქად გადაალაჯა მახვილზე სამგზის. შემდეგ მოუბრუნდა იგი მოსულებს და ჰკითხა, თქვენ შორის თუ არისო ვინმე, ვისაც ძალუძსო ასეთი სიმარჯვე.

— ბრყვეული კითხვაა, — სთქვა ერთმა მხედარმა, — რამეთუ, ირლანდიაში ჯერ არ მომხდარა ისეთი რამ, რის გამეორებაც არ შეეძლოს თვითეულ ჩვენგანს.

ამ სიტყვებთან ერთად მხედარმა მახვილზე გადაალაჯა, მაგრამ როცა ფეხით მიწას შეეხო, უმალ მახვილის ფხაზე დაეგო და ორად განიპო.

მაშინ წამოდგა მეორე მხედარი და სცადა მახვილის გადალახვა, მაგრამ მასაც იგივე დაემართა, რაც პირველს. ამ დღეს უფრო მეტი ფენია დაიღუპა, ვიდრე წინა ორ დღეს.

მაშინ მხედრებმა სთხოვეს ღიარმაიდს, განგვარიდეთ მახვილი შენი, რამეთუ ბევრი ფენია შეიწირაო მან.

და ამის შემდეგ ჰკითხეს მათ ღიარმაიდს, რაიმე ახალი ხომ არ შეგიტყვიანო ო'ღუივნეს ძეზე.

— დღეს ვიხილე მე იგი, — მიუგო ღიარმაიდმა, — და ამ საღამოს გავიგებ მის გამო ახალ ამბებს.

შემდეგ ღიარმაიდი კვლავ გაეშურა გამოქვაბულისაკენ და მუადანმა იმ საღამოსაც შეიპყრო სამი თევზი. დევნილებმა მაძღრისად ივახშმეს და გამოქვაბულის შორეულ კუთხეში დაიძინეს. მუადანი კი დარაჯად უდგა მათ ძილს.

უთენია წამოდგა ღიარმაიდი და უმაღლესი შეიმოსა აბჯრით; ამბობენ მახვილი ვერ ხევედაო ამ აბჯარს. შემდეგ ზოსტერზე მიიმავრა მორალტახი — მახვილი ბროგელი ანგუსისა—იგი თურმე პირველსავე ცდაზე ჰკვეთდა მტერს. ბოლოს ხელთიპყრა ორი ჰოროლი—ჰოროლი გა-ბუიდე და ჰოროლი გა-დარა. ისინი ერთნაირად მუსრავდნენ, ვითარცა მამრთა, აგრეთვე მდედრთა, ოღნავადაც რომ გაჰკარებოდნენ მათ. შემდეგ ღიარმაიდმა გააღვიძა გრაინე და სთხოვა მას, მუადანთან ერთად უდარაჯეო გამოქვაბულს, თანაც დასძინა, შემოგარენის მიმოსახილად მივდივარო ოთხი მილის მანძილზე.

რა იხილა გრაინემ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ღიარმაიდი—მახვილით, ჰოროლითა და აბჯრით,—აუწერელმა შიშმა აიტანა იგი, რამეთუ მიხვდა, ბრძოლად მიემართებოდა ღიარმაიდი, და ეზრახა გრაინე მას:

— რისთვის აღჰურვილხარ?

— დაფრთხობა მწადის მორკინალთა, გზად შემოყრილთა, -- მიუგო ღიარმაიდმა.

მაშინ დამშვიდდა გრაინე, ღიარმაიდი კი დაიძრა ფენიებთან შესაყრელად.

ფენიები გადმოვიდნენ ხომალდებიდან და ჰკითხეს ღიარმაიდს, ახალი ხომ არაფერი გავიგეო ო'ღუივნეს ძეზე.

— რახანია არ მიხილავს იგი, — მიუგო ღიარმაიდმა.

— მაშინ გვაჩვენე ის ადგილი, სადაც უკანასკნელად იხილე იგი, *ოათა* წარვეკვეთოთ თავი და მივართვათ ფინს, კუმალას ძეს.

— სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დავიცავ მე მას, — იზრახა დიარმაიღმა. — რამეთუ დიარმაიდის სიცოცხლეს იცავს ჩემი ძალა და სიგულოვნე ჩემი.

— მართალია თუ არა იგი, რაც წარსტევი? — ჰკითხეს მათ.

— დიახაც რომ მართალია, — მიუგო დიარმაიღმა.

— შენ თავად გაპყიდე თავი შენი! — შესძახეს ფენიებმა, — და ჩვენ მოგკვეთთ თავს და მივართმევთ ფინს, კუმალას ძეს, რამეთუ მტერი ხარ მისი.

— უმალ ამოგლეტო, — მიუგო დიარმაიღმა, — ვიდრე ფინს მიართმევთ ჩემს თავს!

და ამ სიტყვებთან ერთად დიარმაიღმა ქარქაშიდან გააძრო მახვილი მორალტახი და ისეთი ძალით დაჰკრა უახლოეს ფენიას, რომ შუაზე გააპო.

ამის შემდეგ იგი თავს დაატყდა ჰაბუკ ფენიებს და გაინავარდა მათ რიგებში. ფრინველთა გუნდში გარეულ შავარდენს ჰგავდა იგი, ანდა მგელს, გარეულს ბატკნების ფარაში. ასეთი იყო დიარმაიდი, ოდეს ფრეწდა იგი ლოხლანის მხედართა ბრწყინვალე აბჯრებს. ფენიები ემხოზოდნენ მის ფერხთა ქვეშე და ეფინებოდნენ მის ირგვლივ. ამბის მთხრობელიც არ გაუშვა დიარმაიღმა. სიკვდილის აჩრდილი გადაეფარა ყველას, თვინიერ სამი ბელადისა და ერთი მუჰკა ფენიებისა, რომელთაც ხომალდებს შეათარეს თავი.

მაშინ უკუიქცა დიარმაიდი, დაუკოდავი და გაუქაწრავი, და მივიდა იქ, სადაც ეგულებოდა გრაინე და მუადანი. ისინი სიხარულით შეეგებნენ მას და ჰკითხა გრაინემ, ხომ არაფერი გაგიგიაო ფინზე და ირლანდიელ ფენიებზე.

დიარმაიღმა მიუგო გრაინეს, არაფერი გამიგიაო, და მათ იმ სამამოსაც მაძღრისად ივანშემეს.

უთენია წამოდგა დიარმაიდი, უმალ ავიდა იმავე ქედზე, ადრე რომ ვახსენეთ. მუშტი დაჰკრა დარაკას, თანაც ისე მძლავრად და ისე გაბმულად, რომ ერთიან შეარყია წყალი და ხმელი.

მაშინ სთქვა სამი ბელადიდან ერთმა—დუჟ-ხოსახმა, თავად გავალო ბრძოლად დიარმაიდიან. და გაემართა ქედისაკენ.

მაშინ ეკვეთნენ ღუვ-ხოსახი და ღიარმაიდი ურთიერთს, ვითარცა შეეფერებოდა ორ ძალოვან ვაჟაკს. გადააჯვარედინეს თავიანთი მახვილები და მოსინჯეს ძალები. გინახავთ თქვენ გახელებული ხარბი, ანდა გავეშებული კამეჩები, უშიშარი შავარდნები, ანდა გამძვინვარებული ლომები, რომელნიც იბრძვიან უძირო უფსკრულის პირას? ასე ეკვეთნენ ისინი ურთიერთს.

ბოლოს უკუიპყრეს მათ თავიანთი საჭურველი და ეკვეთნენ ურთიერთს თავიანთი მძლავრი და შიშველი ხელებით. და ამსხვრევდნენ ერთმანეთს გასაოცარი ძალით. ბოლოს ღიარმაიდმა სძლია ღუვ-ხოსახი და დაანარცხა დედამიწაზე.

შემდეგ რიგრიგობით გამოვიდნენ ფინ-ხოსახი და ტრენ-ხოსახი ღიარმაიდთან სარკენად.

და ღიარმაიდმა სძლია მბრძოლნი, ვითარცა ღუვ-ხოსახი, გაბაწრა ისინი და ეზრახა მათ, სიამოვნებით დაგბალთავდითო თავებს, მაგრამ მიჯობს გაბაწრული გიყოლიოთ, რათა გახანგრძლივდესო ტანჯვა თქვენი, რამეთუ არვის ძალუძსო თქვენი ხსნა, — დასძინა მან და დაჰყარა ისინი უძალოქმნილნი და დარდით გულგასენილნი.

ამის შემდეგ ღიარმაიდი გრაინესაქენ გაეშურა და იმ საღამოს მადღრისად ივახშმეს მათ. ბოლოს ერთად დაწვენენ და მშვიდად დაიძინეს თავიანთ საწოლზე. ხოლო მუადანი დილამდე სდარაჯობდა მათ ძილს.

უთენია წამოდგა ღიარმაიდი და ამცნო გრაინეს, ახლოს იმყოფებიანო მტრები, და მოუთხრო მას, თუ რა შეამთხვია მოსულებს სამი ღლის მანძილზე, როგორ დასცა ასერგასი მხედარი, ხოლო მეოთხე ღლეს ხუთასი ფენია, მეხუთე ღლეს კი როგორ გაბაწრა ჭაბუკი ფენიების სამი ბელადი.

— მათ ჯაჭვებზე ჰყავთ დაბმული სამი შხამიანი მყეფარი, რომელთაც უნდა დავეფლითე მე, — რქვა ღიარმაიდმა, — და არავითარი საჭურველი არ სჭირს მათზე.

— თუ დაჰბალთე თავები სამ ბელადს? — ჰკითხა მას გრაინემ.

— არა, — მიუგო, ღიარმაიდმა, — და ამით მივანიჭე მათ ხანგრძლივი ტანჯვა ხანმოკლეს მაგიერ. რამეთუ ირლანდიაში არ მოიძვევა ისეთი მხედარი, რომელსაც ძალუძს იმ ბაწრების გახსნა, თვინიერ ოისინ ფინის ძისა და ოსგარ ოისინის ძისა. აგრეთვე, ლუგაიდ მკლავ-

მაგარიისა და კონან მორნეს ძისა. მე დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ამ მხედართაგანი არ გამოხსნის მათ. მაგრამ ფინი გაიგებს თუ არა ამ ამბავს, გული მოუკვდება უთუოდ. ჩვენ კი სასწრაფოდ უნდა დავუტეოთ გამოქვაბული, ვიდრე ფინი და მისი შხამიანი ქოფაკები კარს არ მოგვდგომიან.

მაშინ ისინი წარემართნენ დასავლეთისკენ და ასე იარეს, ვიდრე არ მიადგნენ ჭაობ ფინლიახს. გრაინე დაღალა გზამ და მუადანმა მხარზე შეისვა იგი, და ასე ატარა, ვიდრე არ იხილეს სლიაე-ლიახრი. მაშინ დიარმაიდმა დასვა მუადანი ღელის პირას, რომელიც მთის შუაგულში გაედინებოდა, და გრაინემ განიბანა ხელები ღელეში და სთხოვა დიარმაიდს დანა, რათა წარეკვეთა ბრჩხილნი.

გადარჩენილი ფენიები დიდხანს არ დარჩენილან იმ ადგილას, სადაც დიარმაიდმა დააგდო ისინი. მათ იხილეს ფინის, კუმალას ძის წარმოგზავნილი დიაცი. იგი მოისწრაფოდა მერცხლის, ხარლადის. ანდა ცივი ქარის სისწრაფით, რომელიც დათარეშობს მწვერვალებზე და ანადგურებს სიცოცხლეს.

და ჰკითხა დიაცმა მათ, თუ ვინ გამართა ეს საზარელი და უზარმაზარი სასაქლაო.

— ვინ არის იგი, ამას რომ კითხულობს? — იკითხეს ფენიებმა.

— მე ვარ დიაცი, წარმოგზავნილი ფინის, კუმალას ძის მიერ, — მიუგო დიაცმა. — დეირდრე-ან-დუივ-შლეივს მიხმობენ მე. და ფინმა წარმომგზავნა აქ, რათა მოვძებნო იგი, ვინაც მოსრა მისი მხედრობა.

— ჩვენ არ ვუწყით, ვინ არის იგი, — მიუგეს მათ, — მაგრამ ჩვენ ძალგვიძს ავიწყროთ მისი გარეგნობა. მას ამშვენებს კუპრივით შავი და ხუჭუჭი თმა და ბადახშივით წითელი ლაწები. მან გამართა ეს საზარელი და უზარმაზარი სასაქლაო. მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი სამი ბელადი მტვერში გდია გაბაწრული და ჩვენ არ ძალგვიძს მათი გამოხსნა.

— რომელი გზით განგემორათ ჭაბუკი იგი? — იკითხა დეირდრე-ან-დუივ-შლეივემ.

— მან ჩვენ დაგვტოვა მიმწუხრისას, — მიუგეს ფენიებმა, — ამიტომ არ ვუწყით, რომელ მხარეს გაეშურა იგი.

— ვფიცავ, — წამოიძახა დეირდრემ. — იგი იყო თავად დიარმა-

იდ ო'ღუივნე! — მოიყვანეთ ძაღლები და გაუშვით მის კვალზე, მე კი ფინსა და ირლანდიელ ფენიებს მივაღევენებ ძაღლებს.

მაშინ ფენიებმა ხომალდებიდან გადმოიყვანეს შხამიანი ქოფაკები, ხელები ჯაჭვებში ჩაჰკიდეს და დიარმაიდის კვალზე მიუშვეს. გაბაწრულ ბელადებთან კი დასტოვეს დრუიდი. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს მიადგნენ ერთ გამოქვაბულს. შევიდნენ შიგ და მის შორეულ სიღრმეში იხილეს დიარმაიდისა და გრაინეს საწოლი.

ამის შემდეგ ისინი დაიძრნენ დასავლეთისაკენ და ასე იარეს, ვიდრე არ მიაღწიეს კარტახს, აქედან კი ისწრაფეს ჭაობ ფინლიახისა და გარბი-ნავ-ფიანისაკენ, რომელსაც ამჟამად ლიაგხანს უხმობენ. შემდეგ გაუყვნენ კონკონის მშვენიერ ველებს და სლიავ-ლუახრის მაღალსა და ლალ ქედებს.

მაგრამ დიარმაიდი ვერ ამჩნევდა ამ ღევენას, ვიდრე არ დაღანდა აბრეშუმის დროშები და ფენიებისა და სამი მხედართმთავრის მოფრიალე ალმები. მძვინვარენი, უშიშარნი და უღმობელნი იყვნენ მხედართმთავარნი. ისინი მოუძღოდნენ ჯარს და თან მოჰყავდათ სამი შხამიანი მყეფარი.

ოდეს იხილა დიარმაიდი, რომ მდევრები უახლოვდებიან სწორედ იმ ადგილს, სადაც ისინი იმყოფებიან; დიდი მრისხანება დაეუფლა მას.

ერთ მხედარს, რომელიც განცალკევებით ვილოდა, მწვანე მოსახამი ემოსა.

გრაინემ აიღო დანა და მისცა დიარმაიდს. დიარმაიდი დაჰკრა ფერდში დანა განცალკევებით მიმავალ მხედარს, შემდეგ მიუბრუნდა გრაინეს და რქვა:

— მე ვგონებ, ო, გრაინე, რომ ეს ყმაწვილი გულზე არ გეხატა შენ.

— რა თქმა უნდა, არა, — მიუგო გრაინემ, — და ვიდრე ცოცხალ ვარ, არავინ მეყვარება თვინიერ შენსა.

მაშინ დიარმაიდი მხედარს ფერდიდან ამოაძრო თავისი დანა და ქარქაშში შეინახა. ამის შემდეგ მუადანმა გრაინე მხარზე შეისვა და ერთ მილზე ატარა მთებში.

ოდეს შხამიანი ქოფაკები დიარმაიდის კვალზე მიუშვეს, მათი ლეკვი უყურადღებოდ დასტოვეს და იგი თან წაიყვანა მუადანმა.

შემდეგ მან სთხოვა დიარმაიდს, მიჰყევით გრაინეს და თავად კი დავუღარაჯებო პირველ ძაღლს, რომელსაც ჯაჭვები ახსნეს და გამოუშვეს, რათა დაგვეფლითოსო ჩვენ. მაშინ დიარმაიდი გაჰყვა გრაინეს. მუადანმა ლეკვი უბიდან ამოიყვანა და ხელისგულზე დაისვა. ოდეს ლეკვმა ხახადაღებული ქოფაკი იხილა, უმაღლად მოეშვა მუადანის ხელიდან და ისე მძაფრად ჩააფრინდა ყელში ძაღლს, რომ ყელი ერთიან გამოლადრა. ამის შემდეგ იგი კვლავ შეახტა მუადანს ხელისგულზე და მკედარი ძაღლი საკუთარი სისხლის ტბორში მიატოვა.

შემდეგ მუადანი წამოეწია დიარმაიდსა და გრაინეს, კვლავ შეისვა გრაინე მხრებზე და კვლავ ატარა იგი ერთ მილზე მთებში.

ამ დროს ჯაჭვიდან აუშვეს მეორე შხამიანი ქოფაკი.

მაშინ მიუბრუნდა დიარმაიდი მუადანს და რქვა მას:

— მსმენია მე, რომ შელოცვილი საჭურველის წინაშე უძღვრია ყოველგვარი ჯადო, თუნდაც ეს ჯადო გააჩნდეს მხეცს. ამიტომ დარჩი აქ გრაინესთან, ვიდრე ჩემს პოროლს, გა-დარხს რომ უხმობენ, არ ვაძგერებ მეორე ძაღლს, არ ჩავუფრეწ ხახას და არ განუეგმირავ გულს.

მაშინ მუადანი და გრაინე დარჩნენ, რათა ეხილათ, როგორ განგმირავდა დიარმაიდი საძულველ ქოფაკს.

მაშინ დიარმაიდმა გასტყორცნა შუბი შხამიან ძაღლს და ისეთი ძალით აძგერა იგი, რომ წელები დააყრევინა მკვეთრ. შემდეგ სხეულიდან შუბი ამოაძრო და მუადანსა და გრაინეს დაუბრუნდა.

მცირე ხნის შემდეგ ჯაჭვიდან აუშვეს მესამე ქოფაკი, რათა იგი დასწეოდა დიარმაიდსა და მის ხალხს და დაეფლითა ისინი.

მაშინ გრაინე მიუბრუნდა დიარმაიდს და ეზრახა:

— იგი ყველაზე უფრო მძინვარეა იმ ქოფაკთა შორის, ჩვენ რომ დაგვადევნეს. მე საშინლად მეშინია მისი. მტკიცედ დექ, ოდ-არმაიდ.

შხამიანი ძაღლი სწორედ იმ ადგილას წამოეწია დევნილებს. სლიავ-ლუხარის ლიკ-დუვაინს რომ უხმობენ სახელად.

ქოფაკი ელვასავით გაიქრა ჰაერში და ის-ის იყო უნდა დაეფლითა გრაინე, რომ დიარმაიდი უკანა ფეხებში სწვდა ქოფაკს და ისეთი ძალით მიაწყვიტა კლდეს, რომ მისი მოშხამული თავიდან ტვინმა გამოჟონა, ტვინი გადმოინთხა მისი პირიდან და ყურებიდან.

მაშინ ხელთიპყრა დიარმაიდმა თვისი ძღვევამოსილი მშვილდი და ისრები, მძლავრად მოზიდა ლარი, დაუმიზნა სამთავან ერთ მხედართ-მთავარს და წამსვე გააფრთხოვინა სული. ასევე დასცა დიარმაიდმა მეორე და მესამე მხედართმთავარიც.

და ოდეს მოსულებმა იხილეს, რომ მათი სახელოვანი ბელადები და მხედართმთავრები ეცემიან წინააღმდეგობის გაუწევლად, დიდმა შიშმა შეიპყრო ისინი და უკუიქცნენ შიშნეულნი. დიარმაიდი კი დევნიდა მათ ხაფით, დაუნდობლად ჩეხდა და მუსრავდა მათ, ვერა ვინ მიიმალა ვერც მთვლემარე ტყეში, ვერც მწვანე ლელიანში და ვერც ცისფერ წყალში. ამ დიდებული ამბის მთხრობელიც არ დარჩა ცოცხალი. მხოლოდ ფინის, კუმალას ძის წარმოგზავნილი დიაცი— დერდრე-ან-დუივ-შლეივე—გადაურჩა სიკვდილს. იგი დიარმაიდის თავზე დაფრენდა, ოდეს დიარმაიდი მუსრს ავლებდა მდეგრებს.

მალე ფინს, კუმალას ძეს, გამოეცხადა დერდრე-ან-დუივ-შლეი-ვე. იგი ძლივს იდგა ფეხზე—დამაშვრალი, ენაგამშვრალი და თვალეზ-ჩაცვენილი.

— დიდად სამწუხარო ამბავი მოგიტანე. ო, ფინ, კუმალას ძევ. ვგონებ, მარტოოდენ მე გადვურჩი სიკვდილს.

და დიაცმა მოუთხრო ფინს იმ დიად ბრძოლაზე, რომელიც გაუ-მართა მათ დიარმაიდ ო'დუივენეს ძემ, და კიდევ მასზე, თუ ვით მოაკ-ვდინა მან სამი შხამიანი ქოფაკი.

— საით გაემართა ძე ო'დუივენესი? — იკითხა ფინმა, კუმალას ძემ.

— როდი ვუწყვი, — მიუგო დიაცმა, — რამეთუ ვერც ერთმა ცოცხლად გადარჩენილმა ვერ მამცნო ეს.

ფინმა რა ნოისმინა ეს სამწუხარო ამბავი და შეიტყო, რომ დი-არმაიდმა სრულიად მოსრა ჭაბუკი ფენიები, დიდად განრისხდა იგი და ხაფით მოუწოდა ირლანდიელ ფენიებს. ფენიები უმალ დაიძრნენ და ისწრაფეს უმოკლესი გზებით, ვიდრე არ მოაღწიეს იმ ქედს, სა-დაც ეგდო სამი გაბაწრული ბელადი, საბრალონი და ძლეულნი დი-არმაიდ ო'დუივენეს ძის მიერ.

ოდეს იხილა ფინმა მტვერში დამხობილი ბელადები, მძიმე ურ-ვით აღევსო გული.

მაშინ მიუბრუნდა იგი თავის ძეს, ოისინს, და ეზრახა:

— ო, ოსინი გამოხსენ ბაწრებისაგან ეს სამი ბელადი და შეუმსუბუქე ტანჯვა.

— არა, — მიუგო ოსინმა, — მე არ ვიქმ ამას, რამეთუ ღიარმადმა მთხოვა მე, არ გამოვხსნა არც ერთი მხედარი, რომელიც მან გაბაწრა.

— ო, ოსგარ, მაშინ შენ გამოხსენ ისინი ჩემი გულისათვის, — მიუბრუნდა ფინი ოსგარ ოსინის ძეს.

— არა, — მიუგო ოსგარმა, — მე ვალდებული ვარ, კიდევ უფრო მაგრად შევეკრა ის მხედარნი, რომელნიც გაბაწრა ღიარმადმა, ვიდრე გამოვხსნა ისინი.

და დუბტანმაც, ლუგაიდის ძემ, ისევე როგორც კონანმა, უარს თქვა ფინის, კუმალას ძის თხოვნაზე.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მათი საუბარი, რამეთუ წამებით მიიცვალა სამივე ბელადი. ვერ აიტანეს ის მაგარი ხლართები. რომლითაც გაძაგრა ისინი ღიარმადმა.

მაშინ ბრძანა ფინმა, სამი ფართო და ღრმა საფლავი გაეთხარათ იხან კრევეში სამი ბელადისათვის.

და ამ საფლავებზე დადგეს ქვის სამი სვეტი, სვეტებზე კი ამოკვეთეს ბელადთა სახელები. საზეიმოდ შესრულდა დასაფლავების ყოველი წესი. დიდი დარდი და ურვა დააწვა ფინს, კუმალას ძეს.

ამის შემდეგ ფინმა და მისმა ფენიებმა დაადგეს ეს ადგილი და არაფერია ცნობილი მათ შესახებ. ვიდრე არ მიაღწიეს ლაგენის აღმანს.

— ახლა კი დაუბრუნდეთ კვლავ ღიარმადსა და გრაინეს. ისინი დაადგენენ იმ გზას, რომელიც ვიდოდა სლიავ ლუახრის მთების სამხრეთით და გადადიოდა უიხონალ-გაურზე, იქიდან კი უხვევდა ბორრაისით, სიონისაკენ, შემდეგ კი მიედინებოდა კვლავ სამხრეთისაკენ, როს-ლა-შოილოხისაკენ. რომელსაც ამჟამად ლუიმნახს უხმობენ.

იმ საღამოს ღიარმადმა დაისრა ირემი და მათ იგემეს იგი და დაყოლეს ანკარა წყაროს წყალი. შემდეგ კი იძინეს, ვიდრე ალერსიანმა შუქმა არ განუფანტათ ძილი.

მუადანი ადგა უთენია, მიუბრუნდა ღიარმადს და ეზრახა, ჩემი წასვლის ქამი დადგაო, სამუდამოდ უნდა დაგტოვო შენ.

— შენ როდი შეგფერის ეგ, — მიუგო დიარმაიღმა, — რამეთუ ყოველიფერი, რაც მე გთხოვე, უსიტყვოდ აღასრულე და მე კმაყოფილი ვარ შენი.

მაგრამ მუადანმა სთხოვა დიარმაიდს, წინ არ აღდგომოდა მის თხოვნას, და დაემშვიდობა მათ.

დიარმაიდი და გრანინე დიდად დაამწუხრა ერთგული მსახურის წასვლამ. და ამის შემდეგ ისინი დაიძრნენ ბორრაისით და სლიავ ეხტგსა და უი-ფიახრახს მიაშურეს.

როცა მათ ამ აღვილებს მიაღწიეს, დიდი დაღლილობა იგრძნო გრანინემ, მაგრამ გაიმხნევა თავი და გაჰყვა დიარმაიდს.

როცა ისინი შევიდნენ ხშირსა და ბინდმორეულ ტყეში, დიარმაიღმა სახელდახელოდ გამართა კარავი.

იმ საღამოს დიარმაიღმა კვლავ დაისრა ერთი ირემი. დევნილებმა მაღიანად ივახშმეს და დააყოლეს ანკარა წყაროს წყალი. შემდეგ მათ დაიძინეს საწოლზე, რომელიც დაწნა დიარმაიღმა არყის ფოთლებისა და ნორჩი ბუჩქისაგან.

მეორე დღეს დიარმაიდი უთენია წამოდგა და ეახლა საზარელ გოლიათს სკარვან ლოხლანახს.³

მათ დიდხანს ისაუბრეს და ბოლოს შეთანხმდნენ: ლოხლანახმა დიარმაიდს ნება დართო, ენადირა და ეთევაზავა მის სამფლობელოში. ხოლო დიარმაიღმა კი მხედრის სიტყვა მისცა გოლიათს, რომ არასოდეს შეეხებოდა ღუვროსის ცხოვრების ხის ნაყოფს.

ახლა კი დავუბრუნდეთ ფინს, კომალას ძეს, და მის ფენიებს.

ისინი მიიქცნენ თუ არა ლაგენის ალმაინში, იხილეს ერგასი მხედარი. ალმაინს უახლოვდებოდნენ მხედრები. მათ წინ მიუძლოდა ორი მაღალი და ტანადი, მამაცი და უშიშარი მხედარი, სხვათა უმჯობესნი ძალით და სიგულოვნით.

მაშინ მიუბრუნდა ფინი, კუმალას ძე, თავის ფენიებს და ჰკითხა მათ:

— ვინ უწყის, რა ჯარია ეს და ვინ არის ის ორი დიდებული მხედარი?

— არ ვუწყით, ო, ფინ, — მიუგეს ფენიებმა: — არც ჯარის სა-
დაურობა და არც იმ მხედრების ვინაობა.

— არც მე ვუწყვი, — წარსთქვა ფინმა, — მაგრამ რატომღაც
ვგონებ, რომ ისინი ჩემი მტრები უნდა იყვნენ.

ამ დროს მხედართა რაზმი მიუახლოვდა ფინს და მიესალმა მას.

საღმითვე უპასუხა ფინმა. შემდეგ კი ჰკითხა მათ, ვინ არიან ისი-
ნი, რომელი მხრიდან მოსულან და რისთვის, მტრები არიან თუ მე-
გობრები მისი. მხედრებმა მიუგეს, რომ ისინი ფინის მტრები არიან,
რამეთუ მათმა მამებმა კნუხის ბრძოლაში მოჰკლეს კუმალა, არტის
ძე, ფრენმორ ო'ზაისგნეს ძე.

— ჩვენი მამებიც იმ ბრძოლაში დაეცნენ, მაგრამ ჩვენ მოვედით
ზავის ჩამოსაგდებად.

— როცა თქვენ დაიბადეთ, თქვენი მამები უკვე მკვდრები იყ-
ვნენ, მაშ რაგორღა დაიბადეთ თქვენ? — ჰკითხა მათ ფინმა.

— ჩვენ ვიყავით დედათა საშოში, — მიუგეს მათ, — და ჩვენი
დედები იყვნენ ტუბატ დე დანანელი დედანი და ჩვენ ვგონებთ, რომ
დადგა ჟამი, დავიკავოთ ჩვენი მამების ადგილები ფენიათა შორის.

— მე დაგადგენთ თქვენ თქვენი მამების ადგილებზე, — მიუგო
ფინმა, — მაგრამ უწინარეს, თქვენ უნდა მომცეთ მე გამოსასყიდი
მამაჩემისათვის.

— ჩვენ თან არ წამოგვიღია ოქრო-ვერცხლი და არც სხვა რამ
განძი; არც მუხლადი ბედაურების რემა, არც სხვა რამ ხვასტაგი არ
გვახლავს ჩვენ, რათა მოგიზღათ, ო, ფინ.

—ნუ მოითხოვ გამოსასყიდს, ო'ფინ, — რქვა ოისინმა, — მართლაც
ხომ დაჰკარგეს მამები იმ ბრძოლაში, დაე, ეს იყოს მათი გამოსას-
ყიდი.

— მე ვგონებ, — სთქვა ფინმა, — ვინმემ თუ მომკლა, შენ ჩალის
ფასად გამყიდი მე. მაგრამ გამოსასყიდი, რომელსაც მე მოვიტხოვ,
როდი იქნება იოლი.

— რას მოითხოვ გამოსასყიდად, ო'ფინ? — ჰკითხა ანგუსმა, ძე-
მან არტისამ, ძემან მორნესამ.

— არარა მნებავს, თვინიერ ერთი მხედრის თავისა. ანდა ღუე-
როსის ცხოვრების ხის ერთი მუჭა ნაყოფისა.

— კარგ რჩევას მოგცემთ, მორნეს მოდგმისანო. — სთქვა ოისინ-

მა. — მიიქეციოთ იქით, საიდანაც მოხვედით, და ნურასოდეს მოსთხოვთ მშვიდობას ფინს, თუ სიცოცხლე გთნავთ, რამეთუ იოლი როდია მოუტანოთ მას თავი იგი, რომელსაც მოითხოვს. უწყით განავის თავს მოითხოვს ფინი მამამისის თავის მაგიერ?

— არა, ჩვენ არ ვუწყით ეს, — მიუგეს მათ.

— იგი მოითხოვს ღიარმადილ ო'დუივენეს ძის თავს, — აი რა სურს ფინს, კუმალას ძეს, — რქვა ოისინმა, — მაგრამ უწყოდეთ, ოცი ათასი მხედარიც რომ გახლდეთ თან, მაინც ვერ მოჰკვეთოთ თავი ღიარმადილ ო'დუივენეს ძეს, და ვერ მიართვათ იგი ფინს.

— რომელი ხის ნაყოფზე ლაპარაკობს ფინი, კუმალას ძე? — იკითხეს მათ.

— არა არის რა ამა ქვეყნად უფრო ძნელი მოსაპოვებელი, ვიდრე ის ნაყოფი, — რქვა მათ ოისინმა, — მე თქვენ მოგიტხოვრებთ მის შესახებ.

ტუატ დე დანანის ტომის ბელადს, მანანან ლერის ძეს, ჰყავდა ორი მშვენიერი ასული—აიფე და აინე. ერთხელ მათ შორის დავა ჩამოვარდა.

აიფე ეტრფოდა ლუგაიდს, ფინის, კუმალას ძის დისშვილს, აინეს კი სიტ ფინხაიდელი ლერის. ტრფიალი ჰკლავდა. ისინი ადიდებდნენ თავიანთ მიჯნურებს და მიწყვიც დაობდნენ იმის გამო, თუ რომელი რომელს სჯობდა. სწორედ ამ დავას მოჰყვა ის დიდი ასპარეზობა. ტუატ დე დანანის ტომსა და ირლანდიელ ფენიებს შორის რომ გამართა. საასპარეზოდ აირჩიეს ლოხ ლეინ ლინ ფლიანლახის უმშვენიერესი ველი.

ირლანდიელი ფენიები და ტუატ დე დანანის ტომის მხედრები ველისაკენ დაიძრნენ. ტუატ დე დანანის ტომის მხედრობაში იყვნენ ამ ტომის ყველაზე უფრო მამაცი, უშიშარი და ძლიერი მხედრები. სახელდობრ: სამი სლიავ-მისელი გარბი, სამი სლიავ-ლუახრელი მასასა, სამი კოლავანელი ქერათმიანი კონალი, სამი ფინმურელი ფინი და სამი ბრუგელი სგალი, აგრეთვე, ლიონადელი სურგახ სუირე. ბანლიატელი მაიდგირი, სიტ-ბრატელი დონი, ბოინელი ფარ-ან-ბერლა-ბენი, ბარნან-ეილეელი კულა კრინ-ხოსარი, კნოკ-ნანასელი დონი, ლეინხნოკელი დონი და ფინ მუირელი ფიახ მუინი, აგრეთვე სამი რონანი რიგის ატიდან, სამი ეოგანი ეოგ-რი-აიდ-ტიკბადაირნიდან

და კალბუილახიდან და სამი ფერგუსი და გლასი მაგ ბრაგიდან, დონ დუ-ხოსახი და დონ-ან-ოილანი, ბრუიტე-ავაკი, დოლვ-ბრიხტ ეშვიანი, ფინის ხუთი ძე სიტ-კაირს კაინიდან და ანტ ილვრაკი, ძე მანანისა, და ნაეახი, ძე ანგუსისა, და ბოდვ დარკი, ძე დაგდისა, და მანანანი, ძე ლერისა, და ავორტახი, ძე ანტ-იოლდატაიხისა, აგრეთვე ბეერი სხვა, რომელთაც აქ არ მოვიხსენიებთ.

ჩვენ, ირლანდიელი ფენიები, გამოვედით ეარვაეა-ნავ-ფიანიდან. რომელსაც ამჟამად ლაენს უხმობენ, და დაეიძარით კრომგლან-ნავ-ფიანისაკენ, რომელსაც ამჟამად გლან-ფლეიშეგს უხმობენ. იქიდან კი გავემართეთ ლოხლინ ლინ ფლიანლახისაკენ, რათა მონაწილეობა მიგველო ასპარეზობაში. სამი დღე-ღამის განმავლობაში ვეცილებოდით ჩვენ სხვადასხვა მოასპარეზეთ ძალაში და სიკისკასეში და ვერავინ დაგვჯაბნა ჩვენ. როცა ტუატ დე დანანის ტომის მხედრებმა მოაღწიეს ლოხ ლინ ლინ ფლიანლახს, იხილეს ჩვენი ასპარეზობა და მიხვდნენ, რომ, თუ ირლანდიელი ფენიები გამოვდივართ ერთიან ძალად, მაშინ ვერავის ძალუძს ჩვენი დაძლევა.

მაშინ ტუატ დე დანანის ტომის მხედრებმა იბჭეს და დაადგინეს, წასულიყვენ ლოხ ლინ ლინ ფლიანლახიდან და აღარ მიეღოთ მონაწილეობა ასპარეზობაში.

ტუატ დე დანანის ტომის მხედრებმა ტირ-ტაირნ-გირედან თან მოიტანეს ასეთი სანოვაგე: მეწამული კაკლები, სისხლივით წითელი ვაშლები და სურნელოვანი ნაყოფები.

მაგრამ როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, უი-ფიახრახზე გავლისას ერთი ნაყოფი დაუვარდათ შეუმჩნევლად. ამ ნაყოფის კურკიდან აღმოცენდა უცხო რამ ხე, რომელსაც ესოდენ მკურნავი ძალა გააჩნია, რომ საკმარისია იგემო სამი მწიფე ნაყოფი და აღარავითარი სენი და ტკივილი აღარ გაგეკაროს შენ, მისი გემოს მხილველი ითვრება, ვითარცა თაფლუჭით, და ნეტარებს, ვითარცა თაფლით. ასი წლის კაცმა რომ იგემოს ნაყოფი იგი, წელნი წავლიან მისგან და ოცი წლის ყმაწვილს დაედარება იგი.

მაგრამ ოდეს ტუატ დე დანანის ტომის მხედრებმა შეიტყვეს, რომ დავარდნილი ნაყოფიდან აღმოცენდა ცხოვრების: ხე, დარაჯი დაუდგინეს ხეს მცველად.

ეს დარაჯი გახლავთ სკარვან ლოხნალახი, ჰაბუკი მათივე ტომისა,

ქე კამისა, ქე ნავისა. ბრტყელბეჭიანი, გრძელცხვირა, თვალბზასის-ხლული და მზედაკრული გოლიათია. იგი არ იწვის ცეცხლში, არ იძირება წყალში, და არ ეკარება არავითარი იარაღი — ეგზომ ძლიერია მისი გრძნება.

შავი შუბლის შუა მას უდგა ერთადერთი თვალი, და მსხვილი რკინის სალტე არტყია გოლიათურ ტანზე. და იგი იცოცხლებს მანამ, ვიდრე სამგზის არ დაჰკრავენ კეტს, რომელსაც თავად ინახავს და თვალის ჩინივით უფრთხილდება.

და ამ საზარელ გოლიათს ღამით სძინავს ცხოვრების ხის წვერზე, ხოლო დღისით კი დაბლა ეშვება, რათა დაიცვას ხე.

— ო, მორნეს მოდგმანო, სწორედ ამ აღთქმულ ნაყოფს მოითხოვს ფინი, ქე კუმალასი, — დასძინა ოისინმა. — და იოლი როდია მისი მოპოვება, რამეთუ ის ცალთვალა და მზედაკრული გოლიათი, სკარვან ლოხლანახი, ჯადოწრით შემოიზღუდა მრგვლივ. ვერც ფინს, კუმალას ძეს, და ვერც ჩვენ, ირლანდიელ ფენიებს, ვერ გავვიბედია თევზის ჰერა და ნადირობა იმ ჯადოწრის საზღვრებში, ვაითუ განრისხდესო საზარელი სკარვან ლოხლანახი.

მაშინ აიდ ანდალის ქე, მორნეს ქე, მიუბრუნდა თავის ხალხს და სთქვა: ბრძოლაში სიკვდილი მიჯობსო სახლში სამარცხვინო მიქცევას. ასევე იზრახა მისმა ძმამაც. მათ სთხოვეს ოისინს, ვიდრე გამარჯვებულნი უკან მოვიქცევით, ჩვენი ხალხი ჩაიბარე და უპატრონეო მას.

— კიდევაც რომ დავიხოცოთ ამ ჯადოსნური ნაყოფისათვის ბრძოლაში, რა მოხდა მერე, სამაგიეროდ, ხომ აღვიდგენთ ჩვენს უფლებებს ტირ-ტაირნ-გირეში, — იზრახეს მათ.

მამაცი მხედრები დაემშვიდობნენ ოისინს, აგრეთვე, ირლანდიის ფენიების ბელადებს, და თავიანთი გზით გასწიეს.

ჩვენ არარა ვუწყით იმის შესახებ, თუ როგორ ვიდოდნენ მხედრები, ვიდრე არ მიადგნენ როს-და-შოილახს, როგორც არ ვუწყით, როგორ გაატარეს მათ ის ღამე.

ინათა თუ არა, მხედრები კვლავ დაადგნენ გზას და შეუსვენებლივ იარეს, ვიდრე არ მიაღწიეს ღუეროს უი-ფიხრახს.

ამ ადგილებში ისინი წააწყდნენ ღიარმიადისა და გრაინეს ნაფეხურებს, უმალ მიჰყვნენ მას და მიადგნენ დევნილთა კარავს.

ღიარმადიმა გაიგონა ხმაური და მიხვდა, რომ მტერი უახლოვდებოდა. მაშინ განიპყრა მან თავისი უძლეველი მარჯვენა, იპყრა ფართე მახვილი და ხმამაღლა იკითხა, ვინ იღვა მისი სახლის კართან.

— სახელგანთქმული მორნეს შთამომავალნი, — გაისმა პასუხად.

— სახელდობრ რომელი? — იკითხა ღიარმადიმა.

— აიდი, ძე ანდალ მორნეს ძისა, და ანგუსი, ძე არტ მორნეს ძისა, — მიუგეს მათ.

— რამ მოგიყვანათ ამ ტყეში, ო, მორნეს შთამომავალნი? — კვლავ იკითხა ღიარმადიმა.

— ფინმა, კუმალას ძემ, წარმოგვგზავნა აქ, რათა მოგძებნოთ შენ, და მოგკვეთოთ თავი, თუ შენ ნამდვილად ღიარმადი ხარ, — მიუგეს მათ.

— დიახ, ღიარმადი გახლავართ, — იყო პასუხად.

— მაშინ უწყოდე, ღიარმადი, — მიუგეს მორნეს ნაშიერთა, — რომ ფინს, კუმალას ძეს, ნებაეს შენი თავი, ანდა ღუეროსის ცხოვრების ხის ნაყოფი. ერთ-ერთი უნდა მივართვათ მას, როგორც გამოსასყიდი.

— გაგიძნელდებათ აღსრულება მისი სურვილისა, — იზრახა ღიარმადიმა. — ვაი მას, ვინც მოექცევა ფინის, კუმალას ძის ბრძკვალეებში. მე კარგად ვუწყვი, რომ მან მოჰკლა თქვენი მამები და ეს სრულიად საკმარისია, როგორც გამოსასყიდი მის მამისათვის.

— ეს შეიძლება საკმარისი ყოფილიყო შენთვის, — თქვა იდმა, ძემ ანდალ მორნეს ძისამ, — მაგრამ შენ შეურაცხყავი ფინი, მოიტაცე მისი ცოლი. იქნებ შენ ჰგონებ, რომ არ შეურაცხყავი იგი, ო, ღიარმადი?

— დიახ, მე ვგონებ, რომ ეს არ შეურაცხყოფს ისეთ კაცს, როგორც ფინია, — მიუგო მათ ღიარმადიმა. — რამეთუ სულ რამდენიმე წლის წინათ ასევე მოექცა იგი კონანს, ლიატლუახრის ძეს. ახლავე მოგიტხრობთ ამ ამბავს:

ერთხელ ფინი, კუმალას ძე, ირლანდიელ ფენიებთან, ბელადებთან და მხედართმთავრებთან ერთად, ტემრე ლუახრაში იმყოფებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მათ იხილეს ტანადი, ძლიერი და მხედრული გამოხედვის ჭაბუკი; იგი მათკენ მოემართებოდა.

ფინმა ჰკითხა ბელადებს; მხედართმთავრებსა და ირლანდიელ ფენიებს, ხომ არ იცნობთო იმ ჰაბუკს.

და ყველამ მიუგო ფინს, აროდეს გვიხილავსო ეს ჰაბუკი და არც ვუწყითო, ვინ არის იგი.

— არც მე შევხვედრივარ მას აღრე და არ ვუწყი, ვინ არის იგი,—იზრახა ფინმა, — მაგრამ მე ვგრძნობ, რომ იგი ჩემი მტერია.

ამ დროს ჰაბუკი მიეახლა მათ. იგი თავიდან ფეხებამდე იარაღში იჯდა: აბჯარი, მუზარადი, ფარი, შუბი, მახვილი და მშვილდი ამშვენებდა ჰაბუკს.

მხედარი მივიდა ფინთან და მიესალმა კუმალას ძეს. სალმითვე უპასუხა ფინმაც. შემდეგ კი ჰკითხა მხედარს, ვინა ხარ, სადაური ხარ, ან რამ მოგიყვანაო აქ, სამტროდ ხარ მოსული, თუ სამოყვროდო.

მაშინ ჰაბუკმა მიუგო ფინს, რომ ისინი ერთმანეთის მტრები არიან, რადგან მამამისი მონაწილეობდა კნუხეს ბრძოლაში, სადაც დაეცა კუმალა, არტის ძე.

— კონან ლიატლუახრის ძეს მიხმობენ მე,—იზრახა მხედარმა.— მამაჩემიც კნუხეს ბრძოლაში დაეცა, მაგრამ მე ზავისათვის გეახელ ახლა, ო, ფინ. მნებავს, დავიკავო მამაჩემის ადგილი ირლანდიელ ფენიათა შორის.

— შენ მიიღებ ამ ადგილს, — მიუგო ფინმა, — მაგრამ უწყოდე: უწინარეს, მე მოვითხოვ გამოსასყიდს მამაჩემის მკვლელობისათვის.

— ნუ მოითხოვ გამოსასყიდს, --- რქვა ოისინმა, — რაშეთუ ამ ჰაბუკის მამა მოჰკალი შენ.

— ის გამოსასყიდი არ ყოფილა, — მიუგო ფინმა, — მე მოვითხოვ ნამდვილ გამოსასყიდს.

— როგორი გამოსასყიდი გნებავს, ო.ფინ? -- ჰკითხა კონანმა.

— არარა მნებავს, თვინიერ ურჩხულის თავისა, კიანის, ოილილ ოლუიმის ძის თავის სალტეში რომ ამოიზარდა. მომიტანე იგი და ეს იქნება გამოსასყიდი მამაჩემის სიკვდილისათვის, — იზრახა ფინმა.

— კარგ რჩევას მოგცემ, ო, კონან, — ეზრახა ოისინი. — მიიქეც იქით, საიდანაც მოხველ, და აღარასოდეს არ სთხოვო ფინს ზავი, თუ სიცოცხლე გთნავს, რამეთუ იოლი როდია, მიუტანო ფინს ის თავი, რომელსაც მოითხოვს.

— რა ურჩხულია იგი, რომლის თავის მოკვეთაც მე არ ძალმძის? — ჰკითხა კონანმა.

— ახლავე მოგიტოხრობ მასზე, ო'კონან, — რქვა ოცინმა. — ეს მოხდა მაშინ, ოდეს ოილილ ოლუიმი გამოეშურა თავის ღუნ ეოხარუიგიდან მშვენიერი ეტლით; მას თან ახლდა საყვარელი მეუღლე — სადვი, ასული კონდ ასნაცადისა.

ჰოდა, მისმა მეუღლემ იხილა შავი კენკრით დახუნძლული ეკლიანი ტოტი.

ძლიერ მოუნდა მას ამ კენკრის გემება და თავისი სურვილი ძვირფას მეუღლეს გაუმხილა. მაშინ ოილილ ოლუიმი შედგა ეტლის კოფოზე და დაბლა დახნიქა ტოტი, რათა სადვს, კონან ასნაცადის ასულს, ეგემა შავი კენკრა.

შემდეგ ისინი მიიქცნენ თავიანთ სახლში და რამოდენიმე ხნის შემდეგ სადვმა შვა ჭანმრთელი, შავგვრემანი და მშვენიერი ყრმა — კიან ოილილ ოლუიმის ძე.

ბავშვი აღსაზრდელად აიყვანა ხელმწიფე კუარჩუადე ლუახრაი და ზრდიდა, ვიდრე შეუსრულდა ოცი წელი. მაგრამ ამ ბიჭს თავზე ერტყა სალტე და ბიჭის ზრდასთან ერთად სალტეც იზრდებოდა.

ოილილ ოლუიმს ჰყავდა კიდევ ორი ვაჟი, რომლებიც ამ დროისათვის ძლიერი და უძლეველი მხედრები დადგნენ.

ამ სამ მხედარს ჰყავდა სამი ერთგული მსახური. ერთხელ ეს მსახურები სტუმრად ეწვივნენ სგატანის, სკანლანის ძის სახლს, რათა მათთვის მიეზლოთ პატივი, როგორც მათ პატრონებს შეეფერებოდათ. სგატანმა სტუმრები გულითადად მიიღო, უხვად უმასპინძლა და ბოლოს სარეცლებზე მოასვენა. მეორე დღეს სგატანმა რქვა ნათ:

— დღეს საღამოს ჩემს სახლში გაიმართება დიდი ნადიმი, სტუმრად მეწვევა ფინი, კუმალას ძე. შე ებრძანებ, რომ თქვენ კარგად გამასპინძლონ, ოლონდ არა საზეიმო დარბაზში, არამედ სხვა ადგილას.

იმ საღამოს მსახურებმა მამდრისად ივანშემეს, ხოლო დილით დატოვეს სგატანი, სკანლანის ძე, და მიიქცნენ ღუნ ეეოხარუიგში.

მოხდა ისე, რომ ოილილ ოლუიმის სამი უძლეველი ძე—ეოგან მორი, კორმაკ მორი და კიანი — იქამად მშვენიერ ველზე იმყოფებოდნენ და შინ მიმავალი მსახურები შემოეყარათ.

ეოგან მორმა ჰკითხა თავის მსახურს, თუ სად გაატარა მთელი ეს დრო.

— ჩვენ ვიყავით სგატანის, სკანლანის ძის სახლში, — მიუგო მას მსახურმა.

— როგორ მიგიღო და როგორ გიმასპინძლა მან, — ჰკითხა მას ეოგან მორმა.

— ჩინებულად გვიმასპინძლა, — მიუგო მსახურმა.

მაშინ კორმაკი მიუბრუნდა თავის მსახურს და ჰკითხა მას იგივე.

— მე კმაყოფილი დავრჩი მისი მასპინძლობით, — მიუგო მას მსახურმა. კიანმაც ჰკითხა თავის მსახურს, კარგად უმასპინძლა თუ არა სგატან სკანლანის ძემ.

— ცუდად გვიმასპინძლა სგატან სკანლანის ძემ, — მიუგო მსახურმა კიანს, — მან ნადიმი გამართა ფინის, კუმალას ძის პატივსაცემად და ნადიმზე არ მიგვიწვია ჩვენ.

— ყურს ნუ ათხოვებ მის ლაპარაკს, ო, კიან, — იზრახეს მსახურთა, — შესანიშნავად გაგვიმასპინძლდა სგატან სკანლანის ძე.

— მან მომიზღო იმით, რომ ცუდად მიიღო ჩემი მსახური, — იზრახა კიანმა.

— ნუ ამბობ მაგას, ო, კიან, — რქვა კორმაკ მორმა, — რამეთუ სგატანი, ძე სკანლანისა, — კეთილი ჯადოქარი და მფარველია ჩემი. მაგრამ ფინი, კუმალას ძე კი, ძლევამოსილი მბრძანებელია მისი.

— ეგ მე რაში მესაქმება, — იზრახა კიანმა. — მე წავალ მასთან, დაე, მან გამპარსოს თავი.

უნდა ითქვას, რომ ვინაც კი კიანს თავს ჰპარსავდა, კიანი თავს ჰკვეთდა მას.

ამრიგად, კიანი დაადგა გზას და შეუსვენებლივ იარა, ვიდრე არ მიადწია სგატანის ციხე-სიმაგრეს. მოხდა ისე, რომ იმ დღეს სგატანი ველად იმყოფებოდა და კიანი მივიდა მასთან და თავის გაპარსვა სთხოვა.

— კეთილი, — მიუგო სგატანმა, — ჩემთვის ეგ ჩვეულებრივი საქმეა და სიამოვნებით გაგპარსავ. წავიღეთ ჩემთან.

ისინი შევიდნენ თუ არა სახლში, სგატანი გაემართა თავის სამთიობოში, აისხა აბჯარი, შეირტყა ხმალი, ცალ ხელში საპარსი დანა

დაიკავა, მეორეში კი წყლიანი ჭურჭელი და მივიდა იქ. სადაც კიანო უცდიდა.

კიანმა იხილა თუ არა თავიდან ფეხებამდე აღჭურვილი სგატანი, ჰკითხა მას:

— რად მოხველ აღჭურვილი?

— გამიგონია, — მიუგო სგატან სკანლანის ძემ, — რომ ჩვევდა გაქვს, ყველას მოკვლა, ვინც თავს გაგპარსავს. მაგრამ მე მაინც გაგპარსავ შენ.

ამის შემდეგ სგატანმა შემოხსნა კიანს თავსაკრავი და იხილა ვე-
ებერთელა სალტე.

— იქნებ იმიტომ ჰკლავ მათ, ვინც თავს გაპარსავს, რომ არავინ უწყოდეს ამ სალტის ამბავი? — ჰკითხა სგატანმა.

— შენ მართალი ხარ, — მიუგო კიან, — მე მართლაც იმიტომ ვკლავ ყველას, ვინაც თავს მპარსავს, რომ არავინ უწყოდეს ჩემი სალტის ამბავი. მაგრამ შენ ნუ შეგეშინდება ჩემი.

— ვფიცავ მხედრის სახელს, — იზრახა სგატანმა, — ამჟერად ისეთ საქმეს ჩავიდენ, რომ გაიძულებ ჩემს მოკვლას, რამეთუ მე ძალმიძს ვიხილო არა მართო შენი სალტე, არამედ ისიც, რაც ამ სალ-
ტეში იმალება.

სთქვა თუ არა ეს, ისეთი ძალით დაჰკრა სგატანმა თავისი დანა სალტეს, რომ სალტეში მიმალული ურჩხული ელვასავით გამოხსლ-
ტა სალტიდან, მალლა აიჭრა და თანდათან ამალდა. ვიდრე არ მი-
აღწია სგატანის სახლის სახურავს. შემდეგ იგი დაეშვა დაბლა, კიანის ჰოროლზე ჩამოჯდა და შემოეგრაგნა ჰოროლს უზარმაზარ და მძიმე ხლართად.

როცა სგატანი კიანის პარსევას მორჩა, ურჩხულის მოკვლა მოინ-
დომა მან. მაგრამ კიანმა სთხოვა მას, არ მოეკლა იგი, ვიდრე არ მი-
იყვანდა მას სადღეში, კონდ ასნაცადის ასულთან.

— რამეთუ მის საშოში ჩაისახა იგი, — რქვა კიანმა.

მაშინ სგატანმა ბალზამი და სამკურნალო ბალახები დაადო ჰრი-
ლობებს, რომელიც კიანის თავზე გადაიხსნა სალტის ადგილას. ამის შემდეგ კიანი გაეშურა ღუნ ეოხარვეიგისაკენ და თან წარიტანა ჰო-
როლი იგი, რომლის დიბლიგზედაც შემოგრაგნილიყო საზარელი
ურჩხული.

მოხდა ისე, რომ ამ დროს ოილილ ოლუიმი თავისი საყვარელი მეუღლით, სადვით, ველად იმყოფებოდა და იხილა მომავალი კიანი.

კიანმა მათ მოუთხრო ურჩხულის ამბავი თავიდან ვიდრე ბოლომდე და მაშინ ოილილ ოლუიმმა უბრძანა კიანს, მოეკლა ურჩხული, მაგრამ სადვმა შეაჩერა იგი:

— ნუ იქმ მაგას, ო, კიან: იქნებ შენც იმდენივე ხნის სიცოცხლე გიწერია, რამდენიც ამ ურჩხულს.

ოილილ ოლუმის, სადვისა და კიანის ოჯახურ თათბირზე გადაწყდა: ურჩხულისთვის აეგოთ ხის გალია, მიეზიდათ ბევრი საქმელი, ახალი ხორცი და წყალი.

ურჩხული თანდათან იზრდებოდა გალიაში და ბოლოს ისეთი დიდი და ძლიერი შეიქნა, რომ გალია ევიწროვა და მზად იყო დაემსხვრია იგი.

ამიტომ გადაწყვიტეს, უფრო მალალი და მაგარი კედლით შემოეზღუდათ ურჩხული.

შემოზღუდეს კიდევ, მაგრამ ამ კედლებშიც იზრდებოდა იგი და ერთი წლის მანძილზე წამოეზარდა ასი ვეებერთელა თავი და ყოველ თავს დაედო საზარელი, ხარბი და ასეშვიანი ხახა. აღჭურვილი ძხედრის ერთიან შთანთქმა ძალედვა ურჩხულს.

სწორედ ამ დროს დუნ ეოხარეუიგში მოვიდა ხელმწიფე კუარუიდე ლუახრა, რათა მოენახულებინა თავისი შვილობილი და აღზრდილი კიანი, ძე ოილილ ოლუიმისა.

და როცა ხელმწიფე კუარუიდე ლუახრამ მოისმინა ამ საზარელი ურჩხულის ამბავი, მაშინ ავიდა იგი კედლის თავზე, რათა ეხილა ეს თვალთავან უხილავი სასწაული.

ურჩხულმა იხილა თუ არა იგი, გაცოფებული ეცა მას და ჩაარკო თავისი ბასრი და შხამიანი ეშვები, ფეხებზე შემოესალტა თავისი საზარელი და გრეხადი ტანით. მაშინ ხელმწიფეს ფეხები წაერთვა და ასთავიანი ურჩხულის ერთ-ერთ ხახაში აღმოჩნდა.

იხილეს რა ეს საზარელი სანახაობა, მხედართა, დიაცთა და ბალღთა აუწერელი ღრიალითა და შიშით დაუტევეს იქაურობა და გამოუთქმელმა ტანჯვამ დაიბუღა მათ გულებში.

მოსახლეობამ სამუდამოდ მიატოვა ეს ადგილები და დუნ

ევობარეუიგის აყვავებული და ნაყოფიერი ველი უსიცოცხლო და დანაცრებულ უდაბნოდ იქცა.

როცა ოილილ ოლუიშმა ეს სამწუხარო ამბავი შეიტყო, ბრძანა, მოეკლათ ურჩხული, რამეთუ მას კიდევ მეტი უბედურების მოტანა ხალხისო ხალხისათვის. საღვი, კონან ასნაცადის ასულიც დაეთანხმა ხელმწიფეს.

მაშინ დაცარიელებულ ღუნ ევობარეუიგისაკენ გაემართნენ უმაბაცესი მხედრები და მეწამული კოცონები დაანთეს ციხე-სიმაგრის ირგვლივ.

ურჩხულმა თანდათან ცეცხლის სიმხურვალე იგრძნო, ხოლო ოდეს მისი შავი, ცივი და გლუვი სხეული ყვირთელმა ენებმა ალოკეს და დაუმზობელი სიმაგრეც დაემხო, ელვასავით გაიჭრა იგი ჰაერში და დასავლისაკენ ისწრაფა.

ბოლოს იგი დაეშვა კორნე უი-ღუიენეში და ფარნას ბნელ გამოქვაბულს შეაფარა თავი.

ურჩხული დასახლდა ამ უსიერ გამოქვაბულში და შემოაელო მას აკრძალული წრე. ამის შემდეგ ვერც ფინი, კუმალას ძე, და ვერც ჩვენ, ირლანდიელი ფენიები, ვერ ვბედავდით დაგვექირა იქ თევზი და მოგვესრა ნადირი, ვიდრე ურჩხული ცოცხალი იყო.

— და აი სწორედ ამ ურჩხულის თავს მოითხოვეს ფინი, კუმალას ძე, ოკონან, — სტქვა ოისინმა.

— უმალ მოკვდები, ვიდრე ხელცარიელი მივიქცევი იქ. სადაც ვიზარდე, — მიუგო კონანმა.

შემდეგ კონანი გამოეთხოვა ოისინს და სხვა სახელოვან ბელადებს და გასწია იმ ბნელი გამოქვაბულისაკენ, სადაც თავს აფარებდა ასთავიანი ურჩხული.

ოდეს კონანი გამოქვაბულს მიაღვა, ხელთ იპყრა მან ჯადოსნური შუბი გა-დარგი (უნდა ვთქვა, რომ სწორედ მე მივეც ეს შუბი კონანს, რამეთუ სათნო მეყო ჰაბუქი იგი და ვუწყოდი, რომ ვერავითარი იარაღი ვერ მოაკვდინებდა საზარელ ურჩხულს, თვინიერ გადარგისა).

კონანმა ურჩხული მიზანში ამოიღო და შიგ გულისგულში აძგერა შუბი.

და ძვერება იგი იყო ეგზომ მიუმცდარი, ხოლო შუბს ისეთი ჯადოსნური ძალა გააჩნდა, რომ წამსვე უსულოდ დაეცა ურჩხული.

მაშინ კონანმა მოჰკვეთა ურჩხულს ასიდან ერთ-ერთი თავი და მიართვა ფინს, ვითარცა გამოსასყიდი.

როცა ფინმა, კუმალას ძემ, იხილა ურჩხულის ამზრზენი თავი, სთქვა, რომ არ მაკმაყოფილებსო ასეთი გამოსასყიდი, და სხვა გამოსასყიდი მოითხოვა კონანისაგან.

სწორედ ამ დროს და სწორედ იმ ადგილებში, სადაც ირლანდიელი ფენიები ვიშყოფებოდით, გადაირბინა დიდმა და მშვენიერმა ირემმა, და ჩვენ ყველანი დავედევნეთ ირემს.

როცა კონანმა და ფინმა იხილეს, რომ ირლანდიელი ფენიები ირემს მივსდევდით, მაშინ ისინიც გამოუდგნენ მას.

და ჩვენ არ ვუწყოდით, თუ რა შეემთხვათ მათ, ვიდრე მზის ჩასვლისას არ წამოგვეწვივნენ.

მაშინ ჩვენ ვიხილეთ, რომ კონანი მოათრევს ირმის უკანა ნაწილს, ხოლო ფინი, კუმალას ძე კი, ძლივს მოსდევს უკან.

ამის შემდეგ ფინს კონანისაგან აღარასოდეს მოუთხოვია გამოსასყიდი.

— ვფიცავ მარჯვენას, ო, მორნეს მოდგმანო, — იზრახა ღიარმიდმა, — არავინ უწყის, შელოცვებით თუ ძალით აიძულა კონანმა ფინი, უარი ეთქვა ახალ გამოსასყიდზე, და არც იგი უწყის ვინმემ, როგორ მიადწია მან ზავს ვერაგ ფინთან. მაგრამ მე ვგონებ, — დანძინა ღიარმიდმა, — რომ ფინს გაცილებით მეტი უფლება ჰქონდა, ახალი გამოსასყიდი მოეთხოვა კონანისაგან, ვიდრე თქვენგან. მან მოჰკლა თქვენი მამები, როცა თქვენ ჯერ კიდევ დედათა საშოში იყავით. იგი უნდა დასჯერებოდა ამას და არ უნდა გაეგზავნეთ ღუვროსის ცხოვრების ხის ნაყოფისა და ჩემი თავის მოსატანად. რამეთუ მან კარგად უწყის, თუ რა შეუძლია ღიარმიდს. კარგად იცოდეთ: მისი ერთ-ერთი მოთხოვნაც რომ შეგესრულებინათ თქვენ, მაინც არ შეგირიგებდათ ფინი და არ დაგიბრუნებდათ თქვენი მამების ადგილებს.

— რა ნაყოფია იგი, რომელსაც მოითხოვს ფინი, კუმალას ძე, და რომელიც ვერ მოუტანიათ მისთვის? — იკითხა გრაინემ.

— ეს უბრალო ნაყოფი როდია, — თქვა ღიარმიდმა. — ასპარე-

ზობიდან მობრუნებულმა ტუატ დე დანანის ტომის მხედრებმა უიფიასხრანში რომ გაიარეს, ერთი ნაყოფი დაკარგეს გზაზე და მისი კურკიდან ამოიზარდა ღუვროსის ცხოვრების ხე. და მას გააჩნია ჯადოსნური თვისებები. საკმარისია იგემო სამი მწიფე ნაყოფი და არავითარი სენი და ტკივილი აღარ გაგეკარება შენ, ხოლო თუ ერთხელ ჩაქბეჩ ამ ნაყოფს, მყის დაითვრები, ვითარცა თათლუჭით, და ინეტარებ, ვითარცა თაფლით. ასი წლის მოხუცმაც რომ იგემოს იგი, ოცი წლის ჰბატუკად იქცევა მოხუცი. მაგრამ ამ შესანიშნავ ხეს სდარაჯობს ბეჭბრტყელი, გრძელცხვირა, თვალბჩასისხლული და მზედაკრული გოლიათი, სკარვან ლოხლახანი, ძე ვერაგი კამისა, ნავის ძისა. იგი არ იწვიც ცეცხლში, არ იძირება წყალში და არავითარი იარაღი არ ეკარება მას — იმდენად ძლიერია მისი გრძნება. გოლიათს შავი შუბლის შუა ედგა ერთადერთი თვალი და მსხვილი რკინის სალტე რკალავს მის გოლიათურ ტანს. მას უწერია სიცოცხლე მანამ, ვიდრე სამგზის არ დაჰკარავენ რკინის კეტს, რომელიც მასთან ინახება და რომელსაც თვალისჩინივით უფრთხილდება იგი. ეს საზარელი გოლიათი ღამით იძინებს ღუვროსის ცხოვრების ხის კენწეროზე, ღლისით კი ეშვება დაბლა და იცავს ხეს.

— მაგრამ, როცა მე დავუტევე ფინი, კუმალას ძე, და მისი მტერი შევიქენ, — განაგრძო ღიარმაიდმა, — მე ვეახლე გოლიათს სკარვან ლოხლახანს, კამის ძეს, და მოველაპარაკე მას. გოლიათმა ნება დამართო მენადირა და მეთევზავა მის აკრძალულ წრეში. მე კი მას მხედრის სიტყვა მივეცი, რომ არასოდეს შევეხებოდი ღუვროსის ცხოვრების ხის ჯადოსნურ ნაყოფს.

— ახლა კი, ო, მორნეს მოდგმანო, — მიუბრუნდა მათ ღიარმაიდი, — ამოირჩიეთ: ან მე შემებრძოლეთ, რათა ფინს მიათვათ ჩემი თავი, ანდა წადით გოლიათ სკარვან ლოხლახანთან და მოსტაცეთ ჯადოსნური ნაყოფი.

— ვფიცავ იმ წოდებას, რომელიც შთამომავლობით მომნიჭებია და რომელიც უნდა მივიღო მე ირლანდიელ ფენიებს შორის, შენ შეგებრძოლები უწინარეს, ო, ღიარმაიდ, — სთქვა მორნეს მოდგმიდან პირველმა.

მაშინ მეორემაც იგივე სთქვა.

შემდეგ სახელოვანმა მხედრებმა — მორნეს ორმა შთამომავალ-

მა და ღიარმაიდ ო'ლუიენეს ძემ, უკუიპყრეს საქურველნი და შემოსალტეს ერთურთი თავიანთი ძალოვანი მკლავებით და ლამობდენ ერთურთის მოშობას.

და ეს სამთაბრძოლა გადაწყვიტა არა რკინის საქურველმა, არამედ მკლავის ძალამ. ღიარმაიდმა სძლია ორივე მხედარი, დაგრიხა ისინი და დაადო მათ მძიმე ხლართები.

— კარგად იბრძოდი, ღიარმაიდ, — რქვა გრაინემ, — მაგრამ ვფიცავ შენს თავს, რომ თუ მორნეს მოდგმანი არ წავლენ გოლიათთან, რათა ხელთ იგდონ ის ჯადოსნური ნაყოფი და არ მომართმევენ მას, მაშინ აღარასოდეს დაგიწვები გვერდით, ო, ღიარმაიდ. თუმცაღა როდი მართებს დიაცს ასეთი საქციელი მიჯნურთან. მე მოვკვდები, თუ ვერ ვიგეგმე ნაყოფი იგი.

— ნუ მაიძულებ, დავარღვიო სკარვან ლოხლანახთან დადებული ზავი, — რქვა ღიარმაიდმა, — შენ ხომ კარგად უწყი, რომ ნებსით არ დამითმობს იგი ჯადოსნურ ნაყოფს.

— ო, ღიარმაიდ, დაგვხსენ ეს ხლართები, — და ჩვენც თან გამოგყვებით, — იზრახეს მორნეს შთამომავალთა, — თუ საჭირო იქნა, სიცოცხლესაც გავწირავთ შენთვის.

— არა, — წარსთქვა ღიარმაიდმა, — თქვენ არ წამოხვალთ ჩემთან. რადგან კმა არს ოდენ იხილოთ გოლიათი იგი, და დაუტეოთ სიცოცხლე.

— ერთი თხოვნა მაინც აგვისრულე, ო, ღიარმაიდ, — ეზრახნენ მორნეს შთამომავალნი, — ვიდრე თავებს დაგვბალთავ, ნება გვიბოძე, თან წამოგყვეთ, რათა ვიხილოთ თქვენი ორთაბრძოლა.

და ღიარმაიდი დაეთანხმა მათ.

შემდეგ ისინი გაემართნენ საზარელ გოლიათთან, სკარვან ლოხლანახთან.

მოხდა ისე, რომ სწორედ მისი მოსვლის წინ გოლიათმა ძილქუშით მიიძინა ხის ძირას.

ღიარმაიდმა ჰკრა გოლიათს ფეხი და განუფრთხო ძილი. სკარვან ლოხლანახმა აიღო თავი, შეხედა ღიარმაიდს და ჰკითხა:

— ჩემი მყუდროების დასარღვევად ხომ არ მოსულხარ ო'ლუიენეს ძეო?

— არა, — მიუგო ღიარმაიდმა, — მაგრამ დიდი კორმაკის ასულს,

გრაინეს, დაუოკებელი სურვილი აღედგა, იგემოს ნაყოფი ცხოვრების ხისა, რომელსაც შენ იცავ. და მე მოვედი შენთან, რათა გთხოვო ერთი პეშვი აღთქმული ნაყოფი

— ვფიცავ, არასოდეს მოხდება ეს! — იქექა გოლიათმა. — თანაც უწყოდე: რახან ეს გაბედე, აღარასოდეს გეყოლება შეილები, თვინიერ ერთი ვაჟისა, რომელიც ახლა გრაინეს საშოში მწიფდება. ხოლო თავად გრაინე კი აღესრულება მისი ერთადერთი შეილის შობის ჟამს, და ვერ ეღირსება იგი ღუეროსის ცხოვრების ხის ერთ ნაყოფსაც კი.

— შენდამი პატივი მავალებს პირდაპირ გითხრა, — იზრახა დიარმაიღმა, — მე მოველ, რათა მივიღო ეს ნაყოფი ნებით თუ ძალით.

ამ სიტყვების გაგონებაზე საზარელი გოლიათი მსწრაფლ წამოვნთო, ვეებერთელა სხეულით აღიმართა, მძიმე კომბალი მხარზე შეიგდო, მთელი ძალით მოიქნია და სამგზის სცა დიარმაიდს.

მაგრამ გრძნებით შეკრულმა რკინის აბჯარმა, მუზარადმა და სხვა საჭურველმა დიარმაიდი იხსნა სიკვდილისაგან და მხოლოდ მცირედი ტყენა იგრძნო მან.

როცა დიარმაიდის ჯერიც დადგა, მან უკუიპყრა მძიმე საჭურველი, რომელიც ზათქით დაენარცხა დედამიწაზე და სირბილით გაექანა საზარელი გოლიათისაკენ, შეახტა ფართო მხრებზე, ხელები კომბალზე უტაცა და ხელიდან გამოსტაცა იგი.

სკარვან ლოხლანახის მხრებზე მდგარმა დიარმაიღმა მიწას გააკრა გოლიათი. შემდეგ ჩამოხტა მასი მხრებიდან, გოლიათის ვეებერთელა სხეული მკლავებში მოიმწყვდია, მიწას მოსწყვიტა და კვლავ დედამიწას დააწყვიტა მთელი ძალით.

და მაშინ რკინის სალტე, რომელიც გოლიათს თავს ერტყა, გასკდა და მისგან ამოსხლტა ის ჯადოსნური კეტი, რომელსაც გოლიათი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა, რამეთუ მისგან ეწერა სიკვდილი.

მაშინ დიარმაიღმა ხელი სტაცა ჯადოსნურ კეტს და სამგზის სცა საზარელ გოლიათს. გოლიათის თავი შუა გაიპო და ტვინი გადმონთხა გრძელ და მონგრეულ ცხვირზე, აგრეთვე შავ და ფართო ყურებზე.

— ასე განუტევა სული საზარელმა გოლიათმა სკარვან ლოხლანახმა.

მორნეს შთამომავალნი დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს დიარმიადის ამ დიდებულ ბრძოლას.

როცა მათ იხილეს, რომ საზარელი გოლიათი უსულოდ დაეცა და ფართხალებს თავისივე სისხლის ტბორში, გამოვიდნენ თავშესაფრებიდან და მიეახლნენ დიარმიადს.

გვერდით დაისვა ისინი დიარმიადმა. დაღლილი და განაწამებო ჩანდა იგი ამ ბრძოლის შემდეგ.

უბრძანა დიარმიადმა მორნეს შთამომავალთ, გოლიათის საზარელი სხეული უსიერ ტყეში დაჭვლითო ხეჭყელის ქვეშ, რათა გრანემ ველარასოდეს იხილოსო იგი.

— ამის შემდეგ წადით, მოძებნეთ გრანე და აქ მომიყვანეთ, — დასძინა დიარმიადმა.

მორნეს შთამომავლებმა უსიერ ტყეში ფართო და ვეებერთელა ორმო ამოთხარეს ხეჭყელის ქვეშ. სკარვან ლოხლანახნის გვაში შიგ ჩააგდეს და აყალო მიწა და ჩინჩხვარი დააყარეს ზედ.

შემდეგ ისინი გრანეს საძებნელად გაემართნენ, ჰპოვეს იგი და მოჰგვარეს დიარმიადს.

— ო, გრანე, — რქვა დიარმიადმა, — აი ნაყოფი, რომელიც მთხოვე. შენ ახლა ძალგიძს კრიფო იგი და შეექცე, რაოდენიც გენებოს.

— ვფიცავ, ო, დიარმიად, — მიუგო გრანემ, — რომ არ ვიგემებ არც ერთ ნაყოფს, თვინიერ იმ ნაყოფისა, რომელსაც შენ მოსწყვეტ ჩემთვის, შენივე ხელით.

მაშინ წამოდგა დიარმიადი, ვეებერთელა ტანით აღიმართა, ხელი ხისაკენ განაპყრო და იწყო კრეფა ნაყოფისა გრანესა და მორნეს შთამომავალთათვის.

როცა მათ ნაყოფით გული მოიჭერეს, დიარმიადი მიუბრუნდა მორნეს შთამომავალთ და ეზრახა მათ:

— ო, მორნეს მოდგმანო, თან წარიდეთ აღთქმული ნაყოფი, რამდენიც ძალგიძთ, მიართვით იგი ფინს, კუმალას ძეს, და არკვიით მას, რომ არა მე, არამედ თქვენ მოაკვდინეთ გოლიათი სკარვან ლოხლანახნი.

— ვფიცავთ, ო, დიდებულო დიარმაიდ, — მიუგეს მათ, — ისე ვიქმთ, ვითარცა ბრძანე, ამ ჯაღოსნურ ნაყოფს მივართმევთ ფინს, კუმალას ძეს.

მაშინ, დიარმაიდმა დაჰკრიფა იმდენი ნაყოფი, რამდენის ზიდვაც ძალედვით მორნეს შთამომავალთ. მათ დიდი მადლობა მოახსენეს დიარმაიდს და გაუდგნენ გზას, ისწრაფეს იქით, სადაც იმყოფებოდა ფინი, კუმალას ძე, თავისი ბელადებით, მხედართმთავრებითა და ირლანდიელი ფენიებით.

როცა ისინი თვალს მიეფარნენ, დიარმაიდი და გრანინე აძვრნენ ღუვროსის ცხოვრების ხის კენწეროზე და წამოწვნენ გოლიათ სკარვან ლოხლანახის რბილ საწოლზე.

ხოლო ნაყოფი, რომელიც ესხა კენწეროზე, იყო უფრო ტკბილი, უფრო მათრობელი და სასწაულთმოქმედი, ვიდრე იგი, რომელიც მის ფესვებთან იზრდებოდა.

შეუსვენებლივ ისწრაფოდნენ მორნეს შთამომავალნი ტყეთა და მთათა ბილიკებით. ბოლოს როგორც იქნა მიაღწიეს ფინის, კუმალას ძის, და ირლანდიელი ფენიების სადგომს. მაშინ უბრძანა ფინმა მორნეს შთამომავალთ, მოეთხროთ ყოველი, რაიც თავს გარდახდათ, თავიდან ვიდრე ბოლომდე.

— ჩვენ მოვაკვიდინეთ ბოროტი და საზარელი გოლიათი სკარვან ლოხლანახი, — მიუგეს მათ, — და მოგიტანეთ ღუვროსის ცხოვრების ხის ნაყოფი, როგორც გამოსასყიდი მამაშენის სიკვდილისათვის. და ახლა კი, განაგრძეს მათ, — ჩვენ იმედი გვაქვს, ვიცხოვრებთ მშვიდად და დავიკავებთ იმ ადგილებს, რომელიც შთამომავლობით გვეკუთვნის ირლანდიელ ფენიათა შორის.

და ამის შემდეგ მორნეს შთამომავლებმა აღთქმული ნაყოფი წინ დაუდეს ფინს.

ფინმა უმაღლესი შეიცნო ნაყოფი, რამეთუ უწყოდა, როგორი იყო იგი შესახედავად.

მან აიღო ნაყოფი, დაიდო ხელისგულზე და ცხვირთან მიიტანა.

შემდეგ მიუბრუნდა მორნეს შთამომავალთ.

— ვფიცავ მარჯვენას, ო, მორნეს მოდგმანო, — იზრახა ფინმა, — რომ არა თქვენ, არამედ დიარმაიდ ო'ლუივენეს ძემ მოსწყვიტა ნაყოფი იგი ღუვროსის ცხოვრების ხიდან, რამეთუ ო'ლუივენეს ძის სუნს

ვიყნოს მათში და გულს სჯერა, რომ მან მოაკვდინა საზარელი გოლიათი სკარვან ლობლანახი და არა თქვენ. ამიტომაც წავალ და შევამოწმებ, ხომ არ დასახლებულა დიარმაიდი ღუვროსის ცხოვრების ხეზე. ხოლო თქვენ ვერ დაიკავებთ თქვენი მამების ადგილებს ირლანდიელ ფენიათა შორის, ვიდრე თავად არ მოიღებთ ღირსეულ გამოსასყიდს მამაჩემის მოკვლისათვის.

ამის შემდეგ ფინმა, კუმალას ძემ, უბრძანა ჭაბუკი ფენიების შვიდ რაზმს, უმოკლესი გზით დაძრულიყვნენ ღუვროს უი-ფიხარახისაკენ.

ფენიები დაიძრნენ ადგილიდან, მალე მიაკვლიეს დიარმაიდის კვალს და ფეხდაფეხ მიჰყვნენ მას.

კვალმა ღუვროსის ცხოვრების ხესთან მიიყვანა ისინი. მათ დაუბრკოლებლავ გადალახეს აკრძალული წრე, იხილეს აღთქმული ნაყოფები, მაგრამ ვერსად იხილეს მისი დარაჯნი.

იმ დღეს საშინელი ხვატი იდგა და სიცხემ გათანგა ირლანდიელი ფენიები, მათი ბელადები, წინამძღოლნი და თავად ფინი, კუმალას ძე.

მაშინ ფინი მიუბრუნდა ირლანდიელ ფენიებს და რქვა, რომ მას ნებავეს გადაიჩრდილოს ღუვროსის ცხოვრების ხის ქვეშ, ვიდრე არ დასცხრება სიცხე.

— მე ვუწყვი, — იზრახა ფინმა, — ღუვროსის ცხოვრების ხის კენწეროზე იმალება დიარმაიდი.

— ბოროტი ეპვი გალაპარაკებს შენ, ო, ფინ, იგი ჩაგჩურჩულებს, რომ ღუვროსის ცხოვრების ხის კენწეროზე იმალება დიარმაიდი, — რქვა მას ოისინმა, — რამეთუ ვით დაშთებოდა იგი აქ, ოდეს უწყის, რომ შენ სდევნი მას.

იმ დროს, როცა ფინი და ოისინი ასე ეზრახებოდნენ ურთიერთს და გარს ეხვიათ ირლანდიელი ფენიების ბელადები, ფინმა უბრძანა ფენიებს, მოიღეთო ჭადრაკის დაფა, და ფენიებმა მოიღეს ჭადრაკის დაფა. მაშინ ფინმა მიმართა ოისინს:

— ჭადრაკი ვამღეროთ, ო, ოისინ!

დაფის ერთ მხარეს დაბრძანდა ფინი, კუმალას ძე, მეორე მხარეს კი ოისინი. ოისინს გვერდით მიუსხდნენ ოსგარი, ღუბტახ ლუგაიდის ძე და დიორუინგი, დოვარ ო'ბაისგნეს ძე.

ოისინი თუმცა მაცდურად და მარჯვედ თამაშობდა, მაგრამ არც ფინი დაუგდებდა ტოლს.

და როცა ოისინის სვლა იყო, ფინი ეზრახა მას:

— შენ გაქვს ერთი სვლა, ოისინ, რომლითაც შეგიძლია მოიგო ეს ხელი. და მე უფლებას ვაძლევ ყველას, ვინც გარს გახვევია, გიჩვენოს იგი.

— მე ძლიერ ვწუხვარ, ო, ოისინ, — იზრახა დიარმაიდმა, რომელიც ხის კენწეროდან ჰკვრეტდა მათ მღერას, — ასეთი გასაჭირი რომ გადგია, მე კი მანდ არა ვარ, რათა გიჩვენო მომგებიანი სვლა.

— შენ მეტი გასაჭირი გადგია, დიარმაიდ, ვიდრე ოისინს, — რქვა გრაინემ, — რამეთუ წამოწოლილხარ გოლიათის საწოლზე და მხედრების შვიდი რაზმი გარტყია გარს. ცუდი სვლა სჯობია ცუდ წოლას.

მაშინ დიარმაიდმა მოსწყვიტა ერთი ნაყოფი და ესროლა იმ პაიკს, რომლითაც ოისინს უნდა ეთამაშა.

ოისინმა სწორედ ეს პაიკი ითამაშა და მოუგო ფინს.

შემდეგ მათ წამოიწყეს მეორე ხელი და როცა კვლავ მისჭირდა ოისინს, დიარმაიდმა კვლავ მოსწყვიტა ნაყოფი ხიდან და ესროლა იმ პაიკს, რომელიც უნდა ეთამაშა ოისინს.

მაშინ ოისინმა ითამაშა პაიკი იგი და კვლავ მოუგო ფინს.

როცა მესამე ხელიც წამოიწყეს, დიარმაიდმა მოსწყვიტა მესამე ნაყოფი და, რა მისჭირდა ოისინს, კვლავ ესროლა იგი იმ პაიკს, რომელიც უნდა ეთამაშა ოისინს.

და მესამე ხელიც მოიგო ოისინმა.

ოდეს ფინი, კუმალას ძე, სამგზის იქნა განადგურებული ოისინისაგან, მაშინ ირლანდიელმა ფენიებმა, ბელადებმა და მხედართმთავრებმა ალტაცების ყიყინა დასცეს ირგვლივ.

მაშინ ხმამაღლა ეზრახა ფინი ოისინს:

— მე სრულიადაც არ მაკვირვებს შენი მოგება, ო, ოისინ: მართალია, ოსგარი და ღუბტახი მიწყვიტე შეგეწეოდნენ შენ, დიორუნიგიც არ იშურებდა ძაღლონეს, მაგრამ შენ მოიგე არა მათი შეწევნით, არამედ დიარმაიდის დახმარებით, რომელიც ღუვროსის ცხოვრების ხის კენწეროზე იმყოფება და მიგანიშნებს, რომელი პაიკი ითამაშო, ესვრის რა მას ნაყოფს.

— ბოროტი ეჭვი გალაპარაკებს შენ, ო, ფინ, და ჰგონებ, რომ

დუვროსის ცხოვრების ხის კენწეროზე იმალება დიარმაიდი. რად მოიქცეოდა იგი ასე, ოდეს უწყის, რომ შენ სდევნი მას და მისთვის თავის წარკვეთას ჰლამი?

მაშინ ფინმა, კუმალას ძემ, აჰხედა დუვროსის ცხოვრების ხის კენწეროს და იზრახა:

— ვინ არის მართალი ჩვენ შორის, ო, ოდუივენეს · ძეო, მე თუ ოსგარი?

— შენ არაოდეს შემცდარხარ ო, ფინ, — ეზრახა დიარმაიდი, — ჩვენ ჰეშმარიტად აქა ვხით, სკარვან ლოხლანახის საწოლზე.

ამის თქმა იყო და, დიარმაიდი მოეხვია გრაინეს და სამგზის ამბორყო ფინისა და მთელი ფენიების თვალწინ.

— ეს უარესი შეურაცხყოფაა ჩემი, — სთქვა ფინმა, კუმალას ძემ, — რამეთუ იმ წყეული ღამით, ოდეს გრაინე წამგვარე, მაშინ თან მახლდნენ მხედრები, ბელადები და მხედართმთავრები, და ახლაც ჩემს სირცხვილს უყურებს იგივე ხალხი და დამატებით ირლანდიის ფენიების შვიდი რაზმი. სწორედ ამიტომ თავით აგებ პასუხს ამ ამბორთათვის, ო, დიარმაიდი.

წარსთქვა თუ არა ეს ბოროტი სიტყვები, ფინი წამოიშორა თავისი ვეებერთელა ტანით და მზად იყო წამსვე განეგმირა დიარმაიდი ოდუივენე.

მაშინ ფინმა, კუმალას ძემ, იხმო ოთხასი როქის სპა, აღუთქვა მათ კმასყოფელი ჰამადი და საჭურველი და უბრძანა, ხელიხელს ჩაეკიდებინათ და უზარმაზარ წრედ შემორტყმოდნენ დუვროსის ცხოვრების ხეს.

შემდეგ ფინმა მოსინჯა, მაგარი წრე შეკრეს თუ არა როქის სპათა, და ეზრახა მათ, რომ საკუთარი თავით აგებენ პასუხს, თუ დიარმაიდი ოდუივენე გაარღვევს წრეს. შემდეგ მიუბრუნდა ფენიებს და რქვა:

— ო, ირლანდიის ფენიებო, თუ მოიბოვება თქვენს შორის ისეთი მამაცი მხედარი, რომელიც ავალს დუვროსის ცხოვრების ხის კენწეროზე და შეებრძოლება დიარმაიდი ოდუივენეს? იგი, ვინც მომიტანს დიარმაიდის თავს, მიიღებს მის ჯადოსნურ საჭურველს და უმალ დაიკავებს დიარმაიდის მამისა და პაპის ადგილს ირლანდიის ფენიათა შორის.

მაშინ წინ წამოდგა გარვი სლიავ-კუიდან და ეზრაბა ფინს, კუმალას ძეს:

— დიარმაიდ ო'დუიენეს მამამ, დონ ო' დონახუადმა მოჰკლა მა-მაჩემი და სწორედ ამიტომ მე ავალ დუეროსის ცხოვრების ხის კენწეროზე, შევებრძოლები დიარმაიდს და მოგართმევ მის თავს, ო, ფინ.

ამ დროს დიარმაიდის მამობილი და აღმზრდელი, კეთილი ჯადოქარი ბრუგელი ანგუსი, იჭდა თავის ცხენ-სიმაგრეში და იგრძნო, რომ ფარსავი არ სჭირს დიარმაიდს, და მსწრაფლ გაეშურა მის საშველად.

ბრუგელი ანგუსი მიუახლოვდა დუეროსის ცხოვრების ხეს და მის ხშირ ტოტებში ისე უჩინრად მიიმალა, რომ თვალი ვერ შეასწრეს ვერც ფინმა, კუმალას ძემ, ვერც ირლანდიელმა ფენიებმა და ვერც როქის სპამ.

და მაშინ, ოდეს გარვი ის-ის იყო უნდა სწვდომოდა ხის კენწეროს, დიარმაიდი აღიმართა მთელი თავისი უზარმაზარი ტანით, გადაალაჯა გოლიათის საწოლიდან და ისეთი წიხლი უთავაზა გარვს, რომ დაყვირებაც ძლივს მოასწრო საბრალომ და ზღართანი მოადინა დედამიწაზე. როქის სპათა წრეში დაენარცხა იგი.

მაშინ ბრუგელმა ანგუსმა იხმარა ძლიერი გრძნება და გარვი სლიავ-კუიდან დიარმაიდ ო'დუიენეს დაამსგავსა სახით.

ამიტომ როქის სპამ იგი დიარმაიდად მიიღო და წამსვე მოჰკვეთეს თავი და ფინს მიართვეს, კუმალას ძეს.

მაგრამ ბრუგელი ანგუსის გრძნების ძალა ისეთი იყო, რომ მოკვდა თუ არა გარვი, დიარმაიდის სახე უმალ დაჰკარგა მან და კვლავ საკუთარი სახე მიიღო.

მაშინ ფინი, კუმალას ძე, მიუბრუნდა თავის ხალხს და ამცნო მათ, რომ არა დიარმაიდ ო'დუიენე, არამედ გარვი ჩამოვარდა ხიდან და მოჰკლეს როქის სპათა.

ამის შემდეგ წინ წამოდგა გარვი სლიავ-კროტიდან. იგი მიუბრუნდა ფინს, კუმალას ძეს და ირლანდიელ ფენიებს და სთქვა, რომ იგი ავა დუეროსის ცხოვრების ხის კენწეროზე და სამაგიეროს გადაუხდის დიარმაიდს მამამისისთვის, რომელიც მოჰკლა დიარმაიდის მამამ — დონ დონახუადმა.

მაშინ გარვი აუყუა ღუეროსის ცხოვრების ხეს, მაგრამ ნახევარი მანძილიც არ გაეგლო, რომ ტოტებში მიმალულმა ბრუგელმა ანგუს-მა წიხლი უთაეაზა და საბრალო გარვი მოწყდა ხეს და როქის სპათა წრეში მოადინა ზღარათანი.

მაშინ იხმარა ბრუგელმა ანგუსმა დიდი გრძნება და გარვი ღიარ-მაიდ ო'ღუიენეს დაამსგავსა სახით. მაშინ როქის სპამ გარვს თავი მოჰყვეთა და ფინს, კუმალას ძეს მიართვა.

მაგრამ ფინმა შეავლო თუ არა თვალი მორთმეულ თავს, მყისვე იცნო გარვი და ამცნო ყველას, რომ კვლავ მოიკლა არა ღიარმაიდ ო'ღუიენე, არამედ გარვი სლიავ-კოტიდან (რამეთუ ღიარმაიდის სახე სიკვდილისთანავე განეშორა მას).

მაშინ ფინი კვლავ მიუბრუნდა თავის ხალხს და იკითხა, თუ იყო მათ შორის ისეთი მამაცი მხედარი, რომელიც გაბედავდა ღიარმა-იდ ო'ღუიენესთან შებრძოლებას.

მაშინ წინ წამოდგა გარვი სლიავ-გუაირედან და მიმართა ფინს, კუმალას ძეს და ირლანდიელ ფენიებს:

— ღიარმაიდ ო'ღუიენეს მამამ, დონ დონხუადამ, მოკლა მამაჩემი. და, რათა მივუზღა მას სამაგიერო, მე ავალ ღუეროსის ცხოვრების ხეზე, შევებრძოლები ღიარმაიდს და მოგართმევ მის თავს, ო, ფინ.

სტყვა თუ არა ეს, იგი მსწრაფლ შეუდგა ღუეროსის ცხოვრების ხეს.

მაშინ კვლავ აღიმართა ღიარმაიდ ო'ღუიენე თავისი ვეებერთელა ტანით გოლიათ სკარვან ლოხლანახის საწოლზე და გარვმა მიაღწია თუ არა ხის კენწეროს, ისეთი წიხლი იწვნია ღიარმაიდისაგან, რომ საბრალო მოსწყდა ხეს და მიწაზე დაენარცხა.

და ბრუგელმა ანგუსმა კვლავ მიანიჭა გარვს ღიარმაიდ ო'ღუიენეს სახე და როქის სპამ მოჰყვეთა მას თავი. მხოლოდ ამის შემდეგ იხილეს, რომ თუ იყო არა ღიარმაიდ ო'ღუიენე, არამედ გარვი სლიავ-გუარედან. რა?

ასე, ერთიმეორის მიყოლებით ავიდა ცხრა გარვი ღუეროსის ცხოვრების ხეზე და ყოველი მათგანი მიწაზე დაენარცხა და მოიკლა ფინის, კუმალას ძის, სპათა მიერ, რომლებიც ანგუსის გავლენით ღიარმაიდ ო'ღუიენედ ჰგონებდნენ მათ.

მძიმე დარდითა და აუწყრელი ტანჯვით აღევსო გული ფინს, კუ-
მალას ძეს, როცა დიარმიდ ო'დუივნემ მიწას დაანარცხა სახელოვანი
გარვი და როქის სპამ თავი მოჰკვეთა ცხრავეს.

ესენი იყვნენ: გარვი სლიავ-კუიდან, გარვი სლიავ-კროტიდან,
გარვი სლიავ-გუარედან, გარვი სლიავ-მუიკედან, გარვი სლიავ-მისი-
დან, გარვი სლიავ-მორიდან, გარვი სლიავ-ლუგიდან, გარვი ატ ფრა-
იხიდან და გარვი დრომ მორიდან.

ღრმად ჩაფიქრებული იჭდა ფინი ღუეროსის ცხოვრების ხის
ჩრდილში.

ამასობაში კი კეთილი ჯადოქარი, ბრუგელი ანგუსი, ეზრახა დი-
არმიდ ო'დუივენეს, რომ მას სურს თან წაიყვანოს გრაინე, ასული
კორმაკისა.

— წაიყვანე იგი, ანგუს, — მიუგო დიარმიდ ო'დუივნემ, — თუ
ცოცხალი დაერჩი, მწუხრზე გინაჩულებთ უთუოდ, ხოლო თუ ვე-
რაგმა ფინმა ძობაკედინა, მაშინ იშვილე და აღზარდე ბავშვი, რომე-
ლიც შეიძლება შვას გრაინემ. — თავად გრაინე კი მამამისს, ღიდე-
ბულ კორმაკს, მიჰგვარე ტემრაში.

ამის შემდეგ ბრუგელი ანგუსი გამოეთხოვა დიარმიდ ო'დუი-
ვენს, უსურვა მას გამარჯვება და გრაინესთან ერთად ჯადოსნურ წა-
მოსასხამში გაეხვია.

უეცრად ზურგის ქარმა დაუბერა და ანგუსი და გრაინე თან წა-
რიტანა. ეს ვერ შეამჩნიეს ვერც ფინმა, კუმალას ძემ, ვერც ირლან-
დიელმა ფენიებმა, ვერც მათმა ბელადებმა და მხედართმთავრებმა
და ვერც როქის სპამ.

და ჩვენც არარა ვუწყით მათ შესახებ, ვიდრე არ მიადწიეს ანგუ-
სის ციხე-სიმაგრეს—ბოინის ბრუგს.

როცა ანგუსი და გრაინე ჯადოსნურ წამოსასხამში გახვეულნი
თვალს მიეფარნენ და მიუწყვდომელნი შეიქნენ ფინისათვის, მაშინ
წამოიშართა დიარმიდ ო'დუივენე სკარვან ლოხლანაჩა; ფართო სა-
წოლზე, ნაბიჯი წინ წარსდგა და მიმართა ფინს, კუმალას ძეს და
მთელ ირლანდიელ ფენიებს:

— მე დავეშვები შენთან, ო, ფინ, და თქვენთანაც, ირლანდიე-
ლო ფენიებო. მაგრამ უწყოდეთ, სიკვდილს დავთესავ მე სპათა შო-
რის, რამეთუ მტკიცედ მჯერა, ო, ფინ, რომ შენ ნიადაგ მღევნი მე,

რათა მიმიღო სიცოცხლე. ახლა მე ვხედავ, — განაგრძო დიარმად-
მა, — ველარ გავექცევი იმ ხიფათს, რომელიც შენგან მემუქრება, რა-
მეთუ არ მივის მე მეგობარი და შემწე ირლანდიის რომელიმე შო-
რეულ კუთხეშიც კი. შენ კარგად უწყი, რომ მე ისინი ავჩეხე ხმლით,
ანდა განვგმირე შუბით ჩემეულით, შენი ერთგულებისა და სიყვა-
რულის გამო, რამეთუ არ ყოფილა არც ერთი ბრძოლა, ან ორთა-
ბრძოლა, სადაც არ ვმდგარვარ შენს მხარეზე და შენს შემწედ-
შენ კარგად უწყი, ო, ფინ, რომ მე თავს არ ვზოგავდი შენთვის და
ირლანდიელი ფენიებისათვის. შენ აგრეთვე ისიც უწყი, რომ არავინ
გამიშვია ცოცხალი, ვისაც კი იარაღით შეეგები, ანდა შეეგები შიშვე-
ლი ხელით. ახლა კი, ვფიცავ ჩემს მარჯვენას, — წამოიძახა დიარმა-
იდმა, — მე შურს ვიძიებ ჩემს გამო და იოლად არ ჩავივარდები
ხელში, ო, ფინ!

მაშინ წინ წამოდგა ოსგარი, ძე ოისინისა, და მიმართა ფინს, კუ-
მალას ძეს:

— განა მართალს არ ამბობს დიარმადი? მოიღბე გული და მი-
უტევე მას, ო, ფინ.

— არა, — მიუგო კუმალას ძემ, — აროდეს მიუტევებ დიარმად-
ო'დუიენეს. და არ ეღირსება მას სიმშვიდე, ვიდრე არ მომიზღავს იმ
ბოროტებისა და მოყენებისათვის, რომელიც მომაყენა.

— ბრიყული ამპარტავნობა და ბოროტი ეჭვი გალაპარაკებს
შენ, ო, ფინ, — იზრახა ოსგარმა, — მაგრამ ვფიცავ ჩემს მარჯვენას
და კეთილშობილი მხედრის სიტყვას, რომ ვიდრე ზეცა არ დამექცე-
ვა თავზე და დედამიწა არ მიყოფს პირს, უფლებას არ მოგცემ შენ
და არც ირლანდიელ ფენიებს, ხელი შეახოთ დიარმადი ო'დუიენეს
და მიაყენოთ მას თუნდაც მსუბუქი ჭრილობა და თუნდაც მცირედი
კაწრი. დაე, უწყოდეს მთელმა ირლანდიამ, — იჭექა ოსგარმა, — რომ
მე საკუთარ თავზე ვიღებ დიარმადი ო'დუიენეს სიცოცხლისა და
საქმის დაცვას! ვფიცავ, რომ დავიცავ მას, და თუ გაჭირდა, სრული-
ად მართო შეგებმები ირლანდიის მთელ მხედრობას. ო, დიარმადი!
მალლა იძახა ოსგარმა, — დაეშვი დაბლა. სიტყვას გაძლევ, რომ მე
დავიჭერ შენს მხარეს და ჩავაბარებ ჩემს სიცოცხლეს. შენ უწყი,
მე ძლიერი მკლავი მაქვს და ვერვინ შეგეხოს შენ.

მაშინ აღიმართა დიარმადი ო'დუიენე თავისი ვეებერთელა ტანით

და დადგა მაღალ ტოტზე—ღუვროსის ცხოვრების ხის ყველაზე გრძელსა და მაგარ ტოტზე. იგი დაეყრდნო თავის შელოცვილ ჰოროლს და აეშვა ჰაერში, მსუბუქი, ვითარცა ჩიტი, სწრაფი, ვითარცა ელვა, ხელშეუხებელი, ვითარცა ქარაშოტი.

ბოლოს იგი დაეშვა ქედთა შორის მომწყვდეულ ხასხასა ველზე, ეს ქედები იმყოფებოდა ფინის, ირლანდიელი ფენიების, მათი ბელადებისა და მხედართმთავრების მიღმა, იმ წრის მიღმა, რომლითაც როქის სპამ მოიცვა დიარმაიდი.

უხსოვარი დროიდან ჩვენამდე მოაღწია ერთმა პატარა სიმღერამ. იგი მოგვითხრობს იმ ამბებზე, რაც მოხდა დიარმაიდ ო'დუივენესა და ირლანდიელ ფენიებს შორის. სიმღერა იწყება იმ ამბიდან, როცა ირლანდიელმა ფენიებმა დიარმაიდ ო'დუივენეს ძებნაში პირველად გადალახეს აკრძალული წრე და მჭიდრო წრით მოიცვეს ღუვროსის ცხოვრების ხე, და მთავრდება იქ, როცა მოშულარნი ერთმანეთს დაშორდნენ.

მე მახსოვს მღერა ულმობელი, რომელსაც მღერდა ირლანდიელი ფენიების ბელადი დიდი, რომელსაც მღერდა ბუნ ერესში შეჭირვებული, მკმუნვარე ფინი და ძე მისი, მძლე ოისინი.

თავად მე, ფინი ო'ბაისგნე, მიუუჯექ დაფას, გვერდით დავისხი საყვარელნი და მკვიდრნი ძენი. თავზე გვეფინა ღუვროსის ხის ვეება ჩრდილი. ბოლოს წამებად გარდამექცა ეს ლალი მღერა.

ჭადრაკის დაფა გადაშლილი იყო ჩვენ შორის — დაფას ვუსხედით ბელადი და მხედარი ბრძენი, მიმოდროდნენ პაიკები ელვაზე უმაღლ, ფუჭი მღერა და დროის მოკვლა არ იყო იგი.

დიარმაიდმა თეთრკბილებამ ხის კენწეროდან ჭადრაკის დაფას ჯადოსნური ნაყოფი სტყორცნა და ოისინმა დაიტაცა ნაყოფი იგი, ხოლო პაიკი მინიშნებულ ადგილზე დასვა.

ფინი ო'ბაისგნე მიუბრუნდა თავის ძეს და ეზრახა:

ფ ი ნ ი

ხის კენწეროზე დამჯდარა ვილაც
და ვინც დამჯდარა ხის კენწეროზე,
მასთან სასტიკი მოგველის ბრძოლა,
ის ულმობელი მტერია ჩვენი.

მაშინ ეზრახა ფინს ოსგარი, შვილიშვილი მისი, ძე დიდებულა
ოისინისა:

ო ს გ ა რ ი

ვინ არის იგი უცხო მხედარი,
ვისი სიკვდილიც ესოდენ გწადის?

ფ ი ნ ი

სახელგანთქმულო მორკინალო, ზვიადო ოსგარ,
ნუ მომწყვეტ მღერას, გვეედრები, იყუჩე წამით.
ერთს გეტყვი მხოლოდ, დაიღვრება სისხლი ფრიადი,
როს მეტოქენი მოვრჩებით მღერას.

ო ს გ ა რ ი

მაგას ნუ იტყვი, დიდებულო მეუფევე ჩვენო,
ნუ განრისხდები, უმიზეზოდ ნუ შეჰყარი წარბებს.
მე კარგად ვუწყვი: დიარმაიდს დაეძებ მიწყვი,
მაგრამ უწყოდე, რომ ფიქრადაც არა ღირს იგი-

ერთს გეტყვი მხოლოდ, დაიღვრება სისხლი ფრიადი,

ფ ა ი ლ ა ნ ი

მრავალნაცადო, ერთგულო ოსგარ,
შენ მოგაყივნებს სირცხვილი დიდი,
თუ განუდექი მამაშენს განზე

და მიუღეჭი უღმობელ მტარვალს.

აწ ჩვენს ხელთაა მხედარი იგი,
ველარც ასული წაგვივა ვერსად.

ოს გ ა რ ი

ო, ღიარმაიდ ო'დუიენე, ჩამოხე ხიდან,
შენ სიკედლისგან დაგიფარავს მარჯვენა ჩემი.
ვფაცავ ძალ-ღონეს, არ დაეზოგავ ძალსა და ღონეს,
ვერრა დაგაკლონ ფენიებმა და ვერცა ფინმა.

გ ო ლ ი

უზარმაზარი სიტყვა წარსტქვი, მამაცო ოსგარ, —
გაუციინარმა წარსტქვა გოლმა, წარბების შეყრით,—
როს განაცხადე, რომ დაიცავ შენი მარჯვენით.
ჩვენს უღმობელ მტერს, თუნდ შეგებას მთლად ირლანდია.

ოს გ ა რ ი

სახელგანთქმულო მორკინალო, ზვიადო გოლო,
ჩემს წინააღმდეგ არასოდეს აღსდგები, მჯერა.
ჩემს მალალ მოდგმას უსათუოდ მიუზღავ პატივს,
პატივს მიუზღავ ღიარმაიდს, დიდებულ მებრძოლს.

მტრად არასოდეს გაუხდები მის ძლიერ ჯილავს,
მის ძირძველ მოდგმას უსათუოდ მიაგებ პატივს,
რომელმაც უძღვნა ირლანდიას მხედარი ბრძენი,
სწორუპოვარი მორკინალი დაბადა ქვეყნად.

თორემ უწყოდეთ: ხელთ ავიღებ ელვარე მახვილს,
და იარაღით დაგიმტკიცებთ სუყველას ახლავ,
თუ ვითარ მიყვარს დიდებული მხედარი იგი,
იჟუნდაც სიყვარულს შევეწირო, დავეცე თუნდაც.

გ ო ლ ი

შიშშეუვალო, მოუხრელო, მხედარო მძლავრო,
სასტიკ ბრძოლებში დამამხოზო ურიცხვთა სპათა,
თუ ჭეშმარიტად მართალია სიტყვები შენი,
მაშინ ევ მიიმე საჭურველი აღმართე ჩვენზე.

დაე, მახვილმა დაამტკიცოს სიმართლე შენი,
ირლანდიაში ყველასათვის შეიქნეს ცხადი,
რომ არა მხოლოდ ფუჭი სიტყვით, არამედ ძალით,
ძალგის დაიცვა ო'ღუიენე დიარმაიდი.

შემდეგ იზრახა კაირილმა ჯიუტმა მოყმემ,
პირმოხეული გრგვინვა მისი გაიჭრა ველად,
და ირლანდიას განეფინა კილითიკიდე,
ოისინის ძეს, მამაც ოსგარს ეზრახა იგი.

კ ა ი რ ი ლ ი

ნუთუ შენ გნებავს, წამოიწყო დიადი ბრძოლა,
მოსრა შენივე სისხლისანი და სახლეულნი?
თავით ფეხამდე აღჭურვილი გამოდი მაშინ,
მძლავრი მახვილით დაამტკიცე სიტყვები შენი.

ო ს გ ა რ ი

ღიახ, დავიჭერ იმ მხედრის მხარეს
და თქვენს პირისპირ დავდგები მარტო,
და თქვენი ძვლები გაიღებს ჭახანს,
დაენარცხებით სულდაღებულნი.

აქ, დიარმაიდ ო' ღუიენე, მხედარი მძლავრი,
წამოიზიდა გრძელ და მაგარ ღუვროსის ტოტზე,
ხელით დაეყრდნო შელოცვილი ჰოროლის დიბლიგს
და ხის წვერიდან გადმოეშვა მიწაზე უმაღ.

გადმოხტომისას დაიძაბა სახსრები მისი
და კენწეროდან ღეღამიწას დაასკდა ოდეს,
დააბარბაცა ღეღამიწა ძლიერმა ბიძგმა,
მძლავრმა გრიალმა გააყრუა შემოგარენი.

მაშინ ხუთასი აღქურვილი როჭო სპა ფინის
და ამღენივე ბელადები და ფენიები,
დიდებულ მხედარს გამძაფრებით ეკვეთნენ უმალ,
ვიდრემდე ოსგარს მიაღწევდა მხედარი იგი.

მაშინ ოსგარმა გააშიშვლა მახვილი ხმალი
და ვითარ ქარი, მსუბუქი და ფრთაუმალესი,
რომ დათარეშობს ირლანდიის მთაში და ბარად,
გაიქრა იგი და დაამხო ყოველი ზღუდე.

დაუნდობელი და მრისხანე ეკვეთა სპათა,
ჯხედართა შორის მხნე მახვილით განიხვნა გზანი,
ოსგარის ირგვლივ ბობოქრობდა მხურვალე სისხლი,
ვითარ ჩანჩქერი დაშვებული მთებიდან თავქვე.

მაშინ წინ წარსდგა კონანი ბრძენი,
ფინს შეჭირვებულს ეზრახა იგი;
მან გაიხსენა ძველი მტრობა, ბრძოლები მძიმე,
რომ მძვინვარებდა ირლანდიის მოძმეთა შორის.

კონანი

შეხედე ერთი, ვით იტანჯვის ბაისგნეს ტომი,
სამარლებიან უმჯობესნი მხედარნი მისნი,
თვისივე სისხლის მოძმეთაგან განგმირულები.
ძმა ძმას ებრძვის და სამარეს უთხრის.

ბოლოს იზრახა მოხუცმა ფინმა:

უკუიპყართ სისხლიანი მახელი თქვენი,
დაუყოვნებლივ აღმანში დაბრუნდით ყველა,
თან გაიყოლეთ მორნეს მძლავრი შთამომავალნი.

ღიარმადი თეთრკბილება გაგვესხლტა უკვე,
ღაწვებწითელი ო'დუივნე ვერ ვიგდეთ ხელად,
და თვით ოსგარმა, უმჯობესმა მხედართა შორის,
ჩვენ მიგვატოვა სიკვდილის ველზე.

ამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ოსგარი, ძე ოისინისა და ღიარმადი ო'დუივნე გადაეხვივნენ ურთიერთს და აღმოჩნდა, რომ არც ერთ მათგანს არ მიუღია კრილობა და არცა კაწრი რამ.

ისინი დაძვრნენ დასავლეთისაკენ და ჩვენ არა ვუწყით მათ შესახებ, ვიდრე არ მიალწიეს ბონის ბრუგს. იქ მათ მიეგებნენ გრანე, კორმაკის ასული და კეთილი ანგუსი, დიდად გახარებულნი და ფრიად ამაყნი ღიარმადია და ოსგარის. გმირობის გამო.

მაშინ ღიარმადი ო'დუივნემ იწყო თხრობა მათი გმირობისა და ამცნო მათ საზარელი ომის ყოველი წვრილმანი თავიდან ბოლომდე.

ამ დროს ყრმა, რომელიც გრანეს საშოში უშუშდებოდა, შეაშინა გრანეს შიშმა, შეტოკდა და სული განუტევა, მკვეთრ ჩაკვდა საშოში.

ახლა კი მივიქცეთ ფინის, კუმალას ძის კვალზე. როს ღიარმადი ო'დუივნეს ძემ და ოსგარ ოისინის ძემ დაუტევეს იგი, მან თვალი მოავლო ბრძოლის ველს და იხილა, რომ ცხრა ბელადი, ცხრაასი ირლანდიელი ფენია და როქის სპა ერთიან გარდაქმნილიყო სისხლის ლაგაზად. მაშინ ფინმა მხედარნი, რომელნიც სიკვდილს გადაურჩნენ და კიდევ ძალედვით მოძრაობა, წარგზავნა იქით, სადაც შეეძლოთ მათი განკურნება. შემდეგ იგი მიუბრუნდა იმ მცირერიცხოვან სპას, რომელიც სრულიად უვნებელი დარჩა, და უბრძანა, გაეთხარათ ფართო და ღრმა სამარე. მხედრებმა გათხარეს ვეებერთელა სამარე და მუნ დაფლეს ყველა, ვინც კი ასე უსახელოდ დაეცა ამ სამწუხარო დღეს ღუეროსის ცხოვრების ხის ქვეშ.

სევდას, ურვას და მტანჯველ ფიქრებს მოეცვა ფინი, კუმალას ძე. იმ დღეს ძმათა საფლავზე საზარელი ფიცი წარსთქვა ფინმა.

— ვფიცავ, — იზრახა მან, — და თქვენ ყველანი მოწმენი იქნებით, რომ არ მოვისვენებ არც დღისით და არცა ღამით, ვიდრე არ მივუზღავ დიარშიდ ო'ღუიენეს.

შემდეგ ფინმა მოუწოდა ყველაზე ერთგულ ხალხს და უბრძანა მათ, დიდი ხომალდი ააგეთო ხანგრძლივი მოგზაურობისათვის. ფინის, კუმალას ძის ხალხმა წყლის, ხორცისა და სხვა სანოვავის დიდი მარავი დააგროვა და ხომალდზე აზიდა.

როცა ყველაფერი გაამზადეს, ფინმა, კუმალას ძემ, უბრძანა ათას უმამაცეს მხედარს, ხომალდში ჩამსხდარიყვნენ და თან გაყოლოდნენ.

მეზღვაურებმა მძიმე ღუზა ამოზიდეს ცისფერი წყლიდან, მოუსვეს მაგარ ნიჩბებს და უცნობი გზებით მიმართეს ხომალდი. სუფთა და გრილი ქარი შეიპყრეს თეთრი და ფართო იალქნებით. ქიმით გაჰკვეთეს ბობოქარი ტალღები, მაღალი ანძებით გადახნეს ზეცა და გამოფატრეს ორთქლით გატენილი მძიმე ღურბლები, გაინავარდეს ოკეანეში მრისხანე ტალღების ჯიბრზე.

ჩვენ არაა ვუწყით იმის შესახებ, თუ როგორ იცურეს მათ, ვიდრე მყუდრო ნავსადგურს არ მიაღვნენ ალბის ბორჩაისით. მეზღვაურებმა ფრთამალი ხომალდი მაგარი ბაგირებით მიიბეს ნაპირზე აღმართულ ბოძებზე.

შემდეგ კი ფინი, კუმალას ძე, და მისი ერთგული ხუთი ბელადი ნაპირზე გადავიდნენ და წარემართნენ ამ კუნძულის მბრძანებლის, ალბის ხელმწიფის ციხე-სიმაგრისაკენ.

როცა ხუთი მხედარი დიდებული ფინის წინამძღოლობით ხელმწიფის ციხე-სიმაგრეს მიეახლა, ფინმა მთელი ძალით ჩამოჰკრა კართან დაკიდებულ ზარს. ზარის ხმაზე უმალ გამოვარდა მეკარე და ჰკითხა მოზარეთ:

— ვინ დგას ალბის ხელმწიფის კართან?

— ფინი, კუმალას ძე, — მიუგო ფინმა, კუმალას ძემ.

— შემოუტევე, — წარსთქვა ხელმწიფემ.

მაშინ განახენეს ციხე-სიმაგრის კარნი და ფინი, კუმალას ძე, თავისი მხლებლებითურთ ხელმწიფის წინაშე წარსდგა.

ალბის ხელმწიფემ პატივით მიიღო ფინი და დიდი ნადიმი გა-
შართა სელარში. სთხოვა ფინს, დაეკავებინა მისი სრა საჯდომი. შემ-
დეგ შემოიტანეს გემრიელი კერძები და მათობელა თათლითა და
მაგარი ღვინით აღვსილი თასები.

ალბის ხელმწიფემ ფინის, კუმალას ძის, ხომალდზე წარგზავნა
რამოდენიმე მოციქული, რათა მოეწვიათ ფინის სხვა მხედრები და
მხედართმთავრები ამ დიდებულ დღესასწაულზე.

ამის შემდეგ ფინმა ამცნო ალბის ხელმწიფეს, თუ რამ აიძულა
იგი დასდგომოდა ასეთ შორეულ გზას და მოსულიყო მის სამფლობე-
ლოში. მან მოუთხრო ხელმწიფეს მისი და გრანენს გარიგების ამბა-
ვი თავიდან ბოლომდე და დასძინა, რომ მოვიდა მასთან, რათა სთხო-
ვოს რჩევა და შეწევნა.

— შენ ვალდებული ხარ დამეხმარო, — რქვა ფინმა, კუმალას
ძემ, — რამეთუ ღიარმაიდ ო'დუიენემ მოკლა მამაშენი და შენი ორი
ძმა, ვითარცა შენი ტომის მრავალი ბელადი.

— დიახ, რასაც შენ ამბობ, ო, დიდებულო ფინ, ყველაფერი
მართალია, — მიუგო მას ალბის ხელმწიფემ, — და მე მოგცემ შენ
ჩემს ორ ძეს და ათასკაციან რაზმს.

სიხარული მოეფინა მოხუც ფინს, როცა გაიგო, რომ ალბის ხელ-
მწიფე მას ჰპირდებოდა თავის ორ უძლეველ ძეს და ათას უშიშარ
მხედარს.

მაშინ ფინმა უმალ შეკრიბა თავისი ბელადები, ფენიები და რო-
ქის სპა, მადლობა მოახსენა გულუხვ მასპინძელს მასპინძლობისა და
დახმარებისათვის, გულთბილად გამოეთხოვა და უსურვა მას და მის
ახლობლებს კეთილდღეობა, გამარჯვება, სიმდიდრე და ჭანმრთელო-
ბა. ხელმწიფემაც ასეთივე სურვილებით უპასუხა ფინს და დაარწმუნ-
და, რომ იგი ერთგული მეგობარია მისი და ირლანდიელი ფენიებისა.

ამის შემდეგ ფინმა და მისმა ხალხმა დაუტევეს ალბის ხელმწი-
ფის სასახლე და გასწიეს თავისი გზით.

ისინი ჩასხდნენ თავიანთ ფრთამალ ხომალდში და კვლავ დასავ-
ლეთისაკენ გაეშურნენ.

ჩვენ არარა ვუწყით მათ შესახებ, ვიდრე არ მიაღწიეს ბოინის
ბრუეს.

მეზღვაურები გადავიდნენ ნაპირზე და ფინმა, კუმალას ძემ, მო-

ციქული წარგზავნა ბოინელი ანგუსის სახლში და მისი პირით შეუთვალა, რომ აპირებს შეებრძოლოს დიარმიდ ო'დუიენეს და მოითხოვს, რომ მტერმა მიიღოს მისი გამოწვევა.

— როგორ მოვიქცე, ო, ოსგარ? — ჰკითხა დიარმიდ ო'დუიენემ.

— ჩვენ ერთიანი ძალით შევებრძოლებით ფინსა და მის ხალხს,— მიუგო ოსგარმა. — ერთიან შევეუმუსრავეთ ძელებს, სისხლის ლაგაზად ვაქცევთ ერთიან. ვერც ერთი მათგანი, ბელადი ჩქნება იგი, რომის სპა, თუ ჭაბუჯი ფენია, ვერ გაექცევა სიკვდილს.

როცა მზის პირველი სხივები დედამიწას დაეცა, დიარმიდ ო'დუიენემ და ოსგარმა ძილი განიფრთხეს და ტანთ აისხეს ლატი და მუზარადი ხმალშეუვალი. შემდეგ დაიძრნენ ფინის, კუმალას ძის, უზარმაზარი ჯარისაკენ.

მიუახლოვდნენ თუ არა მტრებს, მხედრებმა შეარხიეს დამშეული იარაღი და მძლავრად იძახეს:

— გამოდით ბრძოლად! გამოდით, რამდენიცა ხართ, ბევრნი თუ ცოტანი. დაე, წინ წამოდგნენ ის ვაჟკაცები, რომელთაც არ აშინებთ ბრძოლა გახელებულ მხედრებთან.

შემდეგ დიარმიადმა და ოსგარმა შეაჭდეს ურთიერთს თავიანთი ფარების კიდევები და არავითარ ძალას აღარ შეეძლო მათი გათიშვა ბრძოლის ეამს. მაშინ წინ წამოდგა ალბის ხელმწიფის ორი ძე და მიმართეს ფინს:

— ნება გვიბოძე, ო, ფინ, ჩვენ და ჩვენი ხალხი პირველი გამოვიდეთ და შევებრძოლოთ ორ მტერს.

თქვეს თუ არა ეს, ისინი გადმოვიდნენ ხომალდებიდან და ეკვეთნენ დიარმიადსა და ოსგარს. საშინელი ძალით შეეხეთქნენ მხედრები ურთიერთს. ბოლოს იმარჯვეს დიარმიადმა და ოსგარმა და უსულოდ დაჰყარეს ალბის ხელმწიფის ძენი.

შემდეგ ისინი თავს დაატყდნენ დანარჩენ მხედრებს და იწყეს შათი ჩეხვა. ისინი ჰვავდნენ ორ ქორს, თავს რომ ესხმიან დამფრთხალ წიწილებს; ანდა ორ ვეშაპს, ლიფსიტებს რომ ნთქავენ; ანდა ორ მგელს, მუსრს რომ ავლებენ ბატკნების ფარას.

და ესოდენ დიდი იყო შიში, ესოდენ ძლიერი იყო ზარი და შეჭირვება, რომელიც ამ სახელოვანმა მხედრებმა აგემეს თავიანთ მტრებს, რომ არვის ძალედვა მისი გადმოცემა, რამეთუ ცოცხალი არ

დარჩა ერთი მხედარიც კი, რათა მოეთხრო ღიარმაიდ ო'ღუიენესა და ოსგარ ოისინის ქის გმირობის ამბავი. ამრიგად, მზის ჩასვლამდე ღიარმაიდისა და ოსგარის უღმობელმა მახვილმა სრულიად მოსრა ფინის სპა, ხოლო თავად ღიარმაიდა და ოსგარს ერთი ჭრილობაც კი არ მიუღიათ და არც თუ რამ კაწრი.

ოდეს ფინმა, კუმალას ძემ, იხილა ეს უზარმაზარი სასაკლაო, მაშინ დაუტევა მან ამაზრზენი ადგილი და ხომალდზე მიიქცა.

და ჩვენ არარა ვუწყით მის შესახებ, ვიდრე არ მიაღწია ტირ-ტა-ირნ-გირეს, სადაც ცხოვრობდა სახელგანთქმული ალქაჯი, ფინის მოხუცი ძიძა.

ფინმა მოუთხრო მას თავის სულიერ ტანჯვაზე და იმ შეუარაცხყოფაზე, რომელიც ვიყენა ღიარმაიდ ო'ღუიენემ; აგრეთვე იმ ბრძოლაზე, რომელსაც მის წინააღმდეგ ეწეოდა იგი. შემდეგ ძიძის წინაშე თავი დახარა და დასძინა, რჩევისათვის გეახელო ამჯერად.

— ამასთანავე, — სთქვა ფინმა, — ღიარმაიდზე არ სჭრის არავითარი იარაღი და არავითარ ძალას არ ძალუძს მისი დაძლევა. მე მწამს, რომ მხოლოდ გრძნებით შეიძლება მისი გატეხვა.

— მე წამოვალ შენთან ერთად, ო, ფინ, — რქვა ალქაჯმა, — და გამოვცდი ჩემს გრძნებას.

კმაყოფილი დარჩა ფინი, კუმალას ძე. მან ის ღამე ძიძასთან გაათია, დილით კი ორივენი გზას გაუდგნენ.

არარა ვუწყით იმის შესახებ, თუ როგორ მიაღწიეს მათ ბონის ბრუგს. ხოლო როცა მიაღწიეს, ალქაჯმა შეულოცა ფინსა და ფენიებს, რათა არავის სცოდნოდა, სად იმყოფებოდნენ ისინი.

წინააღმდეგ ოსგარი გამოეთხოვა ღიარმაიდს. ღიარმაიდი კი გამოვიდა ნადირობად და თევზაობად სწორედ მაშინ, ოდეს ავსულმა დედაბერმა უსიერ ტევრებში მიმალა ფინი და ფენიები.

ალქაჯმა შეიტყო თუ არა ღიარმაიდ ო'ღუიენეს ნადირობად გამოსვლა, უმაღლ ძველ წისქვილს მიაშურა და ქვა დააგროვა. შემდეგ მივიდა ჭაობთან და იპოვა ოროვანდის დიდი ფოთოლი. ფოთოლს უშაში ნახვრეტი გაუქეთა, დაჯდა ფოთოლზე და შელოცვების შეწევნით ჰაერში აეშვა, სუფთა და გამყინავმა ქარმა ატარა იგი ღიარმაიდის კვალდაკვალ.

ალქაჯი მალე წამოეწია ღიარმაიდს. ოროვანდის ნახვრეტიდან

ქვა დაუშინა და ფრიად დააზიანა იგი: დაუფრიწა აბჯარი და გაუღრი-
კა დარაკა. და ესოდენ მძლავრი იყო ალქაჯის გრძნება. რომ ღიარ-
მაიდმა ვერ შესძლო გაქცევა. აღრე გადატანილი ყველა ტანჯვა არა-
რად ჩნდა ამ ტანჯვასთან შედარებით.

ღიარმაიდი დაფიქრდა, თუ რა ხერხით განედევნა ეს გრძნება.
ბოლოს დაასკვნა, რომ ვიდრე მთლად არ დაუძლურებულა, სჯობია
შეებას ალქაჯს და შუბით განგმიროს იგი ოროვანდის ნახვრეტიდან.
მაშინ ღიარმაიდ ო'დღივნე მოიქცა პირით ალქაჯისაკენ, ხელთ იპყრა
შუბი გა-დარგი, მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და უძლიერესი ძვერე-
ბით აძგერა შელოცვილი შუბი ალქაჯს.

შუბმა იწივლა, ჰაერი გაჰკვეთა და ოროვანდის ნახვრეტიდან გან-
ვმირა ალქაჯი. მაშინ ღიარმაიდმა დედაბერს თავი მოჰკვეთა და ეს სა-
ზიზღარი ნადავლი თან წაუღო ანგუსს ბონინს ბრუგში.

მეორე დღეს უთენია წამოდგნენ ღიარმაიდ ო, დღივნე და ანგუსი.
ანგუსი წარემართა კუმალას ძესთან, აჩვენა მას დედაბრის თავი და
ჰკითხა, თანახმა იყო თუ არა. ახლა მაინც ჩამოეგდო ზავი ღიარმა-
იდთან. ფინმა მიუგო, რომ მზადაა ყოველგვარ პირობებზე, ოღონ-
დაც კი ზავი ჩამოვარდეს მათ შორის.

ამის შემდეგ ანგუსი მივიდა ღიარმაიდსა და გრაინესთან და ჰკ-
თხა ღიარმაიდს, სურს თუ არა ჩამოაგდოს ზავი ფინთან, კუმალას
ძესთან, და კორმაკთან, ირლანდიის ხელმწიფესთან.

ღიარმაიდმა მიუგო, რომ იგი თანახმაა, თუ ისინი შეასრულებენ
ზავის ყველა პირობას.

— როგორია შენი პირობები? — ჰკითხა ანგუსმა.

— ჩემი სურვილია, დავიბრუნო ის თემი, რომელიც ეკუთვნო-
დათ ჩემს წინაპრებს, ესე იგი, ო'დღივნეს თემი. ამასთანავე, ამ თე-
მისთვის მე არ უნდა ვუხდიდე ბეგარას ირლანდიის ხელმწიფეს, და
რომ ფინს, კუმალას ძეს, ჩამოერთვას ამ თემში ნადირობისა და თევ-
ზაობის უფლება. ამას გარდა, მე მოვითხოვ ბან დაეუისისა და დეუ-
ხარნის მამულებს ლაგენში, როგორც ძღვენს ფინის, კუმალას ძისა-
გან, რამეთუ ესენი უკეთესი მამულებია მთელს ირლანდიაში. ხოლო
კორმაკის, ირლანდიის ხელმწიფისაგან, მე მოვითხოვ კეის კარაინის
თემს, როგორც მზითვეს მისი ასულისათვის. აი, სულ ეს არის ჩემი
პირობები.

— ახლავე თუ დაუზავდები მათ, შენი პირობები რომ აღსასრულონ? — ჰკითხა ანგუსმა.

— უსათუოდ, — მიუგო დიარმაილმა.

მაშინ ბრუგელი ანგუსი გაემართა ფინისა და კორმაკისაკენ და ამცნო მათ დიარმაიდ ო'დუივენეს პირობები.

მათ უყოყმანოდ მიიღეს ეს პირობები, რამეთუ ფრიად დიდ ვნებას აყენებდა. მათ დიარმაიდი. მიუტევეს მას ყველა ის ცოდვა, რაც კი ჩაიდინა მთელი ამ თექვსმეტი წლის მანძილზე.

ამის შემდეგ კორმაკმა, ირლანდიის ხელმწიფემ, ფინს, კუმალას ძეს, ცოლად შერთო მისი მეორე ასული, და დიარმაიდ ო'დუივენე აღიარა თავის სიძედ. მაშინ ირლანდიის სამ დიდებულ ვაჟკაცს შორის მშვიდობა და ზავი ჩამოვარდა.

დიარმაიდი და გრაინე დადგნენ სახლში, რომელსაც უხმობდნენ როტ-კრაინეს და იმყოფებოდა კეის კარაინის თემში. იგი ძლიერ შორს იყო კორმაკისა და ფინის სამფლობელოთაგან.

მალე გრაინემ დიარმაიდს აჩუქა ოთხი ძე და ერთი ასული, რომელთაც დაარქვეს: დონხადი, ეოხაიდი, კონლა, სეილვსხარკახი და დრუიმე.

დიარმაიდი და გრაინემ თავიანთ ასულს დრუიმეს უბოძეს ბან ბანხუასი, რომელიც იმყოფება ლაგენის დეუხარნეში. შემდეგ კი აახლეს მას მხევალი.

დიდხანს იცხოვრეს მათ მშვიდად და უდრტვინველად. მთელს ირლანდიაში არ მოიპოვებოდა კაცი, უფრო შეძლებული და უფრო ზვასტაგიან-მამულიანი, ვიდრე დიარმაიდ ო'დუივენე.

ერთხელ გრაინე ეზრახა დიარმაიდს:

— სირცხვილია, რომ ასეთი სიმდიდრის, ამდენი მსახურის და ასეთი განუსაზღვრელი შესაძლებლობების პატრონები, ასე განცალკევებით ვცხოვრობთ, რომ ირლანდიის ორი უდიდებულესი, სახელგანთქმული და უძლიერესი მამრი აროდეს ყოფილა ჩვენს სახლში.

— ვისზე ლაპარაკობ, ო, გრაინე? — ჰკითხა დიარმაიდი.

— კორმაკზე, ირლანდიის ხელმწიფეზე, და ფინზე კუმალას ძეზე, — მიუგო მან.

— ვით მოგიბრუნდა ენა მაგის თქმად, ო, გრაინე! — წამოიძახა

ღიარმიდმა. — შენ ხომ კარგად უწყვი, რომ ისინი ჩემი მტრები არიან.

— მე მზადა ვარ მოვაწყო დიდი ნადიმი მათ პატივსაცემად, — მიუგო გრაინემ, და შენ მოიხვეჭ მათ სიყვარულს.

— მე წინ არ აღეუდგები შენს სურვილს, — რქვა ღიარმიდმა, — მოაწყვე ნადიმი.

— თუ ასეა, უბრძანე ჩვენს ასულს, გამართოს სხვა ნადიმი, — სთქვა გრაინემ, — რათა ფინს, კუმალას ძეს და კორმაკს, ირლანდიის ხელმწიფეს, ვუმასპინძლოთ არა მარტო ჩვენთან, არამედ მის სახლშიც. და თუმცა წინასწარ თქმა ძნელია, მაგრამ ხომ შესაძლებელია, რომ ჩვენმა ასულმა სწორედ ამ ნადიმზე ჰპოვოს შესაფერისი ქმარი.

ამის შემდეგ ისინი შეუდგნენ ორი დიდი დღესასწაულისათვის მზადებას. მზადებამ ერთ წელიწადს გასტანა. ბოლოს წარგზავნეს ორი მორბედი კორმაკისა და ფინის მოსაწვევად. ნადიმებზე მოიწვიეს აგრეთვე ფენიების შვიდი რაზმი და ირლანდიის ტომთა ყველა ბელადი.

მთელ წელიწადს გაგრძელდა ეს ნადიმი ღიარმიდ ო'დუივენესა და მისი ასულის სახლებში.

უკანასკნელ ღამეს ღიარმიდმა ძილქუშით დაიძინა თავის რატკრაინეში, მაგრამ შუალამით იგი გამოადვიდა ძაღლის ყეფამ და ლოგინიდან ადგომა დააპირა. მაგრამ გრაინემ შეაჩერა იგი, ყელზე მოეხვია და ჰკოთხა, თუ რა ესიზმრა.

— ძაღლის ყეფა მომესმა ძილში, — მიუგო ღიარმიდმა, — და დიდად მაოცებს და მაფიქრებს იგი.

— მშვიდად იძინე, — მიუგო გრაინემ, — რამეთუ ტუატ-დე-დანის ტომის მხედრებმა ასტეხეს ეს ხმაური; მიუხედავად ანგუსის გაფრთხილებისა.

ღიარმიდი დაემორჩილა მეუღლის რჩევას, მაგრამ ძილი არ ეკარა მას; ბოლოს ოდნავ ჩასთვლიმა თუ არა, კვლავ გაიგონა ძაღლის ყეფა.

იგი კვლავ წამოიწია საწოლიდან, რათა წასულიყო და მოეძებნა ძაღლი. მაგრამ გრაინე კვლავ მოეხვია მას და უთხრა. რომ ეს ყეფა არ შეიძლება იყოს მისი გამოხმობის ნიშანი ვინმესთან შესახვედ-

რად. ამიტომ საჭირო არ არის შუალამეზე ადგომა რომელიღაც ძალის საძებრად.

მაშინ დიარმაიდი დაწვა სარეცელზე, და დიღხანს არ გაეკარა ძილი; მაგრამ ძილი დაეუფლა თუ არა მის დაღლილ თვალებს, მესამედ შემოესმა ძაღლის ყეფა და გამოიღვიძა. ეზოში უკვე ნათელი ღლეიღვა.

დიარმაიდი ეზრახა გრაინეს:

— წავალ და მოვძებნი ძაღლს, რომელმაც მთელი ღამე არ დამაძინა.

— კეთილი, წაბრძანდი, — მიუგო გრაინემ, — მხოლოდ თან წაიღე მახვილი მორალტახ-მანანანი და შუბი გა-დარგი.

— არა, — ეზრახა დიარმაიდი, — რაში მჭირდება ასეთი საჭურველი. ჭეყოფა მახვილი ბაგ-ალტახი, შუბი გა-ბუიდე და ხანჯალი.

შემდეგ დიარმაიდ ო'დუიენემ დაუტევა რატ-კრაინე და შეუსვენებლივ იარა, ვიდრე არ მიაღწია მწვერვალ ბან-გულბაინს.

მწვერვალზე მან იხილა ფინი, კუმალას ძე, სრულიად მარტო; არც ეოთი ბელადი, არც ერთი ფენია და მსახური არ ახლდა მას.

მაშინ დიარმაიდი უსალმოდ მიეახლა ფინს და ჰკითხა, როგორ გაბედო ჩემს სამფლობელოში ნადირობა. ფინმა მიუგო, რომ ნადირობა წაჰოიწყო არა მან, არამედ სტუმრებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ შუალამით მიატოვეს დიარმაიდის სახლი და დაედევნენ ბან-გულბაინის ველურ ტახს.

— ერთ-ერთი ჩვენი მწევარი, — განაგრძო ფინმა, — იმ ტახის კვალს წააწყდა, რომელიც ჩვენ ღლისით გაგვისხლტა და ველარ მოვკალით. ბან-გულბაინის ტახს უზმობენ მას და ფენიები დიდი ხანია ნადირობენ მასზე, მაგრამ ამაოდ. ღლეს დილით ამ გავეშებულმა მხეცმა ოცდაათი ირლანდიელი ფენია დაფლითა, ხოლო ახლა ამ ქედზე ამოდის და მხედრები შიშით გაუბრბიან მას. გავეცალოთ ამ ქედს, ო, დიარმაიდი.

მაშინ დიარმაიდმა მიუგო ფინს, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ დასტოვებს ამ ქედს ველური ტახის შიშით.

— სულ ერთია შენი დარჩენა მაინც არ შეიძლება აქ, — ეზრახა ფინმა, კუმალას ძემ, — რამეთუ შენ გადევს აკრძალვა, არასოდეს ინადირო ტახზე.

— რატომ აპიკრძალეს მე ტახზე ნადირობა? — ჰკითხა დიარმა-
ილმა.

— ახლავე მოგიტხოვრობ, — მიუგო ფინმა. — ვრცელ და დიდე-
ბულ ლაგენის ალმანში ვიყავი ერთხელ. ერთგული ფენიების შვილი
რაზმი მახლდა თან.

სახლში შემოვიდა ბრან-ბაგ ობუახანი და მკითხა, მახსოვდა თუ
არა, რომ დადებული მქონდა აღთქმა, არ დამეყო ათი ღამე ზედიზედ
ლაგენის ალმანში, ერთ ღამეს თუ მაინც არ გავათევდი ამ სიმაგრის
კედლების მიღმა.

ახლა ეს აღთქმა ირლანდიის არც ერთ მხედარს არ ადევს ჩემს
გარდა — ბელადი იქნება იგი, ფენია თუ როქის სპა.

მაშინ ფენიები წავიდნენ ხელმწიფის დიდ დარბაზში, ჩემთან
დარჩა მხოლოდ მამაშენი, დონ ო'დონხუადა, აგრეთვე რამდენიმე
ბარდი და დრუიდი ფენიების რიცხვიდან. ჩვენ თან გვახლდნენ ნაგა-
ზები და მწვერები.

მე მივუბრუნდი იქ მყოფთ და ვკითხე, სად შეიძლებოდა ღამის
მზიარულად გატარება. მამაშენმა დონ ო'დონხუადამ მითხრა, რომ
შემომთავაზებდა კარგ გართობას.

„თუ გახსოვს, ო, ფინ, — მითხრა დონ ო'დონხუადამ, — იმ დროს,
როცა მე განდევნილი ვიყავი ფენიების რიგებიდან და შენც მდევნი-
დი, კროხნუიტმა, კორახ ლიფელის ასულმა, მუცლადილო ჩემგან და
შვა მშვენიერი და კერკეტი ვაჟი. ბოინის ბრუგელმა ანგუსმა წამგვა-
რა ახალშობილი და იშვილა.

ამის შემდეგ კროხნუიტმა, კორახ ლიფელის ასულმა, კვლავ ილო
მუცლად როკ როკ დიოკაინის ძისაგან და შვა ვაჟი.

როკმა, როკ დიოკაინის ძემ, უწყოდა, რომ კროხნუიტი ერთ ძეს
უკვე აზრდევინებდა ანგუსს, და მთხოვა, მისი ძის გაზრდაზეც დამე-
ყოლიებინა ანგუსი. როკმა აღმითქვა, რომ ცხრა კაცის საშუაფ
ხორცს, რძეს და სხვა სანოვაგეს მიუზიდავდა ანგუსს ყოველ საღა-
მოს. მაშინ მივუგე მას, რომ არა მსურს უგვარო კაცის ძესთან ერთად
აღიზარდოს-მეთქი ძე ჩემი. მაგრამ მაინც ვამცნე ანგუსს, როკის,
როკ დიოკაინის ძის, თხოვნა და ანგუსი დასთანხმდა მისი ვაჟის აღზ-
რდაზეც. როკი, პირობის თანახმად, ყოველ საღამოს გზავნიდა ანგუ-

სის სახლში ცხრა კაცის სამყოფ საწოლაგეს. მაგრამ აგერ უკვე ერთი წელია, რაც აღარ მინახავს ანგუსი და ახლა გთავაზობთ, წავიდეთ მასთან და ვთხოვოთ მას, მიგვიღოს და შეგვიქციოს.

— ამის შემდეგ, — განაგრძო ფინმა, — მე და მამაშენი დონ ო'დონხუადა, ჩვენი თანმხლები ხალხით გავემართეთ ანგუსის სახლისაკენ. სახლში გიხილეთ დიარმიდი და როკის ძე. ყველამ შევამჩნიეთ, რომ ანგუსი ისეთ ძლიერ სიყვარულს როდი იჩენდა შენდამი, როგორსაც იჩენდნენ ანგუსის სახლეულნი როკის ძისადმი.

მამაშენი ძლიერ ეჭვიანობდა ამის გამო, წუხდა მისი შვილის ასეთი ათვალწუნებას.

ამ დროს ჩემი მწვერები წაიკიდნენ ხორცის ნაჭრისათვის, რომელიც მათ სუფრიდან გადმოუგდეს. დიაცნი და მხეველნი მისცივდნენ მათ გასაშველებლად.

როკის ძე შეეცადა გამსხლტარიყო მამაშენის დონ ო'დონხუადას მუხლებს შორის, რათა მასაც ეცადა ძაღლების გაშველება, მაგრამ მამაშენმა ისეთი ძალით მოიგდო იგი მუხლებში, რომ წამსვე მოაშთო. შემდეგ კი მიუგდო ორ გაცოფებულ ძაღლს.

მაღე სახლში შემოვიდა როკი, ძე როკ დიოკანისა, და იხილა თუ არა მკვდარი ძე, სახეზე ხელები აიფარა და მაღალი და გაბმული ურვა აღმოსკდა მკერდიდან.

შემდეგ მოვიდა ჩემთან და მეზრახა:

„ამ სახლში არ არის ჩემზე უფრო უბედური ადამიანი, რამეთუ მე არა მყავს სხვა ძე, თვინიერ ამ ძისა, რომელიც მოუკლავთ. მაშ მარქვი, ო, ფინ, მეკუთვნის თუ არა გამოსასყიდი ჩემი ძისათვის?“

— მაშინ შევთავაზე მას, გულმოდგინებით შეემოწმებინათ ბავშვის სხეული. — განაგრძო ფინმა, — და თუ იგი სხეულზე იპოვიდა მისი მწვერების კბილებისა ან ბრჭყალების კვალს, მაშინ თავად ვიკისრებდი გამოსასყიდს.

ბავშვი გულმოდგინედ გასინჯეს, მაგრამ ბრჭყალებისა და კბილების მომაკვდინებელ კვალს ვერსად წააწყდნენ.

მაშინ როკმა შემბოჭა მე საზარელი და საშიში გრძნებით—დრუიმ-დრაუნსანტით. და მე სიკვდილის შიშით უნდა მეტყვა, თუ ვინ მოკლა მისი ერთადერთი ძე.

მაშინ მოვითხოვე მე ჰადრაკის დაფა და წყალი. განვიბანე ხელ-

პირი, წარეთქვი შელოცვა და ვიკბინე შუა თათზე, რათა გამეგო, ვინ იყო დამნაშავე როკის ძის სიკვდილში. და ამ შელოცვამ ზუსტად დამანახვა მე, რომ სწორედ მამაშენმა მოკლა როკის ძე. როცა ამაში დავრწმუნდი, მაშინ თავად შეეთავაზე როკს ღირსეული გამოსასყიდი მისი ძის სიკვდილისათვის, მაგრამ მან უარი განაცხადა ამაზე. მაშინ მე იძულებული გავხდი, წყევლის შიშით მეთქვა, რომ ბავშვი მოკლა მამაშენმა.

როკმა განაცხადა, რომ არა არის რა იმაზე ადვილი, ვიდრე მიიღოს გამოსასყიდი იმ სახლში, სადაც იზრდება მკვლელის ძე; მაგრამ იგი არ აიღებს არავითარ გამოსასყიდს და მკვლელის ძეს მოექცევა ისე, როგორც მოექცა მკვლელი მის ძეს. და მხოლოდ მაშინ აპატიებდა როკი მამაშენს თავისი ძის სიკვდილს, თუ მამაშენი შესძლებდა მიეღო როკისაგან თავისი ძე ცოცხალი. ამ სიტყვების გაგონებაზე ანგუსი აენტო, ხოლო მამაშენმა გააშიშვლა თავისი მახვილი და დააპირა როკისთვის თავი მოეკვთა. მაგრამ მე ჩაეღექ მათ შორის.

ამის შემდეგ როკი კვლავ მივიდა თავისი ძის ცხედართან, შეეხო მას ჯადოსნური ჯოხით და მყის გადააქცია იგი უზარმაზარ მწვანე ტახად. ტახს არ გააჩნდა არც ყურები და არც კული. მაშინ როკმა პირი ტახისაკენ ჰქნა და წარსთქვა:

„გიწინასწარმეტყველებ, რომ შენ იცოცხლებ იმდენ ხანს, რამდენსაც იცოცხლებს ღიარმაიდ ო'ლუივენე, და შენ იქნები მიზეზი მისი სიკვდილისა.“

ამის შემდეგ მწვანე ტახი წამოხტა, დაიღრუტუნა და ღია კარებში გაიჭრა.

ანგუსმა რა მოისმინა ეს წყევლა, ფრიად მოიწყინა და აგიკრძალა შენ ქოსმენზე ნაღირობა.

მწვანე ტახი, რომელზედაც ახლა გიამბე, იყო სწორედ ის ბანჯულბანიის ტახი. კარგს არაფერს გიქადის მისი დევნა.

— მე არაფერი გამიგია ამ აკრძალვის შესახებ, — სთქვა ღიარმაიდმა, — მაგრამ მე არ დავაგდებ ამ ქედს მისი შიშით. შენ კი, ფინ, გთხოვ, მათხოვო მწევარი ბრანი ჩემი მახვილის შემწედ.

— არა, — მიუგო ფინმა, — მე არ მოგცემ მწევარს, რამეთუ მწვანე ტახი ხშირად გაჰქცევა მას.

ამის შემდეგ ფინი დაადგა თავის გზას და ღიარმაიდი მიატოვა მწვერვალზე სრულიად მარტო, უმწევრო და უმწეო.

— ვვიცავ მხედრის სიტყვას, — იჰეკა ღიარმაიდმა, — შენ განგებ მოაწყე ეს ნადირობა, ო, ფინ, რამეთუ ჰგონებ, ტახი დამლუპავს მე!

ამ დროს ველური ტახი ქედის მწვერვალზე გამოჩნდა. პირდაპირ ღიარმაიდისაკენ მოერეკებოდნენ მას მარეკნი. მაშინ ღიარმაიდ გააძრო ქარქაშიდან თავისი მახვილი და დაუღღირა ტახს. მაგრამ ვერ დაპკრა იგი ნადირს, რამეთუ ტახი მიეახლა თუ არა მას, მახვილი გაჰვარდა ხელიდან მხედარს.

„ვაი მას, ვინც ყურად არ იღო ერთგული ცოლის რჩევა, — მწუხარედ გაიფიქრა ღიარმაიდმა, — ხომ მეუბნებოდა ბრძენი გრაინე, თან წაიღეო მახვილი მორალტახი და შუბი გადარგი“. მაშინ ღიარმაიდმა თავისი თოვლივით თეთრი თით ჰოროლის გაბუიდეს აბრეშუმის ყულფში გაუყარა, დაუმიზნა ტახს და ისეთი ძალით სტყორცნა, რომ შუბი იგი ღინგის შუაში ეძგერა ტახს, მაგრამ წამსვე ასხლტა და ვერარა ავნო. დადრკა ღიარმაიდი, მაგრამ მაინც დააძრო ხანჯალი ბავალტახი და არაერთგზის უქნია ქედზე ტახს, მაგრამ ამჯერადაც ვერარა ავნო ნადირს, ხოლო ხანჯალი შუა გადაემსხვრა მორკინალს. მაშინ ტახმა გაბოროტებით დაიღრიალა და მხარზე მოექცა ღიარმაიდს უეცარი ნახტომით, მიწაზე დასცა იგი და ქვეშ მოიგდო. როცა ღიარმაიდმა ფეხზე დადგომა დააპირა, აღმოჩნდა, რომ მისი თავი მიწაზე მიეჯაჭვა ტახის უკანა ფეხებს, მისი ფეხები კი განრთხმულიყო მხეცის წინა ფეხების ქვეშ. მაშინ ღიარმაიდი მაგრად ჩააფრინდა ტახს. ტახი ფლატედან გადმოეშვა და შეეცადა ღიარმაიდის მოცილებას. შემდეგ წინ გაექანა და მიეფარა ფენიების თვალს. ირბინა, ვიდრე არ მიადწია ეასს (აიდას) რუაიდ-მიკ-ბადაირს და მიირბინა წითელ ჩქერთან. შემდეგ სამი ელვისებური ნახტომი გააკეთა ჩანჩქერის თავზე სხვადასხვა მხარეს, მაგრამ ამჯერად ვერ შესძლო ღიარმაიდის გადმოგდება. მაშინ იგი მიიქცა უკანვე იმავე გზით და ირბინა, ვიდრე არ მიადწია ბან-გულბაინის ქედის მწვერვალს, და აქ ბოლოს და ბოლოს გადმოაგდო ღიარმაიდი.

როცა ღიარმაიდი მიწაზე დაენარცხა, ტახი გაცოფებული ეცა მას, მუცელი გამოფატრა და ნაწლავნი გამოწელა მუცლიდან.

მაგრამ იმ დროს, როცა ბან-გულბაინის ტახი უკვე ტოვებდა ქედის მწვერვალს, დიარმაიდ ო'ლუიენემ მოიკრიბა უკანასკნელი ძალი, მოიმარჯვა ჰოროლი (რომელიც საბედნიეროდ მას ხელთ აღმოაჩნდა) და შიგ თავში აძგერა ტახს.

ტვინი დაანთხია ტახმა და უსულოდ განერთხო მიწას. უბედურების აღგილად იწოდება აღგილი იგი, სადაც ეს მოხდა.

ამის შემდეგ მოვიდნენ ფინი და ირლანდიელი ფენიები და იხილეს მომაკვდავი დიარმაიდ ო'ლუიენე.

— მიხარის შენი ხილვა ასეთ ყოფაში, ო, დიარმაიდ! — წამოიძახა ფინმა, კუმალას ძემ. — და ვწუხვარ, რომ ირლანდიის დიაცნი ვერ გიხილვენ სწორედ ახლა, როცა შენი გასაოცარი მშვენება ამაზრზენ სიმახინჯედ გარდაქცეულა.

— მაგრამ ხომ შენს ხელთაა ჩემი განკურნება, ო, ფინ, — რქვა დიარმაიდმა, — რამეთუ ოდეს ბოინზე მოგენიჭა შენ დიდი ნიჭი ადამიანთა ხვედრის განმგებლობისა, მაშინ შენ მოგენიჭა კიდევ ერთი უნარი, განკურნო ყოველი, ვისაც კი შენი პეშვიდან შეასმევ წყალს.

— შენ არ დაგემსახურებია ეგ, — მიუგო ფინმა.

— ტყუილია, — წამოიძახა დიარმაიდმა, — მე დავემსახურე ეგ ყოველივე! გახსოვს, ოდეს მოილხენდი შენ დარკის, დონარტადის ძის სახლში, შენი ბელადების, დიდებულების და ირლანდიის სახელგანთქმული მხედრების თანხლებით, მაშინ ტემრიდან ბრუიგანში მოვიდნენ უმამაცესი მხედრები და სამგზის გამოგიხმეს ბრძოლად საზარელი ძახილით, შემოაგდეს სახლში ცეცხლი და აღმოდებული ჩინჩხვარი; მაშინ შენ წამოდექი და წასვლა დააპირე, მაგრამ მე დარჩენა გირჩიე იმ დიდებულ ნადიმზე. შემდეგ მე დაუაგდე დარკის სახლი, სამი ჯადოწრე დავარტყი ბრუიგანს და ჩავაქრე ხანძარი. ყოველ წრის დარტყმაზე ვკლავდი მტრის ერგას მხედარს და ბოლოს მოვიქეც თქვენთან სრულად მრთელი, და შენ მაშინ ბედნიერი და გახარებული იყავ, ო, ფინ, და მიქებდი სიმამაცეს, — განაგრძობდა დიარმაიდი, — და მაშინ გთხოვე მე გაწეული სამსახურისათვის წყალი გესმია შენი პეშვიდან, თუ ეს საჭირო შეიქნებოდა. და შენ აღმითქვი იგი. დღეს გთხოვ აღასრულო აღთქმა, ო, ფინ.

— ეგ ეგრე არ არის, — სთქვა ფინმა, კუმალას ძემ, — შენ არ დაგემსახურებია სიკეთე და მე ვალდებული არა ვარ, გასვა წყალი

ჩემი პეშვიდან. იქნებ ჰგონებ, რომ დამავიწყდა ის ავბედითი საღამო, ოდეს ტემრში ირლანდიის დიდებულთა თვალწინ წამგვარე გრანინე, და ეს მაშინ, როცა თავად იყავ ჩემი დარაჯი და იმ ღამეს უნდა დაგეცვა გრანინე?

— მე არ მადევს ეგ ბრალი, ო, ფინ, — იზრახა დიარმიადმა, — რამეთუ გრანინემ თავად ამირჩია მე, მან გრძნებით შემკრა და ველარ დავალწიე თავი ამ გრძნებას, ო, ფინ. შენი სიტყვები მტყნარი სიტყურუეა, და კარგად უწყი შენ, რომ ვალდებული ხარ, მასვა წყალი შენი პეშვიდან. განა დაგავიწყდა ის დღე, ოდეს მოოდახმა, კოლგანის ძემ, ნადიმი გაგიმართა ბრუიგან-ან-ხაორტანინეში. იგი ფლობდა არა მარტო ბრუიგან-ან-ხაორტანინეს, რომელიც ზღვის პირას მდებარეობს, არამედ კუნძულის ბრუიგანსაც. კუნძულის ბრუიგანზე მან მოიწვია კუნძულ ტუილეს უზენაესი ხელმწიფე და სამი ხელმწიფე, მათ გამორჩევით ითათბირეს და დაადგინეს, თავი მოეკვეთათ შენთვის.

ნადიმი გაიმართა ბრუიგანში, ზღვის ნაპირას, და მოოდახმა, კოლგანის ძემ, მოგიწვია შენ ფენიების შვიდი რაზმითურთ, რათა გაეხარებინა ბრუიგან-ან-ხაორტანინეში თავმოყრილი ხალხი. მაშინ გაემართე შენ იქით, ო, ფინ, და თან გამოგყვა ფენიების მრავალი ბელადი.

მოოდახმა უბრძანა კუნძულ ტუილეს რამდენიმე მდაბიორს, დამალულიყვნენ მერხის ქვეშ, სადაც შენ უნდა დამჯდარიყავი, და როცა დაჯდებოდი, შენთვის ფეხები გაეძაგრათ და გადაეგრინათ ხელები.

ასეც აღსრულდა.

ოდეს უზენაესმა ხელმწიფემ შეიტყო ეს ამბავი, დაუყოვნებლივ გამოგზავნა ერთ-ერთი ასისთავი და უბრძანა, თავი მოეკვეთა შენთვის და მისთვის მიერთმია.

მაშინ შენ ძალუმად იკბინე თითზე, ო, ფინ, და ამ ჯადოქრობამ გიჩვენა შენ ჭეშმარიტება.

სწორედ ამ დროს მოვედი მე ბრუიგან-ან-ხაორტანინეში და შემოვედი თუ არა სახლში, უმაღლესი შემამჩნიე და მიმიხმე. შენ მამცნე, რომ უზენაესმა ხელმწიფემ და კუნძულ ტუილეს სამმა ხელმწიფემ, რომელნიც კუნძულის ბრუიგანში იმყოფებიან, შენკენ წარმოგზავნეს ერთი თავიანთი კაცი და იგი საცაა მოვა, რათა წარგვეთოს თავი.

მაშინ მე ვითავე შენი სიცოცხლის დაცვა და გდარაჯობდი ალიონამდის. დილით კი დავდექ ბრუიგანის სიმაგრესთან, რათა დამეცვა იგი.

ერთ კვირას ვიდექ მე იქ. ბოლოს ვიხილე უზენაესი ხელმწიფის ასისთავი და მისი თანმხლები ხალხი. ისინი სასახლეს უახლოვდებოდნენ. მაშინ ვეკვეთე მე ასისთავს და წარვკვეთე თავი და სათითაოდ შევმუსრე მისნი მხლებელნი. შემდეგ ავილე ასისთავის თავი და გავწიე კუნძულის ბრუიგანში, კუნძულზე, სადაც მოილხენდნენ უზენაესი ხელმწიფე და კუნძულ ტუილეს სამი ხელმწიფე, ტკებოდნენ მათრობელა თაფლითა და მაგარი ღვინით. მე უმალ დავბალთე მათ თავები და ტომარაში ჩაეყარე. შემდეგ მარცხენა ხელში ავილე თაფლუჭით სავსე ოქროს თასი, ხოლო მარჯვენა ხელში მეპყრა აღმახული მახვილი და ვკაფე მტერი მარჯვნივ და მარცხნივ და განვიხენე უკმისაქცევი გზანი.

ჩემმა სიმამაცემ განმიტევა მე კუნძულის ბრუიგანიდან და მიმიყვანა ნაპირის ბრუიგანში.

მაშინ შენს წინაშე დავყარე მე მოკვეთილი თავები, გამოგიწოდე ძვირფასი თასი და შენი ფენიები და თავად შენ დაგნამეთ ხელმწიფეთა წითელი სისხლით. შემდეგ იმ ადგილებში წაგცხე სისხლი, სადაც შეკრული იყავ და ამით დაგიბრუნე შენ ძველი ძალა, კვლავ მივანიჭე სიმაგრე შენს გახევებულ ხელებს და სიმტკიცე შენს დაბრუეებულ, წართმეულ ფეხებს.

მაშინ კვლავ გთხოვე შენ ყლუპი წყალი და შენ აღმიტყვი მისი მორთმევა შენი პეშვით.

ბევრი გასაჭირი გქონიათ შენ და ირლანდიელ ფენიებს, და მე არაერთხელ ჩამიგდია თავი განსაცდელში და მუდამ მზად ვიყავი გამეწირა სიცოცხლე თქვენი გულისათვის, ო, ფინ. და სწორედ ამიტომ არ უნდა მომექცე შენ ასე ვერაგულად. ბევრი სახელოვანი გმირი დასცა შენმა მარჯვენამ, ო, ფინ, და კიდევ მრავალს დასცემს იგი.

დიდი უბედურება ელით ფენიებს. ეს უბედურება მოსრავს მათ და არ დაინდობს არც მათ შთამომავალთ. მე განა შენზე შემტკიცავ გული, ო, ფინ, არამედ ოისინზე, ოსგარზე და სხვა სახელოვან თანამებრძოლებზე. გამოთხოვებისას გეტყვი შენ, ო, ოისინ, რომ მარტო

შენ დაშთები ცოცხალი და დაიტირებ დაღუპულ ფენიებს. შენ კი, ფინ, არაერთხელ ინანებ ჩემს სიკვდილს, რაშეთუ მოგაკლდება ჩემი მტკიცე მარჯვენა და შემწეობა.

მაშინ იზრახა ოცისნმა:

— თუმცა სისხლით შენ უფრო ახლობელი ხარ ჩემი, ვიდრე ღიარმაიდ ო'ღუივნი, მაგრამ მე არ დაგინდობ შენ, ო, ფინ, თუ ღიარმაიდს არ დააღუივნიებ წყალს შენი პეშვიდან და ვფიცავ, რაც არ უნდა ძლიერი იყოს შენი მარჯვენა და უსაზღვრო შენი ძალაუფლება, მე არ დავუშვებ, რომ ასე მიატოვო ღიარმაიდ ო, ღუივნი-გაიძულებ, დაუყოვნებლივ მოუტანო მას წყალი შენივე პეშვით.

— კი მაგრამ, მე არ ვუწყვი წყარო ამ მთაზე, — იზრახა ფინმა.

— არა ხარ მართალი, — მიუგო ღიარმაიდმა, — რამეთუ შენგან ათ ნაბიჯზე მოწანწყარებს უწმინდესი და უანკარესი წყარო.

მაშინ ფინი გაემართა წყაროსაკენ და აღივსო პეშვი ცივი წყლით. მაგრამ ნახევარი გზაც კი არ ჰქონდა გავლილი, გაშალა თითები და დაღვარა წყალი, ვითომდა შემთხვევით.

— ვფიცავ, სთქვა ღიარმაიდმა, — რომ შენ განგებ დაღვარე წყალი.

მაშინ მეორედ გაემართა ფინი წყაროსაკენ და კვლავ აღივსო პეშვი ცივი წყაროს წყლით, მაგრამ ნახევარი გზაც კი არ გაეგლო რომ, კვლავ გაშალა თითები და დაღვარა წყალი, რამეთუ იგი იმ დროს გრაინებე ფიქრობდა.

ოდეს წყალი კვლავ დაიღვარა, მძიმედ ამოიკენესა ღიარმაიდმა.

— ვფიცავ ჩემს მარჯვენას, ო, ფინ, — იჭეჭა ოსგარმა, — თუ შენ ახლავე არ მიუტან წყალს ღიარმაიდს, მაშინ არავინ უწყის, პირველად ვინ დატოვებს სამუდამოდ ამ ქედს — შენ თუ მე!

მესამედ გაემართა ფინი წყაროსაკენ. იგი დააშინა ოსგარის ფიცმა და ამჯერად აღარ დაუღვრია წყალი, მაგრამ ისე ნელა მოჰქონდა, რომ, ოდეს ღიარმაიდამდე მოაღწია, ღიარმაიდს უკვე განეშორა სული.

მაშინ აღმოხდათ ირლანდიელ ფენიებს სამი ღრმა და გულისწამლები კენესა, ერთიან შეირყა ზეცის თავანი.

უშიშარი ოისინის ძემ, კეთილშობილმა ოსგარმა, ზიზლით და რისხვით შეხედა ფინს და რქვა:

— დიდი უბედურება დაატყდა ფენიებს შენი მიზეზით, ო, ფინ. მე ვნანობ რომ არა შენ, არამედ დიარმაიდ ო' დუივნემ განუტყუა სული. რამეთუ გაცილებით იოლად გადავიტანდით შენს სიკვდილს. ჩვენ დავკარგეთ ერთგული თანამებრძოლი და დასაყრდენი მტერთან ბრძოლაში.

ფინმა კი იზრახა:

— უმჯობესია მსწრაფლ დავაგდოთ ეს ქელი, რამეთუ ბოინის ბრუგელი ანგუსი და ტუატი-დე-დანანის ტომის მხედარნი მოვლენ აქ და შეგვიპყრობენ ყველას. და თუმცა ჩვენ უბრალონი ვართ დიარმაიდ ო' დუივნეს სიკვდილში, არც ერთი მათგანი არ ირწმუნებს ამას.

— ვფიცავ, — იქეკა ოსგარმა, — დიარმაიდის მოსაკვდინებლად მოაწყვე შენ ეს ნადირობა, ო, ფინ, სხვა შემთხვევაში შენ არ გამართავდი მას!

შემდეგ ფინმა და ირლანდიელმა ფენიებმა დააგდეს ქელის მწვერვალი და დაადგნენ თავის გზას. ფინს თან მიჰქონდა დიარმაიდის საჭურველი და მიჰყავდა დიარმაიდის მწევარი მაკ-ან-კულია.

მაგრამ ოისინი, ოსგარი, კაირპრე ლიფეხაირი და ლუბტახტი, ძე ლუგაიდისა, კვლავ მიიქცნენ ქელზე და დიარმაიდის უსულო ცხედარს ოთხი წამოსასხამი გადაახურეს. შემდეგ კი კვლავ ფინს შეუერთდნენ.

ჩვენ არაფერი ვუწყით იმის შესახებ, თუ როგორ იარეს მათ, ვიდრე არ მიაღწიეს ფატ გრაინანს. ამ ღროს გრაინე აღვიდა სიმაგრის ხანდაკზე, რამეთუ ეწადა მალე შეეტყო თავისი საყვარელი მეუღლის ამბები. მან იხილა ფინი და ფენიები, რომელნიც სიმაგრეს უახლოვდებოდნენ.

— დიარმაიდს ცოცხალი რომ იყოს, ფინი ვერ წამოიყვანდა მაკ-ან-კულიას!— წამოიძახა მან და დარდით შეძრული იქვე დაენარცხა.

როცა ოისინმა გრაინე ასეთ ყოფაში იხილა, სთხოვა მან ფინს და ირლანდიელ ფენიებს, გასცლოდნენ იქაურობას და არ მიახლოებოდნენ სიმაგრის ხანდაკს, მაგრამ როცა ფინმა და ირლანდიელმა ფენიებმა წასვლა დააპირეს, გრაინემ აიღო თავი და მოსთხოვა ფინს,

დაეტოვებინა მაკ-ან-კულია, მაგრამ ფინმა უარი სთქვა ძაღლის დატოვებაზე, რადგან, მისი თქმით, ძალიან მცირე შემკვიდრეობა დატოვა დიარმადმა და ამიტომ ძაღლი იგი სამართლიანად ეკუთვნის მას.

მაშინ ოისინმა მაკ-ან-კულია გამოგლიჯა ფინს და გრაინეს გადასცა. შემდეგ კი შეუერთდა თავის ხალხს.

გრაინე მაშინ მიხვდა, რომ ცოცხალი აღარ არის დიარმადი და ისეთი ოხვრა აღმოხდა, რომ სიმაგრის ყველაზე შორეული კუთხეებიც კი შეარყია. ამ ხმის გაგონებაზე მოცვიდნენ მისნი მხეველნი და სიმაგრეში მცხოვრები სხვა ხალხი და ჰკითხეს გრაინეს:

— რამ აგატირა ასე, ო, გრაინე?

გრაინემ მიუგო მათ, რომ დიარმადი დაეცა ბან-გულბაინის ტახზე ნადირობის უამს, რომელიც მოაწყო ფინმა, კუმალას ტემ.

— გული ლამის გასკდეს ბოღმისაგან, — დასძინა მან, — რამეთუ თავად არ ძალმიძს ფინთან ორთაბრძოლა. მამრი რომ ვიყო, ცოცხალს არ გავუშვებდი აქედან!

დიარმადის საზარელი სიკვდილის ამბავმა შეარხია ხალხი და სამი საზარელი გმინვა აღმოხდა ხალხს. ერთიან შეირყა ღრუბლები, ზეცა და სამყაროს სივრცენი.

მაშინ ბრძანა გრაინემ, შეეკრიბათ მხედართა ხუთი რაზმი, წასულიყვნენ ბან-გულბაინის ქედზე და მოესვენებინათ მისი ძვირფასი მეუღლის დიარმადი ო'ღუივნეს ცხედარი.

ამ დროს ბოინის ბრუგელმა ანგუსმა შეიტყო დიარმადის სიკვდილის ამბავი, რაც იმიტომ მოხდა, რომ სწორედ იმ ღამეს არ სდარაჯობდა იგი დიარმადის. ანგუსმა მოიხმო სუფთა და ცივი ქარი და გაეშურა ბან-გულბაინის ქედისაკენ.

ოდეს გრაინეს მხედრებმა იხილეს ბოინის ბრუგელი ანგუსი, მათ მკვეთრ შეაბრუნეს თავიანთი ფარები, რათა ანგუსს ისინი მტრებად არ მიეღო და მიმხვდარიყო, რომ საბრძოლოდ არ მიდიოდნენ მასთან. და ანგუსი მიხვდა ამას. უნდა ითქვას, რომ ანგუსი მარტო როდი მოვიდა იქ. მას თან ახლდა თავისი ხალხი. და მალე გრაინესა და ანგუსის რაზმები ერთად შეიყარნენ ქედზე და, რა იხილეს დიარმადი ო'ღუივნეს უსულო ცხედარი, სამგზის აღმოსკდათ ღრმა და ამაზრზენი ვიში, რომელმაც ურთიერთ შეახეთქა ღონიერი ღრუბ-

ლები და მათათა მწვერვალები, მიაღწია შორეულ კუნძულებს და მისწვდა ირლანდიის მიუწვდომელ კუნძულებს.

მაშინ ბოინის ბრუგელი ანგუსი მიუბრუნდა მხედრობას და იზრახა მწუხარედ:

— ცხრა თვის ბალღი წაგიყვანე ბოინის ბრუგში, თვალის ჩინივით გიფრთხილდებოდით და ნიადაგ გდარაჯობდით ყოველდღამე, თვინიერ წუხანდელი ღამისა. ვაი რომ, ფინის, კუმალას ძის, გამცემლობამ დაგცა შენ, ო, დიარმაიდ ო'დუივნე, თუმცაღა მშვიდობა სუფევდა თქვენს შორის. და იმღერა მან ასეთი სიმღერა:

— ო, დიარმაიდ ო,დუივნევე, მხედარო ბრძენო,
შიშმეუფელო მორკინალო, მმუსრაეო სპათა,
ლაწებნითელო, ბროლკბილებავ, თვალებრდღვიალავ,
ირლანდიელთა თვალისჩინო, იმეღო დიდო,

ჩვენ დაგვეუფლა საზარელი ტანჯვა და ურვა,
ოდეს შევიტყვეთ, დიარმაიდ, სიკვდილი შენი,
ოდეს შევიტყვეთ, რომ შეღება შენივე სისხლმა
აბჯარი შენი და მეტოქე პირისპირ მდგარი.

შენ კაცთა მოდგმის ურგოახის გამხდარხარ მსხვერპლი,
შენ სიცბიერემ, უხანობამ მოგიღო ბოლო.
ერთმა მზაკვარმა მეგობარმა დაგიგო მახე
და ამ მახეში გაიხლართე ორივე ფეხით.

ბან-გულბაინის ცოფიანმა, ველურმა ტანმა
მიწაზე დაგცა, დიარმაიდ, მხედარო ბრძენო.
შენს მაგარ ტანში შეიტანა სიკვდილის შხამი.
ბან-გულბაინის ქედის წვერზე სიკვდილი ჰპოვე.

მოდით, შევასხათ ხოტბა დიდი დიდებულ მხედარს,
მოდით, მიუძღვნათ საუკუნო ქებათა ქება,
რათა მის ხსოვნას არასოდეს დაადგეს ჩრდილი.
იყოს ხსენება ირლანდიის კიდითი კიდე.

ამ სალი კლდიდან წავასვენოთ ცხედარი მძიმე
და დავასვენოთ ალერსიან ბოინის ბრუგში.
ო, ქეშმარიტად ირლანდიის უბედურ ძეთა
მძიმე ურვა და ღიღი სევდა დაგვაწვა თავზე!

ანგუსმა დაასრულა თუ არა სიმღერა, ჰკითხა გრაინეს მხედრებს,
საით აპირებთო წასვლას ამ ქედიდან. მათ მიუგეს, რომ ისინი გრაინემ
წარმოგზავნა დიარმაიდის ცხედრის წასაღებად და უბრძანა,
დაესვენებინათ იგი რატ-გრაინანში. მაშინ ანგუსმა რქვა მათ, ხელი
არ ახლოთო დიარმაიდის ცხედარს, რამეთუ თავად ვაპირებო მის
წასვენებას ბოინის ბრუგში.

— და თუმცა მისი გაცოცხლება ჩემს ძალებს აღემატება, მაგრამ
მე ჩაუვდგამ მას სულს, — სთქვა ანგუსმა, — და იგი ყოველ-
დღე შესძლებს ჩემთან საუბარს.

ანგუსმა უბრძანა გრაინეს მხედრებს, ცხედარი საკაცეზე დაე-
სვენებინათ მთელი თავისი საქურველით, შემდეგ გაუდგა გზას და
იარა, ვიდრე არ მიაღწია ბოინის ბრუგს.

ახლა კი დაეუბრუნდეთ გრაინეს მხედრებს. ისინი მიიქცნენ რატ-
გრაინანში და ამცნეს გრაინეს, რომ ანგუსმა მათ უფლება არ მისცა,
წამოესვენებინათ დიარმაიდის ცხედარი და თავად წაასვენა ბოინის
ბრუგში, სადაც აპირებს ჩაუდგას მას სული და ესაუბროს ყოველ-
დღე. მაშინ გრაინემ თქვა, არ ძალმიძსო მისი სურვილის წინააღმ-
დეგ წასვლა.

შემდეგ გრაინემ მალემსრბოლი აფრინა კროკ-უი-დუივენეს თემში,
სადაც იზრდებოდნენ დიარმაიდ ო, დუივენეს ძენი.

დიარმაიდის ყოველ ძეს იქ ედგა საკუთარი სახლი, ჰყავდა სა-
კუთარი მსახურები და გააჩნდა საკუთარი თემი.

დიარმაიდის უხუცეს ძეს, რომელსაც დონხადს უხმობდნენ,
ემორჩილებოდნენ დიარმაიდის სხვა ძენიც — ეოხაიდი, კონლა,
სეილესახარკნი და ოლან გრძელწვერა, რომელიც ეყოლა დიარმაიდ
ო'დუივენეს ძეს ლაგენის ხელმწიფის ასულისაგან. უნდა ითქვას, რომ
გრაინეს არც ერთი თავისი შვილი არ უყვარდა ისე, როგორც
ოლანი.

მალემსრობოლთ უმაღლესს და იარეს მანამ, ვიდრე არ მიიღწიეს კორკ-კუ-დუიენეს თემს. მათ ამცნეს დიარმადის ძეთ მოგზაურობის მიზანი და ყოველივე ის, რაც მოხდა. მაშინ ჰაბუეებმა მოუწოდეს თავიანთი თემების მხედრობას. ხოლო უხუცესთა ჰკითხეს მათ, რაშიაო საქმე, რამეთუ ჩვენი მხედართმთავრები აპირებენ ჩაუსაფრდნენ ფინს და ირლანდიელ ფენიებს და გაუმართონ ბრძოლა. დონხადმა, დიარმადის უხუცესმა ძემ, უბრძანა მათ, არ დაძრულიყვნენ ადგილიდან. და სთქვა, რომ მე ჩამოვაგდებო ფინთან ზავს. და თუ ეს არ მოხდა, მაშინ უფლებას გაძლევთ, თავად გადაწვიტოთ, ფინის, კუმალას ძის მხარეზე დაღვეთ, თუ შეუერთდეთ თქვენს ბელადებსა და მხედართმთავრებს.

მაშინ დიარმადი ო'დუიენეს ძენი და მალემსრობონი უმოკლესი გზებით გაემართნენ რატ-გრაინანისაკენ. და ჩვენ არაარა ვუწყით იმის შესახებ, თუ როგორ იარეს მათ, ვიდრე არ მიიღწიეს რატ-გრაინანს. პატივით და ალერსით მიიღო ისინი გრაინემ. დაჰკოცნა ყველანი და განსაკუთრებულნი სინაზით ეამბორა ლაგენის ხელმწიფის ასულის ძეს.

ისინი ერთად შევიდნენ რატ-გრაინანში და თავ-თავიანთ სკამებზე დაბრძანდნენ ხელმწიფის ბრუიგანში, მათი წოდების, მდგომარეობისა და ასაკის მიხედვით.

უხვად მიართვეს მათ სანოვავე და ნაირ-ნაირი სასმელები — მათრობელა თაფლი, სურნელოვანი ლუდი და მავარი ღვინო. სტუმრებმა იგემეს ხორცი და სასმელი და ერთობ გამხიარულდნენ. მაშინ მათ მიუბრუნდა ბრძენი გრაინე და თავისი ნათელი, წმინდა ხმით ეზარახა დიარმადი ო'დუიენეს ძეთ:

— ძვირფასო ძენო, მამათქვენი დიარმადი ო'დუიენე, სახელოვანი მხედარი და ვაჟკაცი, უშიშარი ვითარცა უხორცო, ვერავლად მოჰკლა ფინმა, კუმალას ძემ. მან დაარღვია ზავის პირობები, ისარგებლა რა იმ წყევლით. რომლითაც დაიწყებულა მამათქვენი და ჩემი ძვირფასი მეუღლე. და ახლა ვუწყით მე, ცბიერი ფინი აღარ მოგასვენებთ თქვენ, გდევნით ნიადაგ. მაგრამ მოვა დრო და თქვენ დასრულდებით, ვითარცა ბერძუხები, და სამაგიეროს მიუზღავთ ფინს, კუმალას ძეს, მამათქვენის სიკვდილისათვის; მაგრამ ნუ იჩქარებთ, ო'დიარმადის ძენო, საჭიროა დროის შერჩევა.

— ახლა კი, — განაგრძო გრანემ, — თქვენ უნდა უწყოდეთ, რა მემკვიდრეობა დაგიტოვათ მამათქვენმა. ერთი შეხედვით ამ საჭურველსა. აგერ მისი აღმახული ხმლები და ხანჯლები; ვერც ერთი მტერი უერ გადაურჩება მათ ძვერებას. აგერა შუბნი, ჯადოსნური ძალის მქონენი, — მათ არაერთხელ უხსნიათ მამათქვენი ხიფათისაგან და დაუცავთ ფინი, კუმალას ძე, ოდეს დიარმაიდი ერთგულად მსახურებდა მას. ეს საჭურველი მოწმეა მისი განუმეორებელი გმირობებისა, რომელთა მსგავსი ჯერ არ უწყის ირლანდიაში. თავად გაგინაწილებთ ამ საჭურველს, ძვირფასო ძენო. მე მჯერა, რომ ისინი მრავალგზის მოგიტანენ გამარჯვებას უღმობელ მტერზე. ჩემთვის ვიტოვებ მხოლოდ სასმისებს და სხვადასხვა ლანგრებს, აგრეთვე ძროხების ჯოგებსა და ცხენთა რემას. და მაშინ გრანემ იმღერა ასეთი სიმღერა:

— ო, დიერმაიდ ო'დუიენეს ძლიერნო ძენო,
წამოიმართეთ და აღიღეთ თავები მაღლა,
წინ წამოდექით, უძლეველნო, მოდექით ახლოს
და ყურადიღეთ დედათქვენის გულწრფელი რჩევა!

მე კარგად ვუწყი: მგზავრობები ხიფათით სავსე
რომ განგიზრახავთ სახელოვან საქმეთა გამო,
გამარჯვებებით დასრულდება უთუოდ თქვენთვის,
ვით ზურგის ქარი, მძლე განგება გექმნებათ შემწედ.

დაე, როდესაც შემოგხვდებათ ვერაგი მტერი,
დიარმაიდის საჭურველმა დაგიცვათ მუდამ.
თქვენ დაგშთათ მხოლოდ, ო'დუიენეს შთამომავალნო,
სახელგანთქმული იარაღი დიდებულ მამრის.

დაე, დონხადი, უხუცესი მის ძეთა შორის,
კანრნისა ძალით დაეუფლოს მის ერთგულ მახვილს;
რომელსაც სისხლი მეწამული აცხია ფხაზე,
მას მამათქვენი მტრის კეფაზე ლესავდა მუდამ.

მეორე ძემ კი არანაკლებ სახელოვანმა,
ეოხაიდმა სახიერმა, ტანადმა, მძლავრმა,
შთამომავლობით ჩაიბაროს შუბი გა-დარგი,
და ძნელ ბრძოლებში გამარჯვებით ატაროს მუდამ.

შემთხვევით როდი ჩაგაბარე მახვილი ღონხადს,
ეოხაიდს კი უმჯობესი შუბი გა-დარგი,
ისინი მხედრებს მეთაურად უდგანან თავში
და თავისთავად მიიწევენ ბრძოლებში მუდამ.

ეს მშვენიერი და მაგარი აბჯარ-აბგარი,
გადამრჩენელი სიკვდილისგან ყოველგვარ ომში,
შენ გერგო, ჩემო საყვარელო, ძვირფასო ოლან,
მძიმე ბრძოლებში, ლაშქრობებში გფარავდეს იგი.

რჩეულ ოსტატთა ნახელავი ძვირფასი თასნი,
ოქროცურვილი ფიალები ნატიფად თლილნი,
თაფლისთვის ყანწნი და ლანგარნი, ღრმანი და მძიმე,
განუყოფელად, განუყრელად დაშთება ჩემთან.

მხოლოდ დიაცთა წილხვედრია ასეთი განძი,
ამ სიმდიდრესთან რა ხელი აქვს ჭეშმარიტ მხედარს.
სწორედ ამიტომ ეს სიმდიდრე დარჩება აქვე,
ისე მოვიხმარ, როგორც ამას საჭიროდ ჩავთვლი.

საკუთარ მტრებთან უღმობელნი იყავით მუდამ,
არვინ დაინდოთ, არ შეხედოთ მოწყალე თვალით,
მათი ფრიადი სიძულელი ნიადაგ გახლდეთ,
თუ საჭიროა, მიაკვდინეთ დიაციც, ბალდიც.

კეთილშობილი იყოს მუდამ საქმენი თქვენნი,
სიცბიერეს და სითაღლითეს ერიდეთ მუდამ.
არ მოგაყენოთ გამცემლობამ აროდეს ჩრდილი.
ახლა ვიჩქაროთ განშორება. მშვიდობით, ძენო!

ამ სიმღერის შემდეგ გრანემ უბრძანა შეილებს, დადგომოდნენ გზას და კარგად შეესწავლათ სამხედრო ხელოვნების ყველა წერილმანი.

— იყავით უშიშარნი და შეუღრეკელნი, ეუფლეთ იარაღს, ვიდრე არ იგრძნობთ, რომ აღივსეთ სალით და აღარვის ძალუძს თქვენი დაძლევა, — რქვა გრანემ. — რამდენიმე წლით ჩაეშვით ბოლანის სამჰედლოში და დაეუფლეთ მიწისქვეშა ხელოვნებას.

ამის შემდეგ ეს დიდებული ჰაბუკები, დიარმაიდ ო'დუივენეს ძენი, დაემშვიდობნენ გონიერ გრანეს, უსურვეს მას და მის ხალხს ჯანმრთელობა და ყოველგვარი სიკეთე. გრანემ და მისმა ხალხმა მათ იგივე უსურვა და დიარმაიდის ძენი განეშორნენ გრანეს და დაადგნენ გზას, რათა აღესრულებინათ მისი დანაბარები.

ისინი დადიოდნენ მთაში თუ ბარად და იძენდნენ ცოდნას. მსოფლიოს შორეულ კუთხეებშიც კი არ დარჩენილა არც ერთი მხედარი, არც ერთი დიაცი და ცხოვრებისაგან განბრძობილი მოხუციც კი, რომელთაგანაც არ ესწავლათ სასარგებლო საქმე და არ გაესრულებინათ თავიანთი საბრძოლო ხელოვნება. და ოდეს იგრძნეს მათ, რომ ჩასწვდნენ ყოველივეს, რის ჩაწვდომაც კი შეიძლებოდა ამქვეყნად, და გახდნენ იმდენად ძლიერნი, რომ აღარავის ძალებდა მათი დაძლევა, ისინი ჩაეშვნენ ბოლანის სამჰედლოში და სამი წელი დაჰყვეს იქ.

ახლა კი მოვიქცეთ ფინის, კუმალას ძის კვალზე. ოდეს მან შეიტყო, რომ დიარმაიდ ო'დუივენეს ოთხივე ძე მისულა გრანესთან, ხოლო შემდეგ კი დაძრულან სამოგზაუროდ, ღვარძლით აღივსო გული მისი და იგრძნო დაუძლეველი შიში დიარმაიდ ო'დუივენეს ძეთა მიმართ.

მაშინ მოიხმო ფინმა ფენიათა შვიდი რაზმი ირლანდიის ყოველი მეხუთედიდან და ოდეს ისინი გამოეცხადნენ მას, ფინმა მალალი, მკვეთრი ხმით ამცნო ფენიებს ამბავი, რომ გრანემ სამოგზაუროდ გააგზავნა დიარმაიდ ო'დუივენეს ძენი. შემდეგ კი ჰკითხა მათ, რა უნდა ელონა:

— რამეთუ გული მიგრძნობს, — იზრახა ფინმა, — ისინი იმ მიზნით დაიძრნენ სამოგზაუროდ, რათა აღივსონ ძალით და სამაგიერო მომიზნან მამის სიკვდილისა გამო.

მაშინ იზრახა ოისინმა:

— მხოლოდ შენ უნდა ავო პასუხი მაგ დანაშაულისათვის, ო, ფინ, ჩვენ არ გამოგყვებით შენ, არ დაგიცავთ ბრძოლაში და პასუხს არ ვაგებთ იმ დანაშაულისათვის, რომელშიც ჩვენ უბრალონი ვართ. შენ არ გმართებდა ისეთი ვერაგული საქციელი, როგორც ჩაიღინე, რათა მოგეკლა ღიარმაიდ ო'დუიენე; იმ დროს თქვენს შორის მშვიდობა სუფევდა და როცა კორმაკი, ირლანდიის ხელმწიფე, ცოლად გთავაზობდა თავის მეორე ასულს, იმიტომ ვერ ბედავდი შენ ღიარმაიდის სახლში შეგეტანა სიცბიერე, სიცრუე და ვერაგობა.

ფინი ძლიერ დააღონა ოისინის სიტყვებმა, მაგრამ მას არ შეეძლო დაეშალა მისთვის ასეთი ლაპარაკი.

ფინმა ოდეს იხილა, რომ ოისინმა, ოსგარმა და ბაისგნეს ტომის ყველა მხედარმა დასტოვეს იგი, მიხვდა, რომ მარტა ვერაფერს გახდებოდა იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომელიც მას ემუქრებოდა, თუ გრაინეს თავის მხარეზე არ გადმოიზირებდა. მაშინ იგი უმალ გაეშურა რატ-გრაინანისაკენ, ისე რომ არავისთვის არ გაუმხელია თავისი ცბიერი ზრახვები და არც არავის გამოშვებობებია.

და ჩვენ არარა ვუწყით იმის შესახებ, თუ როგორ იარა მან, ვიდრე არ მიაღწია რატ-გრაინანს. ფინმა იხილა გრაინე და მიესალმა მას ალერსიანი სიტყვებით. მაგრამ გრაინე მის ანკესზე არ წამოეგო და არც კი მოუსმინა მას, ადგა თავისი ადგილიდან და უბრძანა ფინს, მყისვე დაეტოვებინა რატ-გრაინანი და თვალთ ალარ ჩვენებოდა. ამას გარდა მიახალა ყველაფერი რასაც კი მასზე ფიქრობდა და ბევრი მწარე და შხამიანი სიტყვა ჩაუკრა მას თავისი მახვილი ენით. მაგრამ ფინი ყურადღებას არ აქცევდა გრაინეს ლაპარაკს და კვლავ განაგრძობდა მის ყალბ ხოტბას და მან მანამდე უჩიტკია სიყვარული გრაინეს, ვიდრე იგი თავის მხარეზე არ გადმოიბირა.

ამის შემდეგ ფინი და გრაინე გაემართნენ თავისი გზით და იარეს, ვიდრე არ მიაღწიეს ადგილს, სადაც იმყოფებოდნენ ირლანდიელი ფენიები. ოდეს ფენიებმა იხილეს ფინი. რომელიც გრაინეს თავს შეყვარებულად აჩვენებდა, მათ დასცეს დამცინავი ყიფინა და ერთიანად შეარყიეს ჰაერი. გრაინეს დასცინოდნენ ისინი. გრაინემ სირცხვილისა და დამცირებისაგან დაბლა დაიღო თავი.

— ჩვენ ვფიქრობთ, ო, ფინ, — იზრახა ოისინმა, — კარგად და ღირსეულად მოეპყრობი გრაინეს, რახან ცოლად შეირთე.

რაც შეეხება ღიარმაიდის ძეთ, შვიდი წლის ხეტიალისა და ბოლანის სამკედლოში სამი წლის ყოფნის შემდეგ, ისინი შეიქნენ უძლეველი მხედრები და სახლში მოიქცნენ შორეული მხარეებიდან.

ჩვენ არაა ვუწყით იმის შესახებ, თუ როგორ იარეს მათ, ვიდრე არ მიაღწიეს რატ-გრაინანს. იქ მათ შეიტყვეს, რომ გრაინე ფინს გაპყოლია ისე, რომ არ დაეკითხა არც მათ და არც მშობელ მამას, ირლანდიის ხელმწიფეს კორმაკს. მაშინ ისინი გაემგზავრნენ ალმინ დაგენსკში, რათა ომი გამოეცხადებინათ ფინისა და ფენიებისათვის.

— აღსდექ, დიორუინგ, მიდი მათთან და ჰკითხე, რას მოითხოვენ ჩვენგან, — ეზრახა ფინი.

დიორუინგი მივიდა მათთან და ჰკითხა, თუ რას მოითხოვდნენ ფინისაგან.

— ჩვენ მოვითხოვთ, გამოიყვანონ ასი მხედარი ჩვენს წინააღმდეგ. ანდა თავად ფინი გამოვიდეს ორთაბრძოლაში, — მიუგეს მათ.

მაშინ ფინმა გამოიყვანა ასი მხედარი მათ წინააღმდეგ და ღიარმაიდის ძენი შეებნენ მათ, განიავარდეს მათ რიგებში და აზიდეს სამი ზვინი: ერთი — მათი თავების, მეორე — სხეულებისა და მესამე — საქურველისა.

— თუ ყოველდღე თითო მხედარს დაეკარგავთ, ჩვენი ჯარისაგან აღარაფერი დარჩება, — იზრახა ფინმა. — გრაინე, შენი აზრით, როგორ უნდა მოვექცეთ ასეთ ყმაწვილებს?

— მე მივალ მათთან და შევეცდები გავაკეთო ყველაფერი, რაც ჩემს ძალ-ღონეს არ აღემატება, — მიუგო გრაინემ. — იქნებ როგორმე ჩამოვაგდო მშვიდობა თქვენს შორის.

— მოხარული ვიქნები, — რქვა ფინმა, — და სიამოვნებით მივცემ მათ სრულ თავისუფლებას, დავადგენ მათი წინაპრების ადგილებზე და უზრუნველყვოფ მათ უშიშროებას.

მაშინ გრაინე გამოეგება შვილებს, ალერსით ალავსო ისინი და დაარწმუნა, მიეღოთ ფინის, კუმალას ძის წინადადება.

ამის შემდეგ ღიარმაიდის ძენი დაადგინეს თავიანთი წინაპრების ადგილებზე, უზრუნველყვეს მათი უშიშროება და მისცეს სრულ თავისუფლება.

შემდეგ გაიმართა დიდი ნადიმი. დიარმაიდის ძეთ მოართვეს ტკბილი თაფლი და მაგარი ღვინო. ისინი დათვრნენ და ერთობ გამხიარულდნენ.

ფინი და გრაინე კი ტკბილად ცხოვრობდნენ და მიაღწიეს ღრმა სიბერემდე. ასე მთავრდება დიარმაიდისა და გრაინეს მიწნურობის ამბავი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

უსნეხის ძეთა განმეგება

1. კ ა ტ ბ ა დ ი — კონხოზარის მრჩეველი, მსაჯული და ბრძენკაცი.
2. ე შ ა ი ნ ი — ულადების დედაქალაქი, დღეს ნევენ ფორტი. დაარსდა მეფე კიმბაიტის მიერ 300 წელს ქრისტემდე და დაანგრეს 330 წელს ქრისტეს შემდეგ.
3. ფ ე რ გ უ ს ი — წარჩინებული ულადი, მეფეყოფილი ირლანდიისა.
4. ა ი ლ ი ლ ი და შ ე დ ბ ი — ულადთა მტრები.
5. „ნ ე ს ი ს ძ ე“ — კონხოზარს ნესის, ღელამისის ძეს უძახიან, როგორც ჩვენი ამირანი „დარეჯანის ძის“ სახელს ატარებდა.

ულადთა სენი

1. მ ა ხ ა — ომის ქალღმერთი, შემდეგ სიდას სახელით იხსენიება.

აქა აშვაპვი შაპ-დატოს ტახტისა

1. ბ რ ი კ რ ე ნ ი — პერსონაჟი, რომელიც ცნობილია განხეთქილების ჩამოგდებით და ქილიკობით.
2. ფ ი ნ დ ხ ო ი შ ი — კონხოზარის და.

კუხულაინდის დაბადება

1. ლ უ გ ი — სინათლის ღმერთი, კელტური პარალელი აპოლონისა.

ემერის დანიშნვა

1. ფ ა ხ ტ ნ ა ფ ა ტ ა ხ ი — ირლანდიის უზენაესი ხელმწიფე II საუკუნეში ქრისტემდე.
2. კონხოზარის წითელი ტოტი, ნაგები იყო წითელი ხისაგან.
3. ტ ე მ რ ა — ირლანდიის მეფეთა ძველი სატახტო ქალაქი.
4. შეეტლე ლოიგი, ძე რიანგაბარასი,

5. სკატახი — სიტყვა *scath* ნიშნავს ჩრდილს. სკატახის საუფლო, ანუ აჩრდილთა საუფლო შეესაბამებოდა ბერძნების ჰადესს.

საზიდან: „ხარის გაბატება კულანგედან“

1. ირლანდიის მეხუთედი — კრუახანი — ამ მეხუთედს ხშირად ეწოდებოდა „კონახტის მეხუთედი“.

2. ოქროს დაფა — ამ დაფას უნდა დაეფარა სახის სიწითლე, რომელიც ექნებოდა პატარძალს ქორწინების ღამის შემდეგ.

კახულაინდისა და ფარღიანის ორთაბრძოლა

1. ფინდაბაირი — დედოფლის, მედბის ახული, რომელსაც მედბი პირდებოდა კუხულაინდის დამმარცხებელ გმირს.

2. მორანი — სიბრძნით განოქმული მსაჯული.

3. კრუახანი — კონახტების დედაქალაქი უძველესი დროიდან 548 წლამდე.

4. ბოდბი — ომის ქალღმერთი.

5. ბაილე-ინ-ბილე — ეს ადგილები მდებარეობენ კულანგეს ფონის მახლობლად.

კახულაინდის დასწავლება

1. სამაინი — ირლანდიელთა მთავარი დღესასწაული, 1 ნოემბერი. როდესაც დრუიდები აღვივებდნენ საღვთო ცეცხლს, ამ დროს ირლანდიაში უნდა ჩამქრალიყო ყველა სხვა ცეცხლი.

2. მურტემნეს ტაფობი — მდებარეობდა ემინ-მახას სამხრეთით.

3. ბოინი — ირლანდიის ერთ-ერთი უმთავრესი მდინარე.

4. მანანანი ლერიის ძე — ორივენი ზღვის ღვთაებებია.

5. სენახ მოჩვენება, ეოხაიდიულა და ეოგან ინბირი-ავი სულები იყვნენ.

6. ფიდგი — მიღმა სამყაროს ერთ-ერთი სფერო.

7. მიდ-ლუახაირი — ირლანდიის სამხრეთით მდებარე ქედი.

კახულაინდის სიკვდილი

1. „კულანგედან ხარის გატაცებაში“ აღწერილია, თუ ვით დახოცა კუხულაინდმა კალატინის 27 ვაჟი და თვით კალატინი. მედბმა აღზარდა სამი მცირეწლოვანი; ცოცხლად გადარჩენილი ვაჟი კალატინისა; მან იცოდა, რომ ადამიანური ძალით ვერ დაამარცხებდა კუხულაინდს, ამიტომ მოჰკვეთა მათ თითო მკლავი

ვი და თითო ფეხი (ეს იყო მაგიური ხერხი) და აქცია ისინი მძლე ჯაღეგებად. ეს ჯაღეგები უსარდლა მან კუხულაინდის წინააღმდეგ შეკრებილ ჯარს. ამ ჯარში მყოფი სხვა გმირების მამებიც მოკვდინებული ჰყავდა კუხულაინდს.

2. მორრიგანი — ომის ქალმერთი.

3. ფუატი — არმავსა და დუნ-დელგს შორის მდებარე მთა.

4. არგეტროსი: — სიტყვისიტყვით: „ვერცხლის ტყე“.

კონდ ასნატადის ძის, კონდლა მუხენიერის ბაუჩინარება

1. კონდ ასნატადი იყო ირლანდიის უზენაესი ხელმწიფე 122 წლიდან 157 წლამდე, ხოლო ძე მისი არტი — 165 წლიდან 195 წლამდე.

2. სიდები — ერქვა გორაკებს, სადაც სახლობდნენ თავათ სიდები.

3. ტეტრახი — მიღმა სამყაროს მეუფე.

ბრანის, ფეგალას ძის მოგზაურობა

1. ემანი — ამ შემთხვევაში ზღაპრული ქვეყნის სახელწოდება.

2. ლერი — ზღვის ღმერთი, რომელიც გვიან გადაიქცა გაპიროვნებულ გმირად. ძველი კელტური ქრონიკების მეფე. შექსპირისეული მეფე ლირის პროტოტიპი.

3. ბრანის კონცხი — ადგილი კერრის საგრაფოში, ირლანდიის დასავლეთ სანაპიროზე.

აჰა ამგავი სახელგანთქმული ბაილესი

1. ლუგაიდი — ამ ლუგაიდს არაფერი აქვს საერთო სხვა საგების ლუგაიდთან.

2. როსნარიგი — დღევანდელ მეთის საგრაფოში მდებარეობს მდინარე ბოინზე.

3. ტრაიგ-ბაილი — „ბაილეს ნაკვალევი“, ამჟამად ლუთის საგრაფო.

4. კორმაკი — ირლანდიის უზენაესი ხელმწიფე (226 წ. — 266 წ.).

ეტიანისადმი ბრძიალი

1. ეოხაიდ აირემი — ირლანდიის უზენაესი ხელმწიფე I საუკ. ქრისტემდე.

2. ინბერკიზმანი — უელსტესის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე უბე.

3. ეოხაიდ ფეიდლესი — ირლანდიის უზენაესი ხელმწიფე 140 წელს ქრისტემდე. დედოფლის მებრძოლის მამა.

4. ფუამნახი — მოშურნე სიღა, რომელმაც მოიშორა ეტაინი, რათა თავად გამხდარიყო მიღერის მეუღლე.

მუიჩხაბახის, მარკის ძის სიკვდილი

1. მუიჩხე რტახი — ირლანდიის უზენაესი ხელმწიფე. გარდაიცვალა 526 თუ 533 წელს ქრისტეს შემდეგ.

2. ბრუგის ბოინის პირად — ამჟამინდელ მეთის საგრაფოში მდებარეობდა ეს სახლი, იგი გამოირჩეოდა როგორც მდიდრულად ნაგები წებობა.

კორმაკის თავგადასავალი აღთქმულ ძველანაში

1. ტემრა — იხ. „ემერის დანიშნა“, შენიშნა 3. მურ-ტეა — ერთ-ერთი გორაკი, რომელზედაც მდებარეობდა ტემრა.

2. ბუანი — მეს გეგრის ხელმწიფის ცოლი, გარდაიცვალა ქმრის დარღობით, როდესაც ეს უკანასკნელი მოჰკლა კონალ ძლევაოსილმა.

3. ლერი — ზღვის ღმერთი.

4. აღთქმული ქვეყანა — ბიბლიური ტერმინი. რომელიც გვიან შემოვიდა ამ საგაში.

მაილ-ღუინის მოგზაურობა

1. ეოგანახტების მოდგმა იყო ძველთაძველი სამეფო მოდგმა, მუშინისა.

2. დუბკლუაინი — ერთ-ერთი არანის კუნძულთაგანი.

3. ლაიგისი — თანამედროვე აბელიქსი.

4. პატარაკატა — კელტურ თქმულებებში კატა ზოგჯერ ფიგურირებს როგორც შემზარავი დემონური არსება. მეფე არტურმა დაამარცხა ასეთი დემონი კატა. ეს უნდა მივიღოთ მის მიერ თავისავე ქვენა ინსტიქტებისა და ვნებების დამარცხების იმაგინაციად, რომელთაც განასახიერებენ დემონური არსებები.

ღირამაიღისა და ბრანენს დეშნა

1. ფენიები — ფინის ხელქვეითი თავისუფალი მეომრები.

2. ანგუსი — ძალოვანი სიდი, რომელსაც წვეძლო ჰაერში უხილავად გადაადგილება.

3. ლოხლანი — „ტბათა ქვეყანა“, ნორვეგია.

ს ა რ ჩ ე ზ ი

წინასიტყვაობა	5
<u>საგმირო საგებო</u>	
უსნების ძეთა განძეგება	<u>15</u>
ულადთა სენი	<u>27</u> †
აქა ამბავი მაკ-დატოს ტახისა	<u>31</u>
კუხულაინდის დაბადება	<u>42</u> †
ემერის დანიშვნა	<u>46</u>
საგიდან: „ხარის გატაცება კულანგედან“, საუბარი ძილის	
წინ : :	<u>68</u>
კუხულაინდისა და ფერდიადის ორთაბრძოლა	<u>74</u> †
კუხულაინდის დასწეულება	<u>108</u>
კუხულაინდის სიკვდილი	<u>133</u>
<u>ფანტასტიკური საგებო</u>	
კონდ ასნაცადის ძის, კონდლა მშვენიერის გაუჩინარება	<u>151</u> †
ბრანის, ფებალას ძის მოგზაურობა	<u>155</u>
აქა ამბავი სახელგანთქმული ბაილესი	<u>165</u>
ელტაინისადმი ტრფიალი	<u>168</u>
მუირხერტახის, ერკის ძის სიკვდილი	<u>172</u>
კორმაკის თავგადასავალი აღთქმულ ქვეყანაში	<u>186</u>
მაილ-დუინის მოგზაურობა	<u>192</u>
დიარმაიდისა და გრაინეს დევნა	<u>225</u>
შენიშვნები	310

ИРЛАНДСКИЕ САГИ

(На грузинском языке)

Детюниадат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1971

რედაქტორი ზ. გამსახურდია
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ქადაგიწვილი
მხატვარი ჟ. ყავლაშვილი
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნორედაქტორი ნ. შველიძე
კონტრ.-კორექტორი დ. კალანდარიშვილი
კორექტორი მ. გელაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VI-70 წ.

ქალაქის ზომა 60×84¹/₁₆

ნაბეჭდი თაბახი 19.75

საარტიკვო-საგამომცემლო თაბახი 14.73

წეკვ. № 2096 ტირაჟი 10.000 ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, მარჯანიშვილის ქ. № 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили № 5

აიწყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ-
პოლიგრაფრეწველობის № 2 სტამბაში, „ნაკადული“,
ფურცელაძის ქ. № 5.

Набрано в типографии № 2 «Накадули», Глав-
полиграфпрома Государственного Комитета Со-
вета Министров Грузинской ССР по печати,
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

დაბეჭდა და აიკინძა ბეჭდვითი სიტყვის სახელმ-
წიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფრეწველობის
№ 1 სტამბაში, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Напечатано и сброшюровано в типографии № 1,
Главполиграфпрома Государственного комитета
Совета министров Грузинской ССР по печати,
Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.